# ფმინდა მიწა – კაქტუსების ქვეყანა

*თანამედროვე ებრაული პროზის მცირე ანთოლოგია*

თბილისი „საარი“ 2003

ებრაული სიტყვა ცაბარ („კაქტუსი") სიმბოლურად ისრაელში შობილს აღნიშნავს. ამ წიგნში წარმოდგენილი თორმეტიანი ავტორი ცაბარია. ისრაელური პროზის ეს მცირე ანთოლოგია გარკვეულწილად ქართველ მკითხველსაც აზიარებს სამიათასწლოვანი ებრაული მწერლობის დღევანდელ მემკვიდრეობას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში.

წიგნი გამოიცა ისრაელის ებრაული ლიტერატურის თარგმანის ინსტიტუტის დიდსულოვანი დახმარებით

The publication of the anthology was made possible by the generous assistance of the Institute for the Translation of Hebrew Literature, Israel

თანამედროვე ებრაული პროზის მცირე ანთოლოგია
ებრაულიდან თარგმნა მამუკა ბუცხრიკიძემ

Anthology of Hebrew Short Stories in the Georgian language
Translated from Hebrew by **Mamuka Butskhrikidze**

**© დედანთა ყველა უფლება ეკუთვნის ისრაელის საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციას - ACU და ყოველ ავტორს**
**© All rights for the original works are held by ~~ACUM and~~ each author**

---

**"SAARI" Ltd**

ISBN 99938-28-77-5

*ანათ ფეინბერგი*

# ეროვნული ლიტერატურიდან ზოგადსაკაცობრიო ლიტერატურამდე – თვალსაზრისი თანამედროვე ებრაული ლიტერატურის შესახებ

თანამედროვე ებრაული ლიტერატურის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ებრაული ენის რენესანსთან. ებრაული ენის გაცოცხლება და განვითარება იყო საძირკველი ჰასქალას[1] მოძრაობისა, რომელიც აღმოცენდა ევროპაში მე-18 საუკუნის შუა ხანებში, ხოლო შემდგომ სიონისტური მოძრაობისა, რომელიც დაფუძნდა მე-19 საუკუნის მიწურულს და იბრძოდა ებრაელთა ეროვნული კერის შესაქმნელად ერეც-ისრაელში[2]. თანამედროვეობამდე ებრაული იყო წმინდა ენა, რომელსაც იყენებდნენ მლოცველები, ის იყო აგრეთვე ლიტერატურისა და პოეზიის ენა, მაგრამ ყოველდღიური საუბარი ენას არ წარმოადგენდა. ებრაული ლიტერატურა უძველესი ლიტერატურაა, რომელიც გრძელდება ბიბლიური ეპოქიდან ჩვენს დღევანდელობამდე. ებრაელთა ორიგინალური დევნილობის მანძილზე ვითარდებოდა შემოქმედება ებრაულ ენაზე და აყვავების ეტაპსაც მიაღწია, მაგალითად, [illegible] საუკუნეების ესპანეთში და შემდეგ იტალიაში, თუმცა ახალი პერიოდი ებრაულ ლიტერატურაში მხოლოდ მე-18 საუკუნის დასასრულიდან იწყება. მას აქეთ იგი განიცდის თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ზეგავლენას და დასავლეთის ლიტერატურის ინტეგრალურ ნაწილად იქცევა. ებრაულ ლიტერატურაში განვითარებული პროცესები და ცვლილებები მომდინარეობს იმ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული პროცესებიდან, რაც უკანასკნელი 200 წლის მანძილზე გამოიარა ებრაელმა ხალხმა, მაგრამ ეს პროცესები და ცვლილებები არის

აგრეთვე დასავლეთის ლიტერატურის გავლენის შედეგი. დასაწყისში ეს გახლდათ უსამშობლო ლიტერატურა, რომელიც ძირითადად ვითარდებოდა აღმოსავლეთ ევროპის ცალკეულ ცენტრებში (როგორიცაა, ვთქვათ, ოდესა და ვარშავა), და გაგრძელება ჰპოვა ერეც–ისრაელში ძირითადად მე–20 საუკუნის დასაწყისში. ებრაული ლიტერატურა და ებრაული ენა წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს „ახალ–ძველ“ სამშობლოში ებრაულ–ისრაელური „მე“–ს ფორმირებაში. მოკლე ისტორიული მიმოხილვა შესაძ–ლებლობას იძლევა კარგად დაეინახოთ ურთიერთქმედება ლიტერატურასა და ეროვნული „მე“–ს კრისტალიზებას შორის.

მე–20 საუკუნის პირველ ათწლეულებში ერეც–ისრაელში მხოლოდ რამდენიმე მწერალი მოღვაწეობდა, და, მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა ლიტერატურამ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია, თავიდან პროზაში, შემდეგ კი პოეზიაში. ყველაზე გამორჩეული სახე პროზის სფეროში იოსეფ ხაიმ ბრენერი იყო, რომელიც მიჩნეულია ებრაელ მწერალთა ცენტრის დამაარსებლად ერეც–ისრაელში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან ჩამოდიან ერეც–ისრაელში მნიშვნელოვანი მწერლები და პოეტები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან და აქ მკვიდრდებიან. მათ შორისაა ხაიმ ნახმან ბიალიკი, რომლის შემოქმედებით იხსნება ახალი ეპოქა ებრაულ პოეზიაში, და რომელსაც ჯერ კიდევ ახალგაზრდას უწოდეს „ეროვნული პოეტი“; და შმუელ იოსეფ აგნონი – დიდი ებრაელი პროზაიკოსი, რომელსაც უფრო მოგვიანებით – 1966 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. ეს ემიგრანტი მწერლები ერეც–ისრაელში მოდიან დიასპორაში შემოქმედებითი წლების შემდეგ, მაგრამ 20–იანი წლებიდან მოდიან თაობები მწერლებისა და პოეტებისა, რომელთა მთელი შემოქმედება, ან თითქმის მთელი, ერეც–ისრაელში

შეიქმნა. ებრაული შემოქმედებითი ცენტრი მართლაც დიასპორიდან ერეც–ისრაელში გადაინაცვლებს, თუმცა ებრაული ლიტერატურის ცენტრები აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ ევროპასა და ა.შ.შ.–ში განაგრძობენ არსებობას ორ მსოფლიო ომს შორის და გამორჩეულ ტალანტებსაც ზრდიან, როგორიცაა, ეთქვათ, პოეტი და მწერალი დავიდ ფოგელი, ავტორი რომანისა „ცოლქმრული ცხოვრება“ (1929) და უამრავი ლირიკული ლექსისა.

20–30–იანი წლები არის დიდი ალიიისა[3] და ერეცის–რაელური პოეზიის განახლების წლები. პირველი მსოფლიო ომის, რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და ბღმოსავლეთ ევროპაში ებრაელთა პოგრომების შემდეგ ისრაელში ჩამოდიან ახალგაზრდა ებრაელები, რომლებიც აქ ახალი პოეზიის შექმნას იწყებენ. ეს პოეზია ევროპული პოეზიის მოდერნისტული მიმდინარეობების – გერმანული ექსპრესიონიზმის, რუსული სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ზეგავლენას განიცდის. ამ თაობის პოეტებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ აბრაამ შლიონსკის, ური ცვი გრინბერგს, ნათან ალტერმანს, იონათან რატოშს და ავოთ იეშურუნს.

ეს პოეტები გავლენას ახდენდნენ არა მხოლოდ ისრაელური პოეზიის განვითარებაზე (ძირითადად პოეტებზე: ხაიმ გური, აბა ჰილელი, ნათან იონათანი და უფრო ნაკლებად, ან თითქმის არც კი – ამირ გილბოასა და ტედი კარმიზე), არამედ ისრაელში შობილთა პროზაზეც. *ცაბრ* მწერალთა პირველი თაობა ებრაულ ლიტერატურაში 40–იან წლებში შემოდის. ახალი თაობის პირველ წარმომადგენლად მიჩნეულია ს. იზჰარი – შვილი ხალუცი[4] გლეხებისა, რომლებიც ერეც–ისრაელში რუსეთიდან მე–19 საუკუნის დამლევს ამოვიდნენ. შემდგომ ეს თაობა იწოდა „განმათავისუფლებელი ომის თაობად“ ამ თაობის მთავარი ისტორიული განსაცდელის გამო. იზჰარი,

რომელმაც თავისი პირველი მოთხრობა 1933 წელს გამოაქვეყნა, დღეს მიჩნეულია უხუცეს ისრაელელ მწერლად. იგი რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ დაუბრუნდა ლიტერატურულ მოღვაწეობას თავისი ორი რომანით: „ავანსები“ (1992) და „ბზინები“ (1993), რომლებიც ალწერენ ერეც–ისრაელის შვილის პორტრეტს იმ გარემოს ფონზე, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. იზჰარი თავისი თაობის მწერლებისაგან გამოირჩევა ლირიკული პროზით, რომელიც „ცნობიერების ნაკადით“ საზრდოობს. ამ თაობის მწერალთა უმრავლესობა წერდა რეალისტური სტილით, ისინი მოითხოვდნენ ერწმუნათ კოლექტიურ განცდათა სასწაული, ვთქვათ, დამკვიდრება და ბრძოლა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. წინა თაობის ამ ლიტერატურული კასტის სულიერი მამები – პოეტები: შლიონსკი და ალტერმანი, როგორც ითქვა, ზეგავლენას ახდენდნენ ახალგაზრდა კალმოსნებზე. შლიონსკი სტიმულს აძლევდა მათ, აქვეყნებდა და რედაქტორობდა მათ ნაწერებს ლიტერატურულ სცენებსა და იმ გამომცემ–ლობებში, რომელსაც ის თავკაცობდა, ხოლო ალტერმანის პოეზია თავისი რიტმიკით და აგრეთვე მიწიერი ეთოსით, რომელიც ხაზს უსვამდა ლოიალობასა და სიახლოვეს ტრადიციასა და სამშობლოსთან, მაგალითს იძლეოდა მის მიერ შექმნილ სიმბოლოთა სამყაროთი. ალტერმანის ცნობილ ლექსში „ვერცხლის სინი“ (1947) გაცოცხლებული სურათი ჭაბუკისა და ქალიშვილისა, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მოიტანეს, თაობის შთაგონების წყაროდ, თითქმის ეროვნულ მითოსად იქცა.

40–იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა მწერლებმა, მოშე შამირმა, იგალ მოსინზონმა, აჰარონ მეგედმა, ნათან შახამმა, ხანოხ ბარტოვმა და იზჰარმა – უხუცესმა მათ შორის – მოინდომეს შეექმნათ თავიანთ პროზაში პორტრეტი „ახალი ებრაელისა“ – *ცაბარისა*,

მტკიცე და მოუდრეკელისა, ახლო აღმოსავლეთის ლანდშაფტის შვილისა, რომელიც მოწყვეტილია დიასპორის მემკვიდრეობას და მშობელთა თაობის სამყაროს. ეს გმირი მოწოდებული იყო წარმოედგინა თავისუფალი ხალხის ნორმალური ცხოვრება თავის მიწაზე, სიყვარული ისრაელის ხედებისა, შეზრდა მასთან და მზადყოფნა მისთვის თავის განწირვისა.

თავისი ძალმოსილებით, წარმოსადეგობითა და პრაქტიკულობით ახალი გმირი უპირისპირდება დიასპორის ებრაელს და მის ლიტერატურულ გამოხატულებას – „მოწყვეტილ“ სახეს, როგორც ჩამოყალიბდა იგი მე–20 საუკუნის დასაწყისის ებრაელი მწერლების: ბრენერის, გნესინის, ბერკოვიჩის, შუფმანის და სხვათა მიერ. „ალიკი ზღვიდან იშვა“ – ასე იწყებს მოშე შამირი თავის რომანს „საკუთარი ხელებით“ (1951 წ.), სადაც იგი შეეცადა განესახიერებინა ეს ახალი ებრაელი როგორც სახე მითოლოგიური *ცაბარისა*, რომელიც ერეც–ისრაელის გარემოში თითქოსდა ზღვის ტალღებიდან იშვა.

„დამოუკიდებლობის ომის თაობის“ წიგნები აღფრ–თოვანებით მიიღეს. შამირის რომანი „ის ბაღებში დადიოდა“, რომელიც 1947 წელს გამოქვეყნდა, თავის დროს ბეს–ტსელერად იქცა. მის მიხედვით დაიდგა სპექტაკლი და გადაღებულ იქნა ფილმი, ხოლო იზჰარის ვრცელი რომანი–ეპოპეა „ციკლაგის დღეები“, რომელიც 1958 წელს გა–მოქვეყნდა და უკვე აღნიშნავდა შემობრუნებას ამ თაობის მწერლობაში, მრავალთა მიერ ყველაზე მნიშვ–ნელოვან ისრაელურ რომანად მიიჩნევა.

მხატვრულ ნაწარმოებთან დამოკიდებულებას მნიშვ–ნელოვანწილად განსაზღვრავს მკითხველთა მოლოდინი. კრიტიკოსი გერშონ შაკედი მიიჩნევს, რომ ისრაელის მკითხველი საზოგადოება მოელოდა ახალი გმირის სახეს, რომელიც სრულებით განსხვავებული იქნებოდა დიასპორის

ებრაელისაგან, და ამრიგად, თითქოსდა დაეხმარა *ცაბარი*–გმირის დაბადებას ლიტერატურაში, თუმცა, მიუხედავად ამ ახალი გმირის პოპულარობისა, აღმოჩნდნენ როგორც მისი, ისე მთელი თაობის გამკრიტიკებელნი. კრიტიკოსი ბარუხ კუცვაილი, რომელიც რელიგიური ადამიანი იყო, მიიჩნევდა, რომ ახალი ებრაული ლიტერატურა, ანუ ის, რაც შეიქმნა 40–50–იან წლებში, აღინიშნებოდა სიცარიელით, დეგენერაციითა და ლევანტიზმით. კულტურული თვალსაწიერის დავიწროვება, გაუთვითცნობიერებლობა ევროპულ მემკვიდრეობაში, და განსაკუთრებით გაუცხოება იუდაიზმის ფასეულობათაგან, მისი შეფასებით, ახალ ლიტერატურას დაცემასა და დაღუპვას უქადდა.

მაგრამ კურცვაილის პირქუში წინასწარმეტყველება არ ახდა. 50–იანი წლების შუახანებიდან ისრაელური ლიტერატურა სახეს იცვლის. ეს მოვლენა თავს იჩენს განახლებულ ენასა და სტილში, და აგრეთვე თემატიკასა და ახალ იდეებში, რომელიც ლიტერატურაში იჭრებოდა და ახალ სინამდვილეს ასახავდა.

ლიტერატურული რევოლუცია პოეზიაში დაიწყო და ჟურნალ „ლიკრათ"–ის ირგვლივ დაჯგუფდა, რომელიც 1952 წელს დაარსდა. ნოვატორთა ამ ჯგუფში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს პოეტებმა: ნათან ზახმა, იეჰუდა ამიხაიმ, მოშე დორმა და არიე სივანმა. „ლიკრათის" წევრები და სხვა ახალგაზრდა პოეტები რომლებიც 50–იან წლებში გამოჩნდნენ, – დავიდ ავიდანი, დალია რავიკოვიჩი და დან ფაგისი, – დაუპირისპირდნენ შლონსკი–ალტერმანის ტრადიციას და მოითხოვეს ლიტარეტურის გათავისუფლება იდეოლოგიური ბორკილებისა და კოლექტიური „ჩვენისაგან". ეროვნულ ფასეულობათა გამომხატველი პოეზიის ნაცვლად ეს პოეტები ანგლოსაქსური პოეზიისა და საფრანგეთში 'შექმნილი ეგზისტენციალისტური ფილოსოფიისა და ლიტერატურის ზეგავ–

ლენით ქმნიან პოეზიას, რომელიც ცენტრში აყენებს ინდივიდუალურ „მე“-ს, პირად განცდებს, ადამიანის არსებობის პრობლემებს. მათ აგრეთვე სურთ შეცვალონ ისრაელის პოეზია ფორმისა და სტილის ასპექტით. ნათან ზახი, ახალი პოეტური მიმართულების დიდი თეო-რეტიკოსი, რომლის გაელენა ისრაელის ლიტერატურაზე დღესაც იგრძნობა, წერს მაღალფარდოვნებასა და ქარაგმულობას მოკლებულ ანტიპათეტიკურ ლექსებს. ამ შემოქმედს მტკიცედ გადაუწყვეტია, რომ მისმა პოეზიამ მე-20 საუკუნის ადამიანის „პროზაული“ სინამდვილე ასახოს; იეჰუდა ამიხაი, დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ისრაელელი პოეტი, თავის მკითხველს სთავაზობს ანტიმილიტარისტულ და ანტინომენკლატურულ პოეზიას, რომლის სამყაროშიც ერთმანეთს ერწყმის ინდივიდის ხმა და ებრაული მემკვიდრეობა, ხოლო დავიდ ავიდანი, ისრაელური პოეზიის „ცუდი ბავშვი“ აქვეყნებს ლექსებს, რომლებიც ენობრივი და თემატური პროვოკაციითაა აღბეჭდილი.

გადატრიალება პროზაში უფრო ნელი იყო და სრულად 60-იან წლებში გამოვლინდა. მართლაც, ამ ათწლეულში, როცა გამოქვეყნდა პირველი წიგნები ახალი პროზაი-კოსებისა, უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ მწერალთა ახალი თაობა იკავებდა ლიტერატურული ავანსცენის ცენტრს, თაობა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ „სახელმწიფოს თაობად“ ან „ახალ ტალღად“ იწოდა. „სახელმწიფოს თაობის“ ებრაული ლიტერატურა მდიდარი და რთულია, და თავისი შედეგებით ტოლს არ უდებს მე-20 საუკუნის დასაწყისის ებრაული ლიტერატურის მამების, ან დასავლეთის სამყაროს სხვა ფუნდამენტურ ლიტერატურულ მიღწევებს. ახალი პროზა, ისე როგორც პოეზია, ყურადღების ცენტრში აყენებს ინდივიდუალურ ადამიანს, თუმცა არც საზოგადოების მიმართაა გულგრილი,

იგი კრიტიკულად – ზოგჯერ სატირის გზით – ასახავს ისრაელში პოლიტიკური საზოგადოების სინამდვილესა და იშუვის პერიოდის სიონისტურ–სოციალისტური იდეალების მსხვრევას. კოლექტიური ეთოსიდან ინდივიდუუმის სახეზე გადასვლა აღინიშნება შედარებით უფროსი თაობის მწერლებთანაც, როგორიცაა ბინიამინ თამუზი, დავიდ შახარი და ფინხაზ სადე, რომლებიც ასაკით არ ეკუთვნიან „სახელმწიფოს თაობას“ და თავიანთ უმცროს ძმებს პირველი წიგნების პუბლიკაციაც დაასწრეს. თამუზმა, მაგალითად, 1950 წელს გამოაქვეყნა ლირიკული მოთხრობების კრებული „ოქროს ქვიშები“, რომელიც ძალზე თავისებური იყო თავისი დროისათვის უკიდურესი ინდივიდუალიზმით. შახარი გროტესკულ რომანში „თაფლისა და ოქროს მთვარე“ (1959 წ.) თავისი გმირის დახმარებით აშიშვლებს ისრაელის საზოგადოების მახინჯ სახეს; ხოლო ფინხაზ სადემ 1958 წელს გამოაქვეყნა თავისი სულიერი ავტობიოგრაფია – „ცხოვრება როგორც იგავი“, სადაც წარმოდგენილია გაუცხოებული ინდივიდის ბედი კოლექტიურ საზოგადოებაში. რომანი გამსჭვალულია ახალი აღთქმიდან, ნიცშესა და კირგეგორის შეხედულებებიდან თუ ებრაული მისტიკიდან ამოკრებილი მოტივებითა და იდეებით.

60–იან წლებში ჩნდება პირველი საყურადღებო წიგნები ახალი პროზაიკოსებისა: ავრაჰამ ბენ იეჰოშუას, ამოს ოზის, აჰარონ აპელფელდის, ამალია კაჰანა–კარმონის, იორამ კანიუკის, იეჰოშუა კენაზის და იცხაკ ორფაზის, და ასევე პირველი წიგნები პროზაიკოსებისა, რომელთა ძალები სრულად უფრო მოგვიანებით წარმოჩნდა, როგორიცაა შულამით ჰარევენი, რუთი ალმოგი, იცხაკ ბენ ნერი, იეშაიაჰუ კორენი, შულამით ლაპიდი და დან ცალკა. ამ პერიოდში იწყება ფორმალური და სტილისტური ექსპერიმენტები და მრავალმხრივი ზეგავლენა ევროპული

ლიტერატურისა, როგორიცაა კაფკას შემოქმედება, ეგზისტენციალისტური პროზა, განსაკუთრებით კამიუსი, ფრანგული „ახალი რომანი“, ასევე პრუსტისა და ფოლკნერის შემოქმედება. ამასთან ერთად ძალზე საგრძნობია აგნონის ზეგავლენა, ძირითადად მისი სიურრეალისტური შემოქმედებისა, და ამას ერთვის ასევე ბერდიჩევსკის გავლენა თავისი მითიური მოთხრობებით და აგრეთვე ბრენერის გავლენა თავისი ფსიქოლოგიურ-კრიტიკული ქმნილებებით.

60-იანი წლებიდან რეალისტური მანერა პროზასა და დრამაში უკანა რიგში გადაინაცვლებს, თუმცა მას კიდევ ჰქონდა ხელახალი აყვავების ხანა 70-იან წლებში იცხაკ ბენ-ნერის და იეშაიაჰუ კორენის მოთხრობებსა და ნოველებში. დღეს კი ის თვალსაჩინოდ ვლინდება ძირითადად იეჰოშუა კენაზის რომანებში, როგორიცაა „ერთეულთა შემოპარვა“ (1986 წ.) და „გზად კატებისაკენ“ (1991 წ.), რომლებიც რაფინირებულსა და მდიდარ რეალისტურ-სიმბოლისტურ პროზას წარმოადგენენ, და სამი მიხაელის თხზულებებში, რომელიც თავის რომანებში აღმოსავლელ ებრაელს ასახავს ისრაელის სახელმწიფოსა და მისი გამოსვლის ქვეყანაში („ვიქტორია“, 1993 წ.). მწერლები, რომლებიც გაურბოდნენ ფართო საზოგადოებრივი პანორამების შექმნას, რომელიც უზუსტეს რეალისტურ გაფორმებას ითხოვდა, თავიანთ კრიტიკას და ირონიულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის მიმართ გამოხატავდნენ ალეგორიული და სიმბოლური წერის ტექნიკისა და სიურრეულისტური და ფანტასტიკური გაფორმების საშუალებით. იეჰოშუას პირველი მოთხრობები („მოხუცის სიკვდილი“, 1962 წ.) და ნოველები („ტყეების განაპირას“, 1968 წ.), როგორც აგრეთვე ორფაზისა (მაგ., „ნავსადგურები“, 1968 წ.), გაჯერებულია სიმბოლოებით, რომლებიც

ფსიქოლოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დატვირთვას ატარებენ. ამოს ოზის პირველი მოთხრობები შეიძლება იწოდონ როგორც საზოგადოებრივი მოთხრობები, და მისი პირველი რომანებიც: „სხვა ადგილი“ (1966 წ.) და „ჩემი მიხაელი“ (1968 წ.) აქტუალურ საზოგადოებრივ სინამდვილეს და კონკრეტულ ადგილს (კიბუცს, იერუსალიმს) ასახავენ, მაგრამ ამის მიღმა იმალება მითიური კანონები და იქ არსებული ინდივიდის სულიერი მდგომარეობის საერთო გამოხატულება. ამალია ქაჰანა-ქარმონი, რომელიც ლირიკულ-იმპრესიონისტული მანერით მოგვითხრობს და „ცნობიერების ნაკადით“ საზრდოობს, თავის პირველივე მოთხრობაში „ერთობლივად“ (1966 წ.) ყურადღებას ამახვილებს გმირების შინაგან სამყაროზე, რომლებიც სხვა ადამიანთან და გარე სამყაროსთან კონტაქტს ესწრაფვიან, მაგრამ საბოლოოდ ეს უკანასკნელნი ამ ფაქიზი და მგრძნობიარე გმირების თავისთავადობისა და ორიგინალობის გამჟღავნების მიზეზად იქცევიან. აპელფელდმა თავის 60-იანი წლების მოთხრობებში და აგრეთვე ნოველებსა და რომანებში (როგორიცაა „ბადენ ჰაიმი“, 1975 წ. და „სასწაულთა ჟამი“, 1978 წ.) და კანიუკმა (ზოგიერთ თავის წიგნში, ვთქვათ, „ადამი ძაღლის შვილი“, 1968 წ. და უფრო მოგვიანებით „უკანასკნელი ებრაელი“, 1982 წ.) ასევე ზურგი აქციეს ისრაელის სინამდვილეს და ებრაულ სამყაროსა და ჰოლოკოსტგამოვლილ გმირს მიაშურეს. ისინი ლირიკულ-იმპრესიონისტულ (აპელფელდი) თუ ფანტასტიკურ-ექსპრესიონისტულ (კანიუკი) ტექნიკას იყენებდნენ, ერთი მხრივ მძაფრ კრიტიკას სოციალური სინამდვილის მიმართ მის გამრუდებულ და გროტესკულ გამოხატულებაში, და მეორე მხრივ სიგიჟის მთვარეულთა სივრცეში შეცურებას. სიურრეალისტურ წარმოსახვას და ფანტაზიას ვაწყდებით აგრეთვე დრამატურგებთან, რომლებიც 60-

70–იან წლებში გამოჩნდნენ, როგორიცაა ნისიმ ალონი, ჰანოხ ლევინი და იოსეფ ბარ–იოსეფი.

ძნელია მოკლე სტატიის ჩარჩოში მოათავსო უკანასკნელი 30 წლის ისრაელის პროზის თემათა მრავალფეროვნება და სხვადასხვა ასპექტები, რაც მას წინა თაობასთან შედარებით გამოარჩევს, ამიტომ შევეცდებით მხოლოდ ცალკეულ, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვან საკითხებზე შეეჩერდეთ. მაგალითად, შეიცვალა გმირის სახე „განმა–თავისუფლებელი ომის თაობის“ პროზასთან შედარებით, და იგი უფრო დაემსგავსა „მოწყვეტილ“ გმირს, რომელიც მე–20 საუკუნის დასაწყისის ებრაულ ლიტერატურაში აღმოცენდა. „სახელმწიფოს თაობის“ პროზა დაუპირისპირდა ჰეროიკული და თავდაჯერებული *ცაბარის* სახეს და მის ნაცვლად წარმოადგინა სკეპტიკოსი ანტიგმირი, თავისი ნამდვილი „მე“–ს მაძიებელი. ამ ძიებას იგი მიჰყავს თავისი მოჭრილი ძირების ხელახალი აღმოჩენისაკენ და მცდელობისაკენ დაუკავშირდეს ებრაულ წარსულს, რომლისაგანაც *ცაბარი* თავის დაღწევას ცდილობდა. როგორც ჩანს, „ახალი ებრაელის“ ხელოვნური მოდელის შემოტანის მცდელობამ მარცხი განიცადა, – სხვათა შორის, როგორც შედეგმა საზოგადოებრივ–დემოგრაფიული პროცესებისა. 50–იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის მასობრივი ალიის ტალღებმა ებრაელობის და ისრაელიანობის უამრავი სახე წარმოუდგინეს *ცაბარს*, რომლისთვისაც ჰოლოკოსტი სულიერი ტვირთი იყო, რომელიც თრგუნავდა მის სინდისს, და იგი დადგა საჭიროების წინაშე, ხელახლა გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ, რომლებიც „ცხვრის ფარასავით მიედინებოდნენ სასაკლაოზე.“

ჭიდილი ებრაულ წარსულსა და ჰოლოკოსტის თემასთან ლიტერატურაში არ არის მხოლოდ იმ მწერლების ხვედრი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის კატასტროფას გა–

დაურჩნენ, როგორიცაა აპელფელდი, კ. ცეტნიკი, შამაი გოლანი და ური ორლევი („ტყვიის ჯარისკაცები“, 1956 წ.), არამედ მათიც, რომელნიც ისრაელში დაიბადნენ. 60–იან წლებში, სხვათა შორის, ამ თემას შეეჭიდნენ იეჰუდა ამიხაი, ხანოხ ბარტოვი, იონათ და ალექსანდრე სენედები და იორამ კანიუკი; 70–იან წლებში მცირდება იმ მწერალთა რიცხვი, რომელნიც მიმართავენ ჰოლოკოსტის თემასა და გერმანიასთან დამოკიდებულებას (გარდა მათი, ვისი შემოქმედებისთვისაც ეს თემა მთავარია, ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან რომანები რუთი ალმოგისა „უსამართლო ქვეყანაში“, 1971 წ.; ამოს ოზის „შეეხე წყალს, შეეხე ქარს“, 1973 წ. და დავიდ შიცის „ბალახი და ქვიშა“, 1978 წ.), მაგრამ 80–იან და 90–იან წლებში ათობით ნაწარმოებისა და შემოქმედის ჩამოთვლა შეიძლება, მათ შორის ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც ამ თემას სხვადასხვა, უცხო, უცნობი კუთხეებით წარ–მოაჩენდნენ, სახელდობრ: დავიდ გროსმანი, „შეიცან სიყვარული“ (1986 წ.); ითამარ ლევი, „ნაღვლიან ტბათა ლეგენდა“ (1989 წ.); ნავა სემელი, „შუშის ქუდი“ (1985 წ.); ლილი ფერი, „წრეში მანეკენია“ (1987 წ.); იაკოვ ბუჩინი, „დალტონიკი“ (1990 წ.); იეჰოშუა სობოლი თაეის პიესაში „გეტო“ (1984 წ.); მოტი ლერნერი პიესაში „კასტნერი“ (1988 წ.) და საგიონ ლიბრეხტი, ლეა აინი და ეთგარ კერეთი რამდენიმე მოთხრობაში.

ისრაელში შობილ *ცაბარად* გვევლინება არა მხოლოდ სახე ებრაელისა, რომელიც ისრაელში ევროპიდან მოვიდა, რათა იქ დაფუძნებულიყო, ან მისი, ვინც იქ მაინცდამაინც დასამკვიდრებლად არ ჩასულა (მაგ., იოსელ ბირშტეინის რომანში „სახე ღრუბლებში“, 1991 წ.), არამედ აგრეთვე სახე აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოსული ებრაელისა. ეს სახე სახელმწიფოს შექმნამდე ლიტერატურაში არსებობდა მხოლოდ როგორც ემპირიული სახე.

გამონაკლისია აგნონის თანამედროვე აშკენაზი მწერლის ხაიმ ჰაზაზის შემოქმედება, რომელმაც თავის რამდენიმე მთავარ ნაწარმოებში ასახა აღმოსავლეთის ებრაელობა, და აგრეთვე შემოქმედება რამდენიმე აღმოსავლელი მწერლისა, როგორიცაა იცხაკ შამაი, იეჰუდა ბურლა და მორდეხაი ტაბიბი. 60–იანი და ძირითადად 70–იანი წლებიდან ისრაელელი მკითხველის წინაშე იხსნება ფართო სარკმელი აღმოსავლეთის ებრაელობის სამყაროსაკენ და ოგი ლიტერატურის საშუალებით არაბული ქვეყნებიდან გამოსულთა შეჭირვეებებისა და შინაგანი სამყაროს მოზიარე ხდება. ეს ხორციელდება ჩინებული აღმოსავლელი მწერლებისა და პოეტების წყალობით, როგორიცაა შიმონ ბალასი, სამი მიხაელი, ამნონ შამოში, ელი ამირი, აჰა–რონ ალმოგი, ერეზ ბიტონი და დან ბენაია–სარი.

არაბი მტრის სახე ერეც–ისრაელის ლიტერატურაში მის სათავეშივე ჩნდება. უკანასკნელი საუკუნის განმავ–ლობაში ის ცვალებადი ფორმით გვევლინებოდა. გან–მათავისუფლებელმა ომმა ერთმანეთს დააშორა ებრაელები და არაბები და მათ შორის ზღუდე აღმართა. „განმა–თავისუფლებელი ომის თაობის“ და „სახელმწიფოს თაობის“ ზოგიერთ ავტორთან, როგორიცაა იზჰარი, თამუზი, იეჰოშუა და ოზი იგრძნობა იმედგაცრუება იმ ფაქტის გამო, რომ სიონიზმმა და ისრაელის სახელმწიფომ ვერ მოუძებნეს სხვა პასუხი არაბულ–ებრაულ თანაარსებობას, გარდა შეიარაღებული დაპირისპირებისა, და არაბის სახე მათთან წარმოდგა როგორც უმწეო მსხვერპლი, საკუთარი მიწიდან დევნილი, მაგრამ აგრეთვე როგორც საშიშროებით დამუხტული სახე. არაბის ტიპის ამგვარი წარმოდგენა გარკეეულწილად არის მცდელობა რამდენიმე მწერლისა, რომ ლიტერატურის საშუალებით პასუხი გასცენ ქვეყნისთვის არსებით კითხვებს, რაც ეხება ებრაელი ხალხის საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას,

სიონიზმის გზის სამართლიანობას და ებრაელთა ურთიერთობას პალესტინელ ხალხთან.

ისრაელის ლიტერატურაში არაბულ–ისრაელურ კონფ–ლიქტს მრავალი გამოვლინება აქვს და მრავალრიცხოვანი ომები და მათი შედეგები, რასაკვირველია, ღიად თუ ფარულად ზეგავლენას ახდენენ ლიტერატურაში ახალ მოვლენათა წარმოჩენაზე. 70–იან წლებში, იომ ქიფურის ომის პერიოდში (1973 წ.), პროზა ასახავს ომებისაგან დაღლილ ისრაელელს, დაისსა და რღვევას ხალუცურ–სოციალისტური საზოგადოებისა და ხალუცური ელიტის წარმომადგენელთა შორის გავრცელებულ დეკადენსსა და ჰედონიზმს. ამ სინამდვილის სურათი ჩნდება მეტ–ნაკლებად გამოცდილ ავტორებთან, როგორიცაა თამუზი, მეგედი, იეჰოშუა და ოზი, და აგრეთვე უფრო ახალ მწერლებთან, როგორიცაა იცხაკ ბენ–ნერი მოთხრობათა კრებულით „სოფლის დაისი“ (1976 წ.) და იაკოვ შაბთაი თავისი დიდი რომანით „წარსულის ხსოვნა“ (1977 წ.). ეს რომანი, უდავოდ, ყველაზე თვალსაჩინო პროზაული ნამუშევარია 70–იან წლებში, და მისი გავლენა 80–იანი და 90–იანი წლების მრავალი მწერლის ნაწერებზე ძალზე საგრძნობია, როგორც თემატურად, ისე გმირთა დასურათებითა და განსაკუთრებული სტილით.

80–იანი წლების შუახანებიდან ისრაელის ლიტერა–ტურაში კვლავ გადატრიალება იწყება. უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები და ძვრები ძირითადად პროზაში იგრძნობა, ხოლო პოეზიის მდგომარეობა ამ პერიოდში უფრო რთულია – მის მკითხველთა წრე შეეიწროვდა და იგი ვერარ ახერხებდა წამყვან პოეტთა ჩამოყალიბებას. ფაქტიურად, მეირ ვიზელტირის, იონა ვოლახის და იაირ ჰურვიცის შემდეგ, რომელთა ჯგუფი 60–იანი წლების შუახანებიდან მოღვაწეობდა, პოეზიამ შეწყვიტა ავანგა–რდული როლის შესრულება, რომელიც მას ტრადიციულად

ჰქონდა ებრაულ კულტურაში, თუმცა შესანიშნავი პოეტები, როგორიცაა მორდეხაი გელდმანი, მაია ბეუერანო, რონი სომეკი, იცხაკ ლაორი, ლეა აიალონი და ხეზი ლესკლი აგრძელებენ მოღვაწეობას 70–80–იან წლებში.

80–იანი წლების პროზა პლურალიზმით ხასიათდება. მასში მონაწილეობს მინიმუმ სამი ლიტერატურული თაობა: „განმათავისუფლებელი ომის თაობა," მაგ., იზჰარი, შამირი, შახამი, მეგედი, ბარტოვი და იეჰუდით ჰენდელი განაგრძობენ მასშტაბური რომანებისა და მოთხრობათა კრებულების გამოცემას, ამუშავებენ ახალსა და სრულყოფილ სამწერლო ტექნიკას; „სახელმწიფოს თაობის" მწერლები, როგორიცაა იეჰოშუა, ოზი, ქაჰანა–ქარმონი, აპელფელდი, კანიუკი, ორფაზი, ჰარევენი, შახარი და სხვ. ჯერ კიდევ იკავებენ ავანსცენის ცენტრს და ზოგი მათგანი ამ პერიოდში თავის შემოქმედებით სიმწიფეს აღწევს. მათ გვერდით იზრდება ახალი პროზა, რომელიც შემობრუნებისა და გადატრიალების ნიშანსაც კი იძლევა ისრაელის პროზაში. იგი იხრება ფანტასტიკისა და პოსტმოდერნიზმისაკენ. ეს პროზა იქმნება ძალზე ახალგაზრდა ავტორებისა და აგრეთვე ასაკოვანი მწერლების მიერ, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის ასპარეზზე საკმაოდ სოლიდურ ასაკში გამოვიდნენ. საგულისხმოა, რომ მათ შორის მწერალ ქალთა რაოდენობა თითქმის იმდენივეა, რამდენიც მამაკაცებისა (სხვათა შორის, მე–20 საუკუნის დასაწყისში ებრაულ ლიტერატურაში მხოლოდ ერთი თვალსაჩინო მწერალი ქალი – დებორა ბარონი მოღვაწეობდა).

ეს ახალი სახელებია: დავიდ გროსმანი, ითამარ ლევი, იოელ ჰოფმანი, მეირ შალევი, ორლი კასტელ–ბლუმი, ხანა ბათ–შახარი, ლეა აიალონი, დან ბენაია–სარი, იეჰუდით კაცირი, გადი ტაუბი, გაბრიელა ავიგურ როტემი, ლეა აინი, იოველ შიმონი, ნურით ზარხი, იცხაკ ლაორი, ეთგარ კერეთი, ლილი ფერი და მრავალი სხვ. ამ

მწერალთა უმრავლესობა თავს არიდებს „დიდ“ საბჭო-გადოებრივ და ეროვნულ თემებს, ან ცდილობს ებრაული ისტორიასა და აქტუალურ მოვლენებს ალტერნატიული, ფანტასტიკური ასახვა მიანიჭოს, როგორც მაგ., გროსმანმა „შეიცან სიყვარულში“ (1985 წ.), ითამარ ლევინ რომანში „ხელიგ მაინცი და მისი ლტოლვა სიკვდილისაკენ“ (1985 წ.), მეირ შალევმა „რუსულ რომანში“ (1988 წ.) და თავის სხვა რომანებში, გაბრიელა ავიგურ-რიტენბერგმა თხზულებაში „მოცარტი არ იყო ებრაელი“ (1992 წ.) და იცხაკ ლაორმა რომანში „ხალხი – მეფეთა კერძი“ (1994 წ.). ისინი დგანან ქაოტური, უაზრო სინამდვილის საპირისპიროდ და არ ცდილობენ მის ახსნას და მასში ლოგიკის ძიებას. ალბათ ეს პოზიცია ხსნის არამოტივი-რებული ძალადობის სიურრეალისტურ გაფორმებას, ეიქეთ ორლი კასტელ-ბლუმის ნაწარმოებებში, კერძოდ რომანში „დიდი სიტი“ (1992 წ.) და ეიგარ კერეთის მოთხრობებში, და ფრაგმენტულობასა და უწესრიგობას, რაც დამახა-სიათებელია იოელ ჰოფმანის მწერლობისათვის. ამ მწერლებთან პოსტმოდერნიზმი ვლინდება აგრეთვე ტექსტის ფორმალურ და ტიპოგრაფიულ ინოვაციებში, მასკულ-ტურასთან კავშირში, როგორიცაა პოპი, კინო და ვიდეოკლიპი, არატრადიციულ მიმართებაში სექსის თემას-თან, პერსონაჟია დეტალური ფსიქოლოგიური დასურათების უარყოფასა და მშრალსა და ფუნქციონალურ ენაში.

გადატრიალებანი და ცვლილებები ებრაულ ლიტერა-ტურაში, უეჭველია, არის ისრაელის სახელმწიფოში კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექ-ტიკის გამოხატულება. ანალიზი სხვადასხვა ტენდენციებისა, თაობებად გადანაწილების მიხედვით, ნათელს ჰფენს მოვლენებს და აიოლებს ორიენტაციას, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ყველა დიაქრონული მიმოხილვა, ამუხრუჭებს და ხელს უშლის ლიტერატურული ცხოვრების

დინამიზმის შეთვისებას. ახალი ებრაული ლიტერატურა მრავალფეროვანი და მრავალსახეობრივია და ასევეა მისი მკითხველი საზოგადოებაც. კარგი თხზულებები ბესტ-სელერად იქცევა და ერთ-ორ წელიწადში 50 000-დან 80 000-მდე ტირაჟით იყიდება. მათ გვერდით უკანასკნელ წლებში ისრაელში ჩნდება მშვენიერი მსუბუქი ლიტერატურა, ვთქვათ, დეტექტიური რომანები, რომლებიც ასევე იპყრობენ მკითხველთა ფართო საზოგადოებას, და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. ეს გახლავთ ნიშანი ნორმალური ლიტერატურული პროცესისა, რომელიც მრავალფეროვანი უანრებითაა წარმოდგენილი. მართლაც, ახალი ებრაული ლიტერატურა ერთ ადგილს არ ტკეპნის. პოსტმოდერნისტული გამოცდილება, ექსპერიმენტები, ადექვატური გამოხატვის საშუალებათა ძიება მე-20 საუკუნის დამლევს ისრაელური და ადამიანური ყოფის სირთულეთა წარმოჩენის კვალად მას თავიანთ დაღს ასვამენ. ებრაული ლიტერატურა არის კულტურული საგიზიტო ბარათი ფეხზე დამდგარი ერისა, რომელიც კვეთს და აყალიბებს თავის კულტურულ-საზოგადოებრივ „მე"-ს, და ამასთან ერთად ეს არის ლიტერატურა, რომლის ყურადღება კონცენტრირებულია ზოგადად ადამიანის ფენომენის ირგვლივ.

# გზად იერიქონისაკენ

ისრაელ'ში არ ვიყავი, როცა ექვსდღიანმა ომმა იფეთქა. ფრენა თითქმის არ იყო და დიდი ძალისხმევით მხოლოდ ორიოდ დღის დაგვიანებით ჩამოვაღწიე. მაშინვე ჩემი მობილიზებული ვაჟისა და სიძის ძებნას შევუდექი. ჩემი ბიჭი, როგორც შევიტყე, აბუ აგილაში იყო, არხისაკენ მიმავალ გზაზე, ხოლო სიძე პარაშუტისტების რიგებში იყო, მათ შორის, ვინც იერუსალიმში იბრძოდა, ვიდრე არ გაისმა შეძახილი „ჰარ ჰა-ბაითი ჩვენს ხელ'შია."

მალევე მოვიდა ჩემამდე ხმები პარაშუტისტთა მძიმე ბრძოლებისა და დაჭრილთა დიდი რაოდენობის შესახებ. ჩემს ძველ პეჟო 404-ში ჩავჯექი და იერუსალიმისაკენ გავქანდი. კვლევა-ძიებისა და მთელი ნაცნობობის გამოყენების შემდეგ მითხრეს პარაშუტისტთა ქვედანაყოფი ამჟამად იერიქონ'შიაო, და იქ შევძლებდი ყველაფრის გარკვევას, რეორგანიზაციის ქაოსში, რაც ყველგან იყო გამეფებული.

გამოხდა ხანი და სურათმა გამოკვეთა იწყო. და რაც უფრო იკვეთებოდა, მით უფრო პირქუში ხდებოდა. პარა-შუტისტთა ასეული, სადაც ჩემი სიძე მსახურობდა, ერთ-ერთი ნაცადი და გამოცდილი იყო. ასეულმა ის ღამე ორმოცამდე მებრძოლით დაიწყო და დილამდე მხოლოდ ოთხნი დარჩნენ ფეხზე მდგარნი, რომლებიც დაჭრილებს მოათრევდნენ. სწრაფად დაეშვნენ ბრენერის ქედიდან, შტრაუსის სახლიდან გამოენთნენ, გაიქცნენ, გადაჭრეს მეა შეარიმი მენდელბაუმის ცნობილი გადა-სასვლელის მხარეს და საღამოს პირს მიადგნენ ქუჩას მტრის ტერიტორიაზე. ასმეთაური პირველივე ნაბიჯებზე დაიჭრა და გაყვანილ იქნა. დარჩნენ ზოგადი მითითების

ანაბარა – როკფელერის მუზეუმამდე მიელწიათ. საჭირო აღჭურვილობა აკლდათ. ყველაფერი ზევით, ავტობუსებში დარჩა, და საბრძოლო გადარბენებში ხელთ სხვა არაფერი ჰქონდათ, გარდა უზისა რამდენიმე მჭიდით. არც ტყვია-ამფრქვევი, არც ნალმსატყორცნი, არც რაცია, არც დაზუსტებული ინფორმაცია, როგორ ემოქმედათ, რა მიმართულებით, და არც მეთაური, რომელიც გეზს მისცემდა, ბრძოლაში გაუძღვებოდა. მთელი ქუჩა მომზადებული და გამაგრებული პოზიციებიდან მომართული ცეცხლის ქვეშ იყო. და ისინი მირბოდნენ, – აუცილებლობის გარეშე, როგორც შემდგომ გაირკვა, – საცეცხლე წერტილების გასანადგურებლად სახლიდან სახლში გადარბოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ. მთელი ღამე ნახევრად ბრმა ბრძოლას ეწეოდნენ. მხოლოდ განთიადზე, მას შემდეგ, რაც სისხლისმღვრელი, ხელჩართული შეტაკებებით, დახმარების გარეშე, უმეთაუროდ, დაადუმეს მძლავრი იორდანული ცეცხლის დიდი ნაწილი, განაპირა ჩიხით აღმოაჩინეს როკფელერის შენობა, და მცირე ჯგუფმა სხვა ბრიგადებიდან შემოერთებულებთან ერთად იქ თავშესაფარი ჰპოვა. არაქათგამოცლილები დაეყარნენ. მთელი ამბავი ჰარ ჰა–ბაითისა მათთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

როგორც ითქვა, ეს ყოველივე ჩემთვის მოგვიანებით გაირკვა. გენ–შტაბში, რომელიც იერუსალიმში, ეროვნულ სასახლეში იყო, ძველი მეგობრების საშუალებით ვცდილობდი გამეგო, თუ რა ხდებოდა. გამარჯვება ჯერ კიდევ ათრობდა ყველას. ჯერ კიდევ გაგანია ომი იყო, ყველანი გადაღლილები იყვნენ, უძილოები, აღელვებულები, და ვერ ერწმუნათ მომხდარი სასწაული. მათ არც მოცლა ჰქონდათ და არც ატანა რომელიმე არამებრძოლისა, რომელიც მოდიოდა და შეკითხვებით აწუხებდათ. თუმცა ბოლოს უფრო მომთმენმა ამხანაგმა ამ კაცს აუხსნა,

რომ გეზი იერიქონისაკენ ჰქონდათ აღებული და მხოლოდ იქ იქნებოდა შესაძლებელი ყველაფრის გარკვევა.

მაშინაც კი, ვიდრე ყოველივე ზემოთ ნაამბობს შეეიტყობდი, ვიდრე ვიფიქრებდი, რომ ჩემი ბრგე, მხარბეჭიანი, ჯანიანი, ფათერაკების მაძიებელი პარაშუტისტი მრავალ წელს აღარ ინებებდა იერუსალიმში დაბრუნებას იმ საშინელი ღამის შემდეგ, ჩემში იყო რაღაც მძიმე შეგრძნება, უფრო ძლიერი, ვინემ ცინცხალი გამარჯვებით თრობა. და როცა ყველანი გულმხიარულად მღეროდნენ „იერუშალაიმ შელ ზაჰავ“, მე ცრემლებს ვმალავდი, თუმცა არ ვიცოდი, რას მოასწავებდნენ ეს ცრემლები, და ლხინს თავს ვარიდებდი.

დღეს, რასაკვირველია, ათასნაირი გამართლება, ათასნაირი ახსნაა იმ ბრძოლისა. დროთა მანძილზე გამარჯვება შლიდა კიდეც მრავალ დამთრგუნველ კითხვას. მიღებულ იქნა რაღაც ოფიციალური ახსნა იმისა, თუ როგორ და რატომ მოხდა ყოველივე, რაც მოხდა. და ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ გამარჯვება იყო, ჰარ ჰა-ბაითი ჩვენს ხელში იყო.

გზა იერიქონისაკენ თეატრი იყო, სადაც წარმოდგენა ჯერ არ დამთავრებულიყო, ფარდა არ დაშვებულიყო. ტრასის ნაპირებზე, გეთსამანიის პირდაპირ ტანკების შალგებქვეშ გაურკვეველი მიზეზით ნახევრად დაჭყლეტილი კერძო მანქანების რიგი იდგა. ქალაქის გალავანსა და კლდის მოოქროვილ გუმბათს კალენდრის ფურცელი ჯერ არ გადაეშალაო. ყველანი ჯერაც შუაგულ დაუჯერებელ სიურპრიზში იყვნენ, თითქოს იცოდნენ, რომ მიწისძვრა იყო, მაგრამ ვერ გაეგოთ, ზუსტად რა მომხდარიყო. გზას აქეთ-იქიდან უკვე მწკრივ-მწკრივად მიუყვებოდნენ ლტოლვილები.

ვინ არ იცის, რა არის ლტოლვილთა ქარავანი. მსოფლიოს რომელ კუთხეში არ უნახავთ ისინი. მილასლასებენ და

მიათრევენ ნივთებს. ქალები და ბავშვები შიშში არიან, რომელსაც ჯერ ვერ შესჩვევიან. ათასნაირი დავრდომილნი, საჩქაროდ გამოყვანილნი და შესმულნი მაზიდაზე, ვირზე, ან თავად ყავარჯნებზე ჩამოგრეხილნი. თითქოს ეს აუცი-ლებელი იყო და სხვას ვერაფერს გახდებოდნენ. უკულმა დატრიალდა შენს თავზე ბედის ბორბალი და წამში ლტოლვილად იქეცი. ოჯახები მოხოხავდნენ, თითქოს ჯერ კიდევ უფრთხილდებოდნენ მთავარს, უიმედონი, შემწეობის გარეშე, შავ ჭიანჭველათა ქარავნებს ემს-გავსებოდნენ, სადაც აქა-იქ ქალების თეთრი თავშალები ამოწვერილიყო. დაიქცა ქვეყანა და გონს ჯერ ვერ მოსულიყვნენ, ვერ გაეგოთ, მათ თავს რა ხდებოდა.

გზის გაგრძელებაზე სულ უფრო მეტნი და მეტნი გროვდებოდნენ ტრასის ორივე მხარეს, უსასრულო მდუ-მარების ქვეშ, გაშტერებულნი, თითქოს მეათე სართულიდან გადმოვარდნის მომენტში იყვნენ, მიწას მიჯაჭვულნი მზერით, დაცლილნი ყველაფრისაგან. და დღეც თანდათან ხამსინის[5] დღედ თენდებოდა.

ერთ გზაჯვარედინთან ორი შეიარაღებული ჯარისკაცი იდგა და გაყოლას ითხოვდა. იერიქონისაკენ მიდიოდნენ, თავიანთ დანაყოფს ეძებდნენ, რომელიც მათთვის გაუჩი-ნარებულიყო. სამხედრო შეკრებათა გაცვეთილი ტანსაცმელი ემოსათ. მე დამვიწყებოდა, მათ კი შემახსენეს, რომ უმჯობესი იყო შეიარაღებული მგზავრობა თავის დასა-ცავად. ვისგან? დაპყრობილი იყო ყველაფერი, იყო სრული კაპიტულაცია, იყო მხოლოდ ხოხვა ადამიანთა ჩუმი ქარავნებისა ვირებით, ველოსიპედებით, მაზიდებითა და უბადრუკი ქონებით, რის გადარჩენასაც ლამობდნენ. მოლასლასებდნენ უბედურებით ელდანაცემნი, თითქოს ლოდით ქედზე, ხოლო შუადღის პაპანაქება უფრო მძიმე და დამაბრმავებელი ხდებოდა.

როდესაც იერიქონში მივედით, გაირკვა, რომ პარაშუ-

ტისტები იქ არ იყვნენ. არც იქ იყვნენ და კაცმაც არ იცოდა, თუ სად იყნენ, ან საით გაემართნენ. ხოლო იერიქონის მისადგომებთან წითლად, წარმოუდგენელი დიდებულებით ღვიოდნენ ფაონცინები. ვერც იმ ორმა, ჩემთან ერთად მოსულმა გაქუცულმა ჯარისკაცმა იპოვა თავისი დანაყოფი. კაციშვილმა არაფერი იცოდა, და ფაქტიურად, არც არავის აინტერესებდა. იერიქონი მოელენათა არენის მიღმა იმყოფებოდა, დიდი განთავი-სუფლებისა და მესიის დღეთა მიღმა. დულდა არემარე. შლანგბაუმთან ჯარისკაცების წინ ჩამწკრივებულიყო სასმელის ფერად-ფერადი ბოთლები, რომლებიც ერთ-ერთი მიტოვებული მაღაზიიდან გამოეზიდათ.

მანქანამ წყალი აადუღა და მასში წყალი ჯერიკანიდან ჩაეასხით. ერთი ჯერიკანი კიდევ გავავსეთ თან წასაღებად, თუკი კვლავ მოსწყურდებოდა ავტომობილს იერუსალი-მისაკენ მიმავალ გზაზე. ყველაფერი ცხელი, გამოქათქა-თებული და გამოფიტული იყო. ჩასხდნენ ჩემი დამგზა-ვრებული ჯარისკაცები და ავუყვეით ალმართს თეთრი მტვრის ბოლქვებში. ვიწრო და დაკლაკნილ ალმართზე უკვე დამდნარიყო ასფალტი. მაგრამ როდესაც ერთი ალმართი ავათავეთ, რაღაც დავინახეთ, რის გამოც შევჩერდით.

ტრასის პირას ლტოლვილთა ოჯახი ეყარა. თითქოს აქამდე ამოღოღებულიყვნენ და აქ მოღებოდათ ბოლო. ოჯახის მამა, როგორც ჩანს, მაშინ წამოდგა და ჩვენს წინაშე უსიტყვო ხელები გამოიშვირა, თითქოს ამბობდა, შემოგვეხედეთო. იქ ფაშფაშა ქალი იყო, როგორც ჩანს, ფეხმძიმე, ერთიანად ‘შავებში გახვეული იჯდა და ტაშს სცემდა უტყვი მომტირალის მოძრაობებით. კალთაში ჩვილი ჰყავდა. ის ხან ღნაოდა, ხან გრძნობას ჰკარგავდა. მის გვერდით იჯდა თუ იდო ერთი ღრმად მოხუცებული ქალი. საკვირველი იყო, აქამდე როგორ ამოაღწია. მო-

ტეხილს, კბილებჩაცვენილს თხელი ჭაღარა ჩაჩიდან სამარცხვინოდ მოშიშვლებოდა. კიდევ ერთი ბიჭუნა იყო ოთხი–ხუთი წლისა.

ბოლოს მოახერხა კაცმა, რომელიც მათ შორის ერთადერთი იყო ფეხზე მდგარი, რომ რაღაც ამოეხრიალა მთლად გამომშრალი ყელიდან, თუ შიშისაგან მოგუდული ხმით ეთქვა: „ხავაჯა“ და ტრასის კიდეზე დაყრილებისაკენ მიუთითა. მას მეტი არაფერი დასცდენია. მაგრამ დიდი მიხვედრა არ იყო საჭირო. ჩამოვედით ორი ჯარისკაცი და მე, ჩამოვიღეთ ჯერიკანი, თან რომ წამოვიღეთ, მოეხსენით თავსახური და იმ კაცს გადაეცით. ის მაშინვე ოთხზე დადგა და პეშვით ერთი ყლუპი თავად დალია, მერე პეშვზე გადმოაპირქვავა ჭურჭელი და ცოლს დაალევინა, კიდევ შეასვა ცოლს ერთი პეშვი. მერე ქალმა აიესო წყლით ხელისგული და ჩვილთან მიიტანა, რომელიც უგონოდ იყო. შემდეგ წყლით საესე პეშვი მოხუცებულისაკენ, ალბათ დედისაკენ, გაიწოდა და მას შეასვა. მოხუცმა ქალმა მოსვა ცოტაოდენი, პირიდან გადმოეღვარა წყალი, რაღაც ჩაილულლუღა და უგონობიდან ამოიოხრა. მაშინ დადგა ბიჭუნას რიგი. იგი ტუჩებით მოეჭიდა ბიდონის პირს და მოქაჩა, აყლუჭუნა და აყლუჭუნა, მერე ამოიხედა და მოგვაჩერდა გაკვირვებული, – რომ ასე გამოიყურებოდა სატანა, – და შემცბარი, თითქოს ახლა ჩახედა საშინელ რამეს. ისევ აიღო კაცმა ბოცა, გაივსო პეშვი და წყალი სახეზე მიისხურა, მასავით, ვისაც გამოფხიზლება სურდა. და მაშინ შემოგვხედა და რაღაც თქვა ალაჰის დაყოლებით, და კვლავ გაიმეორა ალაჰი. ერთ–ერთმა ჯარისკაცმა ჩემს მგზავრთაგან არაბული იცოდა, მაგრამ კაცს სხვა არაფერი აუხსნია, ან არ შეეძლო რამე ეთქვა, მარტოოდენ ხელით მიანიშნა მისი ოჯახის გროვაზე, ირგვლივ რომ ეყარა: ფეხმძიმე ქალი ჩვილით, მოშორებით

დაგდებული მოხუცი ქალი, უკბილო პირით მოჩიფჩიფე, და ბიჭუნა, რომელსაც თვალები დაეჭყიტა და პირი დაეფჩინა, – უკანასკნელ ვედრებასავით მიუთითა, რომლის იქით აღარც არაფერი იყო.

მერე დაიწყო კაცმა წრეზე ხელახალი დარწყულება, მაგრამ ჯერიკანი უკვე ცარიელი იყო. სასოწარკვეთილი ანჯღრევდა, მაგრამ მხოლოდ ცარიელ თუნუქს ეხებოდა. ანჯღრევდა, ანჯღრევდა გამეტებით, ბოლოს ამოიოხრა. ჯარისკაცებმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ. იწვოდა გზატკეცილი, იწვოდა ქვეყანა, იწვოდა იუდას უდაბნო და გათავებული იყო ადამიანთა ეს გროვა. „იქნებ ღირდეს უკან გაბრუნება და მათთვის კიდევ ერთი სავსე ჯერიკანის მოტანა?“ – გონება მოიკრიბა ერთმა ჯარისკაცმა. ამ უიმედო დაგვაში იყო რაღაც მის სიტყვებში. და თითქოს ეს პასუხი იყო დაუსმელ კითხვაზე, თუ რას ვუპირებდით მათ. ხოლო ისინი, როგორც ჩანს, მზად იყვნენ მიგვეტოვებინა და ჩაგვეთვალა, რომ ისინი აქ ბედმა დაყარა, და ეს მათი აღსასრული იყო სადღაც იერიქონსა და არარაობას შორის.

შემოვტრიალდით და იერიქონში დავბრუნდით. „რა ვუყოთ მათ?“ – იკითხა ჯარისკაცმა. არც მას ვიცნობდი და არც მის მეგობარს, და არ ვიცოდი, ეს სამდურავი თუ იყო იმაზე, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებდით, ან ფიქრი თუ იყო იმისა, რომ, რაც არ უნდა იყოს, ქვეყანას ჩვენ ვერ შევცვლიდით. ან თუ ეს მხოლოდ წამიერი ენთუზიაზმი იყო, რამე გაგვეკეთებინა მათ სასიკეთოდ. „მოხუცებული მოკვდება“, – თქვა მეორე ჯარისკაცმა. „რას ჭამენ? გზას როგორ განაგრძობენ? იქნებ ამასობაში კიდევ მოიყაროს იქ ხალხმა თავი და წაიყვანონ ისინი?“ – ეძებდა გამოსავალს პირველი. ავავსეთ ორი ჯერიკანი წყაროს წყლით, ციკვითა და უდარდელით, რადგან ასე ძველი იყო იგი და ყოვლისმნახველი. დამაბრმავებელ

მტევერში მივიჩქაროდით, ვიწრო და დახვეულ გზაზე ავდიოდით და არ ვიცოდით, თუ კიდევ ვნახავდით მათ იქ.

ისინი იქ იყვნენ. თითქოს არაფერი უნდა შეცვლილიყო. მხოლოდ მოხუცებული მოკვდებოდა, ხოლო მას შემდეგ – სისუსტის რიგის მიხედვით. შუადღის დამაბრმავებელი პაპანაქება ვარვარებდა, მანქანამ წყალი უკვე აადუღა. კაცი წამოდგა და ხელები გამოიშვირა როგორც სავალდებულო გამოსვლის შუაში, „ხავაჯა, ხავაჯა“, – თქვა, თითქოს ყოვლისმთქმელი. მივუტანეთ სავსე ჯერიკანი. მან კვლავ დაარწყულა თავისი პეშვით დანარჩენები. ქალი ქვითინებდა. ჯარისკაცი ისევ გამოელაპარაკა კაცს, როგორც ჩანს მამას, ბაბუას თუ არა: „საიდანა ხართ? იერიქონში ვინ გყავთ?“ კაცმა კი არაფერი იცოდა, ან ვერაფერი გაეგო.

მერე კი დაიწყო აღწერა, უფრო ხელების სასო–წარკვეთილი მოძრაობით, ვიდრე სიტყვებით, როგორ ესმოდათ სროლა მთელი ღამე, გარიჟრაჟზე როგორ გავარდა ხმა ებრაელები მოდიანო, და როგორ ჩამოექცათ ჯერი თავზე მაშინვე. არ არსებობს უფრო საშინელი სიტყვები, ვიდრე „ებრაელები მოდიან“. მაშინვე, ჯერ კიდევ ბინდში გამოცვენილან შინიდან დამფრთხალნი. ვიღაცამ წყალობა მოიღო და მოხუცი ქალი მაზიდით ამგზავრა, სანამ არ იგრძნო, რომ იგი მას მხოლოდ ამძიმებდა, თავისი თავისათვის რომ ეშველა. საშინელი ხმები დადიოდა. და მათ მოხვეტეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვედათ, ნივთები, რაც მათ აუცილებლობად მოეჩვენათ, ბალიშებიც კი. მერე მოდიოდნენ და გზაში ყრიდნენ ყველაფერს, ვიდრე სიცხისაგან არ გამოშრნენ. მისი დიდი ოჯახის ყველა წევრი გაქცეულა, მეზობლებსაც გაქცევით უშველიათ თავისათვის. აზრად საერთოდ არ მოსვლიათ, რომ დარჩენაც შესაძლებელი იყო. გაიყარნენ გზაზე და თითოეული

გაჭირვებით უვლიდა თავის სახლეულს. ებრაელები მოდიანო, ამბობდნენ, და თუ არ იჩქარებდნენ, აღსასრული დაუდგებოდათ. და აი, ახლა ისინი აქ არიან, და გათავდა. საით წავლენ? ალლაჰ, კვლავაც ალლაჰ და მორჩა.

მზე გიზგიზებდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა თქვა: „მოკლედ, რა ვუყოთ ამათ? დავუტოვოთ წყალი? როცა სხვა ლტოლვილები მოვლენ, წაიყვანენ მათაც როგორმე, ან როცა მოსალამოედება...“ – „თქვენ იცით რა?“ – ჩაერთო მეორე და უცებ მივხედით, უთქმელად მივუხედით. ჩვენ მათ წავიყვანდით და შინ დავაბრუნებდით. რაღა შეუძლიათ ამათ გააკეთონ. ჯარისკაცმა იფიქრა და თქვა: „ნებადართულია? რომ დაგვაკავონ? და ესენიც ისევ გარეთ დაყარონ?“ ძალზე ცხელოდა საიმისოდ, რომ ყველაფერი აგვეწონ-დაგვეწონა. ქალი ასლუკუნებული ბავშვის დაწყნარებას ცდილობდა კსს, კსს-ებით, რაც სხვა სამყაროდან იყო. თითებით სახეზე წყალს ასხურებდა, როგორც ამას დედა იზამდა. პატარა ბიჭუნა კი გაფარ-თოებული თვალებით იცქირებოდა. კაცი განაგრძობდა ათასნაირი ალლაჰისა და ისევ ალლაჰ-ის ლუღლუღს, სხვა არაფერი იცოდა.

„მოდით, თქვენ ჩემს გვერდით დასხედით, – ვუთხარი ჯარისკაცებს, – ეგენი ყველანი უკან ამოვიდნენ“. სიურპრიზი გამაოგნებელი იყო. კაცი წამით დაფიქრდა, ხომ არ მიეყავართო ცოტა მოშორებით ბუჩქის ან კლდის ძირში დასაყრელად წყლის ბიდონთან ერთად. ჯარისკაცები არ ლაპარაკობდნენ, არ აცხადებდნენ რასაც ფიქრობდნენ. და როცა ყველა შიგნით შემოეჭეჭყა ერთ შავ გროვად ერთი მეორეში ჩალაგებული, დავიძარით და უკან, იერუსალიმის მიმართულებით დავიწყეთ მოძრაობა. მომ-დევნო მოსახვევში ლტოლვილთა დამატებითი ტალღის თავი გამოჩნდა. ტაატით მიღოღავდნენ ჭიანჭველების

მწკრივივით ტრასის ორივე მხარეს. არავინ იცის, თუ ამჩნევდნენ რამეს გარშემო, ან თუ ესმოდათ რამე. ისინი სელის ბედს მინებებოდნენ. ყველასათვის საკმარი წყალი არა გვქონდა, მაგრამ მანქანა გავაჩერეთ და ჯერიკანი გზის პირას დავტოვეთ. ვის ძალუძს ახსნას, რატომ ყველას არა და მხოლოდ ამათ, ვინც ჩვენ შევკრიბეთ, გაულიმათ ბედმა, რა ახსნა შეიძლება აქ მოიძებნოს.

ორი უწყვეტი რიგი ტრასის ორივე მხარეს შავი ჭიანჭველებივით მიხოხავდა იერიქონისაკენ. არ იყო ცნობილი, იმჟამად რა ხდებოდა მათ უკან. ან ვინ იცის, დღეს რა ელოდა თითოეულ ამ მღოლავს ამ საშინელ ხვარტში. თითქოს ყველაფერი ჯერაც არსებობს, თითქოს აქვე უკან კიდევ დგას სახლი, ყველაფერი თითქმის ისეთივეა, როგორიც იყო მუდამ, არაფერი შეცვლილა თითქოს. და მაინც, უკვე ეს ყოველივე თავდაყირა დგას, ყველაფერი დაკარგულია, დაღუპულია უარესად, ვიდრე შეიძლება დაიჯერო, სქელი, დაკბილული ხაზი მიდიოდა ახლა და შეუმჩნევლად აღრმავებდა ცხად გლოვას, და ჰყოფდა იმას, რაც დილამდე იყო და იმას, რაც..., ვინ იცის, რა იქნებოდა ამ დილის შემდეგ. აღსრულებულია, გათავებულია ყოველივე, ალლაჰ, ალლაჰ.

იერუსალიმთან, მცირე ალმართზე წამოიწია კაცი უკან და ეს აქ არისო, თქვა. არა სჯეროდა, თვალებს არ უჯერებდა. უკანა კარი გავაღეთ და ისინი გადმოლოდნენ. მოხუცი ქალი ალბათ უკვე ამქვეყნად აღარ იყო. მოჰყვა კაცი მადლობის გადახდას, სურდა ხელები დაეკოცნა ჩვენთვის. არ იცოდა იარაღიანმა ჯარისკაცმა მოისხა მისი მადლი, თუ მანქანის მძღოლმა. ქალიც გვემადლიერებოდა, განუწყვეტლივ ტიროდა თავის ჩვილთან და ბიჭუნასთან ერთად, რომელიც გაშტერებული იდგა, არავის და არაფერს მიკუთვნებული. ხოლო კაცი მხოლოდ თითს იშვერდა რომელიღაც ქედისაკენ, სადაც ალბათ

მისი სახლი იყო. და როცა ყველა მისი მეზობელი წავიდა, იქაურობას მოშორდა და ალარასოდეს დაბ-რუნდება, – თითქოს ასე გადაწყვიტესო ზემოდან, – თავისი დაკოჟრილი თითით მიანიშნებდა კაცი ერთ ალაგს, სადაც, როგორც ჩანს, მისი სახლი იდგა.

დავიძარით ბოლოს. ისინი ერთმანეთში იყვნენ ჩაყუ-ჟულები შავ გროვად, ჩვენ კი შიგნით უბრად ვისხედით.

არსებითად სამი უცნობი ვიყავით. ჩემმა თანამგზავრებმა უკვე ალარ იცოდნენ საით უნდოდათ. ბოლოს ქალაქის შესასვლელში კომენდატურის შენობასთან მოინდომეს ჩამოსვლა. რამე უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის, მაგრამ მხოლოდ გავიღიმეთ შეთქმულებივით, ვერაფერი ვთქვით და კვლავ გავუღიმეთ ერთმანეთს. მაშინ ქვემოდან ვილაცის ხმა მოგვესმა. ჰყვებოდა, პარაშუტისტები გოლანში არიანო და საცაა გოლანზე ავლენო. რა დიადი დღეებია, ვინ ირწმუნებს, ვინ დაიჯერებსო.

ჩამოვიდნენ ჩემი შეიარაღებული ჯარისკაცები და წავიდნენ. მალე ჩაიყლაპნენ გაქუცულები სამხედრო შეკრებათა ათასი ჯურის გაქუცულ ჯარისკაცთა შორის, რომლებიც იქვე ტრიალებდნენ მხარზე იარაღმოგდებულნი. მე კი გამოვბრუნდი და გავემართე ახლა ჩამავალი მზისაკენ იმ თაკარა დღის ბოლოს.

# იქ, სადაც ტურები კივიან

## I

ხამსინი საბოლოოდ მიწყნარდა.

ზღვის ქარის ნაკადი შეიჭრა შედედებული მხურვალების მონოლითში და იქ გრილი ღარები გაიყვანა. თავიდან გაუბედავი, მსუბუქი ქროლვა წამოვიდა და კვიპაროსთა კენწეროები ვნებით ათრთოლდნენ, თითქოს მათ თავზე ცხოველმყოფელმა ნაკადმა გადაიარა, რომელიც მათ ძირებს მოუყვებოდა, ამოდიოდა, აშრიალებდა კვიპაროსთა ხეივანს და იქაურობაში ჩუმ ნეტარებას ღვრიდა.

მიმწუხრს დასავლეთის ქარმა იმძლავრა. მოიდრიკა და შეირყა ხამსინის მეუფება, აღმოსავლეთისაკენ განიდევნა, დაბლობიდან იუდას მთებისაკენ, იუდას მთებიდან უდაბნოს ქარი იერიქონის დაბლობისაკენ დაეშვა, ხოლო იქიდან – მორიელთა უდაბურობაში, იორდანეს აღმოსავლეთით. ეს უკანასკნელი ხამსინი იყო, ეტყობოდა. შემოდგომა კარს მომდგარიყო.

კიბუცის ბავშვებმა ხორხისმიერი ჭიხვინით გადაფარეს მინდვრები. მამები და დედები სავარძლებს მოათრევდნენ ბალკონებიდან ბაღჩებისაკენ. „არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე“, – იტყოდა ხოლმე საშკა. ამჯერად მან თავისი თავი აქცია გამონაკლისად. ოთახში მარტოკა გამოიკეტა, რათა ახალი თავი შეემატებინა თავისი წიგ–ნისათვის ცვალებად დროებაში კიბუცის[7] ყოფის შე–სახებ. საშკა ჩვენი კიბუცის ერთ–ერთი დამფუძნებელი და თვალსაჩინო მუშაკია. კვადრატული სახის, წითური და სათვალეებიანი კაცია. სახე მგრძნობიარე და სათნო აქვს, და მამობრივი გულდაჯერებულობა აქვს მასზე

გადაკრული. დაუცხრომელი ენთუზიაზმი იყო საშკაში. ცელქმა სიომ, რომელმაც ოთახში გაირბინა, იგი აიძულა, რომ აჯანყებულ ფურცლებზე მძიმე ნაცრისფერი საფერფლე დაედგა. საშკაზე მგზნებარე პატიოსნება ბატონობდა და გაშალაშინებულ ნაწერს ახარატებდა. „სხვა დროებას, – ამბობდა იგი, – სხვა გაგება სჭირდება. ოლონდაც მიწა არ ვტკეპნოთ, განვლილ გზას არ დაეუბრუნდეთ, დაე ვიყოთ ენერგიულნი და გონიერნი.“

სახლების კედლებმა, საწყობების თუნუქის სახურავებმა სამჭედლოსთან რკინის მილების გროვამ იწყეს ხამსინის კვირებში ჩაგროვებული ხვარტის ამოფრქვევა. განა არ იციან ამ მუნჯებმა საამური განტვირთვის გემო.

გალილა, საშკას და ტანიას ქალიშვილი სხეულს გრილი წყლის ჭავლით ინეტარებდა. ხელები ზურგზე ეკვროდა, იდაყვები უკან იჭიმებოდა. მწუხრი ჩამოწოლილიყო საშხაპეში და სველი, მდორე მოძრაობით გოგონას მხრებზე დასვენებულ მქრქალი თმის ტალღებს ამუქებდა. ამ ადგილას დიდი სარკე რომ ყოფილიყო, შესაძლოა დაყოვნებულიყო გალილა და წყლის შხეფებით მოოჭვილი ტანისათვის ეცქირა. მას რომ შესძლებოდა თავისი ტანისათვის ეცქირა, ეცქირა ნელა, ცივი პედანტურობით, ალბათ ისიც მოეშვებოდა, დამშვიდდებოდა და ჩაერთვებოდა ზღვის ქარის მიერ მოტანილ ათრთოლებულსა და მიბნედილ სირბილეში, ამ ალაგსა და მის ხალხს რომ დაუფლებოდა.

და ვინაიდან საშხაპეში დიდი სარკე არ იყო, მისი მიხრა–მოხრა აჩქარებული და დაბაბული იყო. სულსწრაფად ამოძრავებდა სხეულს, კანს იბერტყავდა და უხალისოდ იტმასნიდა საღამოს ტანსაცმელს. რა უნდოდა მათათია–ჰუ დამკოვს? იმ ბერბიჭას სურს, რომ ნავახშმევს მისი ოთახის კარი არავინ შეაღოს. ბავშვობაში აღტაცებაში მოვდიოდით მისი ხელის ნაკეთობათაგან. სავსეა ქვეყანა

აბეზარებით. ქალიშვილი, რომელიც ყველა აბეზარსა და მაბეზარს უცინის, საღამოს დიდებულ საათებს იმ ბერბიჭების მყრალსა და ნესტიან ოთახებში ატარებს. მართალია, მათათიაჰუ დამკოვი კარგ რამეს დაჰპირდა, ის არც იმ აბეზარების რიცხვს მიეკუთვნებოდა, მაგრამ საღამო მოკლეა, თვალსა და ხელს შუა იპარება. სხვა თავისუფალი დრო კი ჩვენ არა გვაქვს, მშრომელი გოგონები ვართ.

რაოდენ ცერემონიული იყო მათათიაჰუ დამკოვი იმ დროს, როდესაც ბეტრინის ვიწრო ბილიკზე გზა გადაულობა და უბრძანა ნავახშმევს მის ოთახში შეევლო. როგორ ცდილობდა პედანტური სერიოზულობა ეჩვენებინა, ჰაერში უხერხულად მოფოცხა, ხოლო ხმა ბოლომდე გადაიღუნა, რათა ლამაზი და შესაფერისი სიტყვები ამოეხაპა თავისი ფსკერიდან. ბეჩავი აბეზარი. „ზუსტად ამ საღამოს, – თქვა მან, – ეს მნიშვნელოვანი იქნება, საინტერესოც. შემოიარე, არ ინანებ. ის ტილოები შესანიშნავია მხატვრისათვის. ჩემი ბიძაშვილი ლეონისაგან მივიღე. ფაქტიურად ის სამხრეთ ამერიკაშია. ფაქტიურად მე არ მჭირდება ეგენი. ფაქტიურად, ვფიქრობ, შენ მოგცე ტილოებიც და საღებავებიც. სად – მე, სად – ხატვა. რას ფიქრობდა ლეონი. გამომიგზავნა და ფაქტიურად საერთოდ არ უფიქრია. ახლა ეს ყოველივე შენია, ოღონდაც მოდი.“

მისი სიტყვების გახსენებაზე გალილა ზიზღის, ირონიისა და აღტკინების ნაზავით აღიავსო. ბოლოს, როცა საშხაპიდან გამოვიდა, რაღაც უცნაურობა დაემართა. ფათერაკებისა და იდუმალების ზეიმი ჩაიბუუტა და ჩაქრა. მათათიაჰუ დამკოვის მიმზიდველ სიმახინჯეზე ფიქრობდა. რაში უნდა უანდერძოს ტილოები და საღებავები? გაურკვეველი უხერხულობა დაეუფლა. ხუთ წუთზე მეტს არ გაეჩერდები მასთან.

## II

მთებში დაისი მეყსეულია და თვალისმომჭრელი. ჩვენი კიბუცი ვაკეზეა გაშენებული. ვაკე დაისს ტყლიჟავს და მის დაცემას არბილებს. ნელა ეშვება სიბნელე მიწის პირზე როგორც შორეული მხარეთა დაღლილი ჩიტი. თავიდან საწყობები და უფანჯრო საკუჭნაოები ბნელდებიან. ბინდი თავისი მობრძანებით მათ ტკივილს როდი აყენებს. ის ხომ ბოლომდე მათ არასოდეს ტოვებს. მერე სახლების ჯერი დგება. დროის მანქანა თავად ქოქავს გენერატორს. და მისი თავშეკავებული გუგუნი ეზოს ეფინება. ელექტროენერგიის ძარღვები სიცოცხ-ლისათვის იღვიძებენ, და უჩინარი დენი ჩვენს თხელ კედლებში ფეთქავს. იმავე წამს შეცურდება სინათლე ვათიკთა[8] კვარტლის ყველა ფანჯარაში. თუნუქის ძველისძველი აღკაზმულობა წყალსადენის კოშკის თავზე დღის ნათელს აკავებს, ხანგრძლივად იჭერს. უკანას-კნელად მეხამრიდის ფოლადი ბნელდება კოშკის წვერზე.

იშუვის მოხუცები დიდხანს რჩებიან სავარძლებში მოკალათებულნი. უსულო საგნების მსგავსად, წყვდიადს ნებას რთავენ დაეკონოს მათ და გადაფაროს მათი სიცოცხლის ნიშანწყალი. ცოტა ხანში ამოძრავდება კიბუცი და ტაატით ჩადინდება სასადილოს მოედნისაკენ. დადგა დრო მათათიაჰუ დამკოვისა, გამოსულიყო თავისი ბუნაგიდან და ხალხში გარეულიყო. ამ დროს ის გამონაკლისს არ წარმოადგენს. კეტავს ოთახს. უკან იტოვებს მარტოხელა უსულო საგნებს და უერთდება სიცოცხლეს, მჩქეფარე სიცოცხლეს სასადილოში.

## III

მათათიაჰუ დამკოვი პატარა, ხმელი და შავტუხა კაცია, ცარიელი ძვლები და კუნთებია. ეიწრო, ჩაძირული

თვალები აქვს. ღაწვები – მთლად ჩაცვენილი, სახე – შავ–შავი. იშვიათად იცვლის სახეზე შემხმარ გამომეტ–ყველებას. მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ჩვენ რომ თავს დაგვეცა. ძირებით ბულგარეთიდან იყო, ხოლო მის ნალაპარაკევში, რაც ჩამოსვლისას გვიამბო, ბუნდოვანი სამხრეთამერიკული პასაჟები ერია.

მათათიაჰუ დამკოვის სხეული მოხერხებულადაა აგებული. ტანი თხელი აქვს, ჭაბუკური, ღონიერი, მოქნილი, არაბნუებრივად მოქნილი. რა შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს ამგვარი სხეული ქალებზე? მამაკაცებში იგი გულისრევამდე ნერვიულ უხერხულობას აღძრავს.

მათათიაჰუ დამკოვის მარცხენას შეუძლია ცერი და ნეკი გამართოს. მათ შორის კი სიცარიელეა. „ფაქტიურად, – ამბობდა მათათიაჰუ დამკოვი, – ომის დროს ხალხმა ბევრად მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე სამი თითია.“

დღისით ეს კაცი სამჭედლოში მუშაობს. მისი სხეული ნახევრად შიშველია და ოფლისაგან ლაპლაპებს, დაჭიმულ კანქვეშ მისი კუნთები ისე ცეკვავენ, როგორც ლითონი ხტის სასოწარკვეთით, იბეგვება, იწრთობა და რბილდება. რკინის სალტეებს ახურებს, მილებს რჩილავს, გალუნულ საგნებს გლინავს, ძველ არმატურებს აბრტყელებს. მისი სალი მარჯვენა საკმარისად ღონიერია, რომ მარტომ მოიქნიოს მძიმე ურო და ალაგმული სიმხეცით დაუშვას დამორჩილებულ უსულო საგნებზე.

ერთ დროს მათათიაჰუ დამკოვი კიბუცის ცხენებს ჭედავდა თვალისდამატყვევებელი ოსტატობით. ბულგა–რეთში ცხენებს აშენებდა. „მუშა და საჯიშე ცხენების საჯინიბო გვქონდა, – ჰყვებოდა იგი, – ჩემი და ჩემი ბიძაშვილი ლეონისა იყო. ჩვენთან ბევრი არაებრაელი მუშაობდა, მაგრამ საჯინიბო, ფაქტიურად, ჩვენი იყო“.

იმ დღიდან, რაც კიბუცმა ცხენების გამოყენება შეწყვიტა, მათათიაჰუ დამკოვის ხელობა დავიწყებას მიეცა. წარსულს ჩაბარდნენ ის დღეები, როცა კიბუცის

პატარა გოგო-ბიჭები თავს იყრიდნენ, რათა ცხენის დაჭედვისათვის ეცქირათ. მათათიაჰუ დამკოვი დიდი ზეიმით წარმოადგენდა თავის ხელმარჯვეობას. პატარა გალილა იდგა და მას ნუშისებური, ლამაზი თვალებით მიშტერებოდა. თვალები მისი დედისა იყო, მამის არ იყო.

რატომ მოინდომა მათათიაჰუ დამკოვმა ტანიას ქალიშვილს შეხებოდა. საღებავები და ტილოები უხეირო სატყუარა იყო, დამკოვისაგან გამოწვდილი კავი. ტანიას ქალიშვილი მამასავით ეჭვიანია და დედასავით ჭკვიანი. ნუთუ მასშიც არის დაფარული სიმხეცე, სიველურე? ალბათ არ მოვა. თუ მოვა, არ ეტყვის. და თუ ეტყვის, ის საშკას დაუძახებს. სიტყვებით ვერაფერს მივაღწევ. ფაქტიურად, სიტყვები გლუვია, გაგისხლტებიან. ის სატყუარაზე არ წამოეგება. მათათიაჰუ დამკოვი მხოლოდ გამოიფიტება ლაპარაკით. საუბარი მას გზას დაუკეტავს. მოსახდენი კი მალე უნდა მოხდეს, – ფხიზლად ფიქრობდა მათათიაჰუ დამკოვი სასადილოში შესვლისას. ჭურჭელი მხიარულად ბრჭყვიალებდა გაშლილ მაგიდებზე. დანების სახელურებზე ჩვენი კიბუცის სახელი იყო ჩაბეჭდილი.

„დანის პირი გასალესია“, – გადაულაპარაკა მათათია-ჰუ დამკოვმა თავის მეზობელს სუფრაზე, როცა თავის თეფშზე დახვავებულ ბოსტნეულს ჭრიდა. „ზამთარში, როდესაც სამჭედლოში საჩქარო სამუშაოები იკლებს, ყველას გავლესავ. ფაქტიურად ზამთარი შორს არ არის. მე მგონი, მოუმზადებლებს მოგვისწრებს ზამთარი. ეს ხამსინი, მგონი, უკანასკნელი იყო.“

სასადილოს კუთხეში, სამხარეულოსაკენ გასასვლელთან საღამოს გაზეთის გარშემო თეთრქოჩორა, გაძვალტ-ყავებული ვათიკების გუნდი შემოხვეულიყო. გაზეთის ფურცლები გაშლილი და კაცებს შორის იყო გაფანტული. გაზეთის ნაკუწების ირგვლილ ხელმომწერთა რიგები

შემოჯარულიყო. ზოგი კომენტარს აკეთებდა დამაჯერებელი ტონით, ცხოვრებისეულ გამოცდილებას რომ ემყარებოდა, ზოგიც კომენტატორს მისჩერებოდა მოქანცული, მაგრამ ხალისიანი სიჭარმაგის გამომეტყველებით. ეს, – როგორც საშკა ამბობდა, – უერთგულესი ხალხი იყო. მათ მართლაც სტკიოდათ ყველა ტკივილი მუშათა მოძრაობისა.

იმ დროს, როცა კაცები სასადილოს დასავლეთის კედელთან სულიერ ცხონებას ეძლეოდნენ, ქალები ბრიგადირების მაგიდებს იყენენ ჩამოკიდებულნი. ტანია, გალილას დედა ხმას სამართლიანი რისხვით იმაღლებდა. სახე დანაოჭებული, მზერა გატანჯული და დაღლილი ჰქონდა. თითებით სასადილოს მოჩუქურთმებულ საფერფლეს ჩაჭიდებოდა და ყვირილში მოზომილი ინტერვალით მაგიდაზე არაკუნებდა. ტანი წინ წაეხარა, თითქოს უსამართლობის ტვირთის ქვეშ იყო მოკაკვული. რუხი თმა შუბლს უჩრდილავდა, ჩაცვენილი ლოყები მრის–ხანებისაგან უთრთოდა. მათათიაჰუ დამკოვს ესმოდა მისი ხმა, მაგრამ სიტყვებისათვის ყური არ უთხოვია. როგორც ჩანს, ბრიგადირმა საგადასახადო საქმეში შესცოდა და ახლა ცდილობდა უკან დაეხია, მოებო–დიშებინა და სასწრაფოდ მორჩილება განეცხადებინა ტანიას ამოფრქვეული ცეცხლის შიშით. ბოლოს აყალ–მაყალი მინელდა. ტანია გაიმართა და მათათიაჰუ დამკოვისაკენ გასწია. სახე დამშვიდებოდა, განტვირთვის სიამოვნება წამიერად მოეფინა და მყის ახალი, მოწ–ყურებული სიფიცხისათვის გამოათავისუფლა ადგილი.

„მათათიაჰუ, – უთხრა მან, – თუ ხვალ დილით ათზე ჩარჩოები დარჩილული არ იქნება, მთელს კიბუცს თავდაყირა დავაყენებ. ყველაფერს საზღვარი აქვს, მათათია–ჰუ დამკოვო. სადა ვცხოვრობთ? ბნელა? ხვალამდე.“

მოულოდნელად მის ხმაში კარგად გათვლილი თავდაჭერილი სირბილე აცახცახდა: „მართლა, ეს ისე

მნიშვნელოვანია, მათი. ნახევარი საათის საქმეა შენოვის. შეეცადე, მათი. სხვაზეც უნდა იფიქრო, უამისოდ მართლა გაგვიჭირდება."

მათათიაჰუ დამკოვმა რატომღაც სახე შეიჭმუხნა და უარესად დაიღრიჯა.

„ფაქტიურად, – თქვა მან მხიარულად, – სალაპარაკო არაფერია. მინც ვფიქრობდი ყველაფერი ხვალ დილისათვის გამეკეთებინა. მაგრამ შენ ხომ არ მაჩქარებ, ტანია? იქნებ მაჩქარებ?"

ტანია ფაქიზ და ნერვიულ შეგრძნებათა ქალია. შეშფოთებით შეისრუტა ძველისძველი ტონი, საშინელი და საშიშარი. მგრძნობიარე ზამბარასავით ტანია კეთილ–სახოვან სიმშვიდეს დაუბრუნდა.

„რას ამბობ, მათათიაჰუ. გაჩქარებ? მე? ჩემს დღეში ვერ გავბედავდი მშრომელი კაცის დაჩქარებას. შენ ეს გესმის. საწყენი არაფერია."

ამ სიტყვებით დასრულდა სასადილოს საქმეები და დადგა დრო შემდგომი ამბებისა. ფაქტიურად, უნდა გავიდეს, ოთახს მიაშუროს, უსულო საგნებში გაეხვიოს და ელოდოს, უჭვრიტოს. სიგარეტი ნელია, ფიქრიანი, ის გვჭირდება ამ ლოდინის წუთებში.

## IV

დენი ფეთქავს მთრთოლვარე ძარღვებში და სუსტ ნათელს ჰფენს დაბერებული ბეტონის ბილიკებს. არა სიწმინდე, არა ნათება, არა სიხარული, მხოლოდ სინათლის მქრქალი, გაუბედავი გუბეები ანთია უგულოდ. უსიცოცხლოდ ბუუტავს ბებერი შუქი.

ღობის სიგრძეზე ჩარიგებული ელექტრონის ხის ბოძები მოღლილ სხივებს მინდვრებისაკენ ფანტავენ. მოხნული მიწის პატარა წრე ღობის ლამპიონის ტვირთქვეშ კვნესის.

მის მილმა ღამე მეუფეობს. შემოდგომის ღამეები კუნაპეტი არ იცის, ჩვენში არ იცის. ჩვენი ღამეების ფერი იისფერია. ანათებს მქრქალი იისფერი და აფორიაქებული ასხივებს მინდვრებსა და ბაღ–ვენახებს. ბაღები ახლა გადაყვით–ლებულია. ფუმფულა იისფერი უხვად აბერტყავს სათნოებას ხეებს, სირცხვილს რეცხს მათ, აავსებს უფსკრულს უსულოსა და სულიერს შორის. იისფერის წესია უსულოებს სახე დაუმახინჯოს, ცივი, მოფუთფუთე. შხამიანი კანკალით ააკანკალოს ისინი. მეორე მხრივ იგი ამშვიდებს ღამის ცოცხალ ბინადართ. მათ მიძრაობებს არბილებს და მათ არსებობას ნიღბავს. ამიტომაც გვიჭირს ბუნაგებიდან გამომხტარი ტურების გარჩევა. შეუმჩნეველად გამოგვეპარება მათი ფაფუკი დრუნჩი, ჰაერს რომ არღვევს, მიწის ბელტებზე მოცახცახე მათი ქანაჩები, რომ ეხებიან და არც ეხებიან ზედაპირს.

რა სიმსუბუქეა, რა ფაქიზი მოქნილობაა მათ ნაბიჯებში. კიბუცის ძაღლები – მხოლოდ ისინი სწვდებიან ამ მომაჯადოებელი მოძრაობის სიღრმეს. ამიტომაც გაჰკი–ვიან ასე თავგამოდებით, რისხვითა და მუქარით. ამიტომ სცემენ მიწას ტლანქსა და ანჩხლ ფეხებს და ერკინებიან ჯაჭვს იქამდე, რომ დაწყვეტაზეა რგოლები მათ კისერზე.

მოზრდილი ტურა ხაფანგს ითავს აარიდებდა. ეს ლეკვი იყო, ჩამრგვალებული, კატის მაკვარი, ფაფუკი და გაბურძგნული. სიცხლისა და ხორცის სუნს ხარბად ეტანებოდა. მისმა მიამიტობამ გაღაწყვიტა მისი ბედი. თუმცა ვერ იტყვი, რომ მთლად სულელურად ჩახტა თუნუქის ყუთში. მხოლოდ სუნს გაჰყვა და მოკლე, ფრთხილი ნაბიჯებით დასტრიალებდა თავს საკუთარ დაღუპვას. ხანდახან შედგებოდა ხოლმე ბუნდოვანი სიფრთხილის გამო, მის ძარღვებში რომ მოემართებოდა. თუნუქის ყუთთან ჩერდებოდა გაყურსული, ნაცრისფერი როგორც მიწა და მიწასავით დამთმენი. გაურკვეველი

შიშით ცქვეტდა ყურებს, მაგრამ სურნელება გონებას უბინდავდა.

განა ეს შემთხვევითობა იყო? ჩვენ სიბრმავეს მიეაწერთ შემთხვევებს, შემთხვევები კი ათასი თვალით მოგვშტერებიან. ტურა ჯერ კიდევ ნედლი იყო, და რომც ეგრძნო ათასი თვალი მასში გაყრილი, მაინც ვერ გაიგებდა მათ ენას.

ბაღს ბებერი, მტვრიანი კვიპაროსების კედელი აკრავს. რა ძაფია უჩინარი უსულოდან სულიერისაკენ მიმავალი? ვეძებთ მის წვერს სასოწარკვეთით, რისხვით, თავს ვიმტვრევთ, ვფართხალებთ, ვყვირით, ღაწვებს ვიხოკავთ, კბილებს ვაღრჭიალებთ, ტუჩებს ვიკვნეტავთ, გიჟურად ვაბეცებთ თვალებს. ტურა კი ცნობს ამ ძაფს. უფაქიზესი ნაკადი ბუყბუყებს მასში და მიედინება სხეულიდან სხეულში, ყოფნიდან ყოფნაში, თრთოლვიდან თრთოლვაში.

ბოლოს არსებამ დახარა თავი და დრუნჩი სისხლის სუნს დაუახლოვა. ცხვირის წვერი დაენამა, აცმუკდა, ნერწყვი მოადგა, ბაღიანი აეშალა, თოთო კუნთები აუფორიაქდა. წაეპოტინა მიუღწეველს, ნისლიერი რბილს, და ცივი რკინის ჟამიც დადგა. მსუბუქი ტკაცუნით, ზუსტად, მოზომილად უპასუხა რკინამ ტურის მოძრაობას.

ქვასავით გალიგვდა ცხოველი. იქნებ ხაფანგს უეშმაკა და უსულოდ მოაჩვენა თავი. არცა ხმა, არცა რხევა. კარგა ხანს ამოწმებდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი. საშინელი ტანჯვით გამოფხიზლდა ნადირი და სააქაოს დაუბრუნდა.

საიდუმლოდ მოძრაობდნენ კვიპაროსები, იდრიკებოდნენ და იმართებოდნენ, იხრებოდნენ და სწორდებოდნენ როგორც პირქუშ უჩვეულო რელიგიურ რიტუალში. ჩუმად დააფჩინა ხახა, მიაშველა კბილები, რომელთაც თეთრი დუჟი მოსწვეთავდა. მოულოდნელად დაეუფლა სასოწარკვეთა. თავგანწირული, ველური ნახტომით მოინდომა ხაფანგი

გაერღვია. შიშველი ტკივილი შეიჭრა მის შმაგ სხეულში. ბელტებზე გადაწვა, აბობოქრებული სიხარბით სუნთქავდა. ამ ამბების შემდეგ მოაღო ბალღმა პირი და იკივლა. მისმა ტირილმა დატბორა და გაუღინთა ღამე მის სიერცეთა სიღრმეებამდე.

## V

დღე-ღამის ამ გასაყარზე ჩვენი სამყარო კონცენტ-რირებულ წრეებად იქცევა. ყველაფერს გარსად აკრავს კოსმიური, შორეული ბინდის წრე: ჩამუქებული ტბა, ცახცახითა და ხმაურით მოფუთფუთე. გარშემორტყმული და ჩაკეტილია მასში ღამეულ მიწათა წრე. ბაღ-ვენახებით აფერადებული ჩვენი მიწები ღამის საათებში გვლალატობენ. ახლა ისინი არ არიან ფხვიერნი, დამყოლნი და თვალ-საჩინონი. ახლა ჩვენი მორჩილი ნადელები მტრის კერძნი ხდებიან. ჩუმი, პირქუში მუქარასავით აგზავნიან ჩვენკენ მქრქალ, უცნობ ტალღებს. ჩვენს თვალწინ წამოშლიან ბელტურ ყოფაში მტრულსა და ბოროტ სიბნელეს.

სინათლის წრეები ეფარებიან ჩვენს პატარა სახლებს, მაგრამ ეს კედელი მაინც ატარებს მტრის სუნს, მისი მოთქმისა და ყიჟინის ხმას.

შიგნით, წრეთა გულისგულში, ჩვენი პატარა სამყაროს გულში ჩაძირულია საშკას საწერი მაგიდა. მაგიდის ლამპიდან სინათლის პაწაწა წრე ეფინება ფურცლებს. რა მახვილგონივრულია საშკას ნაწერები. სიტყვები დალაგებულ, წრფელ ნაკადებად მოედინებიან მისგან. თუმცა კი გრძნობენ ისინი სასაცილო, საშინელ მარტო-ხელობას. „არ არსებობს დგომა უფრო იძულებული, ვიდრე დგომა უმცირესობისა უმრავლესობის პირისპირ“, – იტყოდა ხოლმე საშკა. მისი ქალიშვილის ნუშისებრი, ცნობისმოყვარე თვალები მათათიაჰუ დამკოვის სახეს

ესობოდა.

„სიმახინჯე ხარ, – ფიქრობდა გალილა, – წმინდა სიმახინჯე ხარ, შემარცხული, სპეტაკი. ჩვენდა საბედნიეროდ მარტოხელა ხარ. ეს დახუჭული მონგოლური თვალები წავლენ ამ ქვეყნიდან და თან წაიღებენ თავიანთ ფორმას. აქ ყოფნა არ მინდა. განა სიამოვნებას ვიღებ ზიზღისაგან. რომ არა ცნობისწადილი, ახლოს არ გავეკარებოდი ამ საძაგელ სუნებს. აქ ყველაფერი დამყაყებულია, ბლანტია, რა.

„შეგიძლია დაჯდე", – სიბნელიდან გამოსძახა მათათია-ჰუ დამკოვმა. ოთახში მობინადრე გაცვეთილი საგნები მის გახნუებულ ხმას სილრმეში სძირავდნენ.

„ყავას მოვადულებ. ჩემთან ყავაც ნამდვილია. ნაღდი ბრაზილიურია, სერიოზულად". დაბნეულობისაგან ჩქარობდა კაცი საკვირველი საკვირველს დაემატებინა:

„სიგარეტიც მაგარია, ესეც. ოღონდ გაქცევას არ ესწრაფო. ჯერ არა. ცოტაც კიდევ მოიცადე. ჩემთან მუსიკის მოსმენაც შეიძლება. ფაქტიურად შენ არსად გეჩქარება".

„არ მეჩქარება", – მიუგო გალილამ, გაოცებულმა გიუმაუი ხმების ქაოსით, მასში რომ აფორიაქდნენ: „რაღაცები ამოძრავდნენ ჩემში. რას მიშვრება ეს კაცი, რა უნდა მიქნას?"

„სახატავი ტილოების ჩვენება გინდოდა, – დაურთო გალილამ, – ვერ წარმოვიდგენდი, რომ ყავის მოდულებით შეწუხდებოდი, მათათიაჰუ, მინდოდა შემომევლო და წავსულიყავი".

„შემომევლო და წავსულიყავი", – ენერგიულად გაიმეორა მათათიაჰუ დამკოვმა. მისი თვალები ამღვრეულ მზერას დააცეცებდნენ სტუმრის სხეულზე. შვლისებური, ლივლივა სიმსუბუქე იჯრებოდა მის ბნელ ბუნაგში. საგნები მის კედლებზე შიგნიდან ბუნდოვანი ბოროტებით აბრახნუ-

ებდნენ.

„შენ თეთრი ხარ, – თქვა უეცრად ვნებიანად, – შენ თეთრი ხარ, მაგრამ მე არა ვცდები. ეჭვი არის. ვიცი, შეუძლებელია, რომ ეჭვი არ იყოს.“

– არ მესმის.

მაისურში თავის ოთახში მოსეირნე მამაკაცი უცხო სანახავი არ არის. მაგრამ მათათიაჰუ დამკოვის ბალნიანი, შავი, მაიმუნისებრი სხეული ქალს მის ქალურ სილრმეებში რაღაცებს უღიზიანებდა, ბუყბუყებდნენ რაღაცები და მოედინებოდნენ დაფარული ალაგიდან დაფარული ალაგისაკენ, და უეცარმა შიშმა აიტანა ქალი. შიში მოულოდნელად ეწვია, მძაფრი და მწველი. წამოდგა ძველისძველი სკამიდან და მის უკან დადგა. საზურგეს როგორც ბარიკადს ჩაეჭიდა. ქალის ღია, დაუფარავი მოძრაობა მასპინძელს ეამა. მის ხმას ოხუნჯობის ტონი ჰქონდა.

„როგორ ჰგავხარ მას, – ჩაიჩურჩულა მან, – ტანია დედალი კატა იყო, ავი და მფრთხალი. ფაქტიურად, დედაშენი იმხანად თეთრი იყო. იცი, რატომ მინდოდა მოსულიყავი? მინდოდა დედაშენის სიველურის შესახებ მოგესმინა.“

საფრთხემ გალილაში გაბედული და ცივი თავდა–ჯერებულობა აღძრა.

„შენ შეშლილი ხარ, მათათიაჰუ დამკოვო,“ – თქვა ქალიშვილმა დაოკებული ზიზღით. სახეზე რაღაც რბილი სიმკაცრე გადაეკრა, იდუმალი და საოცარი გამომე–ტყველება. „მე შენ გაფრთხილებ“, – დაუმატა ჩურჩულით.

კაცი ისე მოსცილდა მას, რომ მქრქალი მზერა არ მოუშორებია. უცებ, მოულოდნელად, მძიმედ დაეშვა საწოლზე, მუხლები მოკნილად გადახლართა და ახარხარდა.

„ნელა, ჩემო გოგო, – გამოსცრა მან, – ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ. დაზოგე ძალები. საქმე შესაძლოა ხანგრძლივი

და დამღლელი იყოს.“

„ხვალ წარღვნა მოვა, – ფიქრობდა მათათიაჰუ დამკოვი, – ტანია იფეთქებს, ნამსხვრევებად იქცევა, როგორც მას სჩვევია, ხოლო საშკა გაგულისებული მიწას დატკეპნის. საქმე გასკდება.“ ძველი, აალებული წარმოსახვა სიტყვებით იმოსება, სიტყვები საქმეებად იქცევიან. უსულო არსებანი ცოცხლდებიან. დიდებული წამია. არ დავითვრეთ, საქმეებს სრული სიფხიზლე სჭირდება.

გალილას შიში ცივი იყო და მდორე. საჩქაროდ აწონა შესაძლებლობანი თავდაჯერებასა და დამატყვევებელ საზოგადოებას შორის. „მოკლედ, – თქვა მან, – რა გინდა, მათათიაჰუ?“

– ფაქტიურად, ყავა მზადაა. შესვენება გამოვაცხადოთ და ყავა დავლიოთ.

## VI

ყავა დიდი დახელოვნებითაა მოდუღებული. ცხელია და მაგარი. მისი სუნი დევნის ყველა სუნს. გალილას აოცებდა გარანდული მანერები მისი მასპინძლისა, რომელიც დახვეწილი თავაზიანობით ემსახურებოდა. მისმა ჩვეულმა, მომაჯადოებელმა სიმარდემ შეარბილა წელანდელი რამეები. მისი თითნაკლული ხელი არაფრით ჩამორჩებოდა თავის საზოგადოებას მსუბუქი, ლამაზი მოძრაობებით.

„იცი, ბულგარეთში რას ვაკეთებდით? – წამოიწყო მათათიაჰუმ, წესად მასპინძლისა, რომელიც სტუმრის გართობას ცდილობს, – ბულგარეთში ჩემს ბიძაშვილ ლიონს და მე ცხენების ფერმა გექონდა. ცხენების ფერმაში ორი სპეციალური საქმიანობაა: მუშა და საჯიშე ცხენების გამოყვანა ანუ დაკოდვა და შეჯვარება. ჯერ რომლის მოსმენას ინებებ?“

გალილა მოეშვა. ნებიერად გაემზადა მასპინძლის

ცრუპენტელობის მოსასმენად. მაგარმა სასმელმა მასში სიფხიზლე და სიმშვიდე ჩაღვარა.

„მახსოვს, – თქვა მან, – აქ შენ ცხენებს ჭედავდი“. რბილი ღიმილი აცეკვდა გოგონას თვალების გარშემო და პირის კუთხეებში. პატარები შენ მოგჩერებოდით, გვეგონა, ეს საოცრება იყო, გვეგონა, შენ დიდებული ადამიანი იყავი“.

„შეჯვარება უფრო იოლია, ვიდრე დაკოდვა, – თქვა მათათიაჰუმ. ქალიშვილისაკენ გადაიხარა და მისკენ ნამცხვრის სინი მიაჩოჩა, – ფაქტიურად, ეს ფაქიზი საქმეა. ცხენს ჯერ აშიმშილებენ. რაც უფრო დიდ ხანს გაძლებს მშიერი, თესლი უფრო სანაქებო ექნება. ფაშატებსაც აშორებენ მას და ულაყებსაც. სიშლეგით მან შეიძლება ულაყებს აენოს, დაივიწყოს მათი მამრობა და ებრდღვნას. სანაშენოდ ყველა ცხენი არ გამოდგება. საჯიშე ცხენი ერთია ას მუშა პირუტყვში. გადარჩევა ფაქიზი საქმეა. მრავალი წლის გამოცდილება გჭირდება, ვიდრე შეძლებდე ასში ერთი ამოარჩიო. მთავარი დაკვირვების უნარია. სანაშენოდ ყველაზე კარგი თავქარიანი, ველური ცხენია. გაწაფულობისა და გამოცდილების გარეშე შეუძლებელია ამოიცნო სიმამაცე, რთულია ყველაზე შლეგი დაადგინო.“

„შლეგი რატომ უნდა იყოს?“ – იკითხა გალილამ. იგი მონაცვლეობით უგდებდა ყურს ხან მათათიაჰუს ხმას, ხანაც თავად მასში მოცახცახე ხმებს.

„დიდებს და ძლიერებს ყოველთვის როდი შეუძლიათ ყველაზე კარგები დაბადონ. ხანდახან სწორედ პატარაა ყველაზე ცეცხლოვანი. მას სიშმაგის ნიშნების მიხედვით ამოწმებენ. ნერვიული ცხენი მუდამ კანდიდატია სანაშენოდ. მას შემდეგ, რაც რამდენიმე კვირას მარტო ვამყოფებთ, გობში ბოთლ ღვინოს ვუსხამთ. სასაცილოა, არა? ცხენი ღვინოგარეულ წყალს სვამს და ცოტა შეთვრება. ამის

შემდეგ მას ფაშატებს ვაჩვენებთ. მხოლოდ შეხედვის საშუალებას ვაძლევთ რკინის გისოსებიდან.

გააფთრებული იწყებს იგი თვითგვემას. კვნესის, ცდილობს ზურგზე გადაგორდეს და ჰაერში ტლინკები ყაროს. ნაგავს ესრისება, რკინის გისოსებს, გობს, ყველაფერს. ესრისება იქამდე, ვიდრე თავს არ დაიჩეხავს. როცა გასისხლიანდება, ვიცით, რომ დადგა ჟამი. ახლა კი ეჩქარობთ. ყოველ წამს შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. ჭიშკარს ვაღებთ. ცხენი სწორედ მაშინ შედგება მცირე ხნით. მთელი მისი ძალები ერთ წერტილშია თავმოყრილი. თითქმის არ შესწევს ძალა ფეხებს მოერიოს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წამია."

ქალიშვილი მოიკუნტა. საშინელმა სიხეშემ შებორკა მისი სხეულის ნაწილები. მისი მზერა მომბალი და მოჯადოებული ეკვროდა მთხრობელს.

„დიახ", – უცნაური ხმით თქვა ქალმა.

„და აი, ისიც. ოდესმე თუ გინახავს დიდი ზამბარა გაშვებული? საშიშარია, დიდებულია. თითქოს მიზიდულობის ძალის კანონი გააუქმესო. ის როდი გარბოდა, მიფრინავდა. მდედრი გამოთაყვანებული წაიხარა და კუდი ასწია. მამრის თვალებს სისხლი მოსწოლოდა. ხროტინებდა, ჰაერი არა ჰყოფნიდა, თვალებს ატრიალებდა და მომაკვდავივით ცახცახებდა. პირი დაეღო, დუჟი სდიოდა. გაუთავებლად ჭიხვინებდა. წამის შემდეგ კი იგი ნებიერ, ზარმაც არსებად იქცევა როგორც დიდი კატა. მაგრამ იმ წამს ის მოიგრიხება და დაიჭიხვინებს. იმ წამს შეჯვარება დაკოდვასა ჰგავს. საშინელი ტკივილია, საშინელი."

„საშინელი", – გაიმეორა გალილამ აკანკალებულმა, ათრთოლებულმა გზნების ძალით.

„ახლა დაეისვენოთ, – თქვა მათათიაჰუ დამკოემა, – ხომ არ გსურს ისიც მოისმინო, თუ როგორ კოდავენ?"

„არა, არა, – შეევედრა გოგო, – გინდა გამტეხო. – ჩაიჩურჩულა სლუკუნით. კეკლუც ნებიერობას დაეფარა მისი სახე, – გეყოფა, გეყოფა მათათიაჰუ.“

ხეიბარი ხელი ნელა ასწია მათათიაჰუ დამკოვმა და გოგონას სახეს მიუახლოვა. რა უცნაური იყო ის სათნოება, რაც მის ხმაში იყო, მამობრივი სათნოება.

„ისე, როგორც დედაშენთან, თითებსა და დაკოდვაზე სხვა დროს ვისაუბრებთ, კიდევ ვისაუბრებთ, ჩემო გოგო. ახლა კმარა, ახლა დავმშვიდდეთ, დავისვენოთ“.

## VII

მქრქალ ვარსკვლავთა ცივი სინათლე ველ–მინდვრებში დაეხეტება და მათ თავზე მოწითალო, სიფრიფანა გარსს აკრავს. ხამსინის კვირების განმავლობაში ხალხმა გადა–აბრუნა მთელი სავარგულები, საშემოდგომო თესვისთვის მოხნა. და დგანან ახლა ისინი თავიანთ სიშიშვლეში. შარაგზები ჯვარს აცვამენ მიწის ნადელებს. ბაღების ბელტები ხალებით აჭრელებენ კვიპაროსის კედლებით გარშემორტყმულ ეაკეს.

მრავალი კვირის შემდეგ სიცივემ პირველად გამოიწოდა გაუბედავი თითები ჩვენი მიწებისაკენ. სარწყავი მილები მუდამ ესწრაფვიან პირველები დანებდნენ ყოველ დამპყრობელს, ხვარტსა თუ სუსხს. ამჯერადაც პირველები არიან ისინი, რომ გრილი და წყნარი სინოტივე გადაიფარონ.

ოდესღაც, ორმოცი წლის წინ ჩვენი ეათიკები ჩაებღაუჭნენ ამ მიწას, საშკასნაირი ქერა ქოჩორები და ტანიასნაირი კოპებშეკრულნი. გრძელი, გამომხმარი დღის საათებში სასოწარკვეთითა და რისხვით წყევლიდნენ დაგვალულ მიწას. მაგრამ ღამით მას ერთგულების საგალობლებს აღუვლენდნენ დროისა და ადგილის დავიწყებით. დავიწყება სიცოცხლის საზრისი იყო. ღამით

მიწა მათ დედასავით ეხვეოდა და სიმღერაში სიტყვებს აცვლევინებდა: „იქ“, – მღეროდნენ დავიწყების გამო, – „იქ“–ო და არა „აქ“:

„იქ, ოცნებათა ქვეყანაში
მამათა ჩვენთა
შეისხა ფრთები ყველა იმედმა.
იქ დავმკვიდრდებით,
იქ შევქმნით
ცხოვრებას სპეტაკს
და თავისუფალს.“

საშკასა და ტანიას მსგავსი ადამიანები ჯავრსა და ერთგულებაში იწრთობოდნენ. მათათიაჰუ დამკოვსა და მისთანა გვიანდელ ლტოლვილებს წილი არ ედოთ ამ წრთობაში. მათთვის უცხო იყო დავიწყების მაჯისცემა. სურდათ ძალით შეჭრილიყვნენ ამ ყოფაში და შეერყიათ იგი. შურით ეპოტინებოდნენ სხვის ქალებს. სხვა სევდის შვილები იყვნენ ისინი, უცხოები სამისდღეშიოდ.

ჯერ ბეწვს ილოკავდა ხანგრძლივი კატური პედანტურობით. მერე ცოტა გადაიზნიქა და მბზინავ, კრიალა ლითონს დაუწყო ლოღნა. გამალებით, თავგანწირვით ღვრიდა თავის სითბოსა და სიყვარულს უსულო საგანში. სიყვარული და სიძულვილი – ორივენი პირმოთნეობას შობენ. ტურის ლაქუცი იყო სრულყოფილი, აღსავსე ანთებული თავდავიწყებით. თავისუფალი თათი ხაფანგის ქვეშ შეყო, ნელა წაჰკრა წიხლი სატყუარა ხორცს. ფრთხილად ამოიღო უკან თათი და მასზე აკრული სურნელება მოილოკა.

ბოლოს სხვებიც გამოჩნდნენ.

დიდი ტურები, გაბურძგნულები, გაზუთხულები, მუცელდაბერილები. ზოგს ჩირქი სდიოდა, ზოგი მყრალი

ლეშის სუნს გამოყოფდა. თითო-თითოდ გროვდებოდნენ მათი ყველა საბრძანებლიდან, ბოროტად განზრახულ რიტუალზე მოწვეულნი. წრედ მოეწყენენ. მოწყალე თვალებს უჭყეტდნენ ხაფანგში გაბმულ ჭყინტს. უჭირდა ღვარძლიანობას თანაგრძნობად თავის მოჩვენება. მზარდი სიავე იჭრებოდა მათ მგლოვიარე გარეგნობაში. ფარული ნიშანი მიეცა, და მხეცებმა წრე შეკრეს. ერთის დრუნჩი მეორის კუდს ყნოსავდა. შეთანხმებით იწყეს წრეზე ტრიალი მოხდენილი ნაბიჯებით, საზეიმო მარშით, და არა სამგვლოვიარო მსვლელობით. დიდი აღტკინება იყო მათში. როცა სიხარული საზღვრებს გადასცდა და ორგიაში გადაიზარდა, მწყობრი აღლუმი დაიშალა და უწესრიგო ღრიანცელში გადავიდა. მაშინ გაიწელნენ ხმები სევდისა და გლოვის, სიცილისა და ლხენის ღამეში, მოციმციმესა და მოციალე, მოქვითინესა და მოკეკლუცე, პირმოთნე, გაგულისებულ, მაწყევარ, მგინარა, ათას წვეტიან ნამსხვრევად დაშლილ ღამეში. შუალამის პირს მოიღალნენ. იქნებ სასოწარკვეთას მიეცნენ დაღუპული პატარის გამო. ჩუმად გაიკრიფნენ თავ-თავიანთი სატანჯველისაკენ. ხოლო ღამე – მომთმენი კოლექციონერი, თავის თავში კრებდა ყოველივეს და ყველა კვალს რეცხავდა.

## VIII

მათათიაჰუ დამკოვი ტკბებოდა ამ დაყოვნებით. არც გალილას უცდია საქმეთა მსვლელობა დაეჩქარებინა. მათ შორის მშვიდი საათი ჩამოვარდნილიყო, თითქმის გულითადი. ციებიანი ხელებით ჩაჰფრენოდა გოგო სახატავ ტილოს და საღებავების ტუბებს ამოწმებდა. სანაქებო ნაწარმი იყო, ჭეშმარიტი მხატვრის აქსესუარები. „პაწაწაა, – ფიქრობდა მათათიაჰუ დამკოვი, – თოთოა, შეიძლება

ძალზე შეშინდეს.“ ყოველ წუთს აპირებდა სათქმელის ამონთხევას, რაც მეხის გავარდნა იქნებოდა. კვლავ და კვლავ ეწინააღმდეგებოდა საკუთარ თავს და ფეხს ითრევდა.

თავდავიწყებით, გატაცებით ჩაებღუჯა გოგოს კოხტა ფუნჯი, ტუბებისათვის სარქველები დაეძრო და ხატავდა აღფრთოვანებული. მიამიტობა მიედინებოდა ქალის სხეულიდან მამაკაცის სხეულში, ხოლო მამაკაცის სხეული წყურვილის ტალღებს აგებებდა ქალს.

ძილქუში მოულოდნელად დაეცათ. გალილას საღებავების ლაქებით მოთხუპნულ ფილაქნებზე გაშხვართულს ეძინა, გარშემორტყმული იყო ღია ტუბებითა და სანახევროდ შესრულებული ტილოებით. მათათიაჰუ მძიმედ ესვენა თავის საწოლზე, ხელები თავქვეშ შემოეწყო და ზმანებებს მოუხმობდა.

ზმანებანი ეპასუხებოდნენ მათათიაჰუ დამკოვს. მისი ბრძანებით მოდიოდნენ და მის წინაშე აცეკვდებოდნენ ხოლმე როგორც ფრაგმენტებად გაშვებულ კინოფილმებში.

რატომღაც მოუხმო მან მაინცადამაინც წყალდიდობის ზმანებას, ერთ-ერთ უმძიმესს მის საგანძურში.

თავიდან ხეობათა ხედი ჩნდება მთაგრეხილებში. ათობით ვიწრო ხევი სერავს ერთიმეორეს, როგორც კაცი წაეკიდება ხოლმე კაცს.

თვალის დახამხამებაში უამრავი ხალხი იყრის თავს. ჯერ პაწაწა შავი წერტილები ჩნდებიან მოულოდნელად, უჩინარი ხვრელებიდან და ნასვრეტებიდან ამორბიან. საოცარი სისწრაფით იზრდებიან წერტილები. ურიცხვი ადამიანი, გამხმარი და შავი, ნამთვრალევი ეშვება ხეობათა ფერდობებზე. აქ ათას თავად იტოტებიან და ღრიალით მოჰქრიან დასავლეთისკენ. უკვე ისე ახლოს არიან, რომ მათი ფორმის გარჩევა შესაძლებელია. უთვალავი აქოთებული, ჩაშავებული, ჩამოძონძილი, გაძვალტყავებული,

მოფუთფუთე ბაღლინჯოებითა და ტილებით გატენილი მასა საშინელ სიმყრალეს აყენებს. შიმშილი საზარელს ჰხდის მათ გარეგნობას. თვალები სიშლეგით აქვთ ანთებული. მათმა დინებამ დატბორა ნოყიერი და ნაკადულებით მაძღარი ველები. გადაიარეს თავიანთი მიტოვებული სოფლის ნანგრევები, წამითაც არ შეჩერებულან, დასავლეთისაკენ მოშლიგინობენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც გზაზე დაუდგებათ. ხიმინჯებს ძირკვავენ, ღობეებს ლეწავენ, ბაღ–მინდვრებს თელავენ, ფუთფუთებენ, დაძვრებიან, დახოხავენ, დაბრკოლებებზე მიცოცავენ როგორც მანჭია მაიმუნები.

უეცრად, განსაცვიფრებელი სისწრაფით მათ ალყაში ექცევი გაქვავებული. სამყაროს სიძულვილით არის ანთებული მათი თვალები. პირი დაფჩენილი აქვთ, მძიმედ სუნთქავენ, მოხრილი დანები ელვარებენ მათ ხელებში. გწყევლიან რისხვაში ჩამხრჩვალი წყეტილი ფრაზებით. მათი მყრალი, დამპალი კბილები პირუტყეული მუქარით მოშიშვლებულა შენს საპირისპიროდ. მათი წვირიანი ხელები შენს ხორცში იჩიჩქნებიან გამალებით, გაცხარებით. და შენ სიცოცხლის უკანასკნელ ნაპერწკალზე ჩამრთველს გადასწევ და აქრობ ზმანებას.

„ჩემო გოგო“, – ჩაიჩურჩულა მათათიაჰუ დამკოემა. მარჯვენაში აიტატა მთელემარე ქალიშვილი, თითნაკლული მარცხენა კი ბობოქარი ავხორცობით მოუთათუნა მხარზე. „მე შენ გადაგარჩენ, ჩვენ სამხრეთ ამერიკაში გავიქცევით, ჩემს ბიძაშვილ ლიონთან. მე შენზე ვჯავრობ ახლაც და მარადჟამს“.

ნელა იღვიძებდა გალილა, თითქოს ზღვის ზედაპირზე ტივტივებდა. ნეტარება იყო მის ხმაში. „დამანებე თავი, – კრუტუნებდა იგი, – მოგკლავს მამაჩემი, თავი დამანებე“.

„შენი მამა შენზე ჯავრობს ახლაც და მარადჟამს, –. სევდიანად გაიმეორა მათათიაჰუ დამკოემა, – მამაშენი

წაგიყვანს მყუდრო ალაგას“.

გალილა მძიმედ წამოდგა. ქვედაბოლოს ისწორებდა და გაუთავებლად ამთქნარებდა.

„არ მინდა ეს ყველაფერი, არ მინდა“. ტირილის ზღურბლზე იყო მისი ხმა. ბავშვური სიბრაზით აბაკუნებდა ფეხს ფილაქნებზე.

„მე შენთან აღარასოდეს არ მოვალ. შენ საშიში ხარ, საშინელი ხარ“.

„მე საშინელი ვარ, – ნაზად თქვა მათათიაჰუმ, – მაგრამ მე გიამბობ დედაშენის სიმხეცის შესახებ. ფაქ–ტიურად, შენ ის უნდა გძულდეს და არა მე. ის უნდა გძულდეს.“

გალილამ საჩქაროდ მიირბინა ფანჯარასთან, გამოგლიჯა იგი და თავი გარეთ გაჰყო. „იყვირებს, – შეკრთა მათათიაჰუ დამკოვი, – იყვირებს და აღარაფერი გამოვა.“ თვალებში სისხლი მოაწვა. გამხეცებული ებრდღვნა მას, წელზე მოეჭიდა, ტუჩები მის თმებში ჩაძირა, ყური მოუშიშვლა და უცნაური ღიმილით ჩასჩურჩულა.

## IX

შემოდგომის ჰაერის ცივი და სუსხიანი ტალღები სახლების კედლებს გარედან ელამუნებოდნენ და ნაპრალებს ეძებდნენ, რათა მათი საშუალებით შეეღწიათ. ეზოდან პირუტყვის ბღავილისა და მეძროხეთა ლანძღვის ხმა მოდიოდა. მათათიაჰუ დამკოვი ფილაქნებზე მიმო–ფანტული სახატავი აქსესუარების ასაკრეფად დაიხარა. გალილა ისევ მოღებულ ფანჯარასთან იდგა. მძიმედ შემობრუნდა და ფანჯრისკენ ზურგით, პირით ოთახისკენ დადგა.

„საეჭვოა, – თქვა ყრუდ, – თითქმის შეუძლებელია. ლოგიკურად ძალზე მცირე შანსია“.

მათათიაჰუ დამკოემა მას ეიწრო, მონგოლური თვალები გაუყარა. ახლა მისი სიმახინჯე სრული იყო, ჩანაოჭებული, ჩაშაეებული სიმახინჯე.

„მე არ გაიძულებ, – თქვა მან, – მე გავჩუმდები. იყავი საშკას ქალიშვილი, ფაქტიურად ასეც გმართებს“.

მოულოდნელად გალილამ გულიანად გადაიკისკისა. „სისულელეა, – თქვა ალერსიანად, – მე თეთრი ვარ, შემომხედე, თეთრი ვარ, თეთრი.“ მთერალი სიხარული იყო მის აღგზნებულ ხმაში.

„მე შენი არა ვარ, დარწმუნებული ვარ, რომ შენი არა ვარ. დარწმუნებული ვარ, მე თეთრი ვარ, ჩემთვის შეიძლება, ჩვენთვის შეიძლება, მე შემიძლია ახლა შენი ვიყო. თეთრი ვარ, მოდი.“

კაცი მას უცერემონოდ მივარდა. ქშენა–კვნესით ესწრაფოდა მის დაუფლებას, ბრმად მიიკვლევდა თავის გზას. სიჩქარეში ყავის მაგიდა გადააბრუნა. შესაძლოა ამ ხმაურმა მოიტანა ციება, ვიდრე მას მიეკარებოდა. ორივე აიტანა ციებამ, ორივე როგორც ერთი შეიპყრო ციებამ. მაგრამ მყის ელდანაკრავივით მოშორდნენ ერთმანეთს, თვალებგაფართოებულები მიაშტერდნენ ერთიმეორეს.

„მამა“, – წარმოთქვა გალილამ. მის ხმაში სხვა არაფერი იყო, გარდა განცვიფრებისა.

## X

ჩვენში აისი სიდიადის გარეშე დგება. უბრალო მგრძნობიარობიდან ჩნდება მზე აღმოსავლეთის მთების წვერებზე და მეკვლიერ სხივებს აგზავნის ჩვენი მიწე–ბისაკენ. არა სადღესასწაულო ბრწყინვალება, არა დი–დებული ნათლის თამაშობანი, მარტოოდენ სილამაზე – უბრალო და რაკრაკა.

თუმცა ეს უკანასკნელი აისთაგანია. შემოდგომა სწრაფად იკრებს ძალებს. ორიოდ დღეში გამოგვაღვიძებს შემოდგომის წვიმების გრუხუნის ხმა. შეიძლება თან სეტყვაც იახლონ. აისი კი დაბალი, მახინჯი დილის ღრუბლების ფარდის უკან შედგება. დილით ადრე ადგომას ჩვეულნი იხუთებიან მძიმე პალტოებში, ჩაჭე–დილები, ჩაკეტილები გიჟმაჟი ქარების გამო.

წელიწადის დროთა ცვლილება ბანალური საკითხია. შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. დროის დინებაში კანონზომიერების საყრდენის მაძიებელმა უმჯობესია თავი ღამეული ხმებისთვის ყურისგდებას მიაჩვიოს. ისინი ხომ არასოდეს იცვლებიან, არ ძალუძთ შეიცვალნონ. ისინი ჩვენკენ იმ ქვეყნებიდან მოემართებიან.

*ა. ბ. იეჰოშუა*

# გალკას ქორწინება

*ერთი კაცი საყვარელმა აიძულა ცოლად შეერთო. წავიდა ის კაცი და ყველა მამაკაცი შეყარა. ეისთანაც ქალი გათხოვებამდე დადიოდა, რათა მისთვის მისი გაბრწნილობა გაეხსენებინა. და საკუთარ თავზეც შური ეძია, რაკი ამ ქალის შერთვას დასთანხმდა. რა სძაგელია ის კაცი და რა სძაგელია ის ამბავი. მაგრამ მე, ჩემ თავად, კეთილად ერაცხ იმ კაცს და არც ის საქმე მეჩვენება ურიგოდ.*

*შ. ი. აგნონი*

## I

ეს ჩუმად შემომეპარა, ვიდრე თავს შეევამზადებდი. არ ვიცოდი, რა, როგორ და უკვე ბეჭებზე ვიყავი გაკრული. ვიგრიხებოდი, ვიხლართებოდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჩემი სისხლი მოსთქვამდა შეშინებულ ძარღვებში. ყველაფერი დაკარგული იყო.

გაზეთში განცხადება ერთი ციდა იყო:

„გალკა და დანი ქორწინდებიან. ავტობუსი გადის მთავარი გაჩერებიდან ნაშუადღევს სამ საათზე კიბუც სდოთ–ორში, ქვეყნის სამხრეთში.“

ამ ასოებმა შექმნეს ეს მწარე სინამდვილე, და არა გალკას ღრმა თვალებმა. ასოებმა, რომელთაც თავი მოიყარეს და ეს ბოროტება საბოლოოდ თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს, როდესაც გაზეთის ქათქათა ფურცელი მათ გამუდმებით ავედრებდა სამართლიანობას.

ავდექი. შინიდან გავედი და ახალ შენობათა ეზოებიდან ველზე გავედი. პატარა ქედზე ავცოცდი და ჩემს უცვლელ ადგილას, განმარტოებულ ზეთისხილის ხესთან

დავდექი. დამბიმებული თვალებით დავყურებდი სამხრეთის უბნებს, რომელთაც შუადღის მტრედისფერი ორთქლის საფენებში ახვევდა. დასუსტებულ მზის თვალს შემოდგომის შორეულ ღრუბელთა ნაგლეჯები ანაცრისფერებდა. სიცივეშეპარულ მიწაში სვევდა გუბდებოდა და თანდათანობით ქარდებოდა.

დიდ ხანს ვიდექი ფიქრის გარეშე, ვიდრე მოულოდნელად თვალები არ დაეხუჭე, მხრები უიმედოდ ჩამოვყარე, დამწვარი ზეთისხილის ხისაკენ შევბრუნდი და გაბზარული ხმით წარმოვთქვი: „ღმერთო ჩემო, ეს აღსასრულია.“

ხის კენწერო მსუბუქად შეირხა. მან სუნთქვა შეიკავა. ულონოდ გავაბიჯე ზეთისხილისაკენ და თავი დამჭკნარი ზეთისხილით დახუნძლულ ტოტებში შევრგე.

„დიახ, ბატონო, ეს აღსასრულია.“

ის მუდამ ემალებოდა ჩემს ტანჯვას.

დატოტილი ხის სილრმეში შევიჭერი.

„არა ებრაზობ, არა ვტირი..., – ხმა გამებზარა, – იცოდე მხოლოდ, ჩემო ბატონო, რომ მე ბედნიერების უკანასკნელ საფეხურზე ვარ, უკანასკნელ საფეხურზე“.

ის გასხლტა, შავ ზეთისხილში მიიმალა გამრუდებული და დადუმებული.

თავით მერქანს მივეხეთქე.

„გამენდობი? გამენდობი?“

მაგრამ ქარმა დაუბერა და გაფანტა ჩემი ღაღადი. ცერებზე შევდექი და თითების წვრილი წვერები ზეთისხილისაკენ გავიწოდე. შევეხე. დუნე ცა გამყინავმა კივილმა გააპო. ქალაქში შუადღის მატარებელი ბრუნდებოდა. სათამაშოსავით მოფრინავდა ყვითელ ტაფობში. მინდობილი თვალებით მივეჯაჭვე, ვიდრე გაჩერებაზე გაჩერდებოდა. სდოთ–ორი პატარა მეურნეობაა სამხრეთის დაბლობებში. შარშან ენახე იქ გალკა, მას აქეთ იქ არ ვყოფილვარ.

## II

ავტობუსების დაბინძურებულ გაჩერებაზე კაცმა არ იცოდა, სდოთ–ორისაკენ მიმავალი ავტობუსი სად იყო. გულბოროტი მძღოლები ერთიმეორესთან მაგზავნიდნენ, რათა ვერაფერი შემეტყო. გამსვლელ–შემომსვლელი დიდი ავტობუსების ბორბლებს შორის დავეხეტებოდი. ბრბოში, რომელიც გაჩერებაზე ირეოდა, არავინ ჩანდა გალკას ქორწილში წამსვლელი.

„სიზმარში ვარ, – იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, – არაფერი მომხდარა...“

მაგრამ განვაგრძე ბოდიალი უილავჯომ და უიმედომ.

„რას ეძებთ? – მეკითხებოდნენ, რადგან ჩემმა წინ და უკან სიარულმა მათ სიბრალული აღუძრა.

„სდოთ–ორში მიმავალ ავტობუსს“.

არავინ იცოდა, სდოთ–ორი რა იყო.

„ასეთი ავტობუსი არ არსებობს“, – ავტორიტეტულად ჭრიდნენ ჩემს წინააღმდეგ.

„დღეს გადის“. მიწისკენ ეხრიდი თვალებს.

„დღეს რატომ?“

„საგანგებოდ“.

„რა ხდება?“

„იქ ქორწილია.“

„ვისი ქორწილია?“

„ერთის“.

„ვინ ერთის?“

„დანის“.

„ვის ირთავს?“

„გალკას“, – ჩავიჩურჩულე.

„ვინ გალკას?“

სურდათ გაეთელათ ოგი თავიანთი მოწყენილი ფიქრებით, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მანქანას. ისევ მოვყევი

სადგურში ბორიალს.

სამი საათი იყო.

სასოწარკვეთილი გავუყევი აგურის ღობეს, რომელიც თეთრად დამტვერილ ავტოფარეხს ჰქონდა შემოვლებული. ნელა ჩავუარე ცხვირით კედლისკენ დაყენებულ დიდ ავტობუსებს. ლურჯი, ძვირფასი ავტობუსი იდგა უკანასკნელ რიგში. მისი ნაწილები ლაპლაპებდა მზის სინათლეზე. თვალი დავადგი და მისკენ გავწიე. აკანკალებული ხელი გადავუსვი მოელვარე ნიკელს.

დიდ ბორბლებზე ამაღლებულიყო ეს უსულო ქმნილება. მძიმედ ავცოცდი მის წინა დამცავზე, განაპირა სარკეს მოვეჭიდე. ახლა სანახევროდ ჰაერში ჩამოკიდებული ვიდექი და ავტობუსის ცხვირს ვეკვროდი. ჩემს თვალწინ გახელებული ვეფხვის წითელი რელიეფი იყო. ქალაქის მთელი ხმაური ჩემს ყურში დაგუდული გუგუნის კოშტად ქცეულიყო.

უცებ გამახსენდა და ტანში გამცრა.

ის მისია. ტუჩებს უკოცნის, მის პატარა ძუძუებს ლოშნის.

ის ვინ არის?

მოღრუბლულ ცას შევხედე.

რა შევცოდე, მოწყალეო უფალო.

თვალები დავხარე და ვხედავ მძღოლის საავარძლის წინ მინაზე განცხადებაა მიკრული, რომელიც დილის გაზეთიდან იყო ამოჭრილი. გაოცებისაგან თვალები გამიფართოვდა იმ პატარა ასოების დანახვაზე, რომელთაც მინის ცენტრში მოეყარათ თავი.

ისინი მე დამდევდნენ. მანქანას შემოვურბინე, მაგრამ კაციშვილი არ იყო გარშემო. ყოყმანით ავედი რკინის საფეხურებზე და ცარიელ ავტობუსში შევედი. ლურსმნის იატაკის ჭრაჭუნით ბოლო საავარძლებთან მივედი და დავჯექი. ყველა ფანჯარა დაკეტილი იყო. ჩემი ფანჯარა

გავაღე და არეულ სადგურს ულონოდ გავხედე. ნელა ჩამოვდე თავი საავარძლის სახელურზე.

რაღაც დრო გავიდა.

ხმაურმა გამაღვიძა, ავტობუსში პატარა ურჩხული ამოცოცდა. მტვერში ამოგანგლული არსება, რომელიც მოცახცახე ფესვებთან ერთად ამოეძირკვათ კლდეთა რაყიდან. მომწვანო სამგზავრო ტანსაცმელი ემოსა, დახუნძლული ჯიბეებით, თასმებითა და ბალთებით. ეს რთული სამოსელი საშინელი სიდიდის გამო ისე იხლართებოდა და იკუჭებოდა, რომ ქსოვილთა ნაკუწები ერთმანეთში იწვნებოდა და მსუქან ტანზე დასთრევდა, რომელსაც მოდრეკილი მერქანივით აესხა ყველაფერი.

თავი დიდრონი ჰქონდა, წინ წამოგრძელებული, შუბლზე – მოჭრილი ტოტის მაგვარი მწვანე კეპი მძღოლისა. თვალებზე მუქი სათვალე მოერგო ვიწრო და წაგრძელებული ფოთლის ფორმის ჩარჩოთი. მხარზე მძღოლის საესე ჩანთა მოეგდო, რომლის ძირითადი საფარი შეტრუსული და გამურული ტყავი იყო. დათვის ტორებივით ხელებში ნედლი ზეთისხილის გროვა ჩაებღუჯა. წამოგრძელებული პირში იყრიდა და ხარბად აფურთხებდა კურკებს გაკრიალებულ მინაზე.

ტკბილი ძილიდან გამოვერკვიე. თვალებს ვიფშვნეტდი, ხოლო ის საზიზღარი არსება უკვე მიგდებულიყო თავის საავარძელზე. ავტობუსის კარები დაიკეტა შეკუმშული ჰაერის ჭავლით. ძრავა მძლავრად გუგუნებდა. მანქანა ნელა დაიძრა. ურჩხული ავტობუსებს შორის თავხედურად იკაფავდა გზას.

„სდოთ–ორში მიდის?“ – ადგილიდან დავიყვირე. ამაოდ ვცდილობდი ძრავის გრგვინვა გადამეფარა. მაგრამ მძღოლს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. მტკიცე ხელით მართავდა მანქანას და იგი მთავარ ქუჩაზე გაიყვანა. ნელ–ნელა სისწრაფესაც მოუმატა.

ისე რომ მე მარტო ვიყავი. ძილმორეული თავი ფანჯრის რაფაზე ჩამოვდე, შემოდგომის ნიავი თვალებზე მელა–მუნებოდა.

გალკა ქორწილისაკენ... გალკას ქორწილისაკენ...

ჩემი ქუთუთოები კვლავ მიეწება აალებულ სახეს. უკან მოტოვებული ქალაქი ჩემს თვლემაში ინთქმებოდა.

## III

გავუდექით გზას მთებში მისვენებულ მზესთან ერთად. მთვლემარე თავი ფანჯრის ბადეზე მივდე. თვალების უპეებში მოლიელიევ ცხელი სინათლე მიდიოდა და სადღაც სივრცეებში იკარგებოდა. ხოლო პატარა ურჩხული, მდუმარედ ჩაფლული ღრმა საკარძელში, მთლიანად ჩაძირულიყო მინაში გარდატეხილ ციალში.

ქალაქის სამხრეთიდან გამოვედით გზით, რომელიც მთებს შორის მიიკლაკნებოდა. ჩვენს გვერდით ვიწრო ხეობაში შავი ძაფივით გრძელდებოდა რკინიგზა, ქრებოდა და კვლავ ჩვენკენ ბრუნდებოდა. ვეებერთელა ბორბლები ხარბად ნთქავდნენ ცარიელ გზას, მიხვეულ–მოხვეულს, აღმავალს და დაღმავალს მთებიდან სამხრეთის დაბლო–ბისაკენ.

თავით ხელისგულებს დავეყრდენი და ჩვენკენ მორბენალ გზას დავაშტერდი.

ამ რამდენიმე დღის წინ ჩამოყრილმა წვიმის წვეთებმა საამო სურნელებაში გახვიეს მთათა კლდოვანი კალთები. ტკბილი მოგონებანი იზიდებოდნენ ნისლის თხელ ვუალებში, რომელნიც მიწის თავზე ჩვენთან ერთად დალიელიევებდნენ.

რა დრო გავიდოდა მას შემდეგ, რაც მინდვრებს ფეხით გავიელიდი? რამდენი საათი დამჭირდებოდა, ვიდრე ბინდბუნდში მარტოკა ავუყვებოდი კიბუცის გზას?

ღმერთო ჩემო.

ღამეები ვენახის ზვრებში. საზმარი–ზმანება სამუშაო დღის ბოლოს, ნოტიო მიწაზე გადაჭიმული, სიწყნარეს დაწაფებული. გულში კი ყრუ გუგუნი ხმიანებს. ნუთუ ეს არის კერა, ეს არის ნავსაყუდელი? აფორიაქებულები კვალში ვსდევთ მათ, ვინც აქაურობას ტოვებს და ქალაქს უბრუნდება. ჩვენ ხომ აქ ყველასაგან მივიწყებულები ვართ.

ერთი მუჭა დავრჩით, მეურნეობაში კი ახალი კადრები მოვიდნენ – ეს უსასრულო წრეა და შენ უკვე ბოლო დღეებს ითვლი, აქაურობის მიტოვების საიდუმლოებასთან განმარტოებული. და აი, ახალჩამოსულ გუნდში არის გალკა, თხელი, ცისფერი. ცისფერი სპეცტანსაცმელი, ბრიალა ცისფერი თვალები. განმარტოებული. შეშფოთდებოდით, მთელი ქვეყნის სიმძიმე ვიწრო მხრებზე ეტვირთა. დაუდევარი, ტანჯული, მაგრამ სრულქმნილი სხვა სამყაროში.

მეხდაცემულივითა ხარ. მოულოდნელად პირისპირ ხვდები შენს სხვა ნახევარს, რომელიც იზრდებოდა, მწიფდებოდა სადღაც ბნელი და იდუმალი. იმ ქალს ეკუთვნოდა ის სიმღერები, შენ რომ გამღერევდა გულისხმიერსა და გულდამძიმებულს იმ თეთრ ღამეებში. ის იყო ღეროებშიც, შენს პირში რომ იფშვნებოდა თავთუხის მარცვლებად.

ილალას დაღმართს დავადექით. ახლა უკანასკნელ ფერდობზე ვეშვებოდით მზის მიმართულებით, რომელიც ღია ზეგანზე მთლიანად გამოჩენილიყო. მწვანე ურჩხული თითქოს საჭეზე ცეკვავდა, ყოველ მოხვევაზე მხიარულად დახტოდა. მზის წითელი მცხუნვარე ბორბალი სახეში სცემდა, ის კი მისდევდა, რათა მიკვროდა და მასში ჩაყურყუმალავებულიყო.

მაშინ ჩემს გაღვიძებულ გულს სიგიჟემ წამოუარა. ვიწრო სილუეტმა მთელი სამყარო გადაფარა. შორით ტრფობა იყო ქალის, ერთი სიტყვაც ვერ შევბედე.

უკანასკნელი დღეები აკანკალებული ხელებით მოვისთვალე მიეატოვე პაწაწა სახლები, ქედები, მიწის მწვანე ნადელები. თუ ტოვებენ, აღარც ბრუნდებიან.

ზმანებათა წელიწადი. შმაგ მოლოდინთა წელი. შებორკილი ვარ ჩემი სიყვარულით და უძლური ვარ მას სიტყვა ვუთხრა. ნამცეც-ნამცეცა ამბებით კუდში დავყვები მთელი მისი კურსებზე ხეტიალის მანძილზე. შეუპოვარმა და გულდაჯერებულმა მოულოდნელად დუმილი დავარღვიე და მას უცნაური მიმოწერა გავუბი. მერე ჩამოვედი მასთან სდოთ-ორში, მის უკანაკნელ სანავარ-დოში.

იქ, მის პატარა, აყრილ-დაყრილ ოთახში მოისმინა და დადუმდა შეძრული.

მისი სხვა ნახევარი მე არ ვყოფილვარ.

## IV

ცა გაიხსნა ჩამავალი მზისაკენ, ღრუბლებისაგენ გამოძერწვა იწყეს მომდინარე ალისფერმა ფიგურებმა. ავტობუსი გრძელი ჩრდილებით ავსებულიყო. ახლა უჯრებად დაყოფილ, განიერ ხეობათა შორის მივექანებოდი. აქა-იქ ყავისფერი, სურნელოვანი ნადელების საშემოდგომო ხვნა დაწყებულიყო. ზამთრის დღეები, გაზაფხულის დღეები, ზაფხულის დღეები ხმელ ნაწვერალში ჩანთქმულიყო, რომელიც ოქროსფერ შრიალა ხალიჩად განფენილიყო სიერცეებზე. სრული წელიწადი ჩაიელიდა, ჩაიყლაპებოდა ღვარად მომდინარე კვლების სიღრმეებში.

დიდრონი, აყვავებული ზეთისხილის ხეებით დაჩრდილულ ფართო გზაჯვარედინზე ბინდბუნდში ჩაძირული სამი სილუეტი იდგა და მიახლოებულ ავტობუსს ხელს გამეტებით უქნევდა. სამი ჭაბუკი იყო. ერთიმეორის მიყოლებით აჩქარებით გაჰკიოდნენ:

„სდოთ ორში მიდის?“

„სდოთ ორში მიდის?“

„სდოთ ორში მიდის?“

ჩათქვირულმა მძღოლმა მანქანა გააქროლა და ჟინიანად გადაჭრა მათი კივილი, რომელიც მის უკან შლეიფივით გრძელდებოდა. მაგრამ ცოტათი გასცდა თუ არა გზაჯვარედინს, მოულოდნელად გააჩერა მანქანა. ძრავა ჰქონდა გამორთული მოძრაობის მომენტში. ინერციით გაცურებული ბორბლების ჭრიალი მალევე მიჩუმდა. მანქანა გაჩერდა. მძღოლმა თავი საჭეზე ჩამოდო. სამეული, რომელიც უკან მიბრუნებული ერთად შეყუჟულიყო, ახლა გულისხეთქებით გამორბოდა გაჩერებული ავტობუსისაკენ. ფართხა-ფურთხით მოგვიახლოვდნენ და შეშინებულებმა დაკეტილ კარებზე დააბრახუნეს.

„ეს ავტობუსი სდოთ ორში მიდის?“, – ჰკითხა მათ შორის მაღალმა, პირქუში გამომეტყველების მქონემ ჩემს თავს, რომელიც ფანჯრიდან მოსჩანდა.

„დიახ“, – ჩავიჩურჩულე.

„გალკას ქორწილში?“ – დაუმატა აქოშინებულმა, ნათქვამის დასტურის მოლოდინში.

„ვინ გალკასი?“ – შორს დავიჭირე მისი კითხვა.

დანარჩენი ორი ამ დროს დაკეტილ წინა კარს ეჯაჯგურებოდა, ამაოდ ცდილობდნენ ჩამწყედეული ურჩხულის, საჭეზე დახრილი მეოცნების ყურადღების ღირსნი გამხდარიყვნენ.

„უთხარი, გააღოს.“ – შემომყვირა ერთმა.

მაგრამ მე უცნაური და შორეული ღიმილით გავუღიმე.

კვლავ დაუარეს თავი ავტობუსს, რათა გაქვავებული მძღოლი გამოეფხიზლებინათ. და აი, მოტორი დაიქოქა და მანქანამ ნელი სვლა იწყო. სამეული ავტობუსს გვერდით მისდევდა და გულმოსული კარებზე აბრახნუებდა. ასე გამოირბინეს გარკვეული მანძილი ყვირილითა და

ხელების ქნევით, ვიდრე მოულოდნელად შეკუმშული ჰაერის სტვენა არ გაისმა და უკანა კარმა დუნედ იწყო შელება. სამეული ერთი მეორის მიყოლებით შემოძვრა ავტობუსში და კიდეც მიიხურა კარები მათ უკან. ბრაზმორეულები და დაბნეულები შეჰყურებდნენ უცნაურ მძღოლს, რომელიც ახალი შემართებით უჯაერდებოდა მანქანას.

ცარიელმა ავტობუსმა ცოტა გააკვირვათ. მერე გვერდიგვერდ სკამზე დალ·ხდნენ, ჩემგან მოშორებით და ირგვლივ დაეჭვებულ მზერას ავლებდნენ. მათ მე ვერ მიცნეს, მე კი ვიცოდი ვინც იყვნენ.

ესენი გალკას საყვარლები იყვნენ: არდონი, იდო და ითი. მისი პირველი საყვარლები. სამეული ერთმანეთს ეკეროდა და უკვე ერთ ვეებერთელა სილუეტად ქცეულიყო. უცნაურია. სამივე უკვე დაქორწინებული იყო.

თავიდან, როდესაც ხურშათ ორანიმში გალკა და არდონი ყმაწვილები, სკოლის მოწაფეები იყვნენ, სიგიუემდე უყვარდათ ერთმანეთი. მას შემდეგ, რაც ქალმა ვაჟი მიატოვა, ვაჟმა ვენები გადაიჭრა. სისხლში ცურავდა, როცა ნახეს. სააქაოს კი მოაბრუნეს, მაგრამ გალკა არ დაბრუნებია. ვაჟი წავიდა და სხვა ქალიშვილებში ეძია გალკას, ვიდრე ერთ-ერთი ცოლად არ შეირთო.

იდო გალკას სკაუტი იყო, გალილეველი კიბუცელი. სალამოს შეკრებათა ცხარე დისკუსიების შემდეგ გოგოსთან ერთად ზღვის პირზე ჩადიოდა, იქ ენებიანად ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. როცა თავის კიბუცში ბრუნდებოდა, მოინდომა გოგოც თან წაეყვანა, მაგრამ ის არ გაჰყვა.

ითი ქარიშხალში მოვიდა. სადღაც შემთხვევით გალკას გუნდში მოხვდა. ლამაზი, საყვარელი ბიჭი იყო. ერთ ღამეს შორეულ სამუშაო ბანაკში გალკას დაეუფლა. გულში ფიქრობდა, რომ ეს ერთ-ერთი რიგითი, მის მიერ მონადირებული ·ქალი იქნებოდა, მაგრამ დილითვე

დაკოდილი იყო სიყვარულისაგან. ღამღამობით მიდიოდა მასთან და სულ უფრო იფიტებოდა. გალკამ წყურვილი მოიკლა და გაექცა მას კურსებზე, რომელიც ახალგაზ-რდულ კიბუცში მოეწყო.

იქ მე ვიყავი.

დიდი, სამთავიანი ქიმერა მაკვირდებოდა. ბნელი მზერანი ჩემსკენ დაფათურობდნენ ჩემს მოსახელთებლად. მხრებ'ში ავიწურე და გ'ხას დავაშტერდი.

ახლა ავტობუსი წყნარ დასახლებათა გაჩირაღდნებულ სივრცეს ასწორებდა. მოხნული მინდვრებიდან ღამის სუსხი მოდიოდა. სწორი ჰორიზონტისაკენ ცაზე მქრალი მტრედისფერის ნაშთი ინავლებოდა. დიდ დასახლებათა ოქროსფერი რკალის მიღმა აქა-იქ მეჩხრად ბუუტავდა ღარიბი შუქი. ეს იყო სდოთ ორი. მოხრილი მძღოლი ავტობუსს იქით მიმართავდა. მთელი ანთებული ვაკე, მოულოდნელად შეკრულ-შეკუმშული, ავტობუსს კვალში სდევდა. ავტობუსი ქედზე მოკიაფე სინათლეებისაკენ მიიკვლევდა გზას. მიხვეულ-მოხვეულ 'მარაზე შეევედით. უკვე მივუყვებოდით მოკლე ალმართს კიბუცისაკენ. მანქანა იჯაფებოდა ალმართზე, თუმცა მძღოლს სიჩქარე არ შეუცვლია. ძრავა ოხრავდა, ხვნეშოდა ტანჯვისაგან, მაგრამ მძღოლმა დაუნდობლად ჩაახრჩო იგი დამატებულ საწვავში. ანგარიშმიუცემლად უჯავრდებოდა ისევ საწყალ მანქანას, რომელმაც ცახცახი და სულის ღაფვა იწყო, ვიდრე საბოლოოდ არ ჩაქრა შუა ალმართზე. მისი დამუნჯებული სხეული ცოტა ჩამოგორდა ათავებული ალმართიდან.

საჭესთან ხმაური გაისმა და მე და ყველა დანარჩენმა წყვდიადი თვალებით გავსერეთ. ტანმოკლე მძღოლმა გვერდითი კარი გააღო და უმალვე ჩაიყლაპა ავტობუსის ბორბლებქვეშ, დადუმებულ მოტორ'ში.

ჩვენს თვალწინ იყო კიბუცის დიდი და მკაფიო

ელექტრონის შუქი. ტლანქად წამოვდექი ჩემი ადგილიდან და ხმაურით გავაბიჯე ცარიელ ავტობუსში. მივედი დაკეტილ კართან, თითებით გამოვქაჩე და გავაღე სამეული უკან მომყვა. შევუყევით ოთხეული ალმართს. მდუმარედ მივდიოდით, ვიდრე უცებ არ დამეყრდნო არდონი, თვალი თვალში გამიყარა და დინჯად წარმოთქვა: „შენ გალკასთან მიდიხარ?“

შავი ცარგვალი თავზე დამემხო. სამეულის პირქუშობამ მაგრად მოკუმული ბაგეები გამახსნევინა.

„დიახ“, – უხმოდ გამოვტყდი, მხოლოდ ჩემი ფეხსაცმელები ბაკუნობდნენ ტრასაზე. ისინი თვალით მზომავდნენ, ვიდრე მხრებიში არ შევირხიე.

კიბუცი ჩუმი იყო. ჩანდა, რომ წვეულების დრო იყო და ყველას ლხინში მოეყარა თავი. კაცს წაგაქცევდა, საქათმეებისა და ბოსლების ისეთი სუნი მოდიოდა. შორიდან ხმაური მოისმოდა და ჩვენც, როგორც ერთმა, იქით მივაშურეთ. სასადილოს სინათლე გამოჩნდა და ნაბიჯს ავუჩქარეთ. ფანჯრებიდან მონაღვარ შუქს მზერა გავუშტერეთ და ნელ–ნელა მივუახლოვდით. განიერ კარებს წიხლი ვკარით, ელვის სისწრაფით გავიარეთ მოკლე დერეფანი და სასადილოში შევიჭერით.

სინათლემ თვალი მოგვჭრა. ყველამ ჩვენ შემოგვხედა. საყოველდღიურად ჩაცმულები, მოღუშულები, კუთხეში ავიტუზეთ. უკანასკნელმა მხიარულმა შეძახილებმა ჭუჭყიან იატაკზე გაითქაფუნა და ჩვენს ფეხებთან ჩაკვდა. ათობით დამფრთხალი თვალი გვესობოდა. არავინ იცოდა, მე ვინ ვიყავი, მაგრამ სამეულს ყველა სცნობდა.

გალკა კუთხეში იდგა და დაქალს ესაუბრებოდა. თვალები მაგრად დავხუჭე. დავიწყებული სახის ყველა ნაკვთი, ყველა დაუდევარი მოძრაობა, სათაყვანებელი კვლავ თავს დამესხა და სული შემიგუბა. ღმერთო ჩემო, – ტიროდა ჩემი გული, – როგორ მიყვარს.

ცისფერი თვალები უცნაური დაბნეულობით მოავლო მეგობართა სახეებს. თითქოს იგრძნო, რომ ლხინი დასრულდა, ეიდრე ჩვენი ოთხეულის ნახვით თავზარი დაეცემოდა. სიტყვა ბაგეზე შეეყინა. თვალები ჩაუცვივდა, ჩაუმუქდა და სახეზე გადაფითრდა. ფრთხილად წამოიწია თავისი ადგილიდან, გამოიფრინა სასადილოში გამეფებულ სიჩუმეზე და მდუმარედ შეგვეგება ერთად მდგართ და თითოეულს თავის თავთან განმარტოებულს. წამით დაიბნა. არ იცოდა, ვისთვის მიემართა. ბოლოს მე მომაპყრო მზერა და მოვიდა ჩემთან, ყველასათვის უცნობთან. მე ხომ ერთადერთი ვიყავი ვისთვისაც მას არასოდეს მოელო წყალობა. უანგაროდ მიყვარდა. მსუბუქი ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი დამწვარმა და უსასოომ. მომაკვდავი ხმით წარმოთქვა: „რაოდენ სასიამოვნოა, რომ ჩემს ბედნიერებაზე მეწვიეთ“.

## V

მწვანე ვაზი ჩაწნული და ხშირფოთლიანი სასადილოს უკანა კედელზე იყო გადახლართული და მის ქვეშ გრილი ქვის სკამი იმალებოდა. ამ შრიალა სამალავში დავსხედით ოთხნი. ჩვენ ვხედავდით, და არ კი ვჩანდით, ზურგით კედლისკენ, რომელიც მოქეიფეთა ჟრიამულისაგან ყრუდ ირხეოდა.

მწიფე და სავსე, მთვარე ამოდიოდა, მთელს ცას სინათლის ნაზსა და ფაფუკ, რგოლებს აბერტყავდა. მამლის შორეული სუსტი ყივილი არ წყდებოდა.

სამეული ჩემს გვერდით იჯდა დამუნჯებული და დაძაბული. თუმცა შეინიშნებოდა, რომ ერთმანეთს ხეირიანად არ იცნობდნენ, იყო რაღაც ფარული, რაც მათ სამივეს აღელვებდა. სამივე ჩუმად უთვალთვალებდა ვიწრო ბილიკს, რომელიც დაღმართზე ეშვებოდა,

სასადილოდან ჩაბნელებული კიბუცის სახლების მიმართულებით. დიდმა დრომ გაირბინა. უკვე თავდაჭერილი სიჩუმე გამეფდა სასადილოში და ქალიშვილთა ქოროს მსუბუქი გალობა მდორედ მოირწეოდა. დრო და დრო ერთ–ერთი გუნდის გულიანი სიცილი გავარდებოდა ხოლმე და კელავაც სიჩუმე ჩამოვარდებოდა და სევდიანი გალობა მეორდებოდა.

სახეზე ხელებს ვითათუნებდი.

სიჩუმე. წამკითხველმა ძველისძველი საქორწინო საგალობლები წარმოთქვა წყვილის პატივსაცემად. გაჭიმული, სადა სიტყვები. წამკითხველის მხურვალე ხმის სიმაღლემ აღავსო კეთილსურნელოვანი და მათრობელი ღამე.

თვალებზე ლიბრი გადამეკრა. გაურკვეველმა ხმებმა, რომლებიც თხელ კედელში აღწევდნენ, სმენა წაიღეს. მინდოდა რამე გამეგო, მაგრამ ჩემი განწირული მცდელობა თავბრუს მახვევდა. დაღლა დამეტყო. ჩემი თვალსაწიერიდან კიბუცის პატარა სახლები იშლებოდნენ. დრო მიღოღავდა ჩემს თავზე გაშლილ ცაზე, ხოლო ესენი – ჩემს გვერდით, სრულიად უცხონი იყვნენ მძიმე სუნთქვითა და მშვიდი მოლოდინით. რული მომერია და თავი მკერდზე ჩამომივარდა. მინდოდა მეფხიზლა და თვალი სავსე მთვარეს გავუშტერე, რომელიც ერთ ადგილას დაცურავდა თავისთვის. მაგრამ ყვითელი მდინარე თვალის კაკლებზე გადამეფარა. კელავ ჩამთელიმა, შემკრთალს გამომეღვიძა, ისევ რული მომერია. ფეხები მომწყდა ქვემოთ, ხელები მომეშვა. დიდი მთვარე დარონინებდა ჩემს ზმანებებში. და არ ვიცოდი, ეს ის მთვარე იყო, ჩემს წინ რომ იყო, თუ სხვა, უცხო მთვარე. თვალდახუჭული ეჭვრეტდი ცისა და ცის კამარის ხილვებს. ძილქუშის ცივ ქსელებში გახვეული ვიღვიძებდი და სამეულის მოელვარე თვალებს ვეძებდი. ესენი – შეუპოვარნი, ჩუმი და ჯიუტი მოლოდინით,

სიბრალულით უცქერდნენ ჩემს თვლემას.

ახალი ქარი, რომელმაც ძილში შემანჯღრია, დაშლიგინებდა ეაზის ფოთლოვანში. დიდრონი მტვერიანი ფოთლები სიბნელეში ჩემი სახის წინ ირხეოდა როგორც მოჯადოებულ სამყაროში. სიცივე თახთახებდა ჩემი სხეულის ნაწილებში, რომელნიც ჩემს შლეგურ ძილში ხურდებოდნენ. თავი უღონოდ ჩამომიეარდა ერთ–ერთი გვერდზე მჯდომის თეძოზე. დროდადრო ვსწორდებოდი, ბრმა და მთვლემარე, და კვლავ თეძოსაკენ ვეშვებოდი დაფეთებული.

რა დრო გავიდა? სად ვიყავი? სად იყო გალკა? კედლის უკან, იქ არის ის. კედელი სად არის? ის დღეს თხოვდება. აქ რა მესაქმება? რატომ ვარ ასე გაშხლართული? როგორ დავუკავშირდი ამ სამეულს? რას ელოდებიან ისინი?

საათის მანათობელმა ისრებმა აჩვენეს, რომ შუაღამეს უკვე გადაევლო. სასადილოს კარი გაღებულიყო, იღვრებოდა შუქის ჭაელი და მხიარული კისკისი.

ლანდმა სწრაფად იწყო დაშვება დაკლაკნილ ბილიკზე. სამეული ადგილიდან წამოიმართა მოხრილი და იჭვნეული და კვალში მიჰყვა ლანდს. მეც მათ ავედევნე.

ახალგაზრდა ჭაბუკი იდგა იქ და პერანგს იცვლიდა. ჩვენს დანახვაზე ხელები ღილებზე შეაცივდა.

## VI

თვალებით შევჭამე. დანი მე ვიყავი. სიზმრებში ვიყავი. ფართოდ გახელილი თვალები ჰქონდა, გრძელწამწამებიანი, თმა ვიწრო შუბლზე სცემდა, რომელსაც ხელის სწრაფი მოძრაობით უკან იყრიდა ხოლმე. სახის ნაკვთები – ტლანქი, ჯანმრთელი. ღრმა სიმშვიდეს აღევსო ისინი. ამაოდ ვეძებდი საოცრებას.

კარი თავაზიანად მიხურეს. დინჯად მიუახლოვდა მას სამეული, ყოველი მხრიდან გარსშემოერტყნენ, მოწყურებული თვალები მიაბჯინეს.

„შენს გასაცნობად მოვედით“... ჩაიჩურჩულა იდომ ოთახში ჩამოვარდნილ სიჩუმეში.

ტყვის ბაგეები დაბნეულის წამიერმა ღიმილმა გააპო. მაგრამ სამეულის პირქუშმა სერიოზულობამ სიცილი ჩამორეცხა. წრე შეიკრა მის ირგვლივ.

„შორი გზა გამოგვივლია ჩვენ სამს გალკას ქმრის სანახავად... გალკასი არა...“ დაუმატა იდომ დამღერებით.

დანიმ გაკვირვებით გამომხედა, რატომ გამომაცალკევეს იქ ოთახის კუთხეში პირქუში და ალესილი. როგორც ყველამ, მანაც იცოდა ეს სამეული ვინ იყო, მაგრამ ჩემს შესახებ არაფერი სმენოდა. გალკას ჩემი არსებობის შესახებაც კი დავიწყებოდა ეამბნა.

„მოვსულვართ, რათა ვნახოთ, თუ ვინ არის უკანასკნელი“, – ჯიუტად განაგრძობდა იდო მკაცრი გამომეტყველებით. ორნი მის გვერდით ჯერ კიდევ მუნჯები იყვნენ. „მოვსულვართ, რათა ვნახოთ, თუ ვინ რჩება მასთან.“

დანის თვალები წამით შეკრთა, მაგრამ მაშინვე დაუბრუნდა ღრმა სიმშვიდე. დავინახე, როგორ შეერია ეს სიმშვიდე მისი შავგვრემანი სახის ნაჭდევებში. იდო მსუბუქად დაიძრა მისკენ. მიუახლოვდა და აღელვებულმა უჩურჩულა: „ქორწინების ღამეს ჩვენთან ერთად იქნები“. ცოტა დაახანა და დაურთო: „აქ დავსხდებით შენთან ერთად ყველანი“–

სიყვარულის ტალღამ გული მომილბო იმ ადამიანის მიმართ, ვინც იდგა იქ ნაცრისფერი, მორცხვად თავდახრილი. ის წინააღმდეგი არ წასულა, მხოლოდ მოკრძალებული მზერა მიაპყრო სამეულს, რომელიც გარს შემოხვეოდა და მწუხარებით აღვსილი ხმით წარმოთქვა: „ის კიდევ უყვართ...“

იდო სიბრაზისაგან წამოენთო.

„არა“, – თქვა გადაჭრით და გამქირდავად მოლრიცა სახე. „ის დავივიწყეთ. ოლონდ მწარე წყენა კი დაგვიტოვა– მისი ღამეები უკვე აიზილა სხვა ღამეებში, მაგრამ ჩვენი დაჭრილი სიამაყე...“

ჩემმა თვალებმა არდონის მკლავზე მახინჯი ნაიარევი დაიჭირა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ, როგორც ერთი, მისცვივდნენ, შარვალზე მოეჭიდნენ, პერანგში ეცნენ და იატაკს ცოტა ააცილეს. ფეხები ჰაერში უქანავებდა, მაგრამ სიმშვიდეში რჩებოდა, დაბალი და თეთრი, ფართოდ გახელილი თვალები მიეპყრო მათთვის. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ მისი საქორწინო პერანგის ხმა არღვევდა, რომელსაც სამეული აგლეჯდა. ფაქიზად აიტაცეს და უხმოდ მოიფრინეს საწოლზე, საქორწინო საწოლზე. მერე როგორც მძიმე ავადმყოფს დაადგნენ თავზე და გარსშემოერტყნენ.

ის იქ უძრავად იწვა, უზომოდ კეთილი გულითა და გაცისკროვნებული სახით დამორჩილებოდა თავის შესაშურ ბედს.

ითი დაიხარა მასთან, სახეზე გულდასმით დააკვირდა: „არა ხარ ლამაზი, – ნაღვლიანად დაადგინა, – ტლანქია შენი სახის ნაკეთები“...

მაღალ–მაღალი არდონიც მოიკეცა მწოლიარეს თავთან: „ჭკვიანი არ ხარ...“

ტანმორჩილი იდო დანის გადააწვა, თავი მკერდზე დაადო, მის გულისცემას ისმენდა. „შენ ჩვეულებრივი ხარ...“ თქვა მოჩვენებითი გაკვირვებით, – „შენ არა ხარ განსაკუთრებული...“

არდონმა ნაიარევი ხელი თმებში შეუცურა დანის, სიბრალულით ეფერებოდა. „ხედავ განა ყველაფერს, რაც მას სურს დაინახოს?“

დანის კრიჭა შეეკრა სასოწარკვეთილს.

„განა შენთან მას ყველაფერი ესმის?“

„როგორ არ მიგაგდო, ისათლა თუ არა? როგორ არ გაგექცა თავის უცნაურ ოცნებებში?“

არდონმა მოფახურე წამწამებზე გადაუტარა დანის ნაკერებით სავსე ნაიარევი.

„უბედურიც კი არა ხარ, რომ მას მოსწონებოდი“. და აქ წყნარი ხმით დაუროო: „და შენ აგირჩია თავისი შვილების მამად?“

მისი გრძელი თითები დანის ყელზე დაეშვა, ნაზად ახრჩობდნენ. იდო უკვე მთლიანად გადაკეროდა მწოლიარეს. ტანით ეწებებოდა.

„შეუძლებელია მას შებრალებოდი, – ბურტყნუებდა დანის სხეულში თავჩარგული, – მან არ იცის შებრალება...“

დანის შიშით აღვსებოდა თვალები.

თითქოს დაბრმავდნენ მოულოდნელად, სამეულმა ხელისცეცება იწყო. ხელებს იწვდიდნენ მის მოსახელ-თებლად. მდორედ დაეშვნენ მათ ქვეშ გართხმულ სხეულზე მოქანცულები იგრიხებოდნენ ამ ტანზე. ერთ გორგალად ქცეულიყვნენ, რომელიც ხოხავდა და გორავდა საწოლის ზურგზე. დანი კი იგუდებოდა სადღაც მათ ქვემოთ ჩაკარგული.

„ისინი მას მოკლავენ“... – ვხარობდი ჩემს კუთხეში.

მაგრამ მან უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, დაუძვრა მარწუხებს, რომლებიც შეუბრალებლად უჭერდნენ და ოთახის შუაგულში გამოიქცა – თმაგაწეწილი, პერანგ-შემოხეული, ჩამოგლეჯილი ტანისამოსით, ყელზე არდონის ნათითურები ემჩნეოდა. შეხედა სამეულს, რომელიც ერთმანეთში გადახლართული საწოლის ზურგზე დარჩენილიყო. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

„შემიბრალა...“ გაიხსენა და გესლიანი სიცილი წასკდა. „ის მე შევიბრალე.“

სამეული ადგილზე გაქვავდა, მე სისხლმა ამომასხა

– „ტყუის.“

დინჯად მიეუახლოვდი. სიმთვრალე თავში ამივარდა.

„მე გთხოვე ცოლად შეირთე–მეთქი?“

წინ დავუდექი. თვალები აებნა უცხოს დანახვაზე, უკან დაიხია და აბურტყუნდა: „შენ ვინა ხარ?“

და უფსკრულში გადაჩეხილმა იქვეინურად დაურთო: „რამდენიმე ღამე მოგცა და გაგექცა?“

ჩემმა მარჯვენამ მის მოსაკლავად გაიწია. უეცრად გამტკიცდა იგი, სასოწარკვეთილი. სახეში სილა გავაწანი, ისე რომ ერთიანად დავუწითლე. მძიმე მუშტებით დავუწყე ცემა. თავის დაცვა არ მოუნდომებია. ის მიხვდა. დარტყმებმა მოკეცეს, მუხლებზე დაეცა და უხმოდ მომეხვია ფეხებზე. ეურტყი და ეურტყი გასისხლიანებულ სახე'ში, რომელიც ჩუმად ქვითინებდა, ვიდრე ჩემს ფეხქვეშ არ გაიშოტა დადუმებული.

სამეული სიზმარეული თვალებით მიმზერდა.

ოთახში გალკა შემოიჭრა. ზღურბლთან შედგა გაქვავებული და ქმარს დააშტერდა ჩემს ფეხქვეშ გაგდებულს, ნაცემსა და სისხლში ამოსვრილს. მისი თვალები იატაკიდან უმზერდნენ ქალს და ნაგვემ პირსახეზე მსუბუქი ღიმილი გამოესახა. მან გაჭირვებით მოიწმინდა პირიდან წამოსული სისხლი, შეეცადა წამომართულიყო, მაგრამ ძალამ უმტყუნა. ტუჩები ქალს ეუბნებოდნენ: „როგორ უყვარხარ მათ...“

წყნარი, საკვსე მზერა გაცვალეს ერთმანეთში, სიყვარულით შეეწებნენ მათი თვალები. უეცრად დანის თვალებში გალკას ის ჩაძირული მზერა დავინახე, უცხო, გულში ჩამწვდომი ნაპერწკალი. დანი გალკას ეკუთვნის, გალკა – დანის. უკვე დაწყვილებულიყვნენ სხვა ცხოვრებაში. მათ მხოლოდ მონახეს ერთმანეთი, რათა კვლავ შეერთებულიყვნენ.

მე სად ვიყავი მაშინ?

გაქცევა მინდოდა. სახე ღამისაკენ მიეაქცია, ღია კარში რომ მოსჩანდა. ყველა სიბრალულით მომაჩერდა. დანი შეეცადა თავისი საწოლიდან ამდგარიყო, სამეული მისაშველებლად მივარდა. გალკა კი უკან გამოიქცა.

## VII

გავედით ჩვენ ორნი ბნელ ღამეში. უბრად მივდიოდით. მინდოდა მელაპარაკა, მაგრამ მისი სიჩუმე კრიჭას მიკრავდა. კიბუცის გარეთ გამიყვანა. ძლიერი იყო და მტკიცე. სურდა შუა მინდორში მივეტოვებინე, იქ დავეგდე.

ცისფერი კაბა ტანზე მოშვებოდა. ჩალისფერი თმა ენების ნიაღვარივით ეშვებოდა მისი ლამაზი, უკარება სახის გვერდებზე. თეთრი ჩულქები სიბნელეში ანათებდა, ადი-ჩამოდიოდა მისი სულზე უტკბესი ფეხის ნაბიჯებთან ერთად, რომელიც ჩემს ჩრდილს თელავდა. მტვრიან გზაზე გამიყვანა კიბუცის ღობის მიღმა, ადგილზე გაჩერდა, თავი დახარა და წყნარად თქვა: „აქედან პირდაპირ ტრასისაკენ მიმავალი გზაა".

ადგილიდან არ დავძრულვარ.

„მშვიდობით", – წასასვლელად შებრუნდა. მოუხეშავი, მდორე, დაფიქრებული ნაბიჯებით.

მდუმარედ ვიდექი ერთ ადგილას დარჭობილი. ის ნელა მშორდებოდა, მაგრამ მოულოდნელად თავი უკან მოაბრუნა ჩემს დასანახად. და როცა დამინახა ფეხმოუცველელი, სახით მისკენ, შეებრალენ და ჩქმკენ გამობრუნდა. თვალები ცრემლებით მქონდა სავსე. მოვიდა და ჩემს წინ დადგა.

„ღვთის გულისათვის, წადი."

„მე შენ მიყვარხარ."

ტკივილი გაკრთა მის თვალებში.

„მე შენ მიყვარხარ, – ჯიუტად ვიმეორებდი, – მე შენ მიყვარხარ.“

ის უკან დაიხია.

შიშმა ამიტანა. სისხლი ჩემი სულის ცარიელ ჭებში გადაიღვარა და იქ უფსკრულებში ჩაიკარგა. გაშმაგებული გადავხტი გზიდან ეკლიან მინდორში და ჩავიჩურჩულე: „აქ დავიდგამ კარავს...“

შეშლილი ხელებით ვუჩვენებდი მას კარვის სიდიდეს.

„დიდს არა, გალკა, მაგრამ მე იქ ვიცხოვრებ.“

მთვარეულის ნაბიჯებით გავიქეცი. მოვიტანე ვეებერთელა ქვა და კარვის ზღურბლად დავდე. „ამ ქვაზე დავჯდები. დღე და ღამე ვიჯდები გულხელდაკრეფილი და ქედს მივაჩერდები“.

ქვაზე დავჯექი, გულხელი დავიკრიფე და მოციალე სინათლეებს მივაშტერდი.

„ქვა ხვიარას გამოიბამს. ხვიარა გრძელი და წვრილი იქნება. ის მე დამფარავს, ჩამეწნება და ჩემიდან იხარებს.“

მოულოდნელად მისკენ მიებრუნდი და ჩავილუღლუღე: „ვერავინ დამადანაშაულებს, ვერავინ დასდებს ბრალს ჩემს სიყვარულს.“

ვიწრო სილუეტი მუხლებზე დაეცა გატანჯული.

მკლავები ტანზე შემოვიხვიე, თავი მხრებში ჩავრგე.

„ის მოკვდება, ავარიაში... მძიმე ავადმყოფობით... ბუნებრივად... და შენ მე დამრჩები.“

ბაგე გაპობოდა. თვალები დაეხუჭა.

„მე შეტყობინებას დაველოდები. ტანჯული ვიქნები, ვიღრე თეთრ ქვებად არ მექცევა თვალები. მაშინ მოვლენ სათქმელად: „შენი გალკა მოდის შენთან. ქმარი მოუკვდა, ყველა საყვარელმა დატოვა. ის ეშვება... მოდის... მოდის...“

„ღღეს ჩემი ქორწილის დღეა, – თავისთვის ჩაიჩურჩულეს მისმა ბაგეებმა, –

ჩემი ქორწილის დღე...“

ავდექი. ხელები ჩემს გახნუებულ შარვალში ჩავიწყე. რწევა–რწევით მივუახლოვდი. თვალებით ვეჯამდი მის ლამაზ სახეს.

„მე– ყოველთვის კეთილი ვიყავი.“

ბაგემდუმრიად, კულულებიანი თავით დამიდასტურა.

„არასოდეს მომითხოვია ის, რაც ჩემი არ ყოფილა.“

მივუახლოვდი. ჩემი ვნებამორეული სუნთქვა ეალერ–სებოდა საყვარელ სახეს.

„არასოდეს გამიწოდებია შენსკენ ხელი, გარდა მისალმებისა.“

ორივე ხელი გავიშვირე მისკენ. მის თეძოებს მოვეხვიე. თხელი სხეული, მწველი და ფაფუკი აფარფატდა ჩემს ხელებში. თავი დავხარე და ჩავიჩურჩულე: „ჩემს ტუჩებს არასოდეს მიკარებიხარ, გარდა სიზმრებისა“.

კოცნა აღვებეჭდე მის თვალებზე.

ის ჩემს მკლავებში ფრთხიალებდა.

„ძმაო... ძმაო... ამბობდა სულშეგუბებული და მისი თითები გამალებით ხნავდა ჩემს თმებს. ხელებზე დავწვდი. სათითაოდ დავუკოცნე. მის თითზე საქორწინო ბეჭედმა გაიბრწყინა. დაღლილი კბილები ჩავუჭირე ოქროს თხელ სალტეს. რაღაც ჩემზე აღმატებული ჰკიოდა მთელს ჩემს სულში. „გალკა, ჩემო გოგონი... ისინი სამივენი დაბრუნდებიან და მათ მომლოდინე ცოლებს ჩააკოკლოზინებენ, მე კი ხმელ ზეთისხილის ხესთან დაებრუნდები სიკვდილისათვის.“

სახე ცრემლებით ჰქონდა დანამული. უცებ საშინელი სისუსტე მომერია. ხელი გავუშვი, კვლავ დიდ ქვაზე დავჯექი მდუმარე. „კმარა...“ თვალები დაეხუჭე, და როცა გავახილე, დავინახე, რომ ის ჩემთან იდგა. ისევ ჩაექინდრე თავი.

## VIII

გალკას მოხრილი გამოსახულება გაუჩინარდა ქედის თავზე, რომელზეც სინათლეები ციმციმებდა, მე კი ვარსკვლავების სინათლის ამარა დავრჩი. ვაკეზე ქარი დაზუზუნებდა. აკანკალებული ქვაზე ჩამოვჯექი.

„მუდამ... ვიდრე მიწად იქცეოდეს ჩემი ხმელი ხორცი.“

ნაქერალი არ მიბრალებდა. მარტოდმარტო მოშარი-შურობდა ჩემი ფეხები გამხმარ ღეროებში. მინდოდა მეხეტიალა, წრეები მეხაზა უცხო გარემოში, რომელსაც ფერმკრთალი მთვარე ანათებდა, მქრქალი და განსაც-ვიფრებელი, ფაფუკ ხაზებში ჩაკარგული.

ჩემს პირდაპირ ბილიკზე რაღაც ჩაშავებულიყო. თვალები დავძაბე გასარკვევად, და მაშინ დავინახე ავტობუსი, რომელმაც მე ჩამომიყვანა. ფეხებმა მიღალატეს, ისევ აიბლანდნენ შარაგზის ფქვილივით მტვერში. დაბნეულმა სწრაფად გავაბიჯე მისკენ. თავბრუ მეხვეოდა. ასე გავიარე რაღაც დროის მონაკვეთი, მაგრამ მანძილი ჩვენს შორის არ მცირდებოდა. უცებ აღმოვაჩინე, რომ ავტობუსი ნელ-ნელა წინ მიიწევდა, ჩაბნელებული შარაგზის სიგრძეზე.

გავიქეცი რომ მიმესწრო. ახლა უკვე ეუახლოვდებოდი. ვინთქმებოდი ძრავის დუდღუნში, რომელიც უკან ზოლად დასთრევდა და არღვევდა ვაკის მყუდროებას. ეტყობოდა, რომ ავტობუსიც თანდათან უმატებდა სვლას. შუბლზე ოფლი მასხამდა, გამშრალ ცრემლებს ეპკურებოდა. დაქან-ცულობისაგან ფეხები ჩერდებოდნენ. ყვირილს მოვყევი. ჩემი ყვირილი ჩემს უკან გავარდა, სივრცეში ჩაიკარგა.

„ბატონო მძღოლო. ბატონო მძღოლო.“

მაგრამ ბნელმა ბელტმა, ჩემს წინ რომ იყო, დანამულ სახეზე თეთრი კვამლი შემომაბეთქა.“

„გააჩერე.“ – ცას შევყვიროდი და მთელი ჩემი

დამსხვრეული გულის გაგულისებით მივილტვოდი და ერთ-ერთი უკანა ფანჯრის გისოსებს ჩამოვეკიდე. ავტობუსი გაჭენდა. სხეული დამეჭიმა. ფეხები მიქანავებდა და ძირს ეხეთქებოდა.

„მოიცადე, მოიცადე...“ ვხრიალებდი.

ფანჯარაში გადაძრომას ვცდილობდი, მაგრამ მოღლილი და შეშინებული მკლავები ჩამომეყარა. მთელი იმდღევანდელი ჭაპანწყვეტა ჩემს თვალებში იყო ჩაკერილი. უეჭველად დამაწყდებოდა ხელები. თავი ზემოთ ავწიე და ნიკაპი ჩამოვდე რკინის ხარიხაზე. მტკივანი ხელები შიგნით შევყავი. სავარძლის სახელურებისაკენ ვაფათურებდი ხელებს. ასე შევძვერი ფანჯარაში, თავი შიგნით, ხოლო ფეხები გარეთ მქონდა გამოშტიმული. ავტობუსი ირწეოდა, გააფთრებით მებრძოდა, მაგრამ ჩემი სახე უკვე დაეშვა სავარძლისაკენ, და სველი ტუჩები სკამის ტყავზე გაცურდა.

ავტობუსმა სიჩქარეს უმატა.

„ბატონო...“ ვჩურჩულებდი ნაწამები, პირქვედამხობილი უკანა სკამიდან. თავზე სისხლი ჩამომდიოდა, ფეხები ფანჯრის გისოსებში მქონდა გაჭედილი. გაჭირვებით გავითავისუფლე ისინი. აქოშინებული დავეცი რბილ სკამზე.

ავტობუსი მთლად ჩაბნელებული იყო, მხოლოდ პატარა წითელი ნათურა კიაფობდა საჭესთან სპიდომეტრებს შორის. მძიმედ ჩამჯდარიყო. იქ ბნელი ქიმერა, მტკიცე და ულმობელი. გადაპარსულ თავზე მძღოლს ქუდი გვერდზე მოეგდო. გზად ხეთა იდუმალი ჩრდილები რბოდნენ და ავტობუსის სიგრძეზე ფერად განცხადებათა ფირნიშებში იკარგებოდნენ. დაოსებულ ფეხებზე წამოვდექი და გავაბიჯე. მივლასლასებდი ცარიელი სკამების გრძელ რიგში. მივედი და დავადექი დამუნჯებული, განიერი და საესე ზურგს უკან, რომელიც ირწეოდა და დიდი

სავარძლის ბადიდან გადმოდიოდა.

ოდნავადაც არ უნიშნებია, რომ ჩემს იქ ყოფნას გრძნობდა. მისი თვალები მუქ სათვალეში ბნელ გზას იყო მიშტიმული. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ავტობუსის ფარები ჩამქრალი იყო და ჩვენ მზარდი სიჩქარით ვასწორებდით გაფუჭებულ გზას. კიელი ყელში ბურთივით მქონდა გაჩრილი.

გზა ალბათ კარგად იცოდა, რადგან ავტობუსი სიბნელეში მიფრინავდა, მზადყოფნაში ყოველი მოსახ–ვევისათვის. მაგრამ თანდათან კარგავდა მართვის სადა–ვეებს, და მეხსიერება ღალატობდა. ხანდახან ტყუილად უხვევდა და გვერდებზე ცურდებოდა. მიხტოდა ამხელა ავტობუსი თხრილებსა და ორმოებზე, ცოტაც და დაიშლებოდა.

„გადავბრუნდებით“, – შიშით დავყვირე თავზე.

მაგრამ მან არა უწყოდა, მე თუ ვარსებობდი.

აკანკალებული ხელი ბეჭებზე დავადე, მაგრამ მას არაფერი უგრძვნია. მთელი ყურადღება მანქანის მართვაზე ჰქონდა გადატანილი და ხელები მაგრად ჩაეჭიდა ბრჭყვიალა საჭისათვის.

„არ გააგრძელო.“ – ვწვდი მის ვეებერთელა და მდოვრე ხელს. მაგრამ ის არ განძრეულა. მსუქანი და ფაშფაშა გამეტებით მიერეკებოდა მანქანას. სასოწარკ–ვეთილმა გახურებული ხელი დავუკაწრე, მძიმე ზურგი დავუჩმიტე, მან კი ხელის ერთი აქნევით იატაკზე მომისროლა.

„შენ ჩვენ დაგვხოცავ, მძღოლო.“ – ვჩიფჩიფებდი გამწარებული.

ხელები სიჩქარეთა გადამცემ ყუთზე ჩამოვყარე. მინდოდა რიჩაგი გადამეწია, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი. პედლებისაკენ გაებობღდი, მაგრამ მისი ფეხები რკინის ლუგვებივით იყო – მოკლეები და რეგულატორს დამუქრებულნი.

კბილებით ჩავაფრინდი ამ კუნძებს, მაგრამ იგი ყოველგვარი გრძნობის გარეშე მიაგელვებდა გადარეულ მანქანას, რომელიც გზის კიდეებზე მიჯაყჯაყებდა.

„ბატონო მძღოლო..., – ვქვითინებდი მის ფერხთით წყვდიადში ულონოდ მიგდებული, შემიბრალე...“

გონება დავკარგე.

როდესაც გამოვფხიზლდი, ავტობუსი იდგა დადუმებული, ერთიანად გაჩირაღდნებული. თავი რკინის იატაკზე მქონდა მიკრული. დავინახე, ყველა თეთრი ნათურა ენთო ავტობუსის სიგრძეზე. ხელები თვალებზე გადავისვი, რომელიც ძლიერმა შუქმა დამწვა.

მსუქანი მძღოლი სკამიდან წამომართულიყო მთელი მისი გნომური სიმაღლით და თავზე დამჩერებოდა. ნელა გაიწოდა ხელი და მოიხსნა მუქი სათვალე, ჩემთვის სახე რომ გაემყლავნებინა. ახლა ჩემს წინაშე იყო იგი: კამეჩის სიფათი, მსუქანი და წითელი. ზედ დიდრონი, ყავისფერი თვალები ეჯდა თავის დაბერილ ძირებამდე მოშიშვლებული სითეთრით, სახე წარმართული ბომონის ჰქონდა, რომლისთვისაც პატარა პირი გამოეჩორკნათ. მოგონება ხმელი ზეთისხილის ხისა ჩემი სახლის გვერდით.

ის ყურადღებით მზომავდა. წერილად მანამცეცებდა. აწრიალებული თვალების უფსკრულებში მთნქავდა. ვიდრე არ გატრიალდა პაწაწა და სიბრალულით აღსავსე. მოულოდნელად მოვიდა მისი წყალობა ჩემზე. მძიმედ დაიხარა ჩემს თავთან, გამხდარ მკლავში მომეჭიდა და ამაყენა შეშინებული, ამოსერილი იატაკიდან. ახლა ახლოს მიმიზიდა, მომიახლოვა ვეება შუბლი, წითელი პატარა ნაოჭების ათასობით უხეში წრით დაღარული. დიდხანს მაშტერდებოდა, ვიდრე ბოლოს პირი არ გააღო და ღრმა, დაკეპილი ხმით წარმოთქვა: „გალკას ქორწილი მორჩა...“

უცნაური, მოულოდნელი სიტყვები ამოვიდნენ მისი

პირიდან. ისევ დაუინებით შევაცქერდი სახეს ჩემს წინაშე.

„დიახ“, – ჩავიჩურჩულე, ნაგვემმა, ჩატეხილმა საკუთარ ნაღველში.

ჩემს დახუჭულ თვალებში სინათლე გაკიაფდა.

„წავიდეთ?“ – მორჩილი სერიოზულობით მთხოვა ნებართვა.

თვალები ამიჭრელდა, თითქოს სიზმარში ვიყავი. გაკაშკაშებული ავტობუსი იდგა ვეებერთელა, ჩაშავებული ვაკის შუაგულში. მის წინ გზა – ასფალტის წყნარი გზატკეცილი, კარგა მანძილზე იყო განათებული ძლიერი ფარნებით.

მისკენ მივბრუნდი. შეწებებული და დამუნჯებული ჩემი ტუჩები მის მომლოდინე თვალებს შეეგება.

„განვაგრძოთ გზა?“ – გამიმეორა და სლუკუნი გამაწყვეტინა.

თავი ვერ შევიმაგრე, მძღოლის მკერდზე ჩამომივარდა და მღელვარებამ ტუჩები ამიმოძრავა: „გთხოვთ.“

# საბანთა ხსოვნა

დაახლოებით რვა საათი იქნებოდა უკვე და მაღაზიაში კიდევ ორი მყიდველი იყო. აკივა მთელი ტანით გრძნობდა საშინელ მოქანცულობას, სურდა გაესტუმრებინა მყიდველები და მაღაზია დაეკეტა. შეუდგა ორასი გრამი ყველის ჩამოჭრას ქალბატონი კამინკესათვის, რომელიც იდგა და ბატონ გაბრიელ სლეფს ებაასებოდა. ისინი ბრაუერების უმცროს ვაჟიშვილზე საუბრობდნენ, რომელიც იორდანეს ველზე დაიღუპა. ქალბატონი კამინკე კვლავ და კვლავ იმეორებდა, რა დიდებული ყმაწვილი იყო მეირ ბრაუერი, ნიჭიერიცა და ლამაზიცო, ამბობდა, ეს ომი საშინელებაა, და ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ მას დასასრული არ უჩანსო. გაბრიელ სლეფი ყველაფერში ეთანხმებოდა, მაგრამ შენიშნა, რომ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვქონდა, გარდა იმისა, რომ გაგეგრძელებინა ბრძოლა პრინციპით: „ვინც მოკვლას გიპირებს, შენ მოჰკალ.“ ამას ამბობდა და თან თვალი აკივაზე ეჭირა, რომელიც სასწორთან იდგა და ყველს წონიდა, სათვალის ვეება შუშებიდან იცქირებოდა, თითქოს კვერის დასაკრავად. აკივამ თავი დააქანჩალა და თქვა: „მეირის სიკვდილი მართლაც შემაძრწუნებელია,“ და ქაღალდში გახვეული ყველი მაგიდაზე დადო. ყველის წონა ორას ოცი გრამი იყო. იგი ყოყმანობდა, დაემატებინა თუ არა ზედმეტი ოცი გრამი ქალბატონი კამინკეს ანგარიშისათვის. გადაწყვიტა არ მოქცეულიყო ასე და ყველის გვერდით დააწყო: მაიონეზის ქილა, კარაქის ბრიკეტი, იოგურტი, მურაბის ქილა, ჭვავის გოგორა პური და შემდეგ შავი ზეთისხილის მოსატანად წავიდა. ცელოფნის პარკი აიღო და დაფიქრდა, ხომ არ შეცდა,

როცა მას ზედმეტი ოცი გრამი დაუთმო. გაბრიელ სლეფმა გაიხსენა ხანან აენი და ბარუხ ფრიდმანი, რომლებიც განმათავისუფლებელ ომში დაიღუპნენ. ხოლო ქალბატონი კამინკე ისევ მეირ ბრაუერზე ალაპარაკდა და იმ ტრაგედიაზე, რაც მის მშობლებს თავს დაატყდათ. აკივა კასრთან დაიხარა, საიდანაც ზეთისხილის ცხარე და საამო სურნელება ამოდიოდა. ნათქვამი გაიგონა და იმ წამს შეამჩნია კიდეც მის თვალწინ სამგლოვიარო განცხადება, რომელიც სახლის მობინადრეებმა გამოაკრეს ცენტრში მეირ ბრაუერის სახელით. უმალ შვებისა და კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა, დაკრძალვას რომ არ გამოაკლდა. მაგრამ გარდა ამ წამიერი შეგრძნებისა, მასში არ შერხეულა არავითარი სიმი არც მწუხარების, არც ტკივილის. სულ სხვა რამ აწვალებდა მის გონებას, თუმცა არ იცოდა ეს რა იყო. ზეთისხილი სასწორზე დადო და ქალბატონმა კამინკემ მის გასაგონადაც თქვა: „ეს ოთხი დღეა ვერ ვახერხებ თავიდან ამოვიგდო მეირ ბრაუერის სიკვდილი და ის შემზარავი ფაქტი, რომ შეცდომით, უაზროდ დაიღუპა“. აკივა სასწორის ისარს თვალს ადევნებდა და თავის თავზე ბრაზობდა, რომ ოცი გრამი არ დაამატა მყიდველის ანგარიშზე. განა რა ვალდებული იყო, რომ ყველის ნაჭერი მისთვის საჩუქრად მიერთმია. გაბრიელ სლეფმა ქალის სიტყვებზე შენიშნა და თქვა, რომ ყველა, ვინც ომში კვდება, კვდება აზრიანად, და რომ ომში არავინაა დაზღვეული შეცდომებისა და უბედური შემთხვევებისაგან. გარდა ამისა, განაგრძობდა იგი, ცნობილია, რომ ისრაელში ავტოკატასტროფაში, უფრო მეტი ადამიანი იღუპება ვიდრე ყველა სამხედრო მოქმედებაში. „როცა ხეს ჭრიან, ნაფოტები სცვივა“, – თქვა ბოლოს და თვითკმაყოფილებით შეხედა აკივასა და ქალბატონ კამინკეს, რომელიც პურს სინჯავდა, თითებით ჭყლეტდა და თქვა, რომ ეს მისთვისაც

ცნობილია. მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია. მერე აკივას მიუბრუნდა და უთხრა, რომ პურს არ აიღებდა, რადგან ძველი და უვარგისი იყო. მისმა ტონმა და მანერამ, რითაც პური მოიშორა, აკივას გული მოუყვანა, მაგრამ თავი მოთოკა და უთხრა, პური ეს არის, რაც არისო. ქალბიტონი კამინკე არა ცხრებოდა, ეკითხებოდა, რატომ არისო, რომ სარკინის ქუჩის ფარდულში სხვა პურია და ბევრად უკეთესიცო. უნდოდა ეთქვა, ეშმაკსაც წაულიხართ, იყიდეთ იმ მაღაზიაში და მომშოდით თავიდანო, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ პროდუქტი ჩაუწყო კალათში, ანგარიში დააჯამა და ჯამი დაეთარში ჩაწერა. მას შემდეგ, რაც ქალი გავიდა, გაბრიელ სლეფმა თქვა: „ქვეყანა, რომელიც ჭამს თავის ბინადართ...“ და აკივამ თავი დაუქნია, თუმცა არ იცოდა, თუ რას გულისხმობდა იგი. გამოართვა ბარათი გაბრიელ სლეფს და მისცა პროდუქტი იმის შესაბამისად, რაც მასში ეწერა, გარდა ლაქერდისა', რომელიც გათავებულიყო. თან კვლავ ცდილობდა მიეგნო იმ რაღაცისათვის, რაც მის გონებას აწვალებდა და გულს უმძიმებდა, მაგრამ ამაოდ. გაბრიელ სლეფი აგრძელებდა თხრობას ავტო-კატასტროფებზე, და უამბო მას ავარიის შესახებ, რაც მის ძმისშვილს შეემთხვა. აკივამ შეხედა მას, თავი მსუბუქად გააქნია და მოიცადა, ვიდრე ის აიღებდა ხურდას, პროდუქტს და წავიდოდა. მისი წასვლის შემდეგ მაღაზია დაცარიელდა. აკივა წამით შედგა, გაირინდა, ხელი სახეზე მოისვა, მერე ძეხვი აიღო, რათა კავზე ჩამოეკიდა. არა, ვერაფრით შეძლო ის გაეხსენებინა, რის გახსენებასაც ასე წადინობდა. კვლავ გაიღვიძა მასში კმაყოფილების გრძნობამ, მეორ ბრაუერის დაკრძალვას რომ დაესწრო. უცებ მოეჩვენა, რომ გაბრიელ სლეფთან ანგარიშში შეცდა. ძეხვი ჩამოკიდა და ანგარიში შეამოწმა. ნახა, რომ მართლა შემცდარიყო. სალაროს

უჯრიდან 75 ლირა ამოიღო, გაბრიელ სლეფს დაედევნა, ფული დაუბრუნა და თან მოუბოდიშა. მერე მაღაზიაში დაბრუნდა და სულის მოსათქმელად დახლს დაეყრდნო, ირგვლივ მიმოიხედა და თვალი შეავლო გაცვეთილსა და დამსკდარ იატაკს, ნაგავს და ბზარს, რომელიც ჭერის კუთხიდან სარკმელამდე ჩამოდიოდა. კვლავ მოუვიდა აზრად, რომ კარგი იქნებოდა გაჯი ან ცემენტი აეღო და იგი ამოევსო. სძულდა ეს მაღაზია, რომელშიც მთელი დღის განმაელობაში წყვდიადს დაესადგურებინა, საღამოს კი ორი მტვრიანი ნათურა ანათებდა, რომლებიც ყვითელ შუქს ჰფენდნენ ბოთლებს, ყუთებს, სკივრებს, ფუთებს, თაროებსა და ტომრებს. ისინი ყოველთვის უწესრიგოდ ეყარა, და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მათში გახლართული იყო. იყო წლები, როდესაც მაღაზიის გაყიდვასა და ფულის უფრო ხეირიან რამეში დაბანდებას ფიქრობდა, ვთქვათ, ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის მაღაზიაში. მერე გადაწყვიტა ფილაქნები, დახლები და თაროები მაინც გამოეცვალა და კედლები შეეთეთრებინა. მაგრამ აქამდე ამას თავი ვერ დაადგა. იცოდა, ამას არც გააკეთებდა და მაღაზია როგორიც იყო, ისეთად დარჩებოდა. თავის თავს უხსნიდა, რომ ეს საქმე დაკავშირებული იყო დიდ წვალებასთან, დიდ ხარჯებთან, რაც სულაც არ იყო საჭირო, რამეთუ ცხოვრება თავისთავად მიედინება, ადამიანის ბოლო კი სიკვდილია. წელში გასწორდა, აივანზე გავიდა და ბოსტნეულის ყუთებისა და კარტოფილის ტომრების შემოზიდვა დაიწყო. ინფარქტის შემდეგ ექიმებმა ზედმეტი ჯაფა აუკრძალეს, მაგრამ ის ამ აკრძალვებს არად დაგიდევდათ. მხოლოდ ხანდახან, როცა გული ეკუმშებოდა ან ჰაერის უკმარისობა ჰქონდა, წამით გაჩერდებოდა ხოლმე. მაშინ გრძნობდა, – როგორც იგრძნო მაშინ გულის შეტევის შემდეგ, რომ სიკვდილი ახლოს იყო, მასში იყო ჩაბუდებული და

ყოველ წამს შეეძლო მას სწვეოდა. გარკვეულწილად, მისი ეს გრძნობა არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული ნებისმიერი სხვა ადამიანის გრძნობისაგან, – გაიფიქრა ეს და კარის ჩარჩოს მიეყრდნო, ცოტა წელში რომ გამართულიყო. ყველაფერი დროებითია, – ჩაილაპარაკა თავისთვის, ალბათ მეორ ბრაუერიც გრძნობდა, რომ სიკვდილი ახლოს იყო, და ამასთან ერთად, არც იცოდა სიკვდილამდე წუთით ადრე, რომ წუთის შემდეგ დაიღუპებოდა. გახედა სიბნელეში ჩაძირულ ქუჩას და წამით შეეცადა წარმოედგინა, თუ როგორ დაიღუპა ის შეცდომით. ხედავდა მას ეკლებითა და ხმელი ბალახით დაფარული ქედიდან დაშვებულს, მერე დაინახა იგი მიწაზე უსულოდ გაშოტილი, სახეგამურული. „ესაა ცხოვრება“, – სხვათა შორის ჩაილაპარაკა და ზურგსა და ფეხებში საშინელი მოქანცულობა იგრძნო. ადგილს მოწყდა და ყუთების შემოზიდვა განაგრძო. ამ დროს მეხსიერებაში გაბრიელ სლეფის ნათქვამი ამოუტივტივდა: „ქვეყანა ჭამს თავის ბინადართ“. თავში უტრიალებდა ეს სიტყვები, მაგრამ როგორც აზრისაგან დაცლილი სიტყვების გროვა, რომლებიც ბგერებად დაქუცმაცდნენ. მას შემდეგ, რაც ყველაფერი შემოიტანა, დარაბა დაუშვა, სალაროს უჯრდან ფული, დავთარი და ქვითრები ამოიღო და წასვლა დააპირა. სინათლე ჩააქრო და ხელი საკეტის სახელურზე ჩამოდო. წამით შეყოვნდა. სიბნელეში დადგა და მოინდომა გაეხსენებინა ის ამბავი, რომლის გახსენების აუცილებლობა კარგად მოეხსენებოდა, და რომლის გაუხსენებლობაც შავი ღრუბელივით ადგა თავზე.

ციფორა, მისი ცოლი, რომელმაც ერთი საათის წინ დაამთავრა ფარდულში მუშაობა, სამზარეულოში იდგა და ვახშამს ამზადებდა თავიანთთვის და უმცროსი ვაჟიშვილისთვის, რომელიც კიბუციდან ორი დღით ჩამოვიდა. უფროსი ვაჟი ტეხნიონში[10] სწავლობდა და

შინ თითქმის არ მოდიოდა. აკივამ ფული, დავთარი და ქვითრები შესასვლელში ბუფეტზე დადო და საშხაპეში შევიდა დასაბანად. სახე, რომელიც მას სარკიდან უმზერდა, ნაცრისფერი, მოქანცული და გაუპარსავი იყო. თვალები ანთებული ჰქონდა. ლოყასა და ნიკაპზე ხელი მოისვა და გადაწყვიტა გაპარსვა დილისათვის გადაედო. „ჰა, ეს გაიძვერა ქალბატონი კამინკე“, – ჩაილაპარაკა თავისთვის, როდესაც ტანსაცმელს იცვლიდა. მერე სამზარეულოში შევიდა და მაგიდას მიუჯდა. შვილის იქ ყოფნა ბოჭავდა. თავს ვალდებულად თვლიდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ დიდ დაღლას გრძნობდა და თან ვერც შეკითხვას ან საკითხს მიაგნო, საუბარი რომ წამოეწყო. ბოლოს ჰკითხა, თუ დარჩებოდა შინ კიდევ ერთი დღე და ცოტა ფული ხომ არ სჭირდებოდა. შვილმა არაო, უთხრა და აკივამაც უსიტყვოდ განაგრძო ჭამა. თან თავში აწყობდა პროდუქტის სიას, რაც უნდა შეეკვეთა და. ამავე დროს ცდილობდა გაეხსენებინა ის საქმე, რაც გულს ლოდაღი აწვა. იცოდა, რომ ეს საქმე მნიშვნელოვანი და სასწრაფო იყო და მას ეხებოდა. ციფორას გახედა და ჰკითხა, ბურღულის შეკვეთა თუ სჭირდებოდათ. მან უარით უპასუხა. მაგრამ კაცმა გადაწყვიტა ეს ამბავი თავად შეემოწმებინა მაშინვე, ვახშმის შემდეგ, და წამში წარმოიდგინა მალაზია და ადგილი, სადაც ბურღულის ტომარა იდგა. ციფორამ ჩაი მოიტანა და შვილს ჰკითხა, ინახულა თუ არა უკვე მეირ ბრაუერის მშობლები. შვილმა უპასუხა, რომ შეიძლება ეს ხვალ გაეკეთებინა, კიბუცში გამგზავრებამდე. „კარგი, კარგი, ასე ქენი“. – შეევედრა ციფორა და აკივას ჭიქაში ლიმონის ნაჭერი ჩააგდო. ნათქვამმა, რომელიც მოეჩვენა, რომ მასაც გადასწვდა, აკიმას გუნება გაუფუჭა, რადგან ეს სამი დღე იყო ბრაუერებთან ასვლას აპირებდა, მაგრამ ყოველთვის სახვალიოდ გადასდებდა ხოლმე. ეს

ყველაფერი იმ უსიამოვნების გამო იყო, რაც მასსა და ეფრაიმ ბრაუერს, მეირ ბრაუერის მამას შორის ერთი თვის წინ ჩამოვარდა სადარბაზოსა და კიბეების დასუფთავებასთან დაკავშირებით. საკითხი უმნიშვნელო და სულელური იყო, მაგრამ ის გააცოფა, იქამდე, რომ გულში მზად იყო, ეფრაიმ ბრაუერი ცემით მოეკლა, მაგრამ თავი შეიკავა და მის ბრალდებებზე კრინტიც არ დაუძრავს. ჩაი მოსვა და სინდისი იმით დაიმშვიდა, რომ თავს შეახსენა, დაკრძალვის ცერემონიალს ხომ დავესწარიო. ფულიც შესწირა სამგლოვიარო განცხადებისათვის, რომლის ცენტრშიც მეირ ბრაუერის სახელი იყო. ის ერთი კვირის თუ ათი დღის წინ აკივას მაღაზიაში შემოვიდა სიგარეტის საყიდლად. შვებულებაში იყო და თავის გოგოსთან ერთად მოვიდა. გოგო შესასვლელთან დარჩა ცოტა დარცხვენილი და მას უცდიდა. ბიჭმა სიგარეტი „ტაიმი“ მოითხოვა, და როცა გადიოდა, გოგოს უთხრა: „მოდი, რუხმა, წავიდეთ“, და ისინი წავიდნენ. აკივა მეირ ბრაუერის მიმართ არაფერს განიცდიდა, არც სიყვარულს, არც სიბრალულს, არც მონატრებას. თუმცა ის არც თავისი უმცროსი ვაჟიშვილის მიმართ გრძნობდა რამეს, რომელიც ადგა ახლა, მშვიდობითო თქვა და გავიდა. მხოლოდ უფროსი ვაჟი აღძრავდა მასში დიდ დაბნეულობასა და უხერხულობას და თავისი ოფიციალურობით აკივაში სიბეჩავის განცდას იწვევდა. არ ესმოდა, რატომ ეპყრობოდა ასეთი გაუცხოებით, აგდებულადაც კი. იგი ხომ მასზე ბევრად დიდ იმედებს ამყარებდა, ვიდრე უმცროსზე. არც არასოდეს არაფერი დაუკლია მისთვის: საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, ფული. ხოლო როცა პატარა იყო, დაასეირნებდა ხოლმე. ზოგჯერ შაბათობით ზღვაზეც მიჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ზღვას დასანახად ვერ იტანდა.

ჩაი მოსვა და შეხედა დაცარიელებულ სკამს, სადაც

წამის წინ უმცროსი ვაჟი იჯდა. თავისთვის ჩაილაპარაკა: „ქვეყანა ჭამს თვის ბინადართ“. მაგრამ მას არაფერი უგულისხმია, რადგან სხვა რამისათვის მიეპყრო გული–სყური.

ჩაის თავი მიანება და კბილების ჩიჩქნას მოჰყვა. მერე ადგა და მაღაზიაში დაბრუნდა, რათა ბურღულის მდგომარეობა შეემოწმებინა. ამასობაში ნახა, რომ ფქვილი ილეოდა. ამ ამბავმა ციფორაზე გული მოუყვანა, რომ არ აცნობა ამის შესახებ. იდგა და ათვალიერებდა მაღაზიას, რათა ენახა, კიდევ ხომ არაფერი გათავდაო. თვალი მოაელო თაროებს, რომელთაც საღებავები ასძრობოდათ, ძველ დარაბებს, ფილაქნებს, ბოთლებისა და ცარიელი ტომრების გროვას, ჭუჭყიან კედლებს, აბლაბუდებს, დალაქულ ფანჯრებს, ბზარს, წვეტიან კაევს, რომელზეც ბანანის აკიდო ეკიდა. „ეს იშლება“, – სიამოვნებით ჩაიდუდუნა. ღვარძლიანობაც ერია ნათქვამში. მერე შინ დაბრუნდა და მაგიდას მიუჯდა, რათა სალაროს ანგარიშები დაეჯამებინა და მეორე დღის შეკვეთების სია შეედგინა. თავისკენ მისწია რვეული და ქვითრები, ფული ხელში დაიჭირა და იმ წამს გაახსენდა, რომ ხუთ დღეში ციფორას დაბადების დღე მოდიოდა. ეს იყო ის ამბავი, გულს ლოდად რომ აწვა და ვერაფრით რომ ვერ გაეხსენებინა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც გაიხსენა, შვება და სიხარულიც კი იგრძნო. ჯამი ჩაწერა და კელავ გადათვალა. მერე დავთარი გადაშალა და დაიწყო მასში ქვითრების ნომრების გადაწერა, თან ფიქრობდა, რა ეყიდა მისთვის. თავიდან კაბა ან ხალათი იფიქრა, ან კიდევ ქურქი. როცა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, მას რაღაც შაეი ქურქი ეცვა და საოცრად უხდებოდა. მაგრამ აკივას აფიქრებდა, ასეთი პალტო დღესაც თუ მოუხდებაო ციფორას. დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რომ ქალს იგი გაუხარდებოდა და ჩაიცვამდა,

უყიდდა, სიძვირის მიუხედავად. წერა შეწყვიტა და ამ ფიქრებს მიეცა და იგრძნო, წამი–წამ როგორ იძირებოდა დეპრესიასა და მოუთმენლობაში. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ არ იცოდა მისთვის რა ეყიდა. ქორწინების პირველი ორი–სამი წლის შემდეგ მისთვის არავითარი საჩუქარი არ უყიდია, არც დაინტერესებულა მისი გემოვნებით და არც იმით, თუ რა აკლდა მას და რისი მილება გაუხარდებოდა. მის სურვილზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ამჯერადაც შეუფერხებლად ჩაარიხინებდა ამ დღეს, მაგრამ ქალის ორმოცდამეათე დაბადების დღე იყო და იგი გრძნობდა ვალდებულებას, მისთვის რამე ეყიდა. ქურქზე ფიქრს მოეშვა და ლამაზი ხელჩანთა მოიგონა, ან კიდევ ყელსაბამი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც რუხმას – მეირ ბრაუერის გოგოს ეკეთა. მართალია, იყო რაღაც მომხიბვლელი რუხმაში, მაგრამ ყელსაბამი, რომელიც მას ეკეთა, ახალგაზრდული იყო, მას კი რაღაც სხვა უნდოდა, უფრო ძვირფასი, ალბათ მარგალიტისა. მარგალიტის ყელსაბამის იდეა ჭკუაში დაუჯდა. შეეცადა ეევარაუდა, თუ რა ეღირებოდა ამგვარი ყელსაბამი. ამ დროს თავსაფარი მოაგონდა, რომელიც ოდესღაც სარა კრაუზეს უყიდა. როგორც ყოველთვის, ამ გახსენებამ მისი ცოტა გაკვირვება გამოიწვია, ვინაიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა და სარა კრაუზე მას არსებითად დააეიწყდა და ამოიძირკვა მისი ცხოვრებიდან. აკივას ჩაღიმა ამ მოულოდნელი მოგონების გამო და რაღაც სასაცილო მდგომარეობის შეგრძნების გამო, რომელიც ყოველთვის ეწვეოდა ხოლმე, როცა ეს გაახსენდებოდა, რამდენადაც მხოლოდ დიდი ძალისხმევით პოულობდა კავშირს მასსა და იმ ქალს შორის, რომელსაც სარა კრაუზე ერქვა, და მასსა და იმ კაცს შორის, რომელმაც იმ ქალს თავსაფარი უყიდა. ახსოვდა, რომ ეს იყო აბრეშუმის თავსაფარი, და ახსოვდა

ასევე, რომ იგი მას დაბადების დღეზე უყიდა, რომელიც შაბუოთის დღესასწაულს დაემთხვა. მაგრამ ეს თავსაფარი არასოდეს გადაუცია მისთვის, ვინაიდან უფრთხოდა სიყვარულში გამოტყდომოდა, უფრთხოდა მასზე ვალდებულებანი ეკისრა. ამას ისიც ემატებოდა, რომ იგი სარა კრაუზესაგან ელოდა, რომ დაესწრო მისთვის ამგვარ რამეში. მას რომ თავსაფარი ეჩუქნა და მერე მოენახულებინა, ფიქრობდა იგი, ყველაფერი სხვა სახეს მიიღებდა. ამ შეგნებამ სევდა აღუძრა და სასწრაფოდ თავიდან მოიშორა. თავისთვის ჩაიცინა და თქვა, რომ სიმართლე ის იყო, რომ არასოდეს არ სურდა ცოლად შეერთო, მხოლოდ მასთან დაწოლა უნდოდა. ერთხელ მართლაც იწვა მასთან იერუსალიმში. უნდოდა კიდევ გაეგრძელებინა ამაზე ფიქრი, მაგრამ ციფორამ დაუძახა მეორე ოთახიდან, რათა მისულიყო და მაგიდის გადადგმაში მიხმარებოდა. „კარგი“, – გასძახა მან. წამოდგა და ოთახში შეავიდა. ციფორას უკვე ეცვა თავისი ხალვათი ღამის პერანგი და აკივა ცდილობდა თვალი აერიდებინა, რომ არ დაენახა ქალის დიდრონი მკლავები, კისერი და ფეხები. მაგიდა გადადგეს. ციფორამ გაიხსენა, რომ ხალვა და შებოლილი თევზი უნდა შეეკვეთათ და საწოლში დაწვა. კაცმა თავი დააქნია და გავიდა. მაგიდას მიუჯდა და კალამი აიღო, რათა დაანგარიშება გაეგრძელებინა, მაგრამ შეყოვნდა, რათა წამით კიდევ ჩაფიქრებულიყო სარა კრაუზეზე. რამდენი არ ეცადა, მაგრამ ვერ მოახერხა მისი სახე წარმოედგინა, ძალზე ბუნდოვნად აგონდებოდა. მაგრამ იცოდა, რომ ლამაზი იყო, და რომ მას დიდი და მწვანე თვალები და შავი თმა ჰქონდა. მან ეს წარმოისახა და სიამაყის გრძნობა დაეუფლა, იგი ხომ ამ ლამაზ ქალიშვილთან იწვა. გამოთვალა წლების რაოდენობა, რაც მას შემდეგ გავიდა და ნახა, რომ უკვე ოცდაათი წელი გასულიყო, რადგან ეს ამბავი მოხდა სწორედ იმ

კეირას, როცა ჰიტლერი პოლონეთში შეიჭრა. ის ციფრების რიგებს დააჩერდა და თავის თავს ჰკითხა, თუ რატომ არ დაწვა მასთან კიდევ, თუნდაც არ სდომოდა მისი ცოლად შერთვა. ეს კითხვა უსარგებლო იყო და ნირი წაუხდინა. რადგან ამ კითხვას მუდამ თან სდევდა უმწეობის შეგრძნება, და უპირველესად მტანჯველი აზრი იმის შესახებ, რაც გაფუჭდა და აღარაფერი ეშველებოდა. სურდა თავიდან ამოეგდო მთელი ეს ამბავი, მაგრამ ამის ნაცვლად თვალები დახუჭა და შეეცადა ის ისტორია დეტალურად აღედგინა. – როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ქუჩაში, როგორ დაპატიჟა ქალმა, რომ მის ოთახში ასულიყო მასთან ერთად, როგორ დალიეს ჩაი მურაბის ქილიდან, როგორ მიუჯდა გვერდით, მისი თითები დაიჭირა და ათამაშებდა, დარაბიდან როგორ იჭრებოდა მზის სხივი და სარას სახეზე, მკერდსა და მკლავებზე სინათლისა და ჩრდილის ზოლებს ხატავდა. ქალიშვილმა მუხლებზე გადაიტარა მისი ხელი, მერე საწოლზე გაიშხვართა და ისიც მიიზიდა. ბიჭი მინებდა და თვალდახუჭული მიეტანა. ეს შორეული ბუნდოვანი სურათები მას მხოლოდ ოდნავ სიამოვნებას ანიჭებდა. მოგონებიდან არ გამორკვეულა, მაგრამ რაც უფრო ჯიუტობდა მას მოჭიდებოდა და მოეახლოვებინა, ის ცოტაოდენი სიამოვნებაც ეკარგებოდა და ირინდებოდა. ბოლოს კი აღარაფერს გრძნობდა, გარდა ბრაზისა და იმედგაცრუებისა. ეს მოგონება კვდებოდა და მას თრგუნავდა. ხელი სახეზე მოისვა და ციფრების შეკრება დაიწყო, თან ტუჩებს აცმაცუნებდა. ამ დროს ქალბატონი ფრეუნდი გაახსენდა. ნაშუადღევს მან ნისიად წაიღო პროდუქტი და, მისი აზრით, ციფორას დააავიწყდა ეს თანხა დავთარში შეეტანა. ციფრების დაჯამებას მორჩა. ამის შემდეგ ციფორასთან შევიდა შესაკითხად, მაგრამ ქალს უკვე ეძინა. ღამის ლამპა ყვითელ შუქს სცემდა

მის მძიმე სახეს. იგი შედგა, მას წამით დახედა და გაიფიქრა: ის რომ სარა კრაუზესთან დაბრუნებულიყო, უეჭველად დაქორწინდებოდნენ, მაგრამ ის არ დაბრუ-ნებულა. თელ-აივში გადავიდა და მასთან დაკავშირებას ყოველთვის სამერმისოდ სდებდა, ვიდრე ერთ დღესაც, მოულოდნელად, ოთხი წლის ჩავლის შემდეგ არ შეიტყო, რომ სარა კრაუზე სამი თვის წინ ლევკომიით გარდაცვ-ლილიყო. მისი სიკვდილის შემდეგ აკივაში განახლებული ენერგიით იფეთქა ამ ქალთან თანაცხოვრების ნდომამ. გულში აპატია კიდეც, რომ მთელი იმ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უცდია, მას შეხვედროდა. მაგრამ ხანმოკლე პერიოდის გავლის შემდეგ ეს სურვილი მინავლდა და ჩაქრა. ღამის ლამპა ჩააქრო. სამზარეულოში შევიდა და ნახევარი ჭიქა გრეიფრუტის წვენი დაისხა, დალია და თავისთვის ჩაილაპარაკა, რომ არსებითად მას ბედმა გაუღიმა, სარა კრაუზეზე რომ არ დაქორწინდა, და რომ ციფორაც ერთ დროს ლამაზი იყო, უფრო კი სიცოცხლით სავსე. უფროსი ვაჟი აქ რომ გაჩენილიყო, ფიქრობდა იგი, მასთან მოითათბირებდა საჩუქართან დაკავშირებით. მაგრამ ის შინ თითქმის არ მოდიოდა. აკივამ ჭიქა გადაკრა და თავის ადგილას დადგა. მერე ისევ მაგიდას მიუჯდა, აიღო ქაღალდის ფურცელი და ჩამოწერა: ერთი ტომარა ფქვილი, ხალვა, შებოლილი თევზი, ლაქერდა და ამ დროს აზრად მოუვიდა, რომ მოთათბირება უმცროს ვაჟთანაც შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაბადების დღემდე ვეღარც ნახავდნენ ერთმანეთს, თუკი ვაჟი მეირ ბრაუერის მშობლებთან არ შეყოვნდებოდა. თავად ვაჟი არც წამოჭრიდა დაბადების დღესთან დაკავშირებულ საკითხს, რადგან არც იცოდა, როდის იყო დედამისის დაბადების დღე. სიტყვა ლაქერდა თვალში მოხვდა, დიდხანს აშტერდებოდა. მოულოდნელად თვალში არ მოუვიდა მისი ფორმა. ხაზი შემოატარა,

ხელახლა დაწერა, თან ფიქრობდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩხები მოუვიდა ეფრაიმ ბრაუერთან, მიუხედავად იმისა, რომ აკიევა უსამართლოდ მიაყენა შეურაცხყოფა, იგი ვალდებული იყო მათთან მისასამძიმრებლად ასულიყო. ის ამის გაკეთებას ხვალ ნაშუადღევს აპირებდა. და უკვე წარმოიდგინა თავი: კიბეებზე ადიოდა და ზარს აძლევდა, მერე დარბაზში შევიდა და დაჯდა ეფრაიმ ბრაუერთან, გერტი ბრაუერთან და ნაომისთან – მისის ბრაუერის დასთან ერთად, რომელიც საგანგებოდ ჩამოსულიყო ლონდონიდან. და ალბათ რუხმაც იქნებოდა – გოგო მეირ ბრაუერისა, რომელიც ეროვნულ დროშაში გახვეული ხახადაფჩენილ ორმოსთან იწვა. იგი ცნობის-წადილით აკვირდებოდა მას, მერე კი მზერა უამრავ ხალხზე გადაიტანა, რომელსაც ირგვლივ მოეყარა თავი. და უცებ რუხმა დალანდა, იგი საფლავის მეორე მხარეს იდგა, საკუთარ თავთან განმარტოებული, თაფლისფერი თვალები სიერცისათვის გაეშტერებინა. იყო რაღაც მიმზიდველი მის დგომაში, უფრო კი გულსმოსახვედრი... და მან თვალები დახარა და მისმა მზერამ წამით გოგოს გარუჯული ფეხები დაიჭირა. ისინი ქვედატანის ბოლოებში გაუჩინარდნენ, რომელიც ნიავზე ოდნავ ფრიალებდა და პატრონს მუხლებზე ეტმასნებოდა. გვერდიდან მიწის დაყრის ხმამ მოაღწია და მკერდში ცოტა მოჭერა იგრძნო, და რაღაც მუხლებიც აუკანკალდა სისუსტისაგან. ამ დროს მოესმა სამხედრო კანტორის გალობა: უფალო მოწყალეო /რომელი ხარ ცათა შინა /დაუმკვიდრე სასუფეველი/ შენი წყალობის კალთის ქვეშ... ამის შემდეგ სროლის სამი ზალპი გაისმა და მან თვალები დახუჭა. მზის სინათლით გაჯერებული ზაფხულის კრიალა ცა დაინახა, და როცა თვალი გაახილა უკვე მთელი ხალხი გასასვლელისაკენ მიიწევდა. გარშემო იყურებოდა და რუხმას ეძებდა, და რადგან ვერ ნახა,

მოსიარულეებს შეერია, რათა იგი ეპოვა და მის გვერდით ევლო. მაგრამ რუხმა გაქრა მისი თვალსაწიერიდან. ამაო იყო მთელი მისი გარჯა. მაგრამ როცა სასაფლაოს ჭიშკარს მიადგა, კიდევ ერთხელ მოაბრუნა თავი და უცებ დაინახა რუხმა, სადღაც უკან მომავალი. იფიქრა დაეხანებინა და დალოდებოდა, ან სულაც ისევ უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ მხოლოდ ოდნავ შეანელა ნაბიჯი, მერე კი ავტობუსში ავიდა და დაჯდა სასოწარკვეთისა და უიმედობის შეგრძნებით. და როცა ქალაქს მიაღწიეს, ეს შეგრძნებაც მინავლდა და გაიფანტა.

# გადატრუსული მიწა

გადატრუსულ მიწაზე ვიჯექი. ირგვლივ სალამოს ბნელი შემოდგომა გიზგიზებდა, ჩემი დიდი სალამოსი, მხოლოდ ჩემი. ორი პატარა ხელი ჩავჭიდე მას და გაქცევის საშუალება არ მივეცი. მე ის მიყვარდა.

მოკლე ქუჩა პატარა მოედნით მთავრდებოდა. იქ ხე იდგა. მის კენწეროზე კუპრივით შავი ცა ეკიდა. შუა ცაში ყვითელი ხვრელი იყო. მთვარეს არ გააჩნდა არც სახე, არც თვალები, არც კბილები, არც პირი, მხოლოდ ორი ღრუბელი ულიტინებდა მას. ღამით წვიმა მოვა, – ვთქვი გადაჭრით. ხესთან ტყუპები იყვნენ და ქვიშაზე თავიანთ სახელებს შარდავდნენ: მეშულამ, იერუჰამ.

დეიდა შლომითი ფანჯარაში იდგა. მშვენივრად ჩანდა ლამპის შუქზე, რომელიც მას უკნიდან ანათებდა. მისი თავი სადღესასწაულოდ იყო მორთული შარავანდით. თავისთვის მღეროდა. გაგიუებით მომინდა მისთვის თმა ამომეგლიჯა, მაგრამ ვიჯექი გადატრუსულ მიწაზე და ვუცქერდი როგორ მიდიოდა ჭიანჭველა ნაპრალებს შორის. სახლს ჩემს უკან ფეხი არ მოუცვლია, მხოლოდ დეიდა შლომითი დაიძრა ადგილიდან და სინათლე ჩააქრო. იქნებ საცობი დაიწვა, იქნებ, უბრალოდ, დენის მავთული გაწყდა. არ ვიცი. ასე იყო თუ ისე, უცებ მოალო პირი და დაიძახა: „რატომ არ აკეთებ გაკვეთილებს?“

„არ მინდა“, – ეუთხარი. მსურდა პასუხი დამეხანებინა, მაგრამ ენა არ დამემორჩილა, წამოხტა და მთელი გეგმა ჩაფუშა. ჩემნაირისათვის გადატრუსულ მიწაზე არ არსებობს სხვა საქმე, გარდა გეგმების დაწყობისა, რომელთაც განხორციელება არ უწერიათ, ქარში გამღვალი ღრუბელივით რჩებიან.

კარგი ბავშვი ეიყავი, დამჯერე და ჭკვიანი. ზოგჯერ ჯიუტი მამასავით, რომლის გაღიზიანება ყველაფერს შეეძლო. ვინმე რომ მოსულიყო და ეთქვა, სახურავიდან ვერ გადმოხტებიო, მაშინვე გადმოხტებოდა, და უჩვენებდა, რა ბიჭი იყო. ერთხელაც „ფილცში“ შევიდა. ეს ოცდათექვსმეტი წლის მოვლენების შემდეგ იყო. მოკლედ, შევიდა „ფილცში“, დახლიდან ჭიქა აიღო და ფასი იკითხა. „გროში“, – უთხრა ბარმენმა. მისცა გროში და გატეხა ჭიქა, კედელს მიაფშვნა. ღამღამობით მამა ხატავს. არავინ იცის, ის რომ ხატავს. ანუ აქედან რეხოვოთამდე[11] კაცი არ არის, ეს რომ იცოდეს.

„არ მსურს გაკვეთილების მომზადება“, – ეუყვიროდი დეიდა შლომითს. დავცინე, „მომზადება“ ვუთხარი, მან კი დამახინჯებითა თქვა „კეთება“. მისი ებრაული რუსულიდან იყო თარგმნილი: „იოსეფ, გახსენ შუქი“. დეიდა შლომითს „ხვრელი ცაში“ ვასწავლე „მთვარის“ ნაცვლად. ათი სახელი მაქვს მთვარისათვის, ოცი – ყველა სხვა საგნისათვის. უბანში დეიდას „ხვრელი მნათობში“ ეძახდნენ. ძალზე პოეტურები არიან აქ ამ უბანში. მინიმუმ ათი პოეტი უნდა გამოვიდეს აქედან. ამასობაში ისინი თავისას არაკუნებენ, ყიდულობენ და ჰყიდიან. ხოლო მარ აბრამოვიჩი უკვე სიძეს ეძებს თავისი ქალიშვილისათვის. ის ჩემს კლასში სწავლობს და შემომთავაზა გორებზე გავყოლოდი. უარი ვუთხარი, რადგან მე არ დავდივარ გორებზე გოგოებთან ერთად. უბანში დეიდა შლომითს სიმღერას უმღეროდნენ, ძირითადად როცა ნაყინის გამყიდველი მოდიოდა, ძირითადად ზაფხულში, როცა ყველა ხე კვდებოდა. „ღამით ყველანი ვკვდებით“, – თქვა ერთხელ დეიდა შლომითმა. უმღეროდნენ, ძირითადად – მოკვეთილი. ის პირველი იყო, რომელმაც უმღერა: „ხვრეელი მნათობშიიიიიი ხვრელი მნათ... ობშიი ხვრეელი მნათოობშიი მნათოო....“

„მამას ვეტყვი“, – მითხრა გაბრაზებულმა დეიდა შლომითმა.

„გული გამიხეთქე“, – მივუგე გულგრილად. ვგრძნობდი, პირამდე მავსებდა კაცური ძალა. ცამეტი წლისა ვიყავი და ბარ–მიცვა[12] არ მექნებოდა. არ მინდოდა ბარ–მიცვა. რაღაც ბზიკმა მიკბინა. რაღაც სიგიჟე იყო: ღამით თითქოს მჭამდა ჭიანჭველების გუნდი გადატრუსულ მიწაზე. დედა ტიროდა, ხოლო მამა, სწორედ მამა ამშვიდებდა მას. „არ გინდა და არც არის საჭირო“, – ამბობდა მამა. და მე არ მსურდა მისთვის ამეხსნა, როგორ მინდოდა ჩემთვის დაეჯერებინათ. ვნახე რომ დავმარცხდი. ხმა აღარ ამომიღია. რაც იყო, იყო.

„რატომ არ გინდა გააკეთო?“ – მკითხა დეიდამ.

„რა?“

„გაკვეთილები, – თქვა მან, – უკვე სიზმრებში წახვედი? გაკვეთილებზე გელაპარაკებიან და შენ უცებ „ჰა? რა? რა?“ წამოიწყე. ოჰ, რა ბრილიანტია.“

„იმიტომ, რომ სულელურები არიან, – ვუთხარი მე, – რაში მაინტერესებს რამდენია ერთი მთელი ოთხი მეათედი გაყოფილი ნოლ მთელ სამ მეათედზე. ინგლისელებს სამის ფესვით ვერ გავყრით.“

„როცა გაიზრდები, ნახავ, რომ ეს მნიშვნელოვანია, – მითხრა დეიდამ, – მამაშენს შეხედე.“

მე კეფირს ვსვამ. იმიტომ, რომ როცა მე კეფირს ვსვამ, ვიზრდები. მაგრამ მამაჩემი რა შუაშია? მამა ნახატების ჩარჩოებს აკეთებს და სულ არ ანაღვლებს ექვსი მეოთხე ხარისხში გამრავლებული ნოლ მთელ ხვრელმთვარეზე. სიტყვები ჩავყლაპე, რათა დეიდაჩემი არ გამეცეცხლებინა, ხოლო მე ჩემთვის ხითხითი შემძ–ლებოდა. მართლა ვიცინე, კინაღამ გავსკდი. ტყუპები სადღაც აორთქლებულიყვნენ. ვფიქრობდი ქვიშაზე მათ მოშარდულ სახელებზე, ასე მიქნა ღმერთმაც, გამიელვა

თაეში, ბარ–მიცვის გამო, რომელზეც უარი ვთქვი.

„შეხედე მამაშენს, რა ინტელიგენტური სახე აქვს, ინტელიგენტურობის განსახიერებაა. შენ არა ხარ ებრაელი, უცხო თესლსა ვზრდი აქ“.

„მოხარული ვარ, – ვუთხარი მას, – გინდა ჩემთან ერთად იმღერო? „მინდა დენის ბოძი ვიყო, ეკალი, ნაცრისფერი ბუჩქი მუსლიმურ სასაფლაოზე“, კარგი?“ – ვუთხარი და ეზოდან მოვუსვი. მიწა ქუჩამდე გადატრუ–სული იყო. იქ იწყებოდა ტრასა, რომელსაც ბოლო არ ჰქონდა. ყველა აშენებდა, ცარიელი მიწის ნაგლეჯსაც არ ტოვებდნენ.

მთლიანად ჩემს გარშემო თელ–ავივი იდგა. ეს ქალაქი ბაბუამ და ბებერმა იზმუეიკმა ააშენეს, რათა მეტი აღარ ეცხოვრათ შავსა და ჭუჭყიან იაფოში. ქედზე გადმოდგნენ, ფოტოსურათი გადაიღეს, პალო ჩაასვეს და აი, ქალაქი, ებრაელთა ქალაქი. იზრუნონ ფულის ამბებზე გოიმებმა[13]. ებრაელები დასხდებიან და სამღერას შემოსძახებენ, კოცონს გააჩაღებენ და გოიმებს შებრაწავენ. ჯერჯერობით შაბათის გოიმი გვესაჭიროება. რას ვაკეთებთ? ვირჩევთ ქალაქის კომიტეტს, ვამყარებთ შეთანხმებას ყოვლადძლიერ უფალთან. ქალაქს სჭირდება, რომ შაბათს ელექტროენერგია იყოს. ჰოი თელ–ავივი, თელ–ავივი, გორა გაზაფხულისა[14]. არ არის გაზაფხული შენი ხამსინები[15], შენი გაზაფხული მოკლეა და წუთიერი. „ორ ჟასმინს შეუძლია ჭკუიდან შეშალოს ადამიანი“, – თქვა დეიდა შლომითმა და მთელი თეფშები ერთიმეორეზე დააწყო, როგორც აკეთებდა თავისი ცხოვრების, დღეების, წლების, წამების მანძილზე. „რა გაფუჭებული ბავშვია, – ამბობდა იგი, – მე რომ დედაშენი ვიყო, ჭკუას გასწავლიდი“.

„კეთილო დეიდა, ნახე, რა ჰქნეს იქ ტყუპებმა?“

ოთახში შევარდა. ფანჯარა ჩაბნელდა. და დარჩა დაბზარული მიწა. ისიც მთავრდებოდა და იწყებოდა

თელ–ავივი, სწორედ იმ ადგილას, სადაც უსასრულო ტრასა დიდი წყალდიდობის დროს ჩაიძირა, როდესაც ბუგრაჩოვის ქუჩაზე იახტებით ვმგზავრობდით. და არ ვიცოდით, იყო თუ არა ის ქვეყნიერების აღსასრული. თელ–ავივ. შენი ზამთარი ცრის და თთთოოშშშავს. სახლებში გათბობა არაა. ჩვენ ხომ აღმოსავლეთში ვართ, აღმოსავლეთი კი თბილია, – ასე სწერია წიგნებში. წიგნებს რაც დააივწყდათ მოეთხროთ, ის არის, რომ ადრე მთები ტყეებით იყო დაფარული, რომლებიც ქარს აკავებდნენ, ახლა კი ტყეები აღარაა. ტყუილად როდი გეძახიან გორას, გაზაფხულის გორას. გაშენებენ, ჩემო ბედკრულო ლამაზმანო, ისე სწრაფად გაშენებენ, რომ სახლი, რომელიც ბოლოს ააშენეს, უკვე ისე უმზერს წინა სახლს, როგორც გორას, სადაც უნდა წახვიდე და გათხარო, რათა სიძველენი აღმოაჩინო.

აი, ჩვენი სახლი წინათ ჩრდილოეთში იყო. მისკენ წასვლა თავგადასავალი იყო. განმარტოებული ვენახები, ყავისფრად დამტვერილი. მათ შორის საფლავები აღმოცენდნენ, რომლებიც იქამდე გაიჯიმნენ, რომ ყველაფერს ესაზღვრებოდნენ. ერთს ქალაქს ეძახდნენ, მეორეს – მუსლიმურ სასაფლაოს. ახლა კი ქალაქი ჩვენ მოგვდევს. უდაბნო ეცლება აქაურობას და მე ვყვირი: „აიი.“ „აიი.“ – ასე იმიტომ დავიძახე, რომ ისრაელში დავიბადე. გერმანიაში რომ დავბადებულიყავი, ვიტყოდი: „ოუ.“ ხოლო ამერიკაში თუ ვიშობოდი – „აუ.“ განსხვავება არის. ავიღოთ ბავშვი და გვარი ეკითხოთ. თუ გვეტყვის „ბანდურუთს“, თელ–ავივში დაიბადა, „ომნიბოსს“ – ხაიფაში, „აფიფონს“ – იერუსალიმში. „აქ ჩვენს ოცნებებს მარხავენ“, – თქვა მამამ, რომელიც ლიაკებს სურათების ჩარჩოებს უკეთებდა. მათ თავიანთი სახლის კედლებზე უნდა დაეკიდათ ეს სურათები. ხოლო ამ სახლში, გადატრუსული მიწის გვერდით, ჭიანჭველას გვერდით, ხის მოედნის

გვერდით, ტყუპებთან ერთად, დეიდა შლომითის გვერდით, ქუჩასა და ხეივანს შორის ვინ იზრდებოდა? მე ვიზრდებოდი, და მექნებოდა მე ბარ–მიცვა ბარ–მიცვას გარეშე. და როცა ნახუმი წაიკითხავდა თავის ჰაფტარას[16], – რაც შესაძლოა ჩემი ყოფილიყო, – მე სუმილთან გადავიდოდი და მზესუმზირას შევაკნატუნებდი. არ მომცემდნენ საჩუქრებს და ნუ მომცემდნენ. აღარ მიძღვნიდნენ ბოროხოვის კრებულს და სამიოდე მონჯღრეულ კალამს. განა რა არის დასაწერი ამ კალმებით? თანახი უკვე დაწერილია, ბიალიკის ლექსები დაწერილია, ნახუმ გოტმანის მოთხრობებიც კი დაწერილია. რა არის კიდევ დასაწერი? წერილები? განა სად მივდიავარ? რა, გავრბიავარ? ირგვლივ წყვდიადია. ბეირუთში რამდენიმე მთაა, სამხრეთით – ეგვიპტის მდინარე. საით გავწიო? ჩრდილოეთ პოლუსისაკენ? გზა არ ვიცი.

უკეთეს შემთხვევაში მე მივდიავარ სუმილთან ან ჟასმინების ქუჩაზე, ან კიდევ კენწეროების თუ ყვავების ქუჩაზე, – სანამ ყვავების ქუჩა იქნებოდა, მოდიოდნენ აქ ყვავები, ჩხაოდნენ ყვა, ყვა, ყვა – ყვავურ სიმღერებს სოკომორის კენწეროზე. ერთხელაც მზემ სული განუტევა ხის კენწეროზე. ყვავებმა მწარედ იგლოვეს და გაფრინდნენ. საით წავიდე? სკოლაში? ამ დროს არც იქ არის რამე დასაწერი (თუკი დავწერ, დამამახსოვრდება, ამის შემდეგ კი უფრო გაჭირდება დაეიწყება). დამსვით შავ ნავთქურაზე, გამურულზე, დაწვეთ ჩემი სხეული შარშანდელ გაზეთებთან ერთად, რომელთაც სიცოცხლე მოესწრაფათ, რადგან არ იცოდნენ დროსავით სწრაფი სრბოლა (ადრე თავად ამათ გამოიგონეს დრო, ახლა არ ძალუძთ მას გაეჯიბრონ). ოლონდაც არ ვიყო კელავაც გადატრუსულ მიწაზე. დეიდა შლომითთან ყოფნას არყოფნა სჯობია.

ჩემი ჯადოსნური ქალაქი, ფერიული, ფერად–ფერადი, ცარიელი მოედნებისა. ყოველ მოედანზე აშენებენ სახლებს.

აი, რაბინოვიჩი, მოკვეთილის მამა, აგერ რაბინოვიჩის ძმებიც მოვიდნენ, ააგეს სახლები, სახლი სახლს მიაშენეს. სიკვდილი მოაქვთ მოედნებისათვის. სულსწრაფ პილიგ-რიმთა გიუური იდეა შემწვარი კარტოფილისა ბალ-კონების სრულ რეალობად იქცა. და ღებავენ ჭარმაგი რაბინოვიჩი და ჭაბუკი რაბინოვიჩი ამ რეალობას ნაცრისფრად – დიდებულ უდაბნოთა სიკვდილისფრად. გოდებს უდაბნო. რა გულისმომკელელი ტირილი იცის უდაბნომ ღამღამობით ტურების პირით: იუჰუუუუუ...

„წადი, ფუნთუშები მოიტანე.“ – მითხრა დეიდა შლომითმა. მე გავრბივარ და მისთვის ფუნთუშები მომაქვს. რომ არ ესწავლებინათ ჩემთვის, თუ რა არის ფუნთუშები, უდაბნოს საფლავზე ყვავილებს დავაწყობდი. მაგრამ მე ზუსტი ენა მასწავლეს. „აიღე ფუნთუშები.“ – ეს ტრადიციაა, ჩემო მეგობარო. იაფოში ბაზრებია, სადაც უეჭველად ბუდობს დიდი საიდუმლო, თავის თავში ჩაკუმშული, ფრთხილად, მოთმინებით, მაგრამ მოზიდული, რათა გავარდეს, როგორც ღამით პლანტაციის ჭაში ჩაძახილი. იაფოში, უბადრუკი სამალავებიდან ზმანებათა ფარფლები იჭყიტება, დეიდა შლომითს კი ფუნთუშა სურს, ბულკი.

ყოველ მეორე მოედანზე სახლს აშენებენ, ყოველ პირველ მოედანზე დაფას დგამენ. მის ერთ გვერდზე განცხადებებს აკრავენ, პარტიულ შეკრებათა მაუწყებელს, მეორე გვერდზე კი იმას აკეთებენ, რასაც – ტყუპები ხის გვერდით. ხანდახან მხარეებს ცვლიან. თეთრი სახლები ქათქათებენ, თეთრად გაჰკიოიან. რა სითეთრეა. მიბნედილ მთვარეს როდი ჰგავს, ფიცხი მზის სადარია. სახლები კიოიან სითეთრისაგან როგორც ტურები, ხმით არა, ფერით. ტურებივით ყმუიან სახლები როგორც სული მოკვეთილისა მთვარიან ღამეს, როცა მახლულის უბანი ბობკსებით[17] უტევს და კაციშვილი არ მოუწოდებს სამშობლოს

დასაცავად რაგატკით ან ურაგატკოდ: „აიღე შენი რაგატკა და გაირჭე სადმე“. სამაგიეროდ გედერაში ტურებს უკეთესი ხმა აქვთ. როგორც მიკვე ისრაელში ზუზუნებენ ნაზ ჰანგებს ფუტკრები. ხეთა კენწეროებს ბოლო არ უჩანთ, ცას საზღვარი არა აქვს, ხოლო სახლებს ძირები ღვინოში უდგათ. გედერაში აუზია, ასაელმა და ამიელმა ამოჭრეს, რათა ტურისტებსა და სკოლის მოწაფეებს სადმე სურათის გადასაღები ადგილი ჰქონოდათ.

ყოველ ბინას აივანი აქვს, ყოველ აივანზე მაგიდაა. ეზივარ გადატრუსულ მიწაზე, ჭიანჭველებს ველაპარაკები, თვალებით. ეჭამ ყვითელ ხვრელს და ვფიქრობ, დეიდა შლომითი ცემით მოვკლა თუ დავახრჩო. სისულელა, ბუზზეც კი არ შემიძლია ხელი ავწიო, გარდა მოკვეთილისა, იმას დავკოდავდი.

ჩემს ირგვლივ სულ ბალკონებია. ყოველ ბალკონზე მაგიდაა. ყოველ მაგიდასთან ადამიანები სხედან ღამის პეპლების ღრუბელში და მიირთმევენ კარგად დაკეპილ სალათსა და მაწონს. სხვენები დაფარულია თეთრეულით. სახედანაოჭებული, ლოყებგარუჯული იემენელი მოხუცი ქალები რეცხავენ ვეებერთელა ნაცრისფერ ვარცლებში და დროდადრო ცოტა ლილას ყრიან თეთრ მასაში. ყველაფერი გადათეთრებულია. სხვენები ცოტაც და გაფრინდებიან იქ გაკიდული საბნის ჩიხოლების სიმრავლისაგან, რომლებიც დღისით მზეზე კამკამებენ, ღამით მთვარეზე ციმციმებენ. აქ ყველაფერი საკუთარ თავს ემსგავსება, საკუთარ თავს ჰბაძავს. სარკეში იცქირება. ზამთარზაფხულ, დღედაღამ. მხოლოდ ღამე იცის ცოტა ბნელი. ამაღამდელი ღამე კი არც ისე ბნელია. დღისით მამა თავის სამსახურში მიდის, დედა – თავის სამსახურში, ხოლო დეიდა შლომითი ნერვებს მიშლის: „რას ეძებ ცხვირში? ოქროს?“

ამასობაში ღამემ კალთები აიკრიფა, საღამოს მოწყდა

და მითხრა: „იოსეფ, ადი ზევით, დაიძინე.“ ავედი. დედამ ამოიოხრა და თქვა: „ეზოში როგორი იყო? დეიდა შლომითი ნახე?“

„მიდი ფანჯარასთან და დაუძახე. სიბნელეში ზის. გულმოსულია და რაღაცებზე ფიქრობს“.

შემდგომ ამისა თავი შევამზადე ღამის სამსხვერ-პლოსათვის. მსუბუქი რონინით, ირემლაღიევით, – ვეხებოდი და არც ვეხებოდი იატაკს, – მივედი და ვუთხარი: „ღამე მშვიდობის, დედიკო და მამიკო“. და მათ მომიგეს: „ღამე მშვიდობის, შვილო, ტკბილ სიზმრებს გისურვებ.“ მე ყოველთვის ტკბილი სიზმრები ვიცი. დავფრინავ, სადაც მინდა, იქ დავფრინავ, თითქოს ფრთიანი ჭიანჭველა ვიყო. ცაში ვლივლივებ და ვგიუმაჟობ. ვარსკვლავებს ვწყვეტ-ურიცხვს, უთვალავს, ნელა ვუახლოვდები საულს – ისრაელის მეფეს, რომელმაც დაკარგა თავისი საუფლო, რადგან ამალეკთა მეფე შეიბრალა და არ მოკლა. მოწყალე ერი.

დედ-მამამ სხვა სიზმრები იციან. მათ ორ განცალ-კევებულ ოთახში სძინავთ და მთელ ღამეს ოხრავენ და კვნესიან ძილში. მათ საძინებლებს შორის კარია, ორი გაყოფილი სამყაროა, სიზმრები კი ერთი და იგივე აქვთ. რა უცნაური ხალხია დედები და მამები. მარტორქას აბრეშუმის ჭიები ჰყავს, რომლებიც პარკებში სიზმრობენ და ქვეყანას პეპლებად უბრუნდებიან და ყრიან პაწაწკინტელა კვერცხებს, ალბათ მილიონს, იქნებ მეტსაც.

ოღონდაც ხვალ შაბათი იყოს. მაგრამ არ არის ხვალ შაბათი, არც როშ ჰაშანა[18], არც ხეთა დღესასწაული და არც ხსოვნის დღე. შაბათი რომ იყოს, სუმილთან წავიდოდი. თაებრუდამხვევი სისწრაფით გადავუშვებდი ხახაში კვახის მარცვლებს, ყავას დავლევდი, გემრიელად მოვწრუპავდი და პირდაპირ მუცლიდან ამოვუშვებდი ოხვრა-კვნესის ხმებს, ნაცვლად ძილისა მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრების

მანძილზე. ღღეები დაჭრილია ნაჭრებად ხორცის, კიტრის. წუთისოფელია. და მოხუცი აბუ შალუფი. მიამბობდა ჯუხაზე. ჯუხაზე, რომელიც მიდიოდა ხოლმე მუხატაზე – სადგური არაბულად – რატომ? რადგან ცოლი, რომელსაც ის ყიდულობდა, ბეირუთიდან მატარებლით ჩამოდიოდა. და რა ხილვა ეწვია ბატონ ჯუხას ქალის პირიეით მოლებულ წარმოსახვაში: თუ როგორ ეგებებოდა საწოლში ცოლი. რას შვრება ბატონი ჯუხა? ბოძზე აბამს ეირს, დგება და იცდის დიდის მოთმინებით. ალ–ხასლუ. უცებ მოვიდა მატარებელი, რომელმაც ბეირუთში ნაყიდი ცოლი ჩამოიყვანა და მორთო ტუუუუუუ ტუუუუუ. ხოლო ვირმა ვირუკელამ რაღა ჰქნა? მორთო ოოო ოოო ოოო ასე აქნევდა მთელ ყბას კახპას უკანალიეით. ჯუხას ბრაზი მოერია და უთხრა: „ჰე, ვირო, შე ვირიშვილო. ვის ჩამოუვიდა ქალი? მე თუ შენ?“

მოტყდა დღეანდელი წვეროსანი დღეც. მშვენიერი ნათქვამია. დედას მშვენიერი ენა აქვს. არასოდეს იტყვის „შიგნით საწოლში“. მამასაც მშვენიერი ენა აქვს. მე ვლაპარაკობ ველურად. იგი ხამსინებთან ერთად მოდის, წვიმის წვეთებს მოჰყვება, მზეს, რომელიც ყველაფერს აშრობს, კეიპაროსების ქოჩორსაც, – ისინი ცას კითხვებს უსვამენ და ზეეით მიუთითებენ, თითქოს ჩლუნგ მოწაფეთა თითები იყვნენ, – და ჟასმინებს, სურნელებას რომ ფშვენენ, კერატების ბილწი ხუმრობის სუნს რომ გა–მოსცემენ, კაქტუსის ეკლებს, რომელთაც ჩვენი აზიზი სხეული მოურთავთ. ძილის დროა. „ჩვენი ქვეყანა რძისა და თაფლის ქვეყანაა“, – ამბობს დედა. ჩვენ კი რას ვამბობთ? ჩვენ ვამბობთ: „ჩვენი ქვეყანა ვირებისა და ჩოჩრების ქვეყანაა“. ის გულით ამბობს, ჩვენ – თვალით.

საერთოდ დედას თავისი სამყარო აქვს. გადატრუსულ მიწას კი ჩემი ჭიპით უკავშირდება. მე გადატრუსულ მიწას უფრო ვეკუთვნი, ვიდრე – დედას. თუმცა ის არ

არის ჩემი მასწავლებელი? შუადღეს შინ არ ბრუნდება და არ კითხულობს: „გაკვეთილები მოამზადე“? აი, დედას კი ვერ მოატყუებ. განა ის არ მაძლევს გაკვეთილებს? მარტორქას შეუძლია ყველაფერი უამბოს დედას, და მე? – მხოლოდ გადატრუსულ მიწას. დედაჩემისთვის პედაგოგიური ექსპერიმენტების ლაბორატორია ვარ. და რატომ დადის დასვენებებზე ბროში მასწავლებელთან ერთად? გადატრუსულ მიწას უყვარს ჭიანჭველები. ისინი მას საკმარისად ჰყავს.

ველურობა ჩვენი ენის თავაწყვეტილობაა, – თქვა დედამ. დეიდა შლომითმა კვერი დაუკრა თავისი სულელური ებრაულით. თავაწყვეტილობა – რა დიდებული სიტყვაა. ამგვარი სიტყვით და სახელით როგორიცაა რიო დე-ჟანეირო შეგიძლია წითლად შელებო ზამთრის გრძელი ღამე ბუმბულის საბნის ქვეშ, რომელიც დეიდა ლეამ აჩუქა დედას. „პერინა“ ბროში მასწავლებლის ებრაულის მარგალიტია. „ქვეყნად კოკრები გამოჩნდნენ“–ს „გამოკოკ-რდნენ კოკრები“, – იტყოდა იგი. „პერინამ“ კი მის თვალში ნახატი ფილმივით დაისადგურა. ხოლო მე იოსეფ გრეცი მქვია და გახლავართ მარგალიტი თავაწყ-ვეტილი თუ თავაწყვეტილობის ენისა. ენების მარგალიტში– მაგრამ დღეს არ არის შაბათი და, რაც მთავარია, მე უნდა ავდგე. მარტოკა უნდა გამოვეძვრე სახლიდან ოთახის სიცივეში. გარეთ გადატრუსული მიწაა, ცალმხრივი ქუჩა და ხეა. ტყუპებიც დგებიან. ტყუპისცალი ძმა რომ მყავდეს, ქვეყანას ორად გავიყოფდით და დავლევდით. თითოეული – თავის მხარეს, მერე კი – ერთად. უნდა აჯობო ოთახის სიცივეს როგორც მაციეარმა, სწრაფად ჩაიცვა, გადასანსლო თვალებში ჩამჯდარი სიცივე როგორც მგალობელი ჩიტუნა. მოკვეთილის ძმას ჩიტივით სტვენა შეუძლია. მოკვეთილს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ლაგ ბა–ომერი[19] რომ იყოს, კოცონზე ჩამოვკიდებდი და

მის გარშემო ეირბენდით მე და ყველა ჩემი ტყუპი.

ის გახლდათ, „ხვრელი მთვარეში“-ს რომ უმღეროდა დეიდა შლომითს. უცებ დეიდა შლომითზე გული დამეწვა. ხანდახან კარგია გაჯავრებული და გაბრაზებული იყო ვინმეზე. ამის საშუალებით მეგობრებს იჩენ, – ყველა, ვისაც ვინმე დასცინებს, ჩემს მეგობრად იქცევა. ვიჯექი და მადიანად ვნთქავდი საუზმეს – ფაფას, სუსტ ყავას და ცხელ-ცხელ ფუნთუშას. კოცნით დავემშვიდობე დედ-მამას და კარი გამოვიჯახუნე. დარჩა ის ცხოვრება ჩემს უკან, სუსტი გოდება. ღმერთი გაჭიმულიყო ჩემს წინაშე. შემეძლო შევჯდომოდი ზურგზე ქვეყნის დასალიერამდე – ეს ის ადგილია, სადაც თუთის ფოთლები დავკრიფე აბრეშუმის ჭიებისათვის საჭმელად. წუთში ზღვის პირას ვიყავი. კიდევ ერთი ნაბიჯი მართლა და შემეძლო ამერიკაში გამეცურა და ინდიელები დამეხოცა. მაგრამ ორმა ტალღამ სასაცილოდ ამიგდო – ისინი თეთრები იყვნენ, ქაფით სავსენი, ქვიშას ასკდებოდნენ და ნიჟარებით სავსე მუჭს აცარიელებდნენ. შემოდგომა იყო და მიწას, რომელიც გუშინ დამსკდარი იყო, ნამიანი სიმწვანე ამოეწვერა და მასში კამკამა წყალი ჩამდგარიყო. როცა მე ვდგავარ და მას დავცქერი... როცა მე ამას ვაკეთებ ხანდახან, რას ვხედავ? მე ვხედავ ჩემს გამოსახულებას, უფრო ზუსტს, ვინემ სარკეში. „ნახე ბიძია ნათანიას სურათი ცხენზე. თითქოს ის სარკესთან დგას“, – თქვა დედამ.. სარკე მრუდეა, დედა. კედლის საათი დროს არ უჩვენებს. ყველაფერი რაღაცაზეა ჩამოკიდებული, – ელენერგიის მავთულებზე ელენერგიის გარეშე. სარკის გამოსახულებები არ არის ნამდვილი, შებრუნებულია. უმჯობესია გადატრუსულ მიწად ყოფნა. ერთ დღესაც წავალ იქით გულის გადასაყოლებლად.

დიდებულია შემოდგომა, ჯადოსნური, გადაჭიმული ზღვის პირზე. ორი ბეღურა იგლოვდა მას აგადების[20]

წიგნიდან. წყალი გრილია. ქარი კი ქვიშას აყრის და იქნებ შეეძლო რამე ვიპოვო, რაც გასული ზაფხულიდან დარჩათ მობანავეებს. ყველა ბავშვი გარბის ზღვის პირას, როცა შემოდგომის ქარი უბერავს. ასობით ბავშვი მოდის ყოველი მხრიდან. რა სანახაობაა, ბრძოლის ველივითაა. ყველანი ქვიშაში მიძვრებიან ოცნებების მოსაძებნად. ოცნებები სხედან თავისთვის ჩატენილები გროშის ხვრელებში. არაბი ქალები გროშებს ცხვირზე იკიდებენ. ჩვენ ჩვენს ოცნებებს გროშის ხვრელებში ვკიდებთ. დედა კი – ფუნთუშების ხვრელებში. მამას უთქვამს: „როგორ აკეთებენ ფუნთუშებს? იღებენ ხვრელებს და ირგვლივ ცომს ადებენ“. ეს მამა გახლავთ, ჩარჩოების მკეთებელი, ამიტომ ლაპარაკობს ასე. განსაჯეთ: იღებენ საცოდავ ტილოს უბრალო ნახატით მამლისა, რომელიც ერთ მონეტადაც არ ფასობს, რომელსაც ყივილიც არ შეუძლია, თქმაც არ უნდა, რომ შეუძლებელია მას საკენკი დაუყარო, და მის გარშემო აკეთებენ ოქროს ჩარჩოს. და რას ამბობენ? ამბობენ ნახატს შეხედეთო და ჩარჩო სადღაა? გროშის ხვრელებთან ერთადაა, კრენდილების ხვრელებთან, დაკარგულ დღეებთან, დედ–მამის აკვნესებულ ღამეებთან, მოკვეთილის ყველა სისულელესთან, ცის ყვითელ ხვრელთან, რომელსაც გოგონებმა სახელი შეუთხზეს: მთვარე – მტვარე – ნამგალი. ერთმა ბავშვმა გროში იპოვა, მეორემ სამჯური ან იქნებ ქარი იპოვა და გაფრინდა მასთან ერთად. ყველა პოულობს ან ამბობს, ვიპოვეო. დილაობით ჩავდივარ სანაპიროზე, ელალატობ ჩემს საყვარელ გადატრუსულ მიწას ეზოში, საიქიო ცხოვრებასაც ვთმობ და არა ვგალობ ჰაფტარას, ვთმობ და არ ვმართავ ბარ–მიცვას. და რას ვპოულობ? ვპოულობ ვიღაცას, ვინც იპოვა, ისიც გარბის თავის გზაზე და რჩება საიდუმლო.

როდესაც დავიბადე, ნათლიამ თქვა, დღეს ნისანის

ექვსიაო. ნისანი[21] დიდებული თვეა. მას ციტრუსის ყვავილთა სუნი ასდის. ყვავილობის და სურნელების თვეა. მზე ბანაობს ლიმონის ნაზ ყვითელში შეზავებული ვერცხლისფერის მშვენიერებაში როგორიც დედაჩემის სახეა, როცა მას სძინავს და სიზმარს არ ხედავს. დავიბადე ნისანში, გაზაფხულზე. დამარქვეს იოსი. „როცა გაიზრდება, – თქვა ნათლიამ – იოსეფი დაუძახეთ, ხოლო როცა დაბრძენდება, იეჰოსეფი“. იოსეფელე გრეცელე მეძახდნენ ბავშვები და თვალებში ბოროტება ედგათ. ხანჯლები რომ ყოფილიყო მათი თვალები, კარგა ხნის მკვდარი ვიქნებოდი. ამიტომ ჩემი საყვარელი გადატრუსული მიწაა და ჩემი ცხოვრების ოცნებაა ჭიანჭველა ვიყო. მათი ხვედრი უკეთესია. არაფერი ესაქმებათ ბავშვებთან, რომლებიც სკოლაში მიდიან. გზად ზღვის პირას გაიელიან გროშის მოსაძებნად და იეჰოსეფელე გრეცელეს დასაცინად, მხოლოდ იმიტომ, რომ დედამისი მასწავლებელია, მხოლოდ იმიტომ... მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა მე სკოლაში მივდივარ და ვიცი, რაღაც საშინელი მოხდება. ყოველ დღე რაღაც საშინელი ხდება დედაჩემის სკოლაში–დალახვროს ეშმაკმა. ვიდრე ზღვის პირს მივაღწევდე, გამოდის ქალბატონი ბირნბაუმი ბუჩქებიდან, მის სახლს ცხვირსახოცივით რომ აკრავს და ისე მეკრობა, როგორც მზე ეკიდება საცოდავ არსებას ქუჩაში.

„რა მოხდა, ქალბატონო ბირნბაუმ?“ – ვუთხარი. ძალზე ეჩქარობდი. მაშინვე მივახალე.

„აქ ისევ ლომები იყვნენ“, – თქვა მან.

„როდის?“

„წუხელ“. მორთო ტირილი, მოჰყვა თავისი განსაკუთრებული მარგალიტების ღვარღვარს, რომელთაც მისი ქმარი, რომელიც მას უკვე აღარ ჰყავდა, კოცნით უმშრალებდა ხოლმე. მარილიან, ერთგვარ ბირნბაუმულ ცრემლებს. გახუნებული წინსაფრით მოიწმინდა სახე.

ქანქანამ ჩაიარა და იგი შიშით შეხტა. „ნერვები“, – თქვა ქან.

„დაწყვეტილია“, – ვთქვი მე როგორც მისმა გულთმისანმა.

„დაწყვეტილია, დაგლეჯილია. ვიღაცამ ცა გახსნა და უბედურებები გადმომაყარა, – ყვიროდა იგი, – წუხელ აქ ლომები იყვნენ“.

„ისევ ლომები“.

აქ გავიზარდე. დაკაცების ჟამი ყველას აქვს. მეწაღე იეჰოშუა ამ დროს სიმღერას კერავს. ნეხამა მეიროვიჩის და არ უთმობს ინგლისელ ჯარისკაცებს მოწყალებად თაკის სხეულს ქედებზე, მუსლიმურ სასაფლაოზე, ნამგლებად. მახვილებად, ნილოსის შმაგ ცხენებად გაბოხარატებული ქვების სასთუმალთან.

„ერეც-ისრაელში ლომები არ არიან, – ვანუგეშე იგი, – ალბათ გილადის კურდღლები თუ კაწრავდნენ საკურდღლის კედლებს, იქნებ ტურა დაძრწოდა გზაში. რა დროა?“

„კარგი დროა“, – თქვა და ცრემლის კაკლები გადმოყარა.

„ნამდვილი წარღვნაა“, – ეფიქრობდი და გამახსენდა მოკვეთილი. ღმერთმა ქნას, ის მოყვეს ამ წარღვნაში.

„არა, არა, – მეევედრებოდა ქალბატონი ბირნბაუმი, – მარტო ვარ, სრულიად მარტო. არავინაა. მხოლოდ ლომები მოდიან და წყვდიადში ბრდღვინავენ.“

„ეს გადატრუსული მიწაა“.

ის ცრემლებს აწვიმებდა.

„რა ქვეყანაა“, – ამბობდა მოხუცი ქალბატონი ბირნბაუმი. მას ქმარი არ გამოჰყოლია, სადღაც შორეულ ადგილას დარჩა. „რა ქვეყანაა, ყოველი წელი გვალვიანია“.

„ყოველი წელი გვალვიანია“, – გავიმეორე მისი სიტყვები. მზეზე თუ გამომშრალ ჩრდილში იქერცლება მთელი ქვეყანა. უმყოფობაა და უნაყოფობა.

„ავეჯი მიყვარს, – თქვა მან, – ისინი მშვიდები არიან.“

„დიდებულები არიან, – საამოდ გავიღიმე, – სახლის გარეთ გამოვათრევ ხოლმე, რათა დეიდა შლომითი არ დაეცეს მუხლებზე ღმერთისთვის მადლობის შესაწირად, ასეთი კარგი რომ ვარ, როცა მომინდება. მაგრამ გვალვაც აღსავსეა ბრწყინვალებით როგორც არწივი“.

„არწივი...“– ჩაიბურტყუნა ქალბატონმა ბირნბაუმმა.

„არის არწივი და არის მაწონი – ორი მხარე ერთი და იმავე მონეტისა. შუაში იმედს ნაყავენ.“

„რას?“

„ქვეყნის იმედს შუაგულ აღმოსავლეთში“.

„ეს ჩვენი ქვეყანაა, – თქვა მან და გაიმეორა: ეს ჩვენი ქვეყანაა ერეც–ისრაელი...“

„დიდად გმადლობთ, – ეუთხარი მას, – ჩემიც აგრეთვე. აქ ვიყავ აქამომდე, როცა არ ვიცოდი საით წავსულიყავი. უეცრად მოვიდა ერთი წმინდანი ქალი და მითხრა: „წადი.“ და მე წავედი. იცი, მაშინ რა მოვიმოქმედე?“

„რა?“

„მუცლიდან საშინელი ყვირილი ამოვუშვი და მამამ კინაღამ გონება დაკარგა“.

„ბრწყინვალე მეხსიერებაა“.

„დიახ, მაგრამ აქ ლომები არ ყოფილან“.

„არა, არა. დიახ, დიახ... ესე იგი მამაჩემი მონადირე იყო. აფრიკის ტყეებში ნადირობდა ლომებზე და მათ გერმანიის ზოოპარკებს ყიდდა. ისინი აქ ჩემს მოსაძებნად მოვლენ, შური რომ იძიონ. თავის გადასარჩენად გამოვიქეცი.

„აქ არ არიან ლომები, – გავყვიროდი კვლავ და კვლავ მისი მისამართით. არც დათვები, არც წითელქუდები, არც ტყეები. ორი რაყაა, რაც ჩვენ, ბავშვებმა დავრგეთ. ოთხი ნერგი ჩემი ხელითა მაქვს დარგული. ყოველ თვეში ფულს ვაგროვებ და სიცოცხლის ფონდს ვწირავ,

რომელიც ჩემს სახელზე ხეს რგავს ტუ ბიშვატზე[22]. ხეთა ვარჯისათვისაა ხეების დღესასწაული, როშ ჰაშანა თუ იომ ქიფური[23]. რგავენ ჭალებს, და კეირის თავზე მოდიან თხები და ჭამენ ნარგავებს, და კელავ რგავენ, რაც მთავარია, რგავენ."

ქალბატონი ბირნბაუმი თავის გამურულ სახლში შევიდა. მე კი სტვენა-სტვენით გავწიე ზღვის პირისაკენ, რათა ის მეპოვა, რასაც იქ პოულობდნენ. ადრე უკვე გიამბეთ ამის შესახებ. ისინი ჯერ კიდევ იქ არიან, პოულობენ. ზღვის პირზე წიგნები თავზე დავიდე, როგორც არაბი ქალები იდებენ წყლის სურებს. ფეხსაცმელები გავიძრე, სკაუტის ქამარზე ჩამოვიკიდე და წავედი. ფეხებზე გრილი წყალი მეტყლაშუნებოდა და დამსხვრეული ნიჟარები მესობოდა. მოგეცა ლხენა. ხმამაღლა წამოვიწყე სიმღერა. ეცდილობდი ზღვის ხმაურისათვის გადამეჭარბებინა, დამეთრგუნა იგი, ჩემი ხმისათვის დამემორჩილებინა. მაგრამ ჩემი ხმა ჩაწყდა როგორც მერცხლის სუნთქვა დილის ზღვის დიდებულ ხმაურში, ამ ჩემი ზღვის სანაპიროსი, იაფოსთან და მის კოშკებთან ერთად, მარჯვნივ გადაჭიმულ თელ-ავივთან ერთად. მარცხნივ ტალღებია. თევზები ჭყივიან, წეროები წივიან, ნიჟარები ნიურაობენ, მე კი ჩემთვის ვმღერი: „თელ-ავივ. სახურავების და ცის ქალაქო".

„ჰე, იოსეფელე გრეცელე", – მომესმა ჩემი სახელი, არ კი ვიცოდი, საიდან. ჩემს უკან ორი ამოტრიალებული ტანი მოდიოდა. ფეხები მაღლა ჰქონდათ და ხელები დაატარებდათ. ორი ტყუპი იყო: მეშულამი და იერუხამი.

„რა არის ქვემოთ ახალი?"

„სასაცილოა, ჰა, რა სასაცილოა იოსეფელე გრეცელე." – სიღრმიდან ამოუშვა მეშულამმა.

„რა იქნება, რომ ერთ დღეს ჩვენსავით ფეხებზე სიარული დაიწყო?"

„სულ ერთია. მაგრამ ახალი რა არის, შენ ვერ გაიგებ. იოსეფელე, გაიხედე იქით, პორტისკენ. ხედავ იქ გემს?“ – თქვა იერიხამმა, მეშულამმა პორტისკენ გაიშვირა ფეხი.

„ვხედავ.“

„ხვრელები ჩამოიტანა, ხვრელებიანი გემია.“

„კარგია, რომ არ ჩაიძირა“, – ვუთხარი მე. მიეუხვდი. ჭკვიანი ვიყავი.

„ეს ხუმრობა არ არის, იოსეფელე გრეცელე“.

„ნახე, რომ ვიცინი?“

„არა“, – დაადასტურა ორივემ. პირები ქვიშით ჰქონდათ გამოტენილი.

„მიდით მოყვეით.“

„მისმინე, რატომ არ იცინი?“

რა უტვინოები იყვნენ ტყუპები. ჭკუა ორზე ჰქონდათ განაწილებული.

„ხედავ მეორე გემს?“

გავიხედე.

„ნემსებითაა სავსე. ნემსებიანი გემი დაუკვეთეს. იგი მოვიდა. ავიდნენ შესამოწმებლად. რა ნახეს? უხვრელო ნემსები ნახეს. მშვენიერი ნემსები, წვეტიანი, პრიალა, კარგი, მაგრამ ხვრელების გარეშე. რა ილონეს? ჩამოიყვანეს გემი ხვრელებით.“

„კარგი ანეკდოტია“, – ვთქვი და მათ გამოსამშვიდობებლად ხელი დავუქნიე.

ჩემს გზას დავუბრუნდი. მივიმღეროდი ჩემთვის, მელოდია გამოვიგონე და ვიდრე მის შესაფერისს სიტყვებს მივაგნებდი, მეთევზეთა ვერფს მივადექი. იქ მუშები იდგნენ და დიდ თევზსაჭერ გემს აკეთებდნენ. „ბიჭო... ბიჭო...“ – მომაძახეს.

„რა არის?“

„წადი, ისწავლე, თორემ კიდევ დააგვიანებ და

იძულებული გახდები თევზსაჭერი ნავები შეაკეთო“.

რატომღაც ამ სიტყვებმა ისინი გაამხიარულა და სირბილით რომ არ ჩამეელო, – ხელში წიგნებით, ფეხსაცმელები აქეთ–იქით დაგიუაობდნენ სკაუტის ქამარზე, თუმცა სკაუტთა შორის არასოდეს ვყოფილვარ, – ალბათ დღემდე ყურებში მათი ხარხარი მექნებოდა.

პორტის შესასვლელთან ორ ბრიტანელ პოლიციელს ჩავუარე. ზევით, ქედზე ავედი და მარტორქას დავუსტვინე. მარტორქა მოვიდა. იცინოდა. ვიფიქრე, ალბათ ანეკდოტი გაიგო–მეთქი. „რას იცინი? – ვკითხე მას და პასუხს არ დაველოდე, ისევ დავაგვიანებთ სკოლაში“.

„სად გაგვექცევა“, – თქვა მარტორქამ, დიდმუცელამ, დიდებული კეხიანი ცხვირით, იომ ქიფურზე უკულმა დაჭერილი ბუკის მაგვარი.

„დედაჩემმა სიზმარი ნახა“.

„ნაღდად ლომების ღრიალს ისმენდა თავის ეზოში“.

„მთლად ეგრე არა... სიზმარში ლომი რომ ენახა, იფიქრებდა, რომ ეს დიდი ძაღლია. ამიტომაც ნახა ლომი. დიდი ძაღლი რომ ენახა, შიშისაგან გული გაუსკდებოდა. არაფერი ამის მსგავსი. მას ესიზმრა, რომ ინგლისელებმა დატოვეს ქვეყანა და მხოლოდ ებრაელები დარჩნენ. იგი ტიროდა ძილში. „ვინ დაეწყველო აწი, – მოსთქვამდა, – ვინ? ვაიცმანი? ჩერტოკი? ბენ გურიონი?[24]“

„მართლა ლომები დაესიზმრა. ეს, უბრალოდ, ჰალუცინაციებია.“

„რატომ ხარ ასე უცნაური?“ – მითხრა მარტორქამ და სირბილი შეწყვიტა.

„რადგანაც არყოფნა მოსაწყენია ჩემთვის“, – მივუგე მე.

„ოჰ, ეს სხვა საქმეა.“

სკოლაში თითქმის დავაგვიანეთ. მარტორქას ბალახზე

ჩემთან ჭიდაობა მოუნდა. ყველას უნდა ბალახზე ჭიდაობა. ბალახს, როგორც ჩანს, უყვარს, მასზე რომ გორაობენ. მაგრამ ჩვენ ვჩქარობდით და ბალახზე არ გვიჭიდაავია. არც – დერეფანში. გაჭირვებით ჩამოვტეხეთ ერთი საწყალი საკიდი და ყიჟინით მოეუსვით. კლასში შეეფრინდით. ზარის ენამ უკანასკნელად დაიწკარუნა და ჩვენ შიგნით შეგვყარა. კლასში სრულიად გამოვიცვალე, ჩემმა სახემ სასკოლო გამომეტყველება მიიღო, რადგან ის დედაჩემის ინიციალებს უკავშირდებოდა. წყნარად მივუახლოვდი სკამს და დავჯექი. ირგვლივ ოთხმოცდაათი თვალი მესობოდა. ყურადღება არ მიმიქცევია. ჩანთიდან წიგნები ამოვიღე, ფანქარი გავთალე.

„როგორ არის დღეს დედაშენი“, – მკითხა ნაომიმ.

„ის დედაჩემი არ არის, ის მასწავლებელია“, – მოეუჭერი მე.

„ხო, მაგრამ ის დედაშენია“.

„ნაომი, შენი ლოგიკის კანონების თანახმად, ის დედაჩემია, რადგან მე დამბადა, რადგან შინ ის მაჭმევს, რადგან წუხელ მესმოდა, ძილში რომ კვნესოდა. მაგრამ სხვა ლოგიკის კანონების მიხედვით, თუმცა შენ არ შეგიძლია ეს გაიგო, აქ ის მასწავლებელია, მირა მასწავლებელი. ადამიანები, რომელთაც ჩვენ გვშვეს, ყოველთვის არ რჩებიან დედიკოებად და მამიკოებად. ზოგჯერ რაღაც ხდება. ჩარჩოები იცვლება. მაგალითად სიზმარში მე სხვა დედა მყავს.“

„შენ მითხარი, რომ სიზმარს არ ნახულობ“.

„მე გითხარი, რომ კოშმარებს არ ვნახულობ–მეთქი.“

„ოჰ.“ – ამოთქვა ნაომიმ.

მასწავლებელი შემოვიდა. „გამარჯობა ბავშვებო.“ – შემოიჯრა მისი ხმა. თითოეულს უმზერდა ყოვლისმომცველი მზერით. თავის ადგილას დაჯდა. შაეი დაფა მას მკაფიო და ძლიერი ხაზებით ხატავდა, თეთრად შავზე. ნამდვილად

ისე, როგორც სიზმარში. ჟურნალიდან გვარები ამოიკითხა. ჩემამდე მოვიდა და თქვა: „გრეცი...“ წამით შედგა მისი ხმა, თავი არ აუღია. „ვარ.“ – ვთქვი მე. ჩაინიშნა და განაგრძო: „დავიდოვიჩი... თადმორი...“

ვიმღერეთ სიმღერა:

სამყაროს ბორბლები (ვინაიდან ქვეყანა მრგვალია, მას ალბათ ოთხკუთხედი ბორბლები ექნება). ღრჭენით ბრუნავენ (საჯდომში ეკალს ურჭობენ).

სიმღერაში ყოველი კუნთი ირხევა (სიმღერაში ამოძრავებული კუნთები სამედიცინო შემოწმებას გადაეცემა).

აგზნებულები ვიყავით, თელ–ავივის პორტი ავაშენეთ მთელი ჩვენი 248 ოცნებითა და 365 იმედით. ამოვკვეთეთ დიდი კლდეები, მძიმე ტვირთს შეეჯიდნენ ჩვენი ხელები. დიდებული იყო ასეთი ხალუცური[25] ყოფა. ხმები დაიშალნენ, საკლასო ოთახი გაიარეს, ფანჯრებთან ერთად გაიხსნენ, წავიდნენ და გადაიარეს უწყლო ქედები მარცხნიდან, ზღვაზე შეიყარნენ, შორეული ქვეყნებისაკენ გარეკეს, ზმანების ცაში ზეიმობდნენ, ფეხბურთს თამაშობდნენ ქვიშის მოედანზე, სადაც მერმის ყაზარმა ააგეს.

„ბროში მასწავლებელმა ასწავლა ეს სიმღერა, – თქვა ეჰუდმა, – ნაღდად ბროში მასწავლებელმა ასწავლა“.

„გეყოფა, ნახე, იეჰოსეფელე გრეცელე როგორ წითლდება“, – წამოიძახა აჰუვამ.

„გაწითლდეს რა.“

„ხო, მაგრამ შეხედე... იქნებდა ბროში მასწავლებელი მამამისიცაა“.

„ორი მამა ჰყავს, ბროში მასწავლებელი და მეორე, თავისი მამიკო შინ.“

„ვინ ლაპარაკობს?“ – იკითხა მასწავლებელმა.

„მასწავლებელო, კითხვა მაქვს“, – თქვა ნაომიმ.

„გისმენ“.

„არაბი ქალები შალით რატომ იფარავენ სახეს?“

(ერთხელ სიხმარი მესიზმრა: დედასთან ერთად ჰერცლის ქუჩაზე მივდიოდი, შევედით მაღაზიაში ნაჭრის საყიდლად. დედა შეევაჭრა გამყიდველს. მე მრცხვენოდა, ის რომ ევაჭრებოდა და გულში ვთქვი: „იყიდე, თუ ყიდულობ... იყიდე...“ ქუჩაში გავედი. ჩამიარა ქალმა, ვუალით სახედაფარულმა, ვუალიდან ცისფერი თვალები ბრიალებდნენ, კანი შავგვრემანი ჰქონდა, თმა – შავი როგორც დაფა მასწავლებლის უკან. თითი გამართა და მანიშნა, უკან გამომყევიო. წავედი და ჩავიყლაპე იაფოს იდუმალ ჩიხებში. ქუჩაში ჩვენს თავზე ხორცს ყიდდნენ, ნელსაცხებელთა ბაზარში სუნებმა დამათრო. მის კაბას ჩავეჭიდე, მან კი მხოლოდ გამიღიმა. უეცრად მომშორდა და გაიქცა. ბაზრის მხრიდან მესმოდა მისი სიცილი. ავტირდი, მაგრამ დედის გამო არა ვტიროდი, არც მამის გამო, არც დეიდა შლომითის გამო, მხოლოდ მის გამო ვტიროდი, მშვენიერის გამო, მისი სახეც რომ არ მენახა. ის ქარიევით გავარდა. გველიევით მოღალატე ყოფილიყო. ეს არის ჩემი პირველი ბავშვობის ხსოვნა. მანამდე ყოველივე შავი იყო, შეუცნობელი).

„ახლა კი ბავშვებო“, – თქვა მასწავლებელმა (ნაომი–სათვის პასუხის გაუცემლად, თავი აიღო, წამიერი ღიმილი გამოკრთა მის სახეზე, ღიმილი გაიზარდა, მისი ცხვირის წვერზე შედგა და ნელ–ნელა მთელი სახე მოიცვა, უეცრად გაიშალა და ერთიანად გაიბადრა. მასში ყველა კუნთი ილიმოდა. „მინდოდა გაგვესაუბრა. წიგნები და რვეულები დახურეთ, ფრჩხილებზე ვინც მაგალითების პასუხები დაიწერა, შეუძლია წაიშალოს.“ წიგნები დავხურეთ და მას შევაცქერდით. კლასს სიხარულმა დაუარა, თვალები გაგვიბრწყინდა.

„მივმართავ ყოველ ბიჭს და ყოველ გოგოს, რომლებიც ყოველ დღე მთელ შვიდ საათს სხედან აქ კლასში,

ხილო ნაშუადღევს მოედნებსა და ქუჩებში დაეხეტებიან ან ჩრდილოეთით ჭაობებისაკენ მიდიან თავკომბალების დასაჭერად, – დაბადება მარტოობის უტყვი წამია“.

კლასში სიჩუმე გამეფდა, შეგეძლოთ გადატრუსული მიწის მარტოსულის საგალობელი მოგესმინათ.

„მარტონი მოევლინეთ ქვეყანას. მხოლოდ დედა და მამა იყვნენ იქ თქვენს შესაგებებლად, – განაგრძობდა მასწავლებელი და ჩვენ გაფაციცებით ვუსმენდით, – მათ თავიანთი სუნი აქვთ, თავიანთი კულტურა. აქ, სკოლაში ყოველდღიურად შვიდ საათს ჩვენ სხვა სამყაროში ვცხოვრობთ, ერთობის სამყაროში, ვიეიწყებთ საიდან მოვსულვართ და საით მივდივართ. „მე ვფიქრობ“ – ამით ვსაუბრობთ და ფიქრებსაც საგანთა სიახლოვე აღგვიძრავს. ჩვენი შეგრძნებანი არ არის კერძო კაცისა, არამედ ჩვენია, ჯგუფისაა, ეროვნული მისიისაა და საზოგადოებრივი მიზნისა. აღზრდა არ ეხება ინდივიდს, ინდივიდი – თითოეული თქვენთაგანი – ტბაშია ჩაკარგული, თუმცა საბანაო კოსტუმი, კუნთები, რომელნიც ტბაში ცურავენ, პირადია. სასწაულთა მრავალსახეობა, ფუძის საიდუმლო ძევს აქ, საიდუმლო მამისა. დედის ღიმილში დაოკებულ ენერგიას მოვყავართ ჩვენ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, სიცოცხლის ბოლომდე. ახლა კი (მან ჩემსკენ გამოაპარა მზერა; სახე ჩავმალე და ფანქარს წვერი მოვატეხე). მე მინდა, – განაგრძო მან, – ადგეთ და გვიამბოთ თქვენი სახლის შესახებ, თქვენი მშობლების შესახებ, თქვენს სახლში მდგარი ავეჯის შესახებ, კედლის საათის შესახებ, რომელიც ოთახს სერიოზულ იერს ანიჭებს, ბაბუისებურს, განსაკუთრებულს. ნელი გაღივების, სიცოცხლის საიდუმლო ძევს დაფარულში. ერთი ადამიანური ჭეშმარიტებაა, ასე ძვირფასი...“

მან უეცრად გაიღიმა და გაიცინა. მისმა სიცილმა ზაფხულის საღამოების ჩრდილოეთის სიოსავით ჩაიქროლა

კლასში. „საშინელ სიტყვებს ვხმარობ, – იცინოდა იგი, – ზოგჯერ მასწავლებელსაც აქვს წამი სიბრძნის კიდობანში ჩაშვებისა. მოკლედ, ადექით და გვიამბეთ, ყველას გაგვიზიარეთ, გვიწილადეთ საკუთარი კაეშანი მამის სახლის შეურყეველი კედლიდან. ამგვარად უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს, უკეთ გავუგებთ, ერთად გავლევთ საკრალურ წამებს“.

ბავშვები აღფრთოვანდნენ, არ ვიცი, რატომ – ისინი ჩაიტანა მის ხმათა მეწყერმა. ქარში ექოდ გახმიანდნენ. მათ თმებში, მათ ქოჩრებში კულტურულ მცენარეთა კვლები აღმოცენდა. დამალულნი ფუთფუთებდნენ ჭიანჭველების ოჯახივით თავის ქალის არხებში, თმის ძირებში.

წამოდგა მარტორქა. ცხვირი წაიმახვა, კუზი გაისწორა და მოჰყვა: „მამაჩემმა რაღაც გააკეთა. პორტში მუშაობს. და მე აგრეთვე მყავს ძმა ნეხემია. იცნობთ, ველოსიპედით ვერავინ ასწრებს. ერთხელ ჰერცლიაში წავედით. ორივე ერთად შევედით მოსახვევში და ბახ. მოვცურდით და დავეცით, მართლა ერთად წავიქეცით. რაც მთავარია, მამაჩემმა ფურიმზე[26] რაღაც სასაცილო ნიღაბი გააკეთა...“ ის ჰყვებოდა, ჰყვებოდა და რაც უფრო მოსაწყენი ხდებოდა მისი ნაამბობი, მით უფრო ახლობელი ხდებოდა ის ჩვენთვის. მოულოდნელად მამამისთან ერთად გავჩნდით და დედამისი – მარტორქას დედა რომ ეყოფილიყავით, უცებ აქვე მაგიდასთან გავაჩენდით მას. იქნებ ეს არც გვექნა, მაგრამ კლასი ყოველი ქარისათვის იყო მოღებული. ყოველ ქარს მოჰქონდა კეთილი სუნი, კერიის სურნელება, დღენიადაგ ტკბობა ჰანგებით, ძგერა გულისა მთვარიან ღამეს.

მარტორქა დაჯდა და ადგა ნეხამა, პალმასაკით აშოლტილი. თმა მუდამ თვალებში ჰქონდა ჩამოფხატული. „ოოოჰ“ – წამოიძახებდა და მას ყურებს უკან გადაიყრიდა

ხოლმე. მაგრამ იმა, ჯიუტი და მოჯანყე, კვლავ თეალებში ეცხატებოდა. ის ჰყვებოდა თავისი ულვაშა ბიძის, ამიელის შესახებ, რომელიც მეველე იყო გალილეაში. როგორ წაიყვანა ერთხელ გალილეაში, არაბები რომ ჩერდებოდნენ დიდის მოწიწებით, შუბლზე ხელს იდებდნენ და ამბობდნენ: „აჰლან ვასაჰლან ხოჯა ამიელ“, როგორ წაიყვანა იგი ცხენით „ღუმელზე“ და აჩვენა როგორ ეშვებოდა ჩანჩქერი. „ღუმელში“ წყალი იწვის ყინვისაგან“, – თქვა მან. მერე წამოდგნენ დანარჩენები და თავიანთი კერის სუნთქვა კლასში შემოიტანეს. თითქოს ოთახი შეერია თელ–ავივს, და თელ–ავივი შემოიჭრა კლასში და დალეწა ყველა საკიდი, ხოლო პალტოები უკან გაფრინდნენ. საით? რუსეთში, პოლონეთში, ტუნისში, ბავშვთა სახლში. ჭრილობათა წყაროს, ძირების მოსაძიებლად. თითოეულს ძირი იქა აქვს. რატომ? იმიტომ. ქარი აჩურჩულდა კედლებს შორის, რომლებიც ჩამოიქცნენ მათზე ჩამოკიდებულ დიაგრამათა სიმძიმის გამო. ჩვენ ქვეყანას დიაგრამებით ვაშენებთ, ოცნებებს ხეობათა არხებს შორის ვეჭიმავთ და ვაშენებთ მათზე სახლებს მათ დასაფარავად, რომ აღარ იარსებონ.

ამიტომაც არ ვიცოდი, რა დამემართა, როცა ავდექი. თავიდან ხელი ავიწიე. ბევრმა აიწია ხელი. ისინი ჩემ'ხე წინ იყვნენ. როდესაც ჩემი რიგი დადგა, წამით – კაციშვილს ყურადღება არ მოუქცევია, არც მე მიმიცია ანგარიში, არც მასწავლებელს, არც ამიჰუდს, არც მარტორქას, არც ნაომის, – კანკალმა ამიტანა, ქარმა გამიტაცა. ვხედავდი ჩემს სხეულს მიგდებულს გადატ–რუსულ მიწაზე. ტყუპები თავიანთ სახელებს წერდნენ ქვიშაზე. ხის კენწერო ეევედრებოდა ღრუბლებს, ქარს, ეშმაკმა უწყის რას. ქედებს შორის მარტოკა ვიყავი ხესავით როგორც ტყუპების სახელები. ვიღაცამ მოშარდა თავისი სახელი მიწაზე, რომელიც მისი არ იყო. მარტოხელა

როგორც საკუთარი თავის მესაფლავე. ვინც თავის დედასთან სწავლობს, ამბობდნენ ჭიანჭველები, მას მეგობრები არ ჰყავს. არავინა ჰყავს. მხოლოდ მიწაა გარშემო. და აი, ვდგავარ მასწავლებლის წინაშე და ჩემს ირგვლივ ორმოცდახუთი სულელია. „მამაჩემი ჩარჩოებს აკეთებს, – ვთქვი ხრინწიანი ხმით, – ხოლო ღამღამობით მალულად ხატავს. ჩვენ წიგნების დიდი კარადა გვაქვს, მწვანე და კარგი წიგნებით. შინ პატეფონი გვაქვს. შაბათის დამდეგს მამა კონცერტს აწყობს. მერე ჩვენ ვსხდებით აივანზე და ვსვამთ ზღვას, აბობოქრებულ ზღვას. ზღვა მუსიკაა, ბალკონის მუსიკა. ფელდმანები საპირისპირო აივანზე კარტს თამაშობენ, მათ გარშემო პეპლების ღრუბელია. ფარეანებს კერძო ვარსკვლავები აქვთ. ისინი ნათურისაკენ მოფრინავენ და კვდებიან. რარიგ უყვართ მათ წვა, კვდომა. არ ვიცი, რატომ.“

„იოსეფ, შეწყვიტე“, – ჩაიჩურჩულა მასწავლებელმა, თითქოს ცდილობდა საიდუმლო ეჩურჩულა ჩემთვის. სხვა ბავშვები ჯერ კიდევ იმ ქარიშხლისაგან იყვნენ ატანილნი, წელან რომ მოაწყდა აქაურობას. მაგრამ მასწავლებელს დააგვიანდა. ბავშვები ილიმებოდნენ. ჯადოს გრძნება წაერთვა და დაიმსხვრა. ფრთხილი პუტუნი ამოდიოდა პირებიდან, სკამებიდან. არ მიგრძენია, არაფერი ვიცოდი. ყვითელ ალს ვხედავდი ჩემს თვალწინ მოგიზგიზეს, ვუალით სახედაფარულ არაბ ქალს. ჩემს ყურებში გიტარა მოცარტის სატრფიალო სერენადებს აყღერებდა. ისეთი დროული იყო შესმა ზაფხულის საღამოთა სურნელებისა ყვითელი ალიდან, ჩვენს წინ რომ იცინოდა. ქვევით, ბალკონის ქვეშ მოკვეთილი იდიოტივით ვარჯიშობდა: „ჰოპ ჰოპ ჰოპ“ – მომავალი მაკაბელი. მოკვეთილის მამას გილბოა ჰქვია. გილბოას საშინელი ხმა აქვს. ყოველ საღამოს მღერის სიმღერებს მრისხანე ხმით. „შეწყვიტე ერთი“, – უყვირიან მეზობლები.

„ეშმაკსაც წაულიხართ“, – პასუხობს გილბოა.

ტყუპების სახლში კი ეზოში მტრედებს წვავენ. მათ მახლობლად ცხოვრობს ქალბატონი ბირნბაუმი. მისი ქმარი ისრაელში არ ამოსულა და ყოველ საღამოს ეჩვენება, რომ ლომები მოდიან მის შესაჭმელად.

„იოსეფ, კმარა.“ – წამოიძახა მასწავლებელმა. სახეზე გადაფითრებულიყო. ბავშვები ახლა ხმამაღლა ხარხარებდნენ, აღარავინ იღიმებოდა, კლასში ბოროტებას დაესადგურებინა. გარეთ ცა წითელი იყო. ფანჯრები წითელი ცისაკენ პლაზმურ ჩარჩოს კვეთდნენ. მარტორქამ მუჯლუგუნი გამკრა. „ხოლო მამაჩემი, ჰო, მამაჩემი ღამღამობით ხატავს, მწვანით ხატავს, გიუდება მწვანეზე, დედა კი იცინის. მწვანით ხატავს, სატანის თვალებივით მწვანე ფერებით და დედა იცინის.

„იოსეფ. იოსეფ.“

„მაგრამ მასწავლებელო, ყველა ბავშვმა გვიამბო, თქვენ კი არავინ გაგიჩერებიათ.“

„სწორია, იოსეფ, მაგრამ გაიგე.“

„რა გავიგო?– გაიგე, გაიგე“, – მკივანა ხმით გამოვაჯავრე მის ხმას.

„ეს ჩემი ბრალი არ არის, მასწავლებელო,“ – ვიყვირე მე და წყნარი ხმით განვაგრძე: „და მამა დგება ადრიანად, ვიდრე ირიურაყებდეს, ვიდრე ინათლებდეს, ჩიტებზე წინ, გილბოას მამალზე წინ, ქალბატონ ბირნბაუმის ლომებზე წინ, მოკვეთილზე წინ და მიდის ზღვაზე. ყოველ დილით მიდის ზღვაზე მარტო – მხოლოდ ის და ზღვა. ამბობს, რომ მას ზღვა შიშველად უყვარს, ასე ამბობს. მიდიან ადამიანები ზღვაზე და მას აბანოდ აქცევენ. ზღვა მშვენიერია, ვინაიდან ის მარტოხელაა, ეული, დიდი, მძლავრი. ცას ეხვევა, ხტის თეთრი, ხტის ლურჯი, ალბეჭდავს ვარსკვლავთა კოცნებს. ის მშვენიერია, რადგან ცივია როგორც მზე ზამთარში და მარტო ყოფნა უყვარს.

როცა მამა ზღვაში ჩასაყვინთად მიდის, ნებართვას ითხოვს ზღვისგან, რათა პატივი მიაგოს მის ეულობას. დედა კი... დედა შაბათ საღამოს სანთლებს ანთებს. მაგიდას შემოეუსხდებით. იწვის სანთლები – ორი ხე, კენწეროებს რომ იტკეპნიან, ორი სანთელი, სიბნელეს გამოგლეჯილნი. სწორია, რომ სიბნელე ზამთრის ღამეებში სანთლებს აქრობს? როგორც გადატრუსული მიწა სვამს წვიმას, ხოლო ჭიანჭველები აშენებენ და არ მღერიან „სამყაროს ბორბლებს“. ვსხედვართ ყველანი მაგიდის გარშემო: დედა, მამა, დეიდა შლომითი და ბიძია ბომაკი და ვმღერიავართ. მე რომ ძმა მყოლოდა, ექვს ხმაში ვიმღერებდით. მე რომ ჩემი თანატოლი ძმა მყოლოდა, სხვა კლასში ვისწავლიდი.“

„ბებიას ბორბლები რომ ჰქონოდა, ავტომობილი იქნებოდა“, – თქვა მარტორქამ.

„ჭკვიანი. – ეთქვი მე, – რა ჭკვიანია.“

„შეწყვიტე, იოსეფ, მე შენ გაფრთხილებ.“ მისი სახე ახლა წითელი იყო.

„უფლება არა გაქვთ, გამაფრთხილოთ.“

„უფლება არა აქვს“, – ჩაიქირქილა რინამ.

„უფლება არა აქვს“, – ჩაილაპარაკეს ტყუპებმა. ისინი იქ არ ყოფილან. სხვა სკოლაში დადიოდნენ მათ მახლობლად. იქაც იმავე რამეებს ამბობენ. თელ–ავივში ყველა ერთსა და იმავეს ამბობს, ოღონდ სხვა სიტყვებით.

„შაბათს ჩვენ ყველანი ერთად ვმღერიავართ: „და დღეესა, და დღეესა, დღესა შაააბათსაა, და დღეესა, და დღეესა, დღესა შაბათს, ორი ცხოვარი წლისა უუმანკოოო...“

„გადი კლასიდან. – იფეთქა მასწავლებელმა, – გადი. გადი.“

ხმა უთრთოდა. მისი თვალები, თვალის კაკლები, წარბები ცალმხრივი ქუჩის ხეთა კენწეროებს დაემსგავსნენ.

ის იდგა. კლასმა სიცილი შეწყვიტა. მე მომჩერებოდნენ. მოულოდნელად ჟრუანტელმა დამიარა. უეცრად დავინახე, რაც მოხდა. ელვასავით გაიარა ჩემს სხეულში. ადგილიდან წამოვიჭერი. თვალებში ცრემლები მედგა. მის მაგიდას მივუახლოვდი, ხელი მოვმუშტე და მთელი ძალ–ღონით დავაბრახუნე მაგიდაზე. ყველაფერი მაღლა ახტა: მტვერი, წიგნები, ნაპერწკლები მასწავლებლის თვალებში, ელდა ოთხმოცდაათი თვალისა, ქედები მრუდე ფანჯრებში, ბალახი, ყველაფერი.

„რატომ მაქციე მასხარად, დედა, რატომ?“

გარეთ გავიქეცი. კარები ჩამოვაგდე. იქ საკიდების გრძელი რიგი იდგა, რომელზეც ზამთარში პალტოებს ჰკიდებდნენ. ოთხი საკიდი ჩამოვტეხე და გავიქეცი. აქეთ–იქით დავრბოდი საკლასო ოთახიდან დირექტორის კაბინეტისაკენ, დირექტორის კაბინეტიდან კლასის შესასვლელისაკენ. ყოჩი ლომივით ვიყავი, ქალბატონ ბირნბაუმს რომ ესიზმრა... მოკვეთილი ვიყავი და საკუთარი თავი მძულდა. საგონებელში ჩავარდნილი მასწავლებელი უკან გამომიდგა, სახე იმდენად გადათეთრებოდა, რამდენადაც დაფა იყო შავი. გამომეკიდა, მკლავში მწვდა და ჩემს ხელს დაუწყო სინჯვა. ხელიდან სისხლი მომწვეთდა მაგიდაზე მუშტის დარტყმის გამო.

„რა დამართე შენს ხელებს, ბიჭო?“

„მოვკალი?“

„რა უქენი?“ მის თვალებში შიში ჩამდგარიყო. მისი ხმა მევედრებოდა, ათას ნამცეცად დამსხვრეულიყო. მივხედე. ხედვა ბუნდოვანი გამიხდა. ცრემლი გამიშრა, სისხლიც კი აღარ წვეთავდა. მივაშტერდი. და მოულოდნელად ჩემს სახეზე ღიმილი გაიკლაკნა.

„ახლავე დაბრუნდი, ახლავე დაბრუნდი, დედილო, თუ არა და ისინი იქ გაგიუდებიან, სიცოცხლეს გაგიმწარებენ, კვლავ დამცინებენ თავიანთი ბინძური ენით, დაბრუნდი,

დაბრუნდი ჩქარა... და ნუ ეპუტუნები დასვენებებზე ბროში მასწავლებელს“.

წინადადების ბოლო ჩავყლაპე და გავიღიმე. შემომხედა. მის სახეს სიწითლე დაუბრუნდა. თვალები მიბნედილი ჰქონდა. ორი ცრემლი ედგა – ორი დიდებული ალმასი. ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა და კლასში დაბრუნდა. ვიდრე კლასის შესასვლელში გაუჩინარდებოდა, მომაძახა: „გმადლობ, იოსეფ“ და გაქრა. კარი მიიჯახუნა თუ არა, ცრემლები წამსკდა.

ვიდექი და გრგვინავდა ჩემი თავი: მე განსაკუთრებული მამა მყავს. დედაც კი არ მაძლევს უფლებას მასზე მოვყვე. დედა, რომელიც ამ ჩარჩოებში კინაღამ წყეული ჩემი მასწავლებელია. მეც ხომ მაქვს უფლება მამაზე მოვყვე, შევსვა მისი სული, მისკენ გამარჯობა წავიბუტბუტო. დედაჩემი რომ არ იყოს ჩემი მასწავლებელი, რომ შემეცვალოს, ხომ ყველაფერი შესაძლებელი იქნება. და თუ ეს შესაძლებელი არ არის, მაშ არც არაფერია შესაძლებელი, გარდა იმისა, რასაც ჩემს გზაზე გადავაწყდები და პეშვით მოვაგროვებ ჩემს „მე“–ში გადატრუსულ მიწაზე ჩემი ძვირფასი გულის ფარულ კუნჭულებში.

დიდ დასვენებაზე, როცა ბავშვები ხითხითებდნენ მირა მასწავლებელსა და ბროში მასწავლებელზე, აღარ განმიცდია. თავს ძალა დავატანე, გავიღიმე და შევუნდე მათ. როცა სწავლა დამთავრდა, შინ წავედი იმ იმედით, რომ დეიდა შლომითი იქ დამიხვდებოდა.

სკოლა დამთავრდა, დილა დამთავრდა. მზე ცაში იყო გამოკიდებული. არ კი იცოდა, რატომ ამოხდა სული ნაზ შემოდგომას. სევდა გამეფებულიყო. მინდოდა მომეძებნა შემოდგომა, ამდილამდელი დღეები, მაგრამ ვერ ვიპოვე ისინი. ვიდექი ასე შუაგულ ნაღვლიან სამყაროში და ვიცოდი, რომ ისინი წავიდნენ იმასთან ერთად, რასაც

ტყუპები საქმობდნენ ხის გვერდით, მკვდარ ჭიანჭველასთან ერთად მზეზე გამომხმარ ნარუჯებში. ზღვის პირით არ წაესულვარ, ეშმაკსაც წაუღია ზღვის პირი. ცოტაც და წყალი ამოშრება და ყველაფერი მლაშობად იქცევა. ჩიტი რომ ვყოფილიყავი, ქვიშას შევსვამდი და იმ დღეების სადღეგრძელოს ვიგალობებდი, რომლებიც აღარასოდეს დაბრუნდებიან. მზე მიცინოდა. დეიდა შლომითმა საკუჭნაოში დამსვა და შუქი ჩააქრო. და ჩემს თვალებში, ყველაფერი, რაც ჩარჩა, თავის დედას მისტიროდა, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

## სამფეხა ქათამი

ზაფხულის მიწურულს, ერთ დღეს მოხუცი კაცი, რომელსაც ბაბუას ეძახდნენ, დააწვინეს იატაკზე დიდ ოთახში, სასთუმალთან სანთლები დაუნთეს და გამოუკეტეს კარი მას და იმ ხალხს, მის ირგვლივ რომ იდგა. სხივები ჯერ კიდევ აღწევდნენ ფანჯრებსა და ბალკონის კარების ფერად შუშებში, რათა უკანასკნელად გამომშვიდობებოდნენ მას და კედლებს. იატაკსა და მოხუცს იისფერ, მწვანე და ოქროსფერ ლაქებს აფენდნენ, ხოლო სანთლების ალი ვიწრო იყო და ძალზე ფერმკრთალი სხვებთან შედარებით.

დიდი ოთახიდან გამოსული დედა ბიჭუნას წინ შეჩერდა, მისკენ დაიხარა, რათა შეძლებოდა მისთვის წყნარი ხმით ეთქვა, რისი თქმაც სურდა. წამით უცნაური ღიმილით გაიღიმა, ამგვარი ღიმილი ბიჭს არასოდეს ენახა მის სახეზე, არ იცოდა ეს მწუხარება იყო თუ ღვარძლიანობა, რაც დედის თვალებიდან გამოსჭვიოდა, როცა ამბობდა: „ჩვენ ბაბუა მოგვიკვდა, ჩვენ ბაბუა მოგვიკვდა“. მაგრამ მშვენივრად ამოიკითხავდი ქალის გულში, რომ იცოდა, ტყუილად სტკენდა ბიჭს გულს, და რომ ეს მისი სურვილი იყო, რადგან ამ საკითხში შემცილებელი არ ჰყავდა.

მამა როდის მოვაო, – იკითხა ბიჭმა, რადგან იცოდა, რომ ასეთ დროს მამამისი ვალდებული იყო მოსულიყო და წესრიგი და უსაფრთხოება დაემყარებინა. მაგრამ მისთვის არ უპასუხიათ. ხოლო მოხუცი კაცი, რომელსაც ბაბუას უწოდებდნენ, საღამოობით რომ მოდიოდა ხოლმე საწოლში მოკალათებულ ბიჭთან, რათა შეხვეწნოდა, რომ მისი გულისათვის ეთქვა ისევ და ისევ „ისმინე

ისრაელო“[27], იმ საღამოს არ მოსულა ბიჭის ოთახში, ისე როგორც არ მოსულა წინა საღამოებზე მისი ხანმოკლე ავდმყოფობისა, რის შედეგადაც ფეხზე ვეღარ დადგა. მაგრამ ამჯერად ბიჭმა იცოდა, რომ ის აღარასოდეს მოვიდოდა მასთან.

როგორც ჩანს, მთელ ღამეს დადიოდნენ ადამიანები ცერებზე ოთახებსა და დერეფნებში, სიბნელეში, ეძებდნენ, ჩუმად ფუსფუსებდნენ სხვადასხვა გაუგებარ საქმეებზე. კარგა ხანს ეძებდა ბიჭი თავის მეხსიერებაში „ისმინე ისრაელოს“ სიტყვებს, რომელიც მოულოდნელად გამქრალიყო, თითქოს მოხუცმა კაცმა წაიღო ისინი იმ გზაზე, რომელსაც იგი მიუყვებოდა. კარგა ხანს ვერ შეძლო ჩაძინება. არც არავინ მოსულა კარის ზღურბლთან, რათა მის ოთახში შემოეჭყიტა და ენახა, ბავშვს ეძინა თუ არა. მთელ ღამეს ელოდა, რომ მამა მოვიდოდა შინ სამსახურიდან, და ის გაიგონებდა მის ხმას და ეცოდინებოდა, რომ ჰყავს მზრუნველი. გვიანობამდე გრძელდებოდა ჩუმი სამზადისი სახლში. და როცა წყდებოდა ძებნა–ქეთარი და ჩუმად სიარული ოთახებს შორის, მოისმოდა მოკლე საქმიანი ჩურჩული ადამიანებისა, რომელნიც რაღაც დროით შორდებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე კვლავ შეიკრიბებოდნენ, რათა ახალ გზას დასდგომოდნენ.

და როცა ყველაფერი მიწყნარდა, ბიჭს კვლავ მოესმა ხმა ხის ჭიისა, უძინართა მეგობრისა. ძველი კარადების სიღრმეებში თხრიდა იგი, შრომობდა, ჩერდებოდა, ისევ მობრუნდებოდა და ხრავდა. წამით შეკრთებოდა. ყურს მიუგდებდა ბიჭის სუნთქვას, რათა დარწმუნებულიყო, თუ იყო ის რიტმული და მართლა ეძინა; თუ არა და შეწყვეტდა საქმიანობას, ხელს არ შეუშლიდა და შეეცდებოდა დალოდებოდა, ვიდრე ჩაიძინებდა; ან თუ წუთით დაიოკებდა ლტოლვას, ვიდრე არ იძლეოდა

მისგან, და ეელარ შეძლებდა წინ აღდგომოდა წადილს. ბიჭი კი უეშმაკებდა ხოლმე და სუნთქვას იკრავდა. ჭიას უჭირდა გაეგო, თუ მართლა დაეცა ბიჭს ძილქუში და უკვე ნებართვა ჰქონდა ხელშეუშლელად ემუშავა, და შეპარვით იწყებდა სიბნელეში ფხაწუნს. დიდი სიფრთხილით ხრავდა საცდელად, ხრავდა და ჩერდებოდა, გადაჭარბებას უფრთხოდა, სურდა გაეგო, სადაიდე შეიძლებოდა გაებედა, რომ ერთი ამოსუნთქვით ეხრა. და თანაც რისხვა და უბედურება არ დაეტეხა თავ'სე. გასიგრძეგანებული ჰქონდა ნაკისრი ვალდებულების მნიშვნელობა, მისიის სიდიადე სიფრთხილის გონიერებით აღავსებდა და მზად იყო შეესრულებინა იგი უხმაუროდ, პირმოთნეობითა და თავის მოკატუნებით. ხოლო როცა ძალამოკრებილი თუ, უბრალოდ, ლტოლვას მინებებული საქმეს უბრუნდებოდა, ჩქარობდა მოკლე ინტერვალში, რაც შეიძლება მეტი მოესწრო, რათა აენაზღაურებინა გაცდენილი სამუშაო შესვენების დროს და იმ უმოქ–მედობის სანაცვლოდ, რომელსაც კვლავ მიმართავდა წუთის შემდეგ, როდესაც მისი საფრთხეს მიყურადებული შეგრძნებები ფხიზლდებოდნენ. ბრმა აღრფთოვანებით იძირებოდა თავის საქმეში, და ვიდრე შიში ეწვეოდა, რასაც მოასწრებდა, მოასწრებდა. შრომის შეწყვეტისას ემჩნეოდა, რომ შიში და დიდი სინანული იპყრობდა. ფარისეველობის ეშმაკურ თამაშს თამაშობდა. ეკვროდა თავის ადგილს, თავის თავში იკუმშებოდა როგორც შეეძლო და თავს იწონებდა ყოფილიყო უსხეულო, ადგილის გარეშე, მხოლოდ კონცენტრირებული წერტილი, სიჩუმის მსახური. იმ დროს, როცა საქმეებისაგან ისვენებდა, და ეს ინტერვალი ჩვეულებრივზე მეტად გაიწელებოდა ხოლმე, ბიჭი ჩუმად ჩამალავდა სახეს საბანში და ნელ–ნელა მთელი ტანით შიგ შეგორდებოდა ხოლმე, ოღონდაც ნაჭრის მსუბუქ შარიშურსაც არ მიეღწია ჭიამდე.

გაუნძრევლად იწვა და ჰაერს წვრილ-წვრილი ულუფებით ისრუტავდა და გულში ფიქრობდა, რომ ისიც თავის თავშია ჩამჯდარი და ჩამალული. და რადგან თვალები დახუჭული ჰქონდა, მისთვის საწოლი ქცეულიყო ერთ-ერთ ღრეჩოდ ხის ერთ-ერთ ძარღვში, ყველაზე ღრმასა და დაფარულში, მუდმივ სიბნელეში იყო, მყუდროსა და დაცულში. ასე აყურადებდნენ ერთიმეორეს სიჩუმეში. და ჭია იყო ყოველთვის პირველი, რომელიც უშიშროების ილუზიას ნებდებოდა, ფრთხილ ნიშანს, ფუჭ ფხაჭუნს გამოსცემდა საცდელად, და რეაქციას აკვირდებოდა. და ვინაიდან არაფერი ხდებოდა, რაც მასში ეჭვს აღძრავდა, რომ სიჩუმეში მახეს უგებდნენ; და ვინაიდან სახრავს გემოს გაუსინჯავდა და ეს გულისთქმა კვლავ დააბრმავებდა მის შეგრძნებებს საფრთხისა და სიფრთ-ხილისა, იგი ხარბად მიეარდებოდა ხოლმე მიტოვებულ საქმეს. ხანდახან ჩვეულებრივზე მეტ ხანს, თავდავიწყებითა და აღმაფრენით გაჭიმავდა ხოლმე მუშაობას, და ბიჭს უკვირდა, თუ გატაცება სადამდე უხშობდა სმენას. ასეთ დროს ის ხმამაღლა ჩაახველებდა ხოლმე. ჭიაც მაშინვე გაქრებოდა და დუმილი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, თითქოს შიშის გამო კარგა ხანს ვერ მომაგრებულიყო.

იმ წუთს ბიჭის მეხსიერებაში ამოტივტივდა დიდი ოთახი და მოხუცი კაცი, ბაბუას რომ ეძახდნენ, რომელიც იქ მარტო დატოვეს. თვალები გაახილა და მყისვე ღამეული ხმები შეიჭრნენ მის ოთახში: სახლისა და ეზოს ბოლოებიდან ჭრიჭინების ჭრიჭინი მოდიოდა, გაუთავებლად ყიყინებდა ბაყაყების ქორო, რომელიც ბოსლის გობთან და ბაღში შეკრებილიყო, ციტრუსის პლანტაციებში ტურები გაჰკიოდნენ, – ეს ყველაფერი შლიდა მის სუნთქვასა და ხის ჭიის ფაციფუცს შორის გამართულ სიჩუმის თამაშს. ამასთან ერთად ოთახს

მთვარის ფერმკრთალი ნათელი ეფინებოდა. და ვინაიდან მიჩვეული იყო ამ ხმათა ნაზავს და მუდმივ განაწესს, თავიც კი არ აუწევია ბალიშიდან შესამოწმებლად, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. დერეფნის ბოლოში მდგარი ნავთის ლამპის ჩრდილი მუქ, გრძელ სამკუთხედად იწელებოდა მისი ოთახის ზღურბლიდან სახლის. ერთ–ერთი კუთხისაკენ, რომელიც მისი საწოლიდან არ მოსჩანდა. ბიჭს უნდოდა, ამდგარიყო და ენახა, თუ რა ხდებოდა დიდ ოთახში ამ ღამეს, მაგრამ ტანი უარს იყო, მისი ნდომისათვის ეპასუხა და ლოდიევით იდო.

ოთახის ყველა კუთხიდან ნელ–ნელა უახლოვდებოდა მუქი და საზიზღარი რაღაც. საყვირლად პირი დააღო, მაგრამ ტუჩებიც გაქვავებოდა და ხმაც ჩაწყვეტოდა, და მხოლოდ კისრის კუნთები ცდილობდნენ საშველად ეხმოთ, ან მოეშორებინათ ბოროტი ჯადო ჟამისა, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. გრძნობდა, რომ სიზმარში არ იყო, მაგრამ განა ასე არ გრძნობდა ყოველთვის, როცა ეს რაღაცა მოდიოდა მასთან წყვდიადიდან. და მხოლოდ დილით, როდესაც ამას გაიხსენებდა ხოლმე, უკვირდა, სიზმარი იყო, თუ ცხადში ნახა იგი. სურდა ამოეყარა პირიდან ყვირილის ნარჩენები, რომელსაც ჯერ კიდევ ტკივილივით გრძნობდა ყელში, მაგრამ არ შეეძლო.

დილით ადგებოდა, მოძებნიდა კარადიდან ჩამოყრილ ხის ნაფხვენებს – ჭიის ღამის ნამუშაკარს ანუ იმ წუთების ნამდვილობის დამადასტურებელ საბუთს. ნაფხვენს თითებს შორის ფშვნეტდა, სრესდა და კანში იზელდა. მაგრამ ამაო იყო მცდელობა, რომ ამგვარად ღამის საიდუმლოს ზიარებოდა.

კაცი, რომელიც საბნებსა და ლეიბებს აახლებდა, ჩამოჯდა ხილის ყუთზე ციტრუსის ერთ–ერთ პლან–ტაციასთან, მხარზე მოგდებული ბოხჩიდან ამოიღო მაგრად მოხარშული კვერცხი, მეოთხედი შავი გოგორა პურისა,

რამდენიმე ზეთისხილი, პამიდორი და სასაუზმოდ მოკალათდა. დიდი ერთსიმიანი არფის მსგავსი მისი ინსტრუმენტი, რომელ'ზეც ბამბას წეწავდა, ღობეზე იყო მიყუდებული, მის ფერხთით კი ლურჯი უხეში ნაჭრის ქამრით გაკრული იარაღების შეკვრა იდო. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ წყლის რაკრაკი მოისმოდა არხებში პლანტაციებიდან. დილაადრიანი გადასულიყო. საბნებისა და ლეიბების განმაახლებელმა აიღო კვერცხი და პირდაპირ შუბლ'ში დაიმიზნა. მის ოხუნჯობებს, მართალია, პუბლიკა არ ჰყავდა, მაინც არ შეეძლო დაეოკებინა წყურვილი კლოუნობისა, რაც პროფესიის ხელ'შეწყობით მის მეორე ბუნებად ქცეულიყო. შუბლის საპირისპიროდ დაიჭირა კვერცხი, დააელამა მისკენ თვალის კაკლები, ისევ შორს წაიღო კვერცხი, თუმცა თვალები ჯერაც მისკენ იბრიცებოდნენ, თითქოს შემკრთალიყვნენ მოსალოდნელი წამიერი დარტყმისაგან, და მაშინვე მართლა მიიფშვნა კვერცხი შუბლზე. სიცილი წასკდა. ნაჭუჭდამტვრეული კვერცხი მარცხენაში დაიჭირა და ნება–ნება, დიდი პედანტურობით დაიწყო მისგან თეთრი ნამსხვრევების მორიდება. როცა დაამთავრა, კარგად შეათვალიერა, ნამსხვრევი ხომ არსად დამრჩენიაო, სახე კვლავ დაუდინჯდა, მაგრამ თვალები მზით დაბანილი ცარიელი სივრცეებისაკენ მიანიშნებდნენ, რომ ერთი ხუმრობა კიდევ ჰქონდა თადარიგში. კვლავ დააელამა თვალები ცხვირისაკენ და გაფცქვნილი კვერცხი დაღებული ხახისკენ ისე ისროლა, რომ მაყურებლისათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო შიგნით შევარდა თუ არა. ახლა არარსებული პუბლიკის რეაქცია შეამოწმა და ორივე ხელი მიირტყა ლოყაზე, ვითომ მთლიანი კვერცხი პირის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადაისროლა როგორც სათამაშო ბურთული. შემდგომ ამისა მხრები გვარიანად შეანჯღრია, ვითომდა მთლიანი კვერცხი გადაყლაპა. მერე კი ლუკმა უკან,

ხელისგულზე დააბრუნა. წინ გაშლილი თავშალიდან რამდენიმე ზეთისხილი აიღო, შავ გოგორა პურს კბილები ჩაასო და პირღიამ დაიწყო ღეჭვა. მხიარული მელოდია წაიღიღინა და საამურ რიტმს თავიც ააყოლა.

ბილიკის ბოლოდან ორი ადამიანი გამოჩნდა. ერთს ჩემოდანი ეჭირა ხელში, ხოლო მეორე ტომრით დაფარულ რაღაც ყუთს ეზიდებოდა. როდესაც საბნებისა და ლეიბების განმაახლებლის ადგილს მოადგნენ, შედგნენ მის წინ და გამოელაპარაკნენ. მერე რაღაც მოითათბირეს, გვერდზე გადადეს ჩემოდანი და ტომრით დაფარული ყუთი. კაცს გვერდით მიუსხდნენ და სიგარეტები დააძრეს. ერთი მისთვისაც ამოიღეს. სიამოვნებით ექაჩებოდნენ და ხმას თით:ქმის არ იღებდნენ. სიგარეტის მოწევას მორჩნენ თუ არა, ადგნენ ორნი, კაციც წამოდგა და ერთად მიუახლოვდნენ ტომრით დაფარულ ყუთს. ერთ–ერთმა ასწია საფარებელი და საბნებისა და ლეიბების განმაახლებელს საშუალება მისცა შიგ ჩაეჭყიტა. წამით ჩახედა და სახეზე ხელები აიფარა შემკრთალმა, კელავ დაიხარა, ჩახედა და გადაიხარხარა. მაგრამ ყუთის პატრონმა არ დართო ნება, რომ მესამედაც ჩაეჭყიტა. თუმცა კაცს ეს ძალიან უნდოდა და გაუთავებლად იცინოდა. მჭიდროდ დააფარეს ყუთს ჯვალო და თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. წამოწვნენ ორნი გულაღმა, ხელები თავქვეშ ამოიდეს და დასასვენებლად თვალები მილულეს. საბნებისა და ლეიბების განმაახლებელი კი დროდადრო მზერას გააპარებდა ხოლმე ჯვალოთი დაფარული ყუთისაკენ და მახინჯი ღიმილი გამოესახებოდა ხოლმე სახეზე, თითქოს უწმაწური ანეკდოტი მოაგონდაო. მერე მთვლემარე კაცებს დააცქერდა, და მოულოდნელად გულს სევდა შემოაწვა. თვალი მოაელო მინდვრებსა და ციტრუსის პლანტაციებს და მზერა გაუშტერა შარაგზას, რომლის პირასაც იჯდა. შარაგზა შორს, შორს მიიკლაკნებოდა, შორდებოდა და

ჰორიზონტთან ერთ-ერთ მოსახვევში ინთქმებოდა. არ ავიწყდებოდა დროდადრო გადაეხედა ხოლმე თავისი ერთისიმიანი არფისა და იარაღების შეკვრისათვის. მაგრამ მაშინვე იბრუნებდა ხოლმე პირს მათგან და კვლავ სივრცეს მიაშტერდებოდა და თვალებში დიდი სევდა ჩაუდგებოდა ხოლმე. მასაც უნდოდა მათსავით მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და ცოტა ჩაეთვლიმა, მაგრამ რადგან, ვიდრე ძალას მოიკრებდნენ, მათ ნივთებს ზედამხედველობდა, ადგილიდან არ დაძრულა და არც თავისი სიმღერების აუღერება გაუბედია, ეშინოდა ძილი არ დავუფრთხოო.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა იმ ორმა კაცმა გამოიღვიძა, სთხოვა, რომ ისიც თან წაეყვანათ. მათ კი ქოქოლა დააყარეს და მის სამუშაო იარაღებზე მიუთითეს. იგი დაჰპირდა რომ იარაღებს გაყიდიდა და მათ წილს მისცემდა. ან სულაც უპატრონოდ დაყრიდა და მათ გაჰყვებოდა. კაცებს ხელებზე ეპოტინებოდა და ევედრებოდა, ეუბნებოდა, რომ მათთვის ყველაფერს გააკეთებდა, ოღონდაც აეყვანათ. ისინი იცინოდნენ, ტანსაცმელს ისწორებდნენ. ერთმა ჩემოდანი აიღო, მეორემ – ყუთი ჯვალოთი დაფარული და წავიდნენ თავიანთი გზით. ის წამოხტა და მათ გაეკიდა. მისკენ არ მოუხედავთ, ის კი მათ კვალში მისდევდა, ვიდრე ჩემოდნის პატრონმა ქვა არ აიღო და არ დაემუქრა, გესვრიო. მაგრამ საბნებისა და ლეიბების განმაახლებელი არა ცხრებოდა. და როცა დაინახეს, რომ ის კაცი კვლავ კუდში აედევნათ და უკვე დაშორდა ციტრუსის პლანტაციას და ღობეს, რომელთანაც მისი სამუშაო იარაღები ეწყო, შეჩერდნენ და მისკენ შემოტრიალდნენ. ჩემოდნის პატრონმა ისევ აიღო ქვა და ამჯერად მთელი ძალით ესროლა საბნებისა და ლეიბების განმაახლებელს და ფეხში მოარტყა. ადგილზე ახტა გველნაკბენივით და ისევ

თავის ადგილზე დაერჭო. ორმა განაგრძო თავისი გზა და მისკენ აღარც მოუხედავთ. ის კი ეძახდა მათ ვედრებით, გინებითა და წყევლით, ვიდრე მის თვალს არ მიეფარნენ. უხალისოდ დაბრუნდა თავის ალაგას, სადაც სამუშაო იარაღები დატოვა. ყუთზე ჩამოჯდა, სიმღერა წაიღიღინა და სივრცეებს მიაშტერდა.

დილით ეტლი გაგზავნეს ყინულის ქარხანაში რამდენიმე ბლოკის მოსატანად. ბიჭმა კი არ იცოდა, რა საქმისათვის სჭირდებოდათ. ბიძამისი, დედამისის ძმა, იდგა უკანა ეზოში, რომელიც ბოსელს უყურებდა, და დიდხანს ხმისამოუღებლად მიშტერებოდა ბიჭს. ჩაბნელებული ღიობებიდან არაბული ქნარის ჰანგები იჭრებოდა ხილისა და სილოსის სუნთან ერთად. კაციშვილს არ უთქვამს არაბისათვის, რომ იმ დღეს დაკერა შეეწყვიტა. ბიძიამ წყნარად დაუძახა ბიჭს, ხელში რამდენიმე მონეტა ჩაუდო და გაზეთების საყიდლად პატარა ბაზარში გაგზავნა. უნდოდათ ენახათ განცხადებები როგორ დაბეჭდეს. ბიჭს კი სურდა მამამისის მოსვლას დალოდებოდა, სურდა ენახა, როდის მოვიდოდა ეტლი, რას უზამდნენ ყინულს და უმეთვალყუროდ რას დატოვებდნენ. მაგრამ ადამიანები, რომლებიც იმ დღემდე მას ეკუთვნოდნენ, ამჯერად თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი. და მოხუცი კაციც, ბაბუას რომ ეძახდნენ, ბიჭის ავადმყოფობის დროს მოუსვენრად რომ დაბორიალობდა მისი საწოლის გარშემო, მწარედ ოხრავდა და მისთვის დაშაქრული თბილი წყალი მოჰქონდა, რათა ცოტა მოელბო მისთვის ავადმყოფობის სიმწარე, ჩახლეჩილი ხმით, უცნაური აქცენტით ეფერებოდა, მძიმე და გაუბედავი ხელით ეალერსებოდა საფეთქლებზე, ახლა შეთქმულებს შეამხანაგებოდა და უძრავად იწვა იატაკზე დიდ ოთახში, სასთუმალთან სანთლები ენთო. მისთვის ყინულის ბლოკების მოსატანად გაგზავნეს ხალხი, ბიჭს კი

წარმოდგენა არა ჰქონდა, ეს რისთვის იყო საჭირო.

მამამისი მაშინ ერთ-ერთ სამხედრო ბანაკში მსახურობდა, რომელიც ხაიფასთან იყო. უქმეებზე შინ მოდიოდა ხოლმე. დადგენილ დღეს ბიჭი იმ საათზე ბევრად ადრე გადიოდა, რომელსაც დედა ეუბნებოდა და ელოდა, ვიდრე დაინახავდა შორს მამამისის გამოსახულებას, რომელიც ახლოვდებოდა, ქუჩის აღმართს მოუყვებოდა. ბიჭი მის სიმაღლეს და გარეგნობას შეამოწმებდა, შეეხებოდა შორეთიდან მოსულ მის სამოსელს, კვლავაც იცნობდა, დაელოდებოდა, რათა იგი ჰაერში აეფრიალებინა და ჩახუტებოდა. მამა ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ იცოდა, რომ მოვიდოდა. თუმცა ეს არ იყო მისი დასვენების დადგენილი დღე.

ფული შარვლის ჯიბეში ჩაიდო და სანდლების ჩასაცმელად წავიდა.

დილით საზაფხულო არდადეგებისათვის ჩამოიყვანეს ბრურია თავისი სკოლიდან, რომელიც მოშავეს[28] მოშორებული იყო. დედ-მამა დილით ადრე ადგნენ, რათა გოგონასთან ერთად შინ დაბრუნება მოესწროთ, ვიდრე უამრავ ხალხს ეჩვენებოდნენ მოშავში. როდესაც ავტობუსი მოშავში ჩავიდა, ბრურია ჩასვლაზე უარს დადგა, სანამ მშობლები ახალი ფეხსაცმელების ყიდვას არ დაჰპირდნენ. გოგონას ყელიანი ფეხსაცმელი ეცვა. მშობლები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ ეს უფრო სასარგებლო იყო ჯანმრთელობისათვის და ფეხს არა ღლიდა. მაგრამ ბრურია ფეხებს აბაკუნებდა და გაიძახოდა, რომ არ დაიძრებოდა იქიდან, ვიდრე ყველაზე მოდური მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ყიდვას არ დაჰპირდებოდნენ სწორედ თელ-ავივში. მთელი გზა, გაჩერებიდან მათ სახლამდე, რომელიც პატარა ბაზრის გვერდით იდგა, მტკიცებებითა და დაპირებებით ახშობდნენ გოგონას პრეტენზიებს:

„ვინ ყიდულობს ფეხსაცმელს ისე, უბრალოდ, შუა

წელში? ფესახის[29] საღამოს გიყიდით ახალ ფეხსაცმელს. ესეც ახალია, ახალი ნაყიდივითაა.“

„ფესახის საღამო როდის იქნება?“

„შორს არ არის, – თქვა მამამ, – მალე მოვა“.

„ზამთრის მერე?“

„ჰო.“

ბრურია წამით დაფიქრდა.

„ოლონდ კარგად მოიქეცი, გააკეთე რასაც გეტყვიან, დედას გაუგონე და ხალხს ნუ ელაზღანდარავები“.

„ფესახის საღამოს, ფესახის საღამოს, ფესახის საღამოს. ზაფხულის მერე და ზამთრის მერე. ცოტა ხანში. და თელ–ავივში, ყველაზე მოდურ მაღაზიაში?“

ასე დაიყოლიეს იგი და მიჰყვა მათ შინამდე ახალ ფეხსაცმელზე მეოცნებე. მაგრამ შინ მისულს დაპირება დაავიწყდა, დივანზე ჩამოჯდა და მრისხანე თვალებით დააჩერდა დიდ ფეხსაცმელებს.

„რას აითვალწუნე ეგ ფეხსაცმელები? სკოლაში გითხრეს რამე მათ შესახებ?“ – ჰკითხა დედამ. მაგრამ ბრურიას პასუხი არ გაუცია, მხოლოდ ზიზღითა და წყენით დააბაკუნა ფეხები და მერე გაგულისებული ეცა ფეხსაცმელებს, სასწრაფოდ შეიხსნა თასმები, გაიძრო და ოთახის კუთხეში მიყარა. მერე წინდებიც გაიხადა და ფეხშიშველა დაჯდა.

„თუ ჭკვიანად არ მოიქცევი, სკოლაში მიგაბრუნებთ და არც ფესახის საღამოს გიყიდით ახალ ფეხსაცმელებს და არც არასოდეს“, – უთხრა მამამ.

ჯერ კიდევ არ ჩანდა ყინულის ქარხნიდან მობრუნებული ეტლი, როცა ბიჭი ქუჩაში გავიდა. მოლხო დაინახა, განცხადებების დაფასთან იჯდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, თითქოს ბოროტებას გეგმავდა. მოლხო ბიჭს ემტერებოდა რაღაც დავიწყებული ჩხუბის გამო. ჩხუბი ალბათ არც ეთქმოდა. უბრალოდ, ჩაიარა ბიჭმა

სეფარდთა ქუჩაზე მის სახლთან და მოლხომ მისი ცემა მოინდომა. ბიჭის დანახვაზე მოლხო მიწიდან ადგა და შარვლიდან მტვრის გამობერტყვას მოჰყვა. სცემდა და სცემდა შარვალს, ისე რომ მტვრის ნამცეციც არ დარჩენია. ავი თვალი დაადგა ბიჭს, ტუჩებზე კი უკმეხი ღიმილი ჰქონდა გამოსახული. ბიჭი თავის გზას გაუდგა და მისკენ არც გაუხედავს. მაგრამ შიშველი ფეხის ტანტალი მოისმა მის უკან, თითქოს გარეული კატა გამოუდგა. ბიჭმა იცოდა: იმავე წამს, როგორც კი გაიგებდა, რომ მოლხო სირბილზე გადავიდა, მთელი ძალით მოუსვამდა იქიდან. ხოლო მანამდე, ვიდრე ის წყნარად მოდიოდა მის უკან, მოულოდნელი გაქცევით არ გააღიზიანებდა. ერთიანად კონცენტრირებული იყო სმენითა და მცდელობით, რომ ფეხებში მოწყურებული სირბილი დაეოკებინა, მოზიდული ყოფილიყო და არ წაეხდინა გარდაუვალი წამი ადგილიდან მოწყვეტის და გავარდნის. წამით მოეჩვენა, რომ აღარ ესმოდა უკნიდან ფეხშიშველა ნაბიჯების ხმა. გაუჭირდა გადაეწყვიტა, რომ სახე მოებრუნებინა და შეემოწმებინა. ბოლოს ძალა მოიკრიბა და... ხედავს დგას მოლხო რამდენიმე ნაბიჯში და თითით ანიშნებს, ჩემთან მოდიო. მაგრამ ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა.

„არა გცემ, შეგიძლია მოხვიდე“, – უთხრა მოლხომ.

ბიჭი მიუახლოვდა.

„ბაბუაშენი მოკვდა“.

„არ არის მართალი, საიდან მოიტანე?“

„გცემ, თუ მომატყუებ“.

ბიჭი დადუმდა.

„ბრურია ჩამოიყვანეს, დავინახე.“

მოლხომ სახლის ფანჯრებს თვალი მოაელო და რადგან ვერაფერი დაინახა, ბიჭს ზურგი შეაქცია და გზას გაუყვა. ბიჭმა აცადა, სანამ არ გაეცალა იქაურობას, და

როცა თავადაც დააპირა გაზეთების საყიდლად პატარა ბაზრისაკენ გაეხვია, ხმა შემოესმა, რომელიც ფანჯრიდან უხმობდა: „ბიჭო, ბიჭო, მოდი ერთი წუთით“.

ეზოში შეეიდა და ფანჯრის წინ დადგა. დაინახა ლამაზი, ფერმკრთალი, შავთვალა გოგონას სახე. თმაში უკვე ნაცრისფერი ჭაღარის რამდენიმე ხაზი ჰქონდა.

„ბიჭო, ნუ გეშინია, შეგიძლია შინ შემოხვიდე. მამაჩემი და დედაჩემი წავიდნენ და მე მარტო ვარ.“

ბიჭი ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, თუმცა გოგონას კი შესციცინებდა სახეში. ფანჯრის ჩარჩოში გოგონა ისე ჩანდა როგორც პორტრეტი წელს ზემოთ. იდაყვებით რაფას ეყრდნობოდა, ერთი ხელი გარეთ გადმოედო და კედელზე დოლს უკრავდა, მეორეთი კი ვარცხნილობას ისწორებდა.

„ფესახის საღამოს ახალ ფეხსაცმელებს მიყიდიან თელ–ავივში, ყველაზე მოდურს, მაღალ ქუსლიანს.“

წამით გაჩუმდა და თვალები დახუჭა. ლამაზსა და ფერმკრთალ სახეზე გამარჯვების ღიმილი დასთამაშებდა.

„ღამღამობით ბიჭებთან ერთად წავალ საცეკვაოდ, მთელ ბიჭებთან ერთად. და ყველანი კოპწია ქალბატონს, ქინერეთელ[30] ქალბატონს დამიახლებენ. მთელი ღამე ვიცეკვებ ბიჭებთან ერთად.“

დიდი ონკანის პირდაპირ, რომელიც ჩემი სახლის უკან ეზოში იყო, დიდი ხნის წინათ, ყველა დროების წინ, რასაც მოვსწრებიეარ, ზმანეულს ახალ სიზმარში მეწვეოდა ხოლმე გამოფხიზლება. მუდამ საათობით ვიჯექი დიდ ონკანთან. ვერთობოდი მისით. სახელური თავიდან ამოქაჩული ჰქონდა, გაუთავებლად რომ არ ეწვეთა, ან მე რომ არ მომეხერხებინა მოშვება და წყლით თამაში, ასე რომ მიზიდავდა. დღენიადაგ ვფუსფუსებდი, მცდელობას არ ვაკლებდი, როგორმე გამეღო ონკანი ქვებითა

თუ მახათებით, ლურსმნებითა და კბილებითაც კი, ვიდრე არ შევეგუე იმ აზრს, რომ თავს ზემოთ ძალა არ იყო. დიდსა და ცივ მილს თითებს გადავატარებდი ხოლმე. რამე ხელმოსაჭიდს ვეძებდი, რამე დამალულ შვერილს, რომელსაც იქნებ რაღაც მანქანებით ყველაფერი მოქმედებაში მოეყვანა. ჩაბნელებულ ბოსელში, რომელსაც წინ ორი საფეხური ჰქონდა, იჯდა არაბი და ქნარზე უკრავდა.

ისევ და ისევ რკინის მილს ვუსვამდი ხელს, რომ მოულოდნელად ძლიერმა და იდუმალმა ქარმა დაგვიარა მე და სამყაროს ჩემს გარშემო; ბოსლის კედლებმა და ორმა საფეხურმა ჩემს თვალში თავიანთი დასრულებული, უკანასკნელი გამოსახულება შეიძინეს, ხოლო ბოსელში მჯდარი არაბის ქნარის მელოდია თითქოს მიწის მუცლიდან ამოდიოდა. უცხოობისა და მტრობის საბურველში ეხვეოდნენ, მშორდებოდნენ და მიდიოდნენ ჩემგან: მიწა, რომელიც სითბოს აფრქვევდა, ამტვერებული ცა, ფიცრული ღობე და გობი, პატარა ქოხი ფეხსადგილთან, ხილისა და სილოსის ტომრების მჟავე სუნი, ჩიტების გუნდი, რომელიც უეცრად დამფრთხალი გაფრინდა ბოსლის სახურავიდან, გაფრინდა როგორც ისრები, შავი შტრიხები ხეთა კენწეროებისაკენ, იქიდან კი ჰორიზონტის კიდისაკენ. და ამ დროს ჩემში სილრმიდან ამოვიდა ხმა: „მე, მე, მე, მე“. თუმცა ხმა ჩემიდან ამოდიოდა, ჩემი არ იყო. თუმცა ჰგავდა იგი მამაჩემის ხმას, ეს არ იყო მამაჩემის ხმა. ხმა იყო წყნარი, საზეიმო, შვების მომგვრელი და ძალზე მაცდური. დიდი ონკანის გაყინულ ლითონზე ხელი გამიუხეშდა. უფრო გლუვი და მოუხელთებელი გახდა რკინა, სურდა ჩემი შეხებით გამხნევებულიყო და წერტილი დაესვა ყველა თამაშისათვის. ხმა კი შიშითა და სიხარულით მავსებდა, და არ ვიცოდი მათი მიზეზი. თუმცა ვგრძნობდი, რომ ეს მიზეზი ჩემზე აღმატებული

იყო. სიჩუმიდან მებაასებოდა ხმა არაბებს შორის. გარშემო ვიხედებოდი. ადგომა მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო, როგორც ღამღამობით ჩემს საწოლში, როცა მუქი და საზიზღარი საგანი ოთახის ყველა კუთხიდან მოემართებოდა ხოლმე ჩემსკენ.

მძიმე ტვირთი დაეშვა ჩემს მხრებზე და მოკალათდა მათზე დაუპატიუებელი, მაგრამ მარადიული უფლების მქონე სტუმარი.

ონკანიდან ხელი ჩამომივარდა. არაბი კი წელავდა თავის ბაიათებს ბოსელში. ულერა არაბული ქნარისა, ნაზი და უსასრულო მელოდია, უცნაური მხეცის ხმით რომ გოდებდა გულის დამკოდავად. მე მატყობინებდა, რომ იმ წუთიდან ჩემს მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ჩემგან ქმნილი ყოველი საქმე, ჩემთან დაკავშირებული ყოველი საკითხი იქნებოდა საიდუმლო, რომელიც კაცს არ უნდა განდობოდა, რადგან ჩემი ხელი შეეხო უკანასკნელ კედელს, რომლის მიღმა აღარაფერი არ იყო.

უჩინარმა ხელმა მოქაჩა ბრურია ფანჯრის უკან. სახლიდან მისი კიეილი მოისმოდა: „ლამაზი ბიჭები და კოპწია გოგონები მთელი ღამე ერთად ცეკვავენ, და მეც წავალ მათთან ერთად საცეკვაოდ.“

მაშინ მოესმა ბიჭს ცემა–ტყეპის ხმა და ბრურიას წივილი. აივანზე გადმოდგა ბრურიას ბებერი მამა და ბიჭს შეუბღვირა: „აქ რას მიკეთებ? ბაბუაშენი მოკვდა“.

„თავად დამიძახა, მოდიო“.

„შინ წადი.“

ბრურიას მამა აივანზე დადგა და იცდიდა, ეიდრე ბიჭი ქუჩაში გავიდოდა. სახლიდან გოგოს ტირილი და კიეილი მოსმოდა. დედამისმა დაკეტა დარაბა და ის ფანჯარა, სადაც წელან ბრურია სურათივით იდგა.

ბიჭი ქუჩაში გავიდა თუ არა, დაინახა წინ პატარა

ბაზარი და ხალხი, რომელიც იორდანელის კაფესთან ირეოდა. მიუახლოვდა კაფეს. გარეთ ხალხი ჰყვებოდა, რომ იქ სამფეხა ქათამს აჩვენებდნენ. ამბობდნენ, რომ ორ კაცს ქათამი ჰყავდათ, რომელიც მავანს საზღვარ-გარეთიდან ჩამოუყვანია, და რომ ეს მსოფლიოში უნიკალური რამ იყო. ამ ორს მოშავში გზად გამოუვლიათ და დათანხმებულან, რომ რამდენიმე საათს გაჩერებულიყვნენ და ეს ურჩხული წარმოედგინათ, ხვალ კი სხვა მოშავებისაკენ განაგრძობდნენ თავიანთ გზას, ვიდრე თავიანთი ექსპონატით საზღვარგარეთის ქვეყნებში გაემგზავრებოდნენ. უცნაური და ველური შეძახილები მოისმოდა იორდანელის პატარა კაფედან, სადაც უამრავი ადამიანი იზილებოდა ერთმანეთში. შესვლა ფასიანი იყო და შემოსავალი, – ასე განმარტავდა ხალხი გარეთ, – თანაბრად ნაწილდებოდა ქათმის პატრონ კაცს, ამ ორ კაცს, მას რომ თავს ევლებოდნენ და იორდანელს – კაფეში წარმოდგენის მასპინძელს შორის. კაფედან გამოსულ ადამიანებს სახეები ხუთი წუთის შემღეგ, – რაც შესასვლელი ფასით იყო რეგლამენტირებული, – მეტისმეტი სიცილისა და განცვიფრებისაგან მოღლილი ჰქონდათ. ბიჭი კიდევ უფრო მიუახლოვდა შესასვლელს და ცნობისმოყვარეთა და თავიანთი რიგის მომლოდინეთა შორის ჭედვაში გაძვრა. უეცრად მხარზე ხელი იგრძნო. მოლხოს სახე ძალზე ახლო იყო მის სახესთან, ოხშივარს აფრქვევდა და ოფლის სუნი ასდიოდა.

„გინდა, რომ მე გიპატრონო? ყოველთვის ჩემი ძმასავით გიპატრონებ“.

და მოლხოს არ მოუშორებია ხელი ბიჭის მხარიდან.

„სამფეხა ქათამი, – ჰყვებოდა მოლხო, – ლაპარაკობს, ცეკვავს და „როუებს კერავს“.

ბიჭმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და მონეტები მოსინჯა. იცოდა, რომ გაზეთებს არ იყიდიდა და აღარც მოხუცი

კაცის სახეს ნახავდა, რომელიც დიდ ოთახში იატაკზე იწვა, და არც ეტლს, ყინულის ქარხანაში გაგზავნილს. დიდმა მღელვარებამ შეიპყრო და გულმა ისეთი რამეებისაკენ გაუწია, რაც მან აქამდე არ იცოდა. გაიწოდა ხელი მოლხოს მხარისაკენ და ძრწოლვით მოეხვია.

„როცა გინდა მაშინ მოდი ჩვენს ეზოში ჩემს ძმასთან ერთად საქანელაზე საქანაოდ“.

ბიჭმა მოლხოს მონეტები გაუწოდა.

„ყოველთვის შენი მფარველი ვიქნები, უფრო მეტად, ვინემ ჩემი ძმისა.“

ურჩხული წვრილი ხის გისოსებისაგან გაკეთებულ პატარა გალიაში იდგა, რომელიც მაღალ ყუთზე შემოედგათ. გალიის კუთხეში ერთი პეშვი სორგოს თესლი ეყარა, მაგრამ ის არ ჭამდა, განუწყვეტლივ ატრიალებდა თვალებს და თავს აქეთ–იქით გადასწევდა ხოლმე, რათა მის მზერას ყველაფერი მოეცვა და რამე გარშემო არ გამოჰპარვოდა. თან ორ ჯანსაღ ფეხზე დახტოდა, ხან უკან ისკუპებდა ხოლმე, თითქოს ჩასაფრებული საფრთხისა ეშინოდა. ხოლო დამატებითი, ავადმყოფი ფეხი მის კუდქვეშ გამომწვევად, პროვოკა–ციულად ამობურცულიყო. იორდანელი გალიასთან იდგა და იცავდა მას ადამიანებისაგან, რომლებიც ცდილობდნენ გაებრაზებინათ ქათამი და ფრინველისაგან სასაცილო და მოულოდნელი რეაქციები გამოეწვიათ. ერთი მეეტლე, ზორბა კაცი, თავზე მუდამ ოფლიანი კარტუზით, ხელებს ტუჩებთან მილივით იჭერდა და მამლის ყივილს ჰბა–ძავდა, რათა დედალში მამრის მონატრება აღეძრა. ქათმის ყოველი მოძრაობა აღიქმებოდა როგორც მაცდური და უხამსი გაპასუხება იმ მიმსგავსებულ ყივილზე, რაც სიცილ–ხარხარის მიზეზი ხდებოდა. ორი კაცი, რომელთაც გალია მოიტანეს, შესასვლელთან მაგიდას უსხდნენ და

შესვლის საფასურს აგროვებდნენ. ორდანელი დროდადრო თვალს მათკენ აპარებდა ხოლმე, ჩუმად ხომ არ იდებენო ჯიბეში, ვიდრე მასთან ერთად გაანაწილებდნენ.

იჯდა ლოთი კაცი თავის მუდმივ ადგილზე. მას არ ეხებოდა მთელი ეს ლრიანცელი. წყნარი გუნებისა და ფიქრიანი იყო. მხოლოდ როცა გალიის ირგვლივ შეჯგუფებულთა შორის დიდი ხარხარი იფეთქებდა ხოლმე, როგორც რეაქცია ვინმეს შენიშვნაზე ან ურჩხულის მოძრაობაზე, ლოთი თავს აიღებდა დაცინვით გაიქნევდა და ჩაიჩურჩულებდა: „ამაოება ამაოთაი, ამაოება ამაოთაი“.

ხალხით სავსე კაფეში ცუდი სუნი იდგა, ბიჭი კი არც სივიწროვეს დაგიდევდათ, არც – ოფლს, მხოლოდ ქათამი აინტერესებდა, განსაკუთრებით მისი მესამე, დაავადებული ფეხი. მოლხო, რომელიც მის გვერდით, გალიის პირდაპირ იდგა, თვალებით იყო მიჯაჭვული სანახაობას, მოჯადოებული, და ალბათ ცოტა შემკრთალიც. ბიჭმა იცოდა, რომ მამამისი არ მოვიდოდა ამ ხალხში დასადგომად და სამფეხა ქათმის საყურებლად, და ძალზე მოენატრა იგი. და თუმცა ამგვარ სანახაობებზე მისთვის ცუდი არავის უთქვამს, იცოდა, რომ ეს აკრძალული იყო. მღელვარება, რომელიც მას კაფეში შემოსვლამდე დაეუფლა, სანამ გული სანახაობისაკენ, იქ შეკრებილი ხალხისაკენ, მოლხოსთან დაძმობილებისაკენ გაუწევდა, ახლა ავისმომასწავებლად ენიშნა. მოლხოს დროდადრო ტუჩების კუთხეებში ღიმილი გამოესახებოდა ხოლმე, თითქოს სიზმარში ხედავდა რამეს, ხოლო ბიჭს თავი ისე მოჰქონდა, თითქოს ძალზე ხალისობდა და ცდილობდა უკეთ დაკვირვებოდა ქათამს, რომელიც პატარა გალიაში აქეთ-იქით დახტოდა, ვითომდა უჩინარ მოწინააღმდეგეს ეჩხუბებოდა. და ბიჭს რცხვენოდა, რომ ვერ ჩამწვდარიყო საიდუმლოს, რაც ამ სანახაობით ასიამოვნებდა და აღაფრთოვანებდა. მოთმინებით ელოდა,

ვიდრე საფასურით გამოყოფილი წუთები დამთავრდებოდა. მოეჩვენა, რომ აღარასოდეს დატოვებდა სიცარიელის შეგრძნება, რომელიც იმ წუთებში დაეუფლა.

კაფეს შესასვლელთან ჩხუბის ხმა გაისმა. ჩანდა, საბნებისა და ლეიბების განმაახლებელი ცდილობდა შემოეღწია. ამ დროს ორნი, რომლებიც სალაროსთან იდგნენ, მას ხელს ჰკრავდნენ და სცემდნენ. იორდანელი შეშფოთებული იყურებოდა შესასვლელისაკენ და ჭოჭმანობდა, დაეტოვებინა თავისი საყარაულო გალიასთან და წასულიყო ჩხუბის მიზეზის გასარკვევად და წესრიგის დასამყარებლად, თუ ამისთვის თავი დაენებებინა და ქათამს გაფრთხილებოდა.

საბნებისა და ლეიბების განმაახლებელი რაღაცას ყვიროდა შესასვლელისაკენ კაფეში მდგომების მისამართით. ხალხი კი ერთმანეთს ეკითხებოდა: „რას ყვირის, რა უნდა? – ხის წებოთიო, – ამბობს, – ხის წებოთი მიაწებესო ფეხი.“

ისევ შეშფოთდა იორდანელი და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შესასვლელისაკენ, რათა ორიოდე სიტყვა ეთქვა იმ კაცებისათვის, მაგრამ ვიდრე მათ ნახვას მოასწრებდა, კვლავ გალიისაკენ მობრუნდა ქათმის დასახედად და კაფეში უსაფრთხოების ზომების მისაღებად, რადგან ქარაშოტი სული უფრო მძვინვარე ხდებოდა. და არ იყო ცნობილი, მხიარულებისაგან ბობოქრობდა ქარაშოტი თუ სიბრაზისაგან თაღლითობის გამო. ან თუ მასხრობამ ეს ეს იყო მოძებნა საბაბი, რომ აფეთქებულიყო. ჯერ დაიმუხტა, დაიტენა და მერე აალდა გალანძღული ქათმის დანახვაზე. ზორბა მეეტლემ მძიმე ხელის მოძრაობით გზიდან ჩაშოიშორა იორდანელი და გალია ორივე ხელში აიტაცა. ხის გისოსებს მუშტი ჩასცხო და ორი დარტყმით ჩალეწა. გამოიყვანა ქათამი, კუდი აუწია და ფეხი მოუსინჯა. მას ყველა იქ დამსწრე მოაწყდა. ქათამმა

ფრთები აიჭრა და ტკივილისაგან აკრიახდა, როცა მეეტლე შეეცადა ხორციდან მესამე ფეხი ამოეგლიჯა. სულ უფრო ლონივრად ეჭაჩებოდა მეეტლე ფეხს, რომ ტანისაგან დაეშორებინა. „შეიბრალე ცხოველი. შეიბრალე ცხოველი.“ – ევედრებოდა მას იორდანელი.

და უეცრად ყველამ დაინახა მეეტლის ხელის გულზე ფეხი. სისხლის წვეთები ეცემოდა ქათმის თეთრ ბუმბულს. გაისმა მრისხანე შეძახილები, ატყდა ხორხოცი და ყველანი კარის ზღურბლს მიაწყდნენ, რათა ის ორი კაცი არამზადობაში გამოეჭირათ, მაგრამ მათი ადგილები მაგიდასთან ცარიელი იყო და იქ არც სალარო იყო.

მეეტლემ ქათამი მოისროლა და ზიზღით გატყორცნა მესამე ფეხი იორდანელის მიმართულებით. მან კი უკან დაიხია დაფეთებულმა. ქათამს კუდს ქვემოდან სისხლი მოწვეთავდა და გამწარებული დარბოდა, გასასვლელს ეძებდა და ვერ პოულობდა, რადგან დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი და მის თვალებს სინათლეზე ეფარებოდნენ. და როცა ადამიანებს ფეხებში წამოედებოდა ხოლმე, ისინი ზიზღით იწევდნენ უკან, რადგან კარგად ახსოვდათ მისი მესამე ფეხი. ქათამი ფრთებს ააფრთ-ხიალებდა და იქიდან ჩიტივით გაფრენას მოინდომებდა ხოლმე. მხოლოდ ლოთმა, წყნარმა და ფიქრიანმა გაუღიმა დამფრთხალ ქათამს, საჩვენებელი თითი გაიწოდა მისკენ და რამდენჯერმე გაიმეორა: „ამაოება ამაოთაი, ამაოება ამაოთაი“...

„ხის წებოთი მიუწებებიათ, ხის წებოთი“, – წამოიძახა იორდანელმა და ტაში შემოჰკრა. ის ორი გაახსენდა, ფულთან ერთად რომ მოუსვეს, მას კი კაფეში ქათამი და ალიაქოთი დაუტოვეს. ხალხმა კაფედან გასვლა იწყო. როცა გარეთ გავიდნენ, მოლხომ ბიჭს უთხრა: „ახლა გინდა წამოხვიდე საქანელაზე საქანაოდ, თუ სხვა დროს?“ – „სხვა დროს“, – უთხრა ბიჭმა. „რა

ქათამი იყო, – ამოიოხრა მოლხომ, – აფსუს, ჩემმა ძმამ ვერ ნახა.“ მან კვლავ გაიწოდა ხელი, რათა ბიჭისთვის მხარზე მოეხვია, ვითომდა ძმობის გამოსახატავად, მაგრამ ბიჭი მოერიდა. მოდიოდა მოლხო თავის გზაზე მდუმარედ და ბიჭმა იცოდა, რომ შემდეგში, როცა მას გადაეყრებოდა, მოლხო მის ცემას მოინდომებდა, როგორც იქცეოდა მუდამ, თუმცა ბიჭისთვის ეს უკვე სულერთი იყო.

შინდაბრუნებული ჭიშკართან წამით შედგა და ფანჯრებს შეხედა. კიბეებზე ავიდა. სახლის კარი დაკეტილი დაუხვდა. კაკუნზე არავის უპასუხია. შემოუარა სახლს. ყველაფერი ჩაკეტილ–ჩარაზული იყო. უკანა ეზოში გავიდა და დაინახა ბოსლის საფეხურებზე ჩამომჯდარი არაბი, ქნარის გარეშე, თავი ხელებზე ჩამოედო და თვალები უსიცოცხლოდ გაეშტერებინა.

ნაშუადღევს ბრურიას მშობლებმა სახლი დატოვეს და გოგონასთან ერთად ავტობუსის გაჩერებისაკენ გაემართნენ. ბრურია მთელი გზა წყნარად იყო, მხოლოდ ავტობუსი დაინახა თუ არა, უკან დაიხია და პირობა დადო, რომ შემდეგში ჭკვიანად მოიქცეოდა. მაგრამ მშობლებს მისი დაპირებისათვის ყური არ უთხოვიათ. გულამომჯდარი ჩუმად სლუკუნებდა. დედამაც კი მოიწმინდა თვალიდან ცრემლი. მაგრამ მამამ შეუღრინა: „აწი ისწავლი ჭკუას, აწი ისწავლი.“

„ფეხსაცმელზე უარს ვამბობ, პატიებას გთხოვთ.“

ავტობუსში ავიდნენ. ბრურიამ სახეზე აიფარა ხელები და ტირილი მორთო. დედა, რომელიც მის გვერდით იჯდა, ეხვეოდა მას და თავს მხარზე ადებდა, ხოლო მამას, რომელიც მათ წინ იჯდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს მათ არც იცნობდა.

ბიჭმა კიდევ შემოუარა სახლს, რომ ენახა, ამასობაში ვინმე ხომ არ დაბრუნდაო, მაგრამ კარები და ფანჯრები დაკეტილი იყო და შიგნით არავინ ჩანდა. უკანა ეზოში

დაბრუნდა და დიდი ონკანის წინ დაჯდა. მილს მოეჭიდა და დაეჭვდა, თუ მოხდებოდა იგივე, რაც ამას წინათ დაემართა, მაგრამ ყველაფერი უცვლელი რჩებოდა, შუადღის საათები კი იწელებოდა და დაუსრულებლად გრძელდებოდა.

ერთ მიტოვებულ ბაღში, ციტრუსის პლანტაციების უკან, მოშავის გარეთ იწვა საბნებისა და ლეიბების განმაახლებელი მიწაზე და თვალები ცისათვის გაეშტერებინა. ჭიანჭველების რიგი მიდიოდა მის მხარზე, მის კისერზე მიცოცავდა და მისი წელიდან მიწაზე ჩამოდიოდა, თითქოს მესაბნეც მიწის ნაწილი ყოფილიყო, ბურცობი მის ზურგზე.

ზაფხულის ნაღვლიანი ნაშუადღევი იყო. ირგვლივ ყველაფერი გამოფიტული და მეტისმეტად წყნარი იყო. არაბი ზანტად წამოდგა კიბეებიდან, ბოსელში შევიდა და ნაგვის მოფოცხვა დაიწყო. ფოცხვის ხმა წყვდიადს გულს უკაწრავდა. ნელ-ნელა გრძელდებოდა, შემდეგ ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდებოდა, და მერე – კვლავ ფოცხვა და კვლავ სიჩუმე. ბიჭმა გარემოს მზერა მოავლო იმის მოლოდინში, რომ ის ამბავი განმეორდებოდა. ბრაზი მოერია დიდი ონკანის გულგრილ შეხებაზე და თავისი სიმარტოვე იწყინა. ჩუმად წარმოთქვა: „მე, მე, მე, მე“, მაგრამ ჯადომ არ იმოქმედა.

უეცრად ცაში აფრიალდა ბიჭის ტანი მისთვის ძალზე ნაცნობი და საყვარელი მოძრაობით, და უმალვე იგრძნო თავის ლოყასთან მამამისის სახე ჩხვლეტია ბალნით. მამისთვის სათქმელად სიტყვა ვერ ეპოვა, რადგან სირცხვილს მასში რაღაც ნისლი ჩაღღვარა. მაგრამ შეეშინდა, რომ თვალები გასცემდნენ, თუ პირს არ გააღებდა და რამეს არ ეტყოდა, ამიტომ ყურში საიდუმლოდ ჩასჩურჩულა: „ჩვენი ბაბუა აღარ არის, ჩვენი ბაბუა მოკვდა“. მამა მოეხვია, არაფერი უპასუხია.

ატატებული შინ წაიყვანა, შესასვლელთან კი ფეხზე დააყენა და ხელი ჩაჰკიდა. შინ ერთად შეეიდნენ. მამა დიდი ოთახისაკენ გაუძღვა. ოთახში არაფერი შეცვლილიყო. თითქოს არც არასოდეს წოლილა იქ კაცი იატაკზე, არც სანთლები ყოფილა და არც არაფერი. ფერადი შუშები, როგორც ყოველთვის, მწვანე და ოქროსფერ ლაქებს აფენდნენ კედლებსა და პარკეტზე. და ბიჭმა არ იცოდა, თვალებისათვის დაეჯერებინა თუ ხსოვნაში ჩაბეჭდილი სურათისათვის. კითხვით აღსავსე თვალები მიაპყრო მამას და ისევ ოთახს მიაშტერდა. მერე მამას გაულიმა, თითქოს ჰკითხა: „მართლა, მამა?“ მამამ კი ღიმილი დაუბრუნა, თითქოს პასუხად: „მართლა, ჩემო ბიჭო“.

# შვეიცარიის მთიანეთი

## ნამდვილი ამბავი

გიდი მხიარულად მიჰქროდა სოფლის შესასვლელამდე, იქ კი შეამცირა აკვნესებული პეეოს სიჩქარე და მთავარ ტრასაზე შენელებული, საპატიო სვლით შევიდა.

შუადღის საათები იყო და მხოლოდ თითო-ოროლა მცხოვრები იყო ქუჩაში. ოდნავი დაძაბულობით უკრავდნენ მას თავს. გიდი ცოტა იმედგაცრუებული ჩანდა. ეგონა, უფრო გაუხარდებოდათ მასთან შეხვედრა. ექვსი კვირა იყო გადაკარგული. მაგრამ სჯეროდა, რომ მისგან ინტერესით ელოდნენ შეეტყოთ, თუ რა იყო ამ ხანგრძლივი გაუჩინარებისა და მოულოდნელი დაბრუნების მიზეზი.

ალსიდის ფარდულთან შეჩერდა. ჩვეული მოძრაობით შეამოწმა რევოლვერი, რუქების ჩანთა, მზის სათვალე გრუზა თმაზე აიწია, მანქანის კარი დაკეტა, საკეტი მსუბუქად გადაატრიალა, – ეს მოძრაობანი მას ძალითა და სიამოვნებით აღავსებდა.

„აბუ დანი. აჰლან, აბუ დანი.“ ფარდულის ტანმორჩილი, მარდი მეპატრონე ყვირილით გამოეენთო მასთან შესაგებებლად, შიგნით შეათრია და მილი მიართვა: „დაბრძანდი, დაბრძანდი, რა ხანია არ გვინახიხარ.“ თითებმა გაიტკაცუნეს და პატარა, ფეხშიშველა ბიჭი გასასვლელში, ჭუჭყიანი ფარდისაკენ გაეარდა ყავის მოსამზადებლად.

გიდიმ თაროებს თვალი მოავლო და ალსიდს გაულიმა: „როგორ მიდის საქმე?“

„ალ-ჰამდუ-ლა. შენ სად იყავი, ა, აბუ დანი? მგონი თვეა არ გვინახიხარ, აბუ დანი.“

„სამსახური...“

მედუქნემ ყვითელი კბილები გამოაჩინა და ჩაიცინა როგორც რაღაც ბნელ საიდუმლოს განდობილმა.

„თქვენი სამსახური... არაფერს ვკითხულობ.“

ყავა მოვიდა. დალიეს.

არ უნდოდა აქ, ალსიდთან, ჩაბნელებულ ფარდულში შეყოვნება. ბედნიერი იყო ახლა აქ ყოფნით და სურდა სინათლეზე ყოფილიყო, ქედის თავზე, ხელისგულივით გადაშლილი პანორამის წინ. ეწადა მთელი ქვეყნის გასაგონად ეყვირა, რაც გულში ჰქონდა. ოღონდ არ აპირებდა აქ, ალსიდთან გადაეშალა გული. რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუკი ბოლოს ამის შესახებ ისიც შეიტყობდა, განა ყველა არ გაიგებდა? როცა წარმოიდგინა თავისი თავი, რომელიც პირველად ალსიდს უამბობდა... გულმა არა ქნა. თუმცა მაინცდამაინც ალსიდის მიმართ შემონახულიყო გიდიში სიყვარული და მადლიერება, რადგან ეს პატარა და ეშმაკი მედუქნე პირველი იყო, რომელმაც გაბედა მისთვის ფინჯანი ყავა შეეთავაზებინა, როცა ომიდან დაბრუნებული ამ სოფელში მოავლინეს.

გიდი მაშინ ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, გაიარა სწრაფი კურსები მოულოდნელი ომის მოთხოვნათა გამო და ბედის საძიებლად გასწია. ხოლო როცა სოფლად დაბრუნდა, ექვსი წლის შემდეგ, 67-ის ბოლოს, მისი კუნთები ჩაყინული შიშისა და დაძაბულობის ერთიან მონოლითად ქცეულიყო. პეუოს შუშაში საკუთარი სახე დალანდა. ნახა, რომ მხრები თითქმის ყურებამდე ჰქონდა აზიდული. მოსახლეობა მღელვარებით აყოლებდა თვალს და არა სიძულვილით. იგი ლაღად დასრიალებდა ტერიტორიებზე, რომელიც ამ ხალხის სულში შიშისა და ქედდრეკილობისთვის გამოთავისუფლებულიყო.

მათ უთხრა, რომ სახელად აბუ დანი[31] ერქვა, და ასეც ეძახდნენ. დროდადრო მოკითხვას უთვლიდნენ მის დანის, ის კი ღიმილით პასუხობდა და ალლაჰს უხმობდა,

რომ თავისი კურთხევა მათი შვილების თავზე დაებერტყა. წლების შემდეგ ყველა გაიცნო: „მათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. როდესაც თავისი სოფლის ქუჩებს ჩაივლიდა, გულში მსუბუქი ბიუროკ-რატიული კმაყოფილება უღიტინებდა, მსგავსად იმ ვაჭრისა, საკუთარ მაღაზიაში პროდუქტის მარაგს რომ ამოწმებდა.

დაწყებითი სამუშაო რთული იყო. არავინ იყო მისი დამხმარე, მიმთითებელი. ქვედანაყოფის ყველა ვეტერანი, კურსის ყველა ინსტრუქტორი იმხანად დაკავებული იყო იმ უსასრულო მასალის შეგროვებითა და მონელებით, რაც გამარჯვებამ თან მოიტანა: საბუთები და ადამიანები, ეჭვმიტანილნი და მოსყიდულნი, ქალაქები და სოფლები, რომელთა სიღრმეში უნდა შეჭრილიყვნენ, კავშირების, ალიანსების, ადამიანთა ერთგულების კოდის გაშიფრვა, ლიდერები, კლანები, ვეებერთელა რებუსული სამუშაო, ენერგიული, თავდაუზოგავი კვლევა-ძიება. ძალა ცოდნაშია.

ყველაფერი სასწრაფოდ უნდა ამოსულიყო დღის სინათლეზე, ვიდრე ხალხი გონს მოეგებოდა, ვიდრე აამოქმედებდა ვინმე წინააღმდეგობის წნეხს: ოჯახურ კლანებს, საძმოებს, ინტიმურ მეგობრობებს, კორესპო-დენციებს, საიდუმლობებს, ავადმყოფობებს, დაფარულ ნაკლებს, ყველა ჯურის გადახრებს... გიდი იმ დღეებში დაუღალავად, თავდავიწყებით შრომობდა, მოშიშვლებულ მზის გულზე ჩაეჭირა ამობრუნებული სოფლის სარჩული. იცოდა, აჩქარება მართებდა, რათა საკუთარი თვალით ნანახი გაეუკვდავებინა, ვიდრე მზე შეჭამდა ნატიფ ფრესკებს, დამორცხვებულთ, იმ ალაგას რომ აღმოაჩინეს.

ექვსი წელი. სამი ათასი ადამიანი. და მან თითქმის ყველა მამაკაცის სრული სახელი იცოდა. ძილშიაც შეეძლო გამოეცხადებინა ჰაშემ-ალ-მასრის ბავშვების ასაკი თუ ფაად აბუ სალიმანის ყველა მოვალის სახელი. დღეს მას თითქმის აღარ სჭირდება გარჯა ამ სოფელში,

დღეისათვის ის უკვე დამატებით სამ სოფელზეა გამწესებული, მაგრამ გულის კუნჭულში თავისი პირველი სოფლის სითბოს ინახავს. ფაქტია: შვებულების გასვლისთანავე აქ მოაშურა. სურს აქ მოჰყვეს პირველად თავის ახალ ამბავს. ერთგვარი მადლიერება იყო, ცოტა სულელური. მაგრამ სწორედ ეს მიამიტური სისულელე, არაპროფესიონალური, მას მსუბუქ, საამო ურუანტელს ჰგვრიდა.

„სოფელი წყნარადაა“, – ფიქრობდა გიდი. ის კელავ მზის გულზე დადიოდა, მემწვანილეს მიესალმა, ხელს აქეთ–იქით იქნევდა, კვლავ მოემარჯვებინა თავისი პროფესიულად დამუხტული ჟესტები: დინჯი, საპატიო სვლა, ასე განსხვავებული მისი ისრაელური სიარულისაგან. გიდის ისრაელური ყოფისათვის უცხო იყო აგრეთვე ის ველური სიხარული, რასაც შინაგანად განიცდიდა. ეს სიხარული უნდა ამოგელრიალა, ამოგეყივლა.

ათი წლის ნიმრი რკინის სალტას სარით ატრიალებდა და კინალამ ზედ წამოეგო. შეეშინდა. ნიმრი კარგი ბიჭუნაა, გიდი მის ნათლიასავით გრძნობს თავს. როცა ნიმრი პატარა იყო, თირკმელების ტკივილი სტანჯავდა და გიდიმ იზრუნა, რომ მისთვის ჰადასაში ოპერაცია გაეკეთებინათ. ასე, უბრალო და ადამიანური საშუალებებით მოახერხა მთელი კლანი მოესყიდა. გიდიმ ბიჭს გაულიმა და თვალი ჩაუკრა, პატარა ნიმრი კი გასხლტა თავის გზაზე სალტის ულრიალით. გიდის განზრახული ჰქონდა ნიმრის მამისათვის ეკითხა მისი ბიძაშვილის არეფის შესახებ, რომელიც უკანასკნელ წელს სამჯერ გაემგზავრა ამანთან. და კიდევ ერთი დეტალი იყო, რაც მასთან დაკავშირებით იყო გასარკვევი, ვიდრე ის მოულოდნელად ხანგრძლივ შვებულებაში გავიდოდა: ხვდებოდა თუ არა ბასამ აბაიდა თავის ლამაზმანს ხეერონში. წარსულის უმნიშვნელო დეტალებიც შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო.

„ჩემი არაბები წყნარები არიან, ფიქრობდა გიდი, შემიძლია თვე–ნახევრით დავტოვო ისინი და მშვიდად დარჩებიან. სხვა ადგილებში მუდმივი არეულობა და პრობლემებია, ჩემთან კი ყველაფერი წყნარადაა, და ეს იმიტომ, რომ ვიცი მათ როგორ მოეუარო.“

ჩაუარა ორ ქალს, რომლებიც ზეწარზე საზამთროს თესლს აშრობდნენ, მხიარულად გამოელაპარაკა რამდენიმე კალატოზს, რომლებიც ხარაჩოს დგამდნენ, უწმაწური ანეგდოტები გაუზიარეს ერთმანეთს და მათ მძიმე, შავგვრემანი ხელი გაუწოდა. სად დაიკარგეო, – ჰკითხეს, და მას კინალამ სძლია ცდუნებამ მათთვის სათქმელი გაენდო, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან გრძნობდა, რომ პირველად სხვანაირად სურდა ეს მოეყოლა. თუმცა ზუსტად ვერც წარმოედგინა „სხვანაირად“ რას გულისხმობდა, იქნებ უფრო საზეიმო ვითარებას, ყოველ შემთხვევაში იმას კი გრძნობდა, თუ როგორ არ უნდა გაემჟღავნებინა ის ამბავი, და ამჯერად არ სურდა, მოკლედ, არ უნდოდა მათთვის ეამბნა.

კარგი, კაშკაშა დღე იყო. გიდი ქუჩაში მიაბიჯებდა, ხელები ზურგზე შემოეწყო. ფიქრებში გართული თავის დაკვრით ესალმებოდა სახეებს, რომლებიც მის თვალს ხვდებოდა. ხანგრძლივი განშორება სოფლისაგან, ყველაზე ხანგრძლივი მას შემდეგ, რაც აქ მუშაობა დაიწყო, საშუალებას აძლევდა შორიდან და ცოტა საზეიმოდ შეეხედა თავისი საქმისათვის. და აგრეთვე ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი, რაც უკანასკნელ ხანს მის ცხოვრებაში მოხდა, მას უფრო ჭკუადამჯდარს და გონიერს ხდიდა. ფიქრობდა, თუ როგორ უადვილდებოდა ასე დიდი მოსახლეობის დამორჩილება, თითქმის არასოდეს დასჭი–რევია ამისათვის ძალის გამოყენება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შფოთის და ყვირილის ერთ–ორ შემთხვევას. მოსახლეობა ხელს უწყობდა კულტურული ფორმით

წარემართა მუშაობა.

ამ ოთხი წლის მანძილზე გიდიმ ჭკუით მოაქცია სოფელი თავის ბადეში. ის არჩევდა, რომ ამას როგორც საეჭვო საქმეს, ისე მიდგომოდა. მოსახლეობა მას ინფორმაციით ამარაგებდა, სანაცვლოდ კი ისინი იმსა–ხურებდნენ უსაფრთხოებას, აგრეთვე ნებართვებსა და ნაირგვარ ცნობებს მათი საჭიროებისათვის. გიდი არავის აიძულებდა, რომ მისთვის ინფორმაცია გადაეცა, მაგრამ ყოველ მცხოვრებს ათასნაირი ნებართვა სჭირდებოდა ცხოვრებაში: ნებართვა მშენებლობისა, ნებართვა იორდანეს ხიდზე გადასვლისა და ა.შ. და ამრიგად, დავალებულნი იყვნენ შემოეკლოთ გიდის მოკრძალებულ კანტორაში და მასთან ფინჯან ყავაზე ესაუბრათ.

მოდიოდნენ მასთან კანტორაში, რომელიც მახლობელ რაიონში იყო, ყველაფერზე აბარებდნენ ანგარიშს, რასაც მათ სთხოვდა, თითქმის წინააღმდეგობისა და მტრობის გარეშე, თითქოს რაღაც უამურ კაპრიზს უსრულებდნენ ძლიერ ნათესავს. დაძაბული ვითარების დროს ხელს ცოტა უფრო უჭერდა სოფელს, ხოლო როცა ჩაცხრებოდა დაძაბულობა, ისიც შვებას აძლევდა მათ. თავად მუდამ მომართული რჩებოდა, თუმცა ამის დაფარვა იცოდა, მათ როდი აგრძნობინებდა. ამეცადინებდა ხოლმე თავის თავს, რომ შეფარული დაძაბულობით ეცხოვრა, მხოლოდ ისე, რომ პირად ცხოვრებაში ხელი არ შეშლოდა. მაგრამ არასოდეს დავიწყებია, რომ მტრის ქვეყანაში იმყოფებოდა, და არც ის ახალი ამბები აძლევდნენ ამის დავიწყების ნებას, მასთან ტელეფაქსით რომ მოედინებოდა. ტერორისტთა რგოლები ყოველ ადგილას მოქმედებდნენ, უამრავ სიმხეცეს სჩადიოდნენ. სწორედ გიდი და მისი მეგობრები იყვნენ მთავარი ზღუდე მათ წინააღმდეგ. მათი საქმიანობის გარეშე წამიც არ ექნებოდათ მშვიდობიანი ისრაელელებს და მის მშვიდობიან არაბებს. გიდიმ თავისი მოვალეობის

შესრულება როგორც პროფესიონალმა დაიწყო და გააგრძელა როგორც იდეალისტმა.

„მე ისინი შევისწავლე, – ეუბნებოდა ბილის, – როცა იგი გაიცნო ამ ოთხი წლის წინ, მე შევისწავლე ისინი როგორც შენ სწავლობ ივრითს, ახალ ენას, ყველა წერილმანითა და ნიუანსით. როდესაც კარგად ფლობ ენას, შეგიძლია უცებ დაიჭირო სიყალბე, ხომ?“

„ანუ?“

„ანუ მე შემიძლია ვიგრძნო ყოველგვარი უმნიშვნელო ცვლილება ჩემს სოფელში. ყველანაირი დაძაბულობა, ან თუ ვინმე უცხო შემოვა.“

და ჭკვიანმა ბილიმ ეს თქვა: „საქმე ისაა, შენ მართლა შიგნიდან იგებ ყოველივეს, თუ ღილაკზე თითის დაჭერა და პროდუქციის მიღება იცი, როგორც, ვთქვათ, მანქანისაგან, ასეა?“

ხოლო გიდი, რომელიც მართალი ბიჭი იყო, მკაცრი და მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ, და თავს ნებას არასოდეს აძლევდა ილუზიების ტყვეობაში ყოფილიყო, დაებნია ქალის შენიშვნამ, ამ კითხვას ბევრჯერ დაუბრუნდა, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნო.

სოფელში იყვნენ მობინადრენი, რომლებიც კანტორაში დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ. ან მეზობლის, ან სოფელში მათი მტრის შესახებ რამე რომ ჩაეკაკლათ. ხანაც ტყუილად მოდიოდნენ, რათა მასთან თხუთმეტიოდე წუთს მაინც დაეხანებინათ, ყავა დაელიათ და რაღაც ამბავი გამოეცხოთ. ფარდულის პატრონი ერთ–ერთი ამათგანი იყო. თავიდან გიდის ეგონა, რომ ისინი მის შესასწავლად მოდიოდნენ, რათა მისი განზრახვა გამოეძიათ, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ბუნდოვნად ჩახვდა, რომ იყვნენ ადამიანები, რომელთაც რაღაც უცნაური მოთხოვნილება უბიძგებდათ მასთან სიახლოვისაკენ, რათა თავი გაეშიშვლებინათ იდუმალი საცდურის წინაშე,

რასაც ის განასახიერებდა მათთვის.

მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა მისი მიპატიჟებით მიდიოდა. დადგენილ დროს იწვეევდა ხოლმე მათ, და ამას ისე აგვარებდა, რომ სოფელში მცხოვრებ ყოველ ზრდასრულ ადამიანს ყოველ წელიწადს შეხვედროდა. ხალისს ჰგვრიდა იმის გაფიქრება, რომ თავად მათ არაფერი იცოდნენ ამ გონივრული დაგეგმვის შესახებ, და ვერ წარმოიდგენდნენ, თუ დიდი მანქანის რა დეტალს შეადგენდა თითოეული მათგანი. ისინი ცოტა ხნით ისხდნენ მასთან, ცდილობდნენ დაეპურებინათ მისი ინტერესი, და ცოტა კიდეც აცბუნებდნენ, რადგან ისე ეპყრობოდნენ როგორც მამას, როგორც მათზე უფროსს, გამოცდილსა და ძალზე ძლიერს. მუდამ სჭირდებოდა მოენელებინა ცოტაოდენი ცვლილებანი საკუთარ თავთან შინაგან დამოკიდებულებაში, როდესაც მწვანე ხაზს კვეთავდა და ისევ ისრაელელი გიდი ხდებოდა. ისინი წყნარი ხმით უამბობდნენ, სხვათა შორის ახსენებდნენ ყველაფერს, რისი ცოდნაც მას ეწადა. თავისთავად ისეთი შეგრძნების ტყვეობაში იმყოფებოდნენ, თითქოს მან ყველაფერი იცოდა მათზე, მათი ღია თუ ფარული ცხოვრების შესახებ, და უკვე აღარ ინტერესდებოდნენ, თუ ამხანაგთაგან ვინ გადასცა მას მათ შესახებ ესა თუ ის ინტიმური მონაცემი. უკვე აღარ შეეძლოთ კაცს ნდობოდნენ, ოჯახის წევრებსაც კი. ამ ამბავმა მათ კიდევ უფრო მოახრევინა ქედი და დააკნინა, ვიდრე ექვსი წლის წინათ იყვნენ. თავადაც შენიშნა, რომ უკვე კარგა ხანი გასულიყო, რაც მათ აღარ შეეძლოთ მისთვის სიახლე მიეწოდებინათ. და უკვე გრძნობდა, რომ მას არა მარტო ის ინფორმაცია გადასცეს, რასაც ფლობდნენ, არამედ ასევე ყველაფერი, რაც კი უზურში გაევლოთ.

მაგრამ არ სურდა, აბსოლუტურად არ სურდა, ასეთ რამეებზე ეფიქრა ზაფხულის ამ დიდებულ დილას,

როცა მათ შორის დააბიჯებდა. ერთიანად გაბადრული იყო სიხარულისაგან. ვინმე ღირსეულს ეძებდა, თავისი პირმშოს დაბადების ამბავი რომ ემცნო. ცოტა იმედგაცრუებული კი იყო იმ აღმოჩენით, რომ ყველა მისი ეს ძველი ნაცნობი თითქოსდა გამჭვირვალე და გამოფიტული იყო. თითქოს ყველა მეტისმეტად მოხუცი ან ძალზე ბავშვური იყო, და ერთი არ იყო მათ შორის მისი თანატოლი, ე.ი. არა მაინცდამაინც მისი ასაკის, არამედ, ასე ვთქვათ, მისთვის ახლობელი. და გიდი რაღაც მღელვარებამ და მოუთმენლობამ შეიპყრო.

ვერასოდეს ირწმუნებდა, რომ იგი სძულდათ იმის გამო, რაც მათ თავისი საქმით დამართა. სწამდა, რომ მათ იცოდნენ მისი თავაზიანობისა და პატივის ფასი, რომელსაც ის მათ მიაგებდა. ზოგიერთ მის კოლეგას როდი ჰგავდა, სამსახურებრივი საჭიროებისათვის ძალის და ძალადობის ღია თუ ფარულ სისტემებს რომ აამოქმედებდნენ ხოლმე. გიდის ასეთი რამეები არ სჭირდებოდა, და ეს მას ახარებდა. მხოლოდ ერთხელ, დაახლოებით ორი წლის წინ მოუხდა მას პატარა „შოშია“ პროცედურის ჩატარება სოფლის ერთი მასწავლებლისათვის, რომელიც მოულოდნელად მომჩივან „ყვავად“ ქცეულიყო და შავად ჩხავილი დაეწყო. გიდიმ რამდენჯერმე გააფრთხილა, გააკვირვა დეტალური ციტირებით იმისა, რაც ამ კაცმა მოწაფეებს ყურანის გაკვეთილზე უთხრა. ლოგიკურად გაარკვია, თუ საით მიჰყავდა იგი ამ ამბებს. კაცმა შენიშვნა არ მიიღო, გაღიზიანებული და სიძულვილით იყო აღსავსე, გიდის მკვახე სიტყვები ესროლა, ასე უცხო იმ დაუწერელი სიმშვიდისა და თანხმობის სულისკვეთებისათვის, გიდიმ რომ დაამყარა სოფელში. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, გადაწყვიტა „შოშია“ აემუშავებინა. სანახაობრივად სახალისო იყო კურსებზე ათვისებული მარტივი, მაგრამ

ეშმაკური საკარჯიშოს ცოცხლად შესრულება. ყოველ კვირას მოდიოდნენ ოფიცრები, გიდის დოსტები, უფროსობისაგან ნათხოვარი ძვირფასი სამხედრო მანქანებით და არა უბრალო, საცოდავი ოთხთვალებით, თავად იპატიჟებდნენ თავს ყვავთან, ნასადილევს სთხოვდნენ გარეთ გაეცილებინა ისინი. იქ კი საქვეყნოდ სიყვარულით უტყაპუნებდნენ ხელს ჩამოყრილ მხრებზე და ღიმილსა და თვალების პაჭუნს უხვად აბერტყავდნენ. სოფელში ალიაქოთი ატყდა. საქმე გონივრულად და დიდი სიფაქიზით უნდა წარმართულიყო. ამ კაცის წინაალმდეგ ნამდვილი ამბოხი არ უნდა გამოეწვიათ, მხოლოდ თემიდან უნდა მოკვეთილიყო. ორი კვირის თავზე ქუთაბში ყვავის მოწაფეებმა მისი გაკვეთილები ჩაშალეს. ერთი თვის შემდეგ მან მოჰკიდა ხელი ცოლს და ოთხ ბავშვს და სხვა სოფელში გადავიდა. იქიდან კი ავიათარი – ადგილობრივი რწმუნებული – იტყობინებოდა, რომ იგი დაწყნარებულიყო, შოშიად ქცეულიყო.

უკან ვილაც მორბოდა და იძახდა. გიდი შებრუნდა. სოფლის მუხთარი – ჰარბი მას უკან მოსდევდა, მომღიმარი ეძახდა, მანტიის ბოლოებში ფეხები ეხლართებოდა. „აი, ამ კაცს ვეტყვი, – იფიქრა გიდიმ, – ეს მაწყობს“. ადგილზე გაჩერდა, ვიდრე მუხთარი მიუახლოვდებოდა, დაუწერელი დისციპლინარული კოდექსიდან გამომდინარე, რომელიც ადგენდა, რომ მუხთარს უნდა გადაედგა პირველი ნაბიჯები ოფიცრისაკენ, და არა პირიქით. ხელი მკაცრად ჩამოართვა, რათა ეს, ცოტა არ იყოს, აღგზნებული კაცი შეეჩერებინა, რომ კისერზე არ ჩამოკიდებოდა. მუხთარმა შეკითხვები – მღელვარებისაგან აქაფებული სიტყვების კორიანტელი დააყარა: სად იყო აბუ დანი; რატომ გაუჩინარდა მოულოდნელად; ახლა ხომ სამუდამოდ დაბრუნდა; ძალიან ღელავდა სოფელი; აქ ვილაც ახალი ოფიცერი გამოგზავნეს; ისეთი კარგი არ არის, როგორიც

აბუ დანია: უკვე შიში შეეპარათ, რომ აქ დარჩებოდა; არც მას სურდა მათთვის გაემხილა, თუ სად გაქრა აბუ დანი: „უკვე ვფიქრობდით, რომ აბუ დანის აღარ ვუყვარვართ“, – ჩაიცინა მან. გიდის თავისი სახლისაკენ ექაჩებოდა. განა ისე უნდა წავიდეს, რომ ჰარბისთან ფინჯანი ყავა არ დალიოს, მას ხომ მღელვარებისაგან თითქმის ღამეები არ სძინებია, აბუ დანი მისთვის შვილივითაა, შვილივით კი არა, ძმასავით.

უხალისოდ მიანება მუხთარს, რომ მისი მძიმე, ზანტი სხეული თან გაეყოლა. ძალიან უნდოდა მზეზე დარჩენილიყო, კამკამა სინათლეზე, სუფთა ჰაერით გაჟღენთილიყო, მაგრამ მოეხსენებოდა, რომ არ ივარგებდა უარი ეთქვა ჰარბისთვის. ესეც არ იყოს, ხომ დაუბრუნდა სამსახურს, და თავისთვად ცხადია, ვალდებული იყო ჰარბისთან დამჯდარიყო და სოფლის სიახლეები მოესმინა.

სახლი დიდი და ლამაზი იყო. ისინი ნათელ მისაღებში ისხდნენ, მომწვანო ხავერდის სავარძლებში იყვნენ მოკალათებულნი და ეწოდნენ სიგარეტ „ტაიმს“, რომელიც მუხთარს სპეციალურად გიდისათვის შემოენახა. მისთვის ყოველთვის ახალ კოლოფს ხსნიდა, და გიდი ფრიად ნაამები იყო ამით – ერთგვარი პატარა, ადამიანური ყურადღებით.

„მაშ სად იყო აბუ დანი მთელი ამ ხნის მანძილზე?“

გიდი შეაცქერდა დიდსა და შავგვრემან სახეს, რომელიც სულ ახლოდან უმზერდა. ამ სახეს ყველა ნაკვთი გაეშიშვლებინა მის წინაშე დაუფარავად, ინტიმურად და უხერხულად. გასული ექვსი წლის მანძილზე გიდის უნახავს ამ სახის ნაკვთები, რომელიც უამრავ განსხვავებულ გამოხატულებას კრავდა: უნახავს დიდი და სულისშემძვრელი შიში, უნახავს უკიდურესი უსასოობა, უნახავს ცრემლი, და ასევე დიდი შვება. ზოგჯერ თითქოს მათში წრფელ სიყვარულსაც ხედავდა ვითარებით

გამოწვეული სათანადო თავდაჭერილობის მიღმა. პირველ ხანებში, როცა ის ნახა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კაცის არისტოკრატიულობამ. მის თვალში ის უძველესი ლეგენდების არაბ გმირს ჩამოჰგავდა. მერე და მერე მან ის როგორც ადამიანი შეიყვარა, და არა როგორც ლეგენდა. მუხთარი მგრძნობიარე და ბობოქარი კაცი იყო. მან იცოდა როგორ მოენადირებინა გიდის გული. გიდი ძალზე დავალებული იყო მისგან, რადგან ის [illegible] კაცი, რომელმაც მას ფაქტიურად სოფლის მრავალი გამოცანის გასაღები მიართვა.

„ჯანმრთელობის მხრივ ხომ კარგადა ხარ? – ჰკითხა მუხთარმა, შეწუხებულმა გიდის დუმილით, – ოჯახში ყველაფერი რიგზეა? ბავშვები როგორ არიან? შენი დანი როგორ არის?“

ხანდახან, განსაკუთრებით უკანასკნელ თვეს, როდესაც ბილისთან ერთად შინ დიდ ხანს შერჩებოდა ხოლმე, გიდი ჩაუფიქრდებოდა წარსულ ცხოვრებას, ჯარიდან გათავისუფლების შემდეგ, ვიდრე თავის ახალ სამსახურში ჩაერთვებოდა. ბილის ეუბნებოდა, რომ ეჩვენებოდა, თითქოს წინათ უფრო მიამიტი იყო. „მართლა, ისე გულუბრყვილო ვიყავი“. მისი ხელები ქალის ყავისფერსა და გრძელ გაშლილ თმას ეალერსებოდნენ. „შენ? გულუბრყვილო?“ – უთხრა ქალმა და მოკლე, ნერვიული სიცილით ჩაიცინა, რაც მას ფეხმძიმობის უკანასკნელ თვეებში დასჩემდა. „სამწუხაროა, მაშინ რომ არ გიცნობდი, განაგრძო ქალმა, ბევრად უკეთესი იქნებოდა, აბა რა.“ – თქვა და სახეზე მცირედი ძულვა გამოესახა.

გიდის არ სურდა მასთან კვლავ ეკამათა, ამიტომ მხოლოდ გაიღიმა და გაჩუმდა. მაგრამ გულში ფიქრობდა, რომ ადრე ადამიანები ბევრად უფრო კეთილნი ეჩვენებოდნენ, ვიდრე ახლა. ბევრად უფრო ამაყნი, საინტერესონი და ბუნებრივნი. „მართლა ორანჟერეაში

ვიყავი კიბუცში“, – ფიქრობდა იგი, დარცხვენილი მაშინდელი თავისი უმწიფარი სიტყვების გახსენებით, რასაც ადრინდელ მეგობარ გოგონას სწერდა – სულელურ იდეებს იმის შესახებ, რომ ყოველ ადამიანშია რაღაც გამოცანა, რაც მას განსაკუთრებულსა და გამორჩეულს ჰხდის, რაღაც იდუმალი საგანი...

„ბავშვივით ვიყავი, – ფიქრობდა იგი, – ბავშვივით, რომელიც გარედან უცქერის უფროსების სამყაროს.“

„სამსახურებრივი საქმეები მქონდა“, – ამოღერღა ბოლოს მუხთარის დადუმებული სახის პირისპირ.

„აჰ, სამსახურს არ გეკითხები. სამსახურია.“

და მუხთარი უკან გადაწვა. დისკრეტული, თითქმის კარიკატურული გამომეტყველება მიიღო.

„აბუ დანი დარჩება ჩვენთან? ჩვენ მხოლოდ მისიანები ვართ, არა?“

„მხოლოდ ჩემიანები. დღეიდან ყველაფერი ისე იქნება, როგორც იყო“.

„ოჰ, კარგია, ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგი.“

ყავა მოვიდა. და მუხთარმა უამბო გიდის შარბათზე, რომლის დაყენებასაც წელს აპირებდა, თავის გასაჭირზე ნაწლავების გამო, ფუფუზე – შეშლილ საჭურისზე, რომელსაც ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა, საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ კინაღამ მოკვდა. „დიახ, ფიქრობდა გიდი, უცებ გაუჭირდა კიდეც ამ კაცის მასლაათის წვიმაში დარჩენა, დღეს მე ადამიანებს ისეთებს ვიცნობ, როგორებიც არიან, სამსახურმა ბევრი მასწავლა, მე და ჩემმა ღმერთმა. არ არის მათში არავითარი საიდუმლო, არავითარი გამოცანა. ჩემსავით ვის შეუძლია ეს დაბეჯითებითა სთქვას. ისინი ხომ ჩემთან თავიანთ ყველაზე დაფარულ ამბებს ჰყვებიან. მე ვჭვრეტ მათ ყველაზე ინტიმურ ვითარებაში. მათ არ გააჩნიათ იდუმალება, იმდენად გამჭვირვალენი და ბანალურები არიან. მხოლოდ

რამდენიმე მარტივი და საცოდავი იმპულსი ამოძრავებთ: მათი ეს შფოთვები, ეს გულისთქმანი, და არსებითად მანქანას არ აღემატებიან ისინი, მე და ჩემმა ღმერთმა, თვითმყოფადობას მოკლებულ უსულო მანქანას, რომლის საჭიროებისამებრ ამოქმედება ასე ადვილია.“

მუხთარი მას უკანასკნელ ამბებს უყვებოდა. გიდი უსმენდა და თავის ხსოვნაში ამბებს კინძავდა. მოულოდ–ნელად აბუ ხათამი მოიკითხა და ნახა მუხთარი როგორ წამოენთო სახეზე სიძულვილისაგან. „მოეშვი აბუ ხათამს“, – თქვა მუხთარმა. ყავა უხმოდ მოსვეს. აბუ ხათამი უმდიდრესი კაცი იყო სოფელში. ის არ იყო გათქვეფილი ხალხში, და არც ცოლსა და ორ შვილს რთავდა ნებას სოფელში ელაზღანდარათ. იყო მასში რაღაც საიდუმლო, მაგრამ არა საშიშროება უშიშროებისათვის. გიდი ერთი–ორჯერ ესტუმრა მის სახლს და იგრძნო, რომ უხერხულად იყო. მუხთარმა ამოიოხრა და თქვა, რომ აბუ ხათამთან ახალი არაფერი იყო, „კაცი არ მიდის მასთან და კაცი არ გამოდის მისი სახლიდან, და რატომ იწუხებს თავს აბუ დანი მის გამო?“

გიდი მოულოდნელად წამოდგა, თითქმის უცერემონოდ. მუხთარს გაშორდა და გავიდა. ჰაერი გამჭვირვალე და სუფთა იყო, მაგრამ კიდევ აკლდა რაღაც, რაც ფილტვებს დაბერავდა. გიდი ბილიკს მიუყვებოდა, რომელიც მთის ფერდობზე ადიოდა, ქვებს წიხლს ჰკრავდა, მხოლოდ იმისთვის წყვეტდა თეთრ–ყვითელი გვირილების ყვავილნარს, რომ მაშინვე მოესროლა. თავადაც გაოცებული იყო მუხთარის სახლიდან ნაუცბათევი გამოსვლით, მაგრამ უეცრად იგრძნო, იქ თითქოს სული ეხუთებოდა. ბავშვზე ჩაფიქრდა, რომელიც ორი დღის წინ შეეძინა, პირველი შვილი, გული კი ბედნიერებით არ ჰქონდა სავსე. ჩაუარა მას ბიჭმა, რომელიც შავსა და გამხდარ თხებს მოერეკებოდა და მოკრძალებით მიესალმა. გიდიმ მას

მრისხანედ გახედა და არაფერი უპასუხა. ფიქრებში ჩაძირულიყო: ის, რაც წინათ პატიოსანი ცხოვრების საფუძველთა საფუძვლად მიაჩნდა: პატიოსნება, სიმამაცე და ღირსება – დღეს პათეტიკურ თვალთმაქცობად ეჩვენებოდა. სიმამაცე თურმე მხოლოდ შიში ყოფილა, რომელსაც ჯერ გამოცდა არ გაუვლია, ხოლო პატიოსნება – ცბიერება, რომელიც იძულებული არ გამხდარა ცდუნებას გაჯიბრებოდა. დღეს ყველა კეთილშობილური თვისება მის თვალში საგზაო ფირნიში იყო, რომელიც დამკვირვებელს საპირისპირო მხარეს მიმართავდა.

თითქმის ანგარიშმიუცემლად დააკაკუნა აბუ ხათამის კარზე. ვერ გაეგო, აქ რატომ მოუძღვა თავის თავს. იგი ხომ მუდამ ცდილობდა მორიდებოდა ამ სახლს და ამ კაცს, მდიდარსა და თავშეკავებულს. აბუ ხათამში იყო რაღაც, რაც გიდისაგან განსხვავებულ, ფაქიზსა და უფრო გონივრულ დამოკიდებულებას მოითხოვდა, და გიდი ყოველთვის გრძნობდა, რომ მას არ სურდა, ან იქნებ არ შეეძლო ამ მოთხოვნის შესრულება.

კარი დიასახლისმა გაუღო. ქალი გაშრა მის დანახვაზე. გიდის ფარდებით გარშემორტყმულ, ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახისაკენ წარუძღვა. იგი საავარძელში ჩაჯდა და განცვიფრებული მიაშტერდა მოჩუქურთმებულ ქარვის სვეტებსა და მძიმე ჭაღებს. მის პირდაპირ მთელი კედელი დაფარული იყო შვეიცარიული პანორამის – წყნარი მდინარის, დათოვლილი მთისა და მწვანე ველის ვეებერთელა ნახატით.

სახლის პატრონი მოვიდა. მაღალი, გამხდარი და პირქუში როგორც ფოკუსების ოსტატის შლიაპა. დერეფნის კედელს მოფარებული ორი პატარა ბავშვი თავხედურად მისჩერებოდა გიდის. ქალმა ჩაი მოიტანა. გიდი იცდიდა, კაცს რამე ეთქვა მდუმარების დასარღვევად, მაგრამ აბუ ხათამი ბაგეს არ ხსნიდა. ამდენად, გიდის უბიძგეს

ელაპარაკა. რამდენიმე ფუჭი სიტყვა წაილუღლუღა. აბუ ხათამი მოკლედ პასუხობდა. გიდიმ იცოდა, რომ უკვე ექვსი წელი იყო, რაც ეს კაცი სახლიდან არ გასულიყო და მზის სხივი არ ენახა. თანასოფლელებს ვერ მოეძებნათ ამ ცვლილების ახსნა. ამბობდნენ, რომ ის ომამდეც არ ყოფილა სამეგობროდ გულგახსნილი, თუმცა სოფელში მოძრაობდა, ხალხს ესაუბრებოდა, ახსოვდათ, რომ ხუმრობაც იცოდა. ახლა თითქოს მოიკვეთა სოფლისგან და ხალხს განერიდა. „იქნებ მას სძაგდა ისინი, – მოულოდნელად გაუელვა თავში გიდის, – ადრე როგორ ვერ ვხვდებოდი ამას. იქნებ მას სძაგდა ისინი, ასეთი საცოდავები, ბეჩავები რომ იყვნენ“. და უცებ უცნაური შინაგანი მღელვარება იგრძნო ამ მდუმარე, მკაცრი და ასკეტური გამომეტყველების მქონე კაცის მიმართ, რაღაც მწველმა სიამოვნებამ დაუარა ფილტვებში, თითქოს მისკენ წამოუბერა შვეიცარიის მთიანეთიდან, რომელიც კედლის ნახატზე იყო გამოსახული, და ამ კაცის ღრმად მოხუცი მამა მოიკითხა, რომელიც იორდანიაში იყო, გაოცება გამოხატა, აბუ ხათამს რატომ არ შემოაქვსო მამის სანახავად წასვლის, ან მისი აქ ჩამოსვლის ნებართვის თხოვნა. „ამგვარი რამის მოგვარება ხომ რთული არ არის, ამას ყველა აკეთებს.“

აბუ ხათამმა უთხრა, რომ მას ეს არ სურდა, და არც მამამისს გააჩნდა ამის სურვილი. გიდიმ, რომელმაც უეცრად დიდი სიახლოვე იგრძნო ამ სიტყვაძვირსა და დარბაისელ მამაკაცთან, გულში გადაწყვიტა, რომ ამ სახლიდან ფეხს არ მოიცვლიდა, ვიდრე არ დაიყოლიებდა აბუ ხათამს, რათა ეიზის თხოვნა შემოეტანა და ცოტა ხნით გაევლო, ჰაერი გადაეყლაპა. უჩვეულო მოწადინებით ეუბნებოდა: „ნახავ, ქვეყანა როგორ შეიცვალა, ნახავ, რომ თქვენთვის ბევრი რამ კარგი მოვიტანეთ, და, საერთოდაც, მამაშენი ახალგაზრდა აღარაა, ვინ იცის,

რა ხდება. შენ ხომ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ხარ, ხომ ასეა? ხედავ, მე ყველაფერი მახსოვს, პირმშოს ყოლა ეს სულ სხვა რამაა, ეს მე დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რადგან, როცა ვაჟი გაგიჩნდება...“ და გიდიმ წამიერად იგრძნო სურვილისა და აუცილებლობის ზუსტი თანხვედრა, რომ თავისი ამბავი ბოლოს და ბოლოს მოეთხრო აქ ვინმესთვის, ერთადერთისთვის იმ ათასეულთაგან, რომლებიც მას გადასცეს განკარგულებაში. უკვე ექვსი წელია, რაც ის მათ ცხოვრებაში იქექება, ათასობით ჭიქა ყავასა თუ ჩაის სვამს მათთან ერთად, და აქ, აბუ ხათამთან მართლა იგრძნო, რომ მას სურდა, და ვალდებულიც იყო მოეყოლა, მოეყოლა და მოესმინა როგორ გაიულერებდა მისი ნათქვამი არაბულად. თანაც თუკი ამას იტყოდა, ხომ ბოლოს და ბოლოს გაამხელდა, რომ წინათ ბავშვი სახელად დანი საერთოდ არ ჰყოლია, და მისი ურთიერთობანი სოფელთან ამრიგად გაივლიდა განწმენდას, გასპეტაკებას. მაგრამ რაღაც ძალა მაინც აკავებდა, იქნებ გამაფრთხილებელი, შემაფერხებელი, მტრული გამომეტყველება ამ კაცის სახეზე, და იმის მოლოდინი, რომ აბუ ხათამი ხელის ჩამოსართმევადაც კი არ წამოდგებოდა და ეს ცნობა ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა. ამ ყველაფერთან ერთად მისი პირმშოც კი გაისვრებოდა... და გიდი მოულოდნელად წამოიმართა, მასპინძელს გამოემშვიდობა და გავიდა, ვიდრე მის გასაცილებლად წამოდგებოდნენ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იქიდან გამოაგდესო. გაღიზიანებული და ბრაზმორეული სწრაფად დაეშვა ფერდობზე. უნებლიედ აღიარებდა აბუ ხათამის ჭეშმარიტ არისტოკრატობას, ბუნებრივსა და გამომწვევ უტყუარობას. ამ ადამიანში იყო რაღაც, რაც გიდის უხერხულად ახსენებდა სწორედ მის მამას. თავისი ოთხთვალასაკენ გაეშურა. გზად გვერდს უელიდა სოფლელებს, რომლებიც უღონო ხელის

მოძრაობით ესალმებოდნენ, რაც ახლა მას უსიცოცხლოდ და არაგულწრფელად ეჩვენებოდა და გაჯავრებული ხელის აქნევით პასუხობდა. თავს ისე გრძნობდა როგორც ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე, რომელიც თავის საცავს იაფფასიანი ნაყალბევით ავსებდა, ხოლო ორიგინალს მხოლოდ წამით შეაველო თვალი.

სწრაფად ტოვებდა იქაურობას. პეჟოს გაზის პედალს ბოლომდე აჭერდა, თითქოს კეთროვანთა ადგილიდან გარბოდა. თავადაც არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა თავის მიზანზე, რადგან მოულოდნელად არ ინება ცარიელ სახლში დაბრუნება. არც საავადმყოფოსკენ მიექანებოდა, ბედნიერ ბილისთან და მისი დობილებისა და ძმობილების მთელ გუნდთან, რომლებიც ერთგულად, ყოველ დღეს მოდიოდნენ ბილის სანახავად ფეხმძიმობის დღეებში, და, რაღა თქმა უნდა, მშობიარობის შემდეგაც. ესენი ბილის კათედრიდან ბრძანდებოდნენ, ლექტორები და მაგისტრანტები – ლამაზი სულები, რომლებიც იოლად ახერხებდნენ თავიდან მოეშორებინათ მთელი მათი მყვირალა სისპეტაკე და ჰუმანიზმი. მეგობრულად მხარზე ხელს მოჰხვევდნენ და მხოლოდ მას გაანდობდნენ, ყურში ჩასჩურჩულებდნენ, რომ, მათი აზრით, დიდი სიმკაცრით უნდა მოპყრობოდა ყველას ამათ, ვისაც თვალი ძალადობისაკენ უჭირავს, და ცოდვილის რაღაც ცინიკური ღიმილით ამთავრებდნენ: ამბობდნენ, რომ მათაც მოეხსენებათ, რამდენად რთულია მისთვის აქ მუშაობა, ამ ჯურღმულში, ამ ცხოველებთან, მათთან, ვინც ერთ გროშად საკუთარ დედას გაყიდდა, საკმარისია მათ ზურგი შეაქციო, რომ მაშინვე დანას ჩაგცემენ. ის კი ულიმოდა, ბილის გულისათვის ულიმოდა და თან მათ შინასახეს უჭვრეტდა. ეს რამდენიმე კვირაა ამ „კეთილშობილ გვამებს“ ისეთებად აღიქვამდა, რასაც წარმოადგენდნენ. ფიქრობდა, რომელი მათგანი გატყდებოდა პირველი მათი დაკითხვის

შემთხვევაში, რომელი გაძვრებოდა უფროსის ოფისში კეთილი მეგობრის დასასმენად, რომელი მათგანი გასცემდა მშობლებს სარგებლის სანაცვლოდ. არა, მან გადაწყვიტა, რომ არ სურს ახლა იქ დაბრუნება, შინ, თუ საერთოდ, ისრაელში, ცოტა დასვენება არც მას აწყენს. არცთუ ოლი კვირები გადაიტანა, დიახ. ოთხთვალა ტრასიდან გადააყენა და გააჩერა. სიგარეტი გააბოლა, მერე მინდორში ჩავიდა, გვირილებში მიაბიჯებდა და ყნოსავდა, თაველებს თითებშუა წურავდა და ლოყებს პირის ღრუში იწოვდა. ფიქრობდა ადგილობრივებზე (ასე უწოდებდა მათ), რომლებიც ამ დილით შეხვდნენ, და ასევე ბილის მეგობრებზე. მას თავად მეგობრები არა ჰყავდა. ერთიმეორის მიყოლებით გამოჰქონდა მათი სახეები მცხუნვარე მზის გულზე, და ნახა, როგორ იქცნენ სრულიად გამჭვირვალეებად. შეგეძლო დაგენახა მათში მარტივი გადამცემი კბილანები მათი ცბიერების, შიშის და პატარკაცობისა.

გიდი იჯდა ზეთისხილის მერქანს მიყრდნობილი, თავისთვის მონოტონურად ფიქრობდა: „ბიჭი შემეძინა, ბიჭი შემეძინა“. გრძნობდა, რომ ვალდებული იყო ეს ეყვირა, და სწორედ არაბულად. ნელა მოაბრუნა თავი ხის მერქნისაკენ და თავი ხის განიერ ფულუროში ჩარგო. ძალზე ეამა. იქ უკუნი და შორეული, სანატრელი სურნელება სუფევდა. საგონებელში ჩავარდნილიყო: „ის იყო დამნაშავე ადამიანების წინაშე, თუ ადამიანები – მის წინაშე. მას უკვე აღარ შეეძლო კაცის დაეჯერებინა, არც მარტივი გრძნობების სწამდა, რაც მის ხელში მოძრავ სახელურად ქცეულიყო.

მაშინ იფიქრა, რომ აღარ სურდა იქ ყოფნა, ჯანღის არეში, რომელიც მაშინ წარმოიქმნა, როცა ორმა ხალხმა ერთმანეთს თავიანთი ბნელი მხარეები მიაქციეს. და ამ აზრმა შეაკრთო იგი, რადგან ძალზე უყვარდა თავისი

საქმე და სწამდა მისი, და გრძნობდა, რომ იგი მას სწორი წესებით ამარაგებდა, რათა მათი საშუალებით მთელი თავისი ცხოვრება ემართა.

მაგრამ მან ასევე ცხადად უწყოდა, რომ თუ ორი ეაშლი დამპალი ნაწილით ეხება ერთმანეთს, ობი სალ ნაწილზე გადაეა და მთელს ნაყოფს მოედება.

მხრებში მოიხარა, მოიკუნტა, თითქოს ყირაზე გადადიოდა. ერთ ხანს ასე იწვა. მერე ადგა და ოთხთვალასაკენ დაბრუნდა. დუნედ ირჯებოდა, იცოდა, რომ ძალზე უბედური იყო. მის თვალში რაღაც წყვდიადში სძირავდა არემარეს მცხუნვარე მზის გულზეც კი.

# მოხატული ღია ბარათები

ვეებერთელა, გადაღუნული მილები – უცვლელი დეკორაცია მესამე კატეგორიის გემის. მხოლოდ ესენი შემორჩებიან მეხსიერებას. და გამხდარი სახის ნაკვთები მდუმარე კაცის. ფიცხი ბუნება იგრძნობოდა მის მიხრა-მოხრაში, – ვთქვათ სანთებელას ანთების ან ჩაქრობის დროს. და ასევე მარდად გაცურდა „ბელა დონაც“ ღია ზღვაში. რეპროდუქტორს პირში ჰქონდა გაჩრილი მოგუგუნე ფირფიტა, ზღვაში გასვლის მანიშნებელი. ქალს ეჩვენებოდა, რომ ფირფიტას ცრემლების გემო, განშორების გემო ჰქონდა და მაგრად იკუჭავდა პირზე ცხვირსახოცს.

ისრაელის გემები, რომლებიც მარშრუტს ნახევარ დროში ნთქავენ, გადაჭედილები იყვნენ. კარმელა, რომელიც ჩვილ ქალიშვილთან ერთად ქმრის ახალი სამუშაო ადგილისაკენ მიცურავდა, კმაყოფილი იყო, რომ იშოვა სამგზავრო ბილეთი თუნდაც „ბელა დონაზე“. ამ შეუფერებელი სახელის ეს უცხოური გემი სანაპიროთა მართლა მთელ სიგრძეზე დაცურავდა და ბოლო მომენტში წყვეტდა, რომელ პორტში გაჩერებულიყო და რომელში – არა.

გემზე ასვლის პროცესი მთელი დღე იჭიმება. ხაბაზი, პარიკმახერი, ფოტოგრაფი, ორკესტრი საღამოს კოსტუმებში. ცარიელი გემი კი დგას და დგას. მძლავრ მილებზე, ყვითელ ფონზე შაევით აღბეჭდილია სანაოსნო კომპანიის ემბლემა. მილებს ტუჩები გაჭვარტლული აქვთ, შეულამაზებლად მოწმობენ სხვა რეალობას, სხვა ყოველდღიურობას.

საღამოს პირს ნათელი შეიქნა, რომ ეკიპაჟის წევრთა რაოდენობა გადააჭარბებდა მგზავრების რიცხვს. მათი მცირე ნაწილი გემის ბარში როგორც მოსაცდელ დარბაზში

შეიკრიბა. თითქოს გაკოტრებული შორეული ნათესაების ანდერძის წასაკითხად შეყრილიყვნენ. ხოლო მაგიდის ბოლოში ლაღად იჯდა მეზღვაურის ფორმიანი, ზორბა, ულალთმიანი კაცი, რომელიც თავის გულმკერდზე ხელისგულებით დოლს უკრავდა. და კარმელამ შეამჩნია, როგორ ათვალიერებდა მას ქედმაღლურად. ეს კომისარიო გახლდათ.

ზუსტად იმ წუთს რაღაცამ გუგუნი დაიწყო გემის მუცელში. მხიარული ფირფიტა ულერდა. კარმელას ჯერ კიდევ ვერ გაერკვია კავშირი სიტყვებს შორის, და „ბელა დონა“ ადგილს მოსწყდა. კომისარიო მთელი ტანით შემობრუნდა თავის მაღალ სკამზე და ქალს ხელით განზრახ გამომწვევი უესტით ანიშნა. კარმელა გარეთ გავიდა.

გემბანის ფიცრები სველი იყო, სველი იყო სკამები, აგრეთვე ბაგირებითა და ჯაჭვებით დაბმული მეშველი კანჯოები. ალბათ ის–ის იყო მორჩენილიყვნენ აქ დალაგებას. კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ერთი მგზავრი, განმარტოებული, – წითელი ფლანელის პერანგიანს წელზე განიერი ტყავის ქამარი რომ ერტყა, – ქიმზე უსიცოცხლო სურათივით იდგა. გაშლილი ზღვის ვერცხლისწყალი მის ბეჭებს უკან ელვარებდა. ლამაზი იყო როგორც პლაკატი ავიაკომპანიისა, რომელიც თავის პილოტებს უწევდა რეკლამას. ხოლო ცაში შორს, მაღალ ღრუბლებს შორის, პირდაპირ ჩამავალი მზისაკენ მიფრინავდა თვითმფრინავი, ღრუბლები კი უჩვეულოდ იბუშტებოდნენ.

კარმელა ბარში დაბრუნდა. ბარი ფიცრული იყო. სკამები – მოხატული ხავერდისა. დარბაზი გახვეული იყო თამბაქოს კვამლის ნაჭდევებში როგორც ძველისძველი მატარებლის ვაგონი. სუვენირების დახლთან, დიდი სარკის წინ ფრანგი ქალი იდგა, მხრებზე ვენეციის ხედებით მოფერილ აბრეშუმის ვუალს იტმასნიდა და ტუჩებს

პრუწავდა. კარმელამ დასაჯდომად ადგილი მოათვალიერა. ვიდრე იპოვიდა, მეტისმეტი თავაზიანობით მისწია მისკენ სკამი დაღლილ ნიანგისთვალება კაცმა, რომელიც იმავე მაგიდას უჯდა. გემის პიანისტი. კარმელა დაჯდა და კვირის ფერადი ჟურნალი გადაშალა, რომელიც გაცვეთილი ფულის კუპიურებივით ყარდა. თურმე პიანისტი თავისუფალ დროს აქ ამჯობინებდა ჯდომას. ფინჯანი ყავა და ნამცხვარი. კვირის ფერადი ჟურნალების გადახედვა. სხვას არაფერს აკეთებდა. მაგრამ კარმელას მეორე მხრიდან კომისარიო მიუჯდა. ჩვილისათვის მას მართებულად მიაჩნდა, ისინი პირველ კლასში გადაეყვანა. გემის ხარჯზეო, – განაცხადა.

„მადლობა საჭირო არაა. ცარიელ გემზე შეგვიძლია თავს უფლება მივცეთ. რეკლამის საკითხია, თავაზიანი მომსახურების და მისთანების“, – განაგრძობდა კომისარიო, ისე რომ ტუჩებს არ ამოძრაეებდა.

„სიგარეტის კოლოფი დამრჩა“, – მოიბოდიშა კარმელამ და გასასვლელად წამოიწია. კომისარიომ მრავალმნიშვნელოვნად, ბოროტმზრახველივით შეხედა, ადგა, მოლბერტთან მივიდა და ახალი კოლოფით მობრუნდა. ოქროსფერი ღილებით გაწყობილი ჟაკეტის გულისჯიბიდან კალამი ამოიღო. კარმელა დაბრუნდა და დაჯდა.

„ავტოგრაფი“ – ძღვენს თავისი დიდებული სახელი წააწერა. ხელმოწერა გაშიფრვას არ ექვემდებარებოდა.

კარმელამ არაფერი უპასუხა. კართან ის მარტოხელა მგზავრი იდგა. თავს ისე იბერტყავდა, როგორც ძაღლი – წვიმაში. დაბალ მაგიდებს შორის გაიარა, სხვადასხვა პოზაში დაბალზამებულ მგზავრებს შორის და ძველმოდური პედანტური პასუხისმგებლობით დაიწყო ქექვა გაზეთებში. კარმელას გასაოცრად გაზეთი „დავარი“ ამოარჩია. ენერგიულად დაფერთხა გასასწორებლად, ხმაურით, როგორც აივანზე გაბერტყავს ვინმე რამეს.

კომისარიომ დედა–შვილი ორადგილიან კაიუტაში გადაიყვანა, ელექტროვენტილაციით, დელფინების მოზაიკით მოხატული სააბაზანოთი. ეს კაიუტა კომისარიოს კაიუტის გვერდით იყო. დაუყენა ახალბედა მოსამსახურე ბიჭი, რომელიც მხოლოდ მათ მოემსახურებოდა. „მოსამზადებელი ეტაპია მის პროფესიაში“, – თქვა კომისარიომ. საავარძელი დადგა მათი ფანჯრის პირდაპირ, სულის მოსაოხებელ ზღვის სილურჯეში, როცა გიგანტი მზე ქრიზანთემასავით ბრჭყვიალებდა და წყალში სინათლის ჩქაროსნულ ბილიკებს აგზავნიდა, მთელ დღეს აქ ატარებდა, ჩრდილში ისვენებდა და ფილოსოფოსობდა:

„თეორია მაქვს. შენ შემეკამათები. ამბობენ, ყოველი წვეთი წყალი მინიატურული ზღვააო. მე კი ვიტყვი, რომ ზღვაში შესვლა – ეს ყოველთვის მეორედ დაბადებაა. აქ წყდება ბედისწერა. იგი აქ მობრძანდება განსხვავებულ რიტმთან ერთად, ვიდრე ნაპირზეა. მე ეს მაწყობს.“

მისგან, სხვათა შორის, უკვე იცოდა კარმელამ, რომ პანისტი სხვა არაეინ იყო, თუ არა გინეკოლოგი, რომელსაც ლიცენზია ჩამოართვეს. მზარეული ლოთობის გამო გამოუგდიათ სამსახურიდან, ცეცხლფარეში მოყვარული მოკრივე იყო, რომელსაც მომავალი წინ ჰქონდა და კიდევ გაითქვამდა სახელს. ფელდშერს ქვეყნიერების ნახვა სურდა, მარშრუტიდან მარშრუტზე დაეხეტებოდა. მაგრამ კარმელამ არ იცოდა, თუ ვინ იყო მარტოხელა მგზავრი. მარტოხელა იყო. რა მიზეზით? რატომ ევსებოდა გული სევდითა და ტკივილით, როცა მას უმზერდა? და რამდენიც არ უნდა ეცქირა მისთვის, ვერა ძღებოდა.

თითო ხელში ქალისა და თავისი დასასვენებელი სკამი დაიკავა მარტოხელა მგზავრმა, სწორედ მან, და არა სხვამ, და თვალები მოჭუტა მისკენ ასკეტურად მომღიმარმა.

„საჭირო არაა. ასე უკეთესია, გაწონასწორებულია“, –

უპასუხა მას შემდეგ, რაც კარმელამ დახმარება შესთავაზა.

კარმელა გზნებამ შეიპყრო მთელი ყელით მომღერალი ზღვის მსუბუქი სიოს დარად. გული ამოიღო და გადაშალა. ვეტერინართა კონგრესზე მიცურავდა, – შეიტყო მისგან. დიდი იყო გაოცება. ვაჟიშვილი ჯარში ჰყოლია, ქალიშვილი – სემინარიაში. მაგრამ მოვიდა სალვატორე – მოახლე ბიჭი – და კარმელას გვერდით დადგა სარეცხის დიდი კალათი ჩვილით. თხელი სახე, როგორც პროფილი კულონში, თმა – თეთრი აბლაბუდები, ჭკვიანი თვალებით აკვირდებოდა სამყაროს. მუქი კაკაოს კვალი კიდევ უფრო კვეთდა მისი კანის სითეთრეს. კარმელამ ბავშვს პირი მოწმინდა, პირი ჭიპივით გაიწელა. ვეტერინარმა კი სახე მზეს მიუშვირა და ჩათვლიმა. სწორი თმა ჰქონდა, რომელიც საკმარისად არ ფარავდა მისი თავის თაღს, ოდნავ დანაოჭებული სახე, ტუჩები შერუჯული, პერგამენტის დაღარული კისერი, ხელები – რკინის გონიოს ლუგვები, მიწა, ქარებით გამოჭმული, აქ, გემბანზე მზეში მობანავე მის გვერდით, მკლავის გაწვდენაზე. მოულოდნელად რაღაც ბრმა თაყვანისცემა აღიძრა ქალში. მზად იყო სიცოცხლე გაეწირა მისთვის. თითქოს ქვეშეცნეულად მოუმარჯვა საიდუმლო ფორმულა ფოლადის სეიფის საკეტს.

სალვატორე ბავშვის წასაყვანად დაბრუნდა სადილი–სათვის და კარმელას ღიმილით მიანიშნა ჰორიზონტისაკენ. დიდხანს ჭუტავდა თვალებს კარმელა, ვიდრე აღმოაჩენდა ხმელეთს და საშრობ ქალალდზე აკვარელით დახატულივით ქალაქს.

პატარა ყურე. ზღვა უკიდეგანო სილურჯეში ლოკავდა სალ კლდეებს. ლაჟვარდი წყალი ევლებოდა ძირებს ნახეთქი და გამომშრალი თავებით. ნაპირს კვამლის საბურველი შემოხვეოდა. ჯარისკაცებს ცხენები მოჰყავ–დათ აღვირით. ბიჭი თევზაობდა პეპლების ბადით.

„ვისაც სურს ნასადილევს მონაწილეობა მიიღოს ორგანიზებულ გასეირნებაში, ვალდებულია აცრა გაიაროს“, – გადმოსცა რეპროდუქტორმა.

კარმელა ოფისში მარტო აღმოჩნდა. კომისარიო და ფელდშერი ირონიულად იცინოდნენ. თითქოს რაღაც მთლად სუფთად არ კეთდებოდა.

„აცრა? არ გეშინია? შენთან ერთად ხომ არ წამოვიდე ფელდშერის ოთახში, ხელი რომ დაგიჭირო?“

კარმელა დაჯდა სკამზე, რომელზეც გაზუნთხული მუშამბა იყო გადაკრული. კომისარიო ფეხზე დარჩა, კარის ჩარჩოს მიყრდნობილი, თავით ჩარჩოს ზედა კოჭს ეხებოდა. ფერშალმა გამოაღო კედლის თეთრი წითელჯვრიანი კარადა და კომპრესის კოჭა იატაკზე ჩამოვარდა. ფელდშერმა კოჭა აიღო და კარმელას გასაოცრად, თითქოს დაბნეულობისაგან, მის მუხლზე დადო, თან ცერად უცქერდა. მერე მკლავი გაუწმინდა და აუცრა. ამასობაში კარმელა ცდილობდა გაერკვია: ვიდრე გემზე ამოვიდოდა, ის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გოგონა იყო, და აქ რა ხდებოდა მის თავს?

„მეფური სასეირნო იახტაა“, – შენიშნა მეგზურმა ქალმა, რომელიც თავად ჰგავდა ბერძენ დედოფალს.

წიწაკისა და ლიმონის ხეივნების შესაყარზე მოგზაურთა ჯგუფს პოლიციელი უღიმოდა, ბზინავდა მისი ჩაფხუტი. შავებში გახვეული, თავგადაპარსულ ობოლთა სკოლა დაეხეტებოდა განთქმულ ნანგრევებს შორის, რომელნიც ამოზრდილიყვნენ ჩვეულებრივზე მუქ ყაყაჩოთა შორის, როგორიც მშობლიურ ბეთ იერახის ნანგრევებში იყო. კაციშვილს არ მოუთხოვია კარმელასათვის აცრის მოწმობა. საიდან იცოდნენ დანარჩენმა მგზავრებმა, რომ აცრა ზედმეტი იყო? – უკვირდა კარმელას.

კარმელა „ბელა დონაზე“ დაბრუნდა. ხელი ქმრისათვის საჩუქრით ჰქონდა დამშვენებული: ადგილობრივი წარმოების

სანდლები და იისფერი ემალის ფინჯანი, იუგოსლავიური.

„ამის მსგავსი არ მოიძებნებოდა მთელს ისრაელში“, – გაიმასხრა კომისარიომ.

გემის ტრაპის თავში იდგა, მოტორიან ნავში აპირებდა ჩასვლას, რომელიც კამკამა წყალში ირწეოდა. ხელი ზურგსუკან ჰქონდა, თითებით სიგარეტს ფარავდა, თითქოს მალულად ეწეოდა. მოპარული ხილი კი, მოგეხსენებათ, გემრიელია.

„შეკითხვა მაქვს შენთან, – უთხრა კარმელამ, – მეგზურ ქალს ჯიბის ფულს თუ აძლევენ?“

კომისარიოს სიცილი აუვარდა. არც ამჯერად ამოძრავებულა მისი ტუჩები.

„რაღაც მინდა აგიხსნა, – თქვა, როცა დამშვიდდა, – შენ ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ ამაზე არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია იმაზე, რომ შენ, უბრალოდ, ნდობას აღძრავ“.

გემბანზე მათ თავზე ვეტერინარი დაინახა საფრთხობელას შარვალში. გაფარჩხული იდგა, ცერი ტყავის ქამარში ჰქონდა გაყრილი, ერთიანად მოქუფრული იყო, შუბლშეკრული ადევნებდა თვალს კარმელას მოძრაობას. რამდენ ხანს იდგა იქ? კარმელამ თავი დაუქნია, მანაც თავი დახარა მისი მისამართით და იქაურობას მოსცილდა.

შემდეგ, როცა კარმელა გემბანზე ავიდა, ის იქ აღარ დახვედრია. ბარში შეიხედა. პიანისტმა თავის მაგიდასთან მიიპატიჟა.

„შალომ“, ამბობენ თქვენთან დილით. „შალომ“ – შუადღეს, „შალომ“ – საღამოს. სხვა სიტყვა აღარა გაქვთ ენაში?“, – დაინტერესდა ზანტად. ფინჯანი ყავა და ნამცხვარი. კვირის ფერადი ჟურნალების თვალიერება. ზის აქ. არაფერს აკეთებს სხვას.

დიდი მეგობრები იყვნენ უკვე კარმელა და პიანისტი. ხანდახან საცდელი ბოცვერივით გრძნობს თავს, – გაუმხილა

კარმელას ერთ დღეს. ექსპერიმენტები მოითხოვენ მისგან კვლავ და კვლავ იმხიარულოს. ცდუნებას კი არ აჰყვება, ეს აღარ არის სამისო საქმე. ის ცხოვრება წარსულს ჩაბარდა. მაგრამ არც ის იცის, რა ურთიერთობა დაამყაროს დღევანდელობასთან, მის გაურკვეველ ზეწოლასთან. იოტისოდენა თანაგრნობაც კი ქალში მის დანაკუწებულ სიცოცხლეს გააერთიანებდა და ერთი აზრისაკენ მიმართავდა– „ცულს ის შეაქებს, ვინც ამ ცულით გამოითლება“, – დაურთო ბოლოს.

დღის წესრიგმა რღვევა იწყო.

საღამოს გემი დაცარიელდა. დამცავ შუშაში ჩასმული ფარნები და მავთულის ბადეები როგორც ლუქსის ლამპიონები ხალხისგან დაცლილ გემბანს სინათლეს აღვრიდნენ.

ჩვილმა აღებინა. კარმელამ სალვატორეს დაურეკა. გაირკვა, რომ არც ის იყო, არც კომისარიო, არც პიანისტი, არც ფელდშერი. იჯდა კარმელა საწოლის კიდეზე და ბავშვს აკვირდებოდა. პატარას ყურის ძირებსა და ზურგზე გამოაყარა.

კომისარიოს ადიუტანტმა ფრთხილად დააკაკუნა კარმელას კაიუტის კარზე:

„ამ ქალაქში კლუბია, – თვალი ჩაუკრა, – წამოხვალ კლუბში ჩემთან ერთად?“

„შენ რა გაგიუდი?“

ადიუტანტს კომისარიოსავით არ უპასუხია, მხოლოდ ჩაიხითხითა.

ამ დროს გარეთ კომისარიოს საავარძელში იჯდა და ღიღინებდა პორტის პოლიციელი, რომელსაც რატომღაც ღამეშიც მუქი სათვალე ეკეთა. კარმელამ კარი ჩაკეტა, დარაბა მიხურა, გაიხადა და დასაძინებლად დაწვა, გოგონა კი სახეაკვასკვასებული, უმანკოდ, დიდი, ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებოდა.

გვიანი იყო, ქალს როცა გაეღვიძა. მოლიოლინე პოლიციელი გრძელ-მოკლე ნაბიჯებით დააბიჯებდა მის ფანჯარასთან. კარმელამ პირველ წამს ვერ გაიხსენა, რატომ გაღვიძა ასე შემკრთალმა, და მაშინვე მოაგონდა – ბავშვი.

პატარა სხეული იწვოდა. გამშრალ ტუჩებს ცეცხლი ეკიდა. კარმელა შიშმა აიტანა. სასწრაფოდ ჩაიცვა და ოფისში ჩავიდა. ოფისი დაკეტილი იყო. გემის ბარში მხოლოდ პორტის პოლიციელები თამაშობდნენ კარტს. კარმელა კაიუტაში დაბრუნდა. გარეთ გავიდა, ისევე დაბრუნდა. ბოლოს მესამე კლასში ჩავიდა და ვეტერინარის კარზე დააკაკუნა.

კაიუტაში მას მეზობელი არა ჰყოლია. იგი იღგა და ნეილონის თეთრ პერანგს რეცხავდა. პირსახოცი წინსაფარივით ჰქონდა შემოხვეული. ცოტა ხნის წინ დაბრუნებულიყო ქალაქიდან, – ასე განმარტა. ქალის ნახვით გაოცება არ გამოუმჟღავნებია.

„ჩემი ქალიშვილი, – თქვა კარმელამ, – მინდოდა ჩემი ქალიშვილი გენახა, მგონი, ავად გახდა“.

სიტყვები მოისმინა. ხელები გადაიბანა. ონკანის ნიჟარიდან ისეთი მოძრაობით ამოიღო, რომ კარმელას ქირურგი გაახსენა.

ქარი სულმოუთქმელად მოსთქვამდა გემის მილებში. ამ მამაკაცის დანახვაზე ქალს უცნაური სევდა ეუფლებოდა. პატივისცემასაც გრძნობდა როგორც უსიტყვო მოწიწებას უცხოს მიმართ.

„სხვა გამოსავალი არაა, – დაამთავრა გასინჯვა და ქვედა ტუჩი გამობურცა, – ხვალ ტაქსი უნდა გამოვიძახოთ ბავშვის ექიმთან წასაყვანად“.

„ახლა რა ვქნათ?“

„ალბათ, ასპირინი რომ გვქონოდა...“

კარმელა ჭოჭმანობდა. მოაგონდა ქილები წამლის ფილებით ფელდშერის ოთახში.

„რა სისულელეა. – იგი წამოდგა – მოდი, გ'ხა მიჩვენე“.

გემი და მისი კორიდორები კარგა ხნის მიტოვებულივით იყო.

„ერთ დროს წიგნი წავიკითხე, რომელსაც „მიცვალებულთა გემი“ ერქვა. აღარაფერი მახსოვს, გარდა ამ სახელისა“.

კაცს არაფერი უპასუხია. კარმელა დადუმდა.

ფელდ'შერის ოთახი ღია იყო. ვეტერინარმა სადღაც კარადის გასაღებს მიაგნო.

„რა ქაოსია, შეხედეაც არ ღირს.“

გამოიღო თერმომეტრი, სპირტის ბოთლი და მალამოს 'შუ'შა. კაიუტაში დაბრუნდნენ. თერმომეტრი სპირტით გაწმინდა, მალამო წაუსვა და კარმელას მიაწოდა. კარმელა დაიბნა:

„იქნებ შენ გაუ'ხომო? ჩვენთან ეს ჩემი ქმრის ფუნქციაა, ან დედაჩემის. მე ამას ვერ ვახერხებ“.

„დამიკავე“, – ბავშვი მისცა და დაიჩოქა.

კაცის ლოყებ'ზე, ბუნებასთან ახლოს მყოფი კაცის ლოყებ'ზე, ახლა გაარჩია კარმელამ მეწამული წვრილი სისხლძარღვების შიშველი ბადე – ნიშანთაგანი მისი ასაკისა, – როგორც მონაცრისფრო ბადე დიდი ხნის ნახმარ ფაიფურ'ზე. გული შეეკუმშა.

„ოცდათვრამეტი და რვა. ჩაეალ ამას დავაბრუნებ“.

კარმელა მობრუნდა და ჩვილი დააწვინა. გავიდა კიბის თავ'ზე მის მოსაცდელად.

„ყავა მაქვს კაიუტაში“.

კაცმა საჩვენებელი თითი გამართა: „სარეცხი. ღამე მშვიდობისა.“

„მაპატიე, რომ შეგაწუხე, მადლობელი ვარ. არ ვიცი, შენს გარეშე რას გავხდებოდი. რა გქვია?“

„იოხანანი“.

„სიმარილე რომ ითქვას, თავიდანვე ვერ ეპოულობდი აქ ჩემს ხელ-ფეხს. ალბათ გემია მიზეზი, ან ხალხია უცნაური, ან იქნებ მე არ ვიცი თამაშის წესები“.

„შენს ადგილას არაფერს მივაქცევდი ყურადღებას. რამდენიმე უხერხული დღის საკითხია, ეგ არის და ეგ.“

„საერთოდ, ეფიქრობ, ვერ ვამართლებ დედობის სახელს,“ – თქვა კარმელამ მეტი სერიოზულობით, ვიდრე განზრახული ჰქონდა.

„ისწავლი“.

„მაგას არ ვგულისხმობ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი ქალიშვილი დიდებული, მშვენიერი სტუმარია, რომელიც მე მეწვია და მეტი არაფერი.“

„შეგუების საკითხია. ის ჯერ კიდევ ახალია შენთვის“, – გაიცინა მან.

„შესაძლოა, მაგრამ მე მგონია, აქ რაღაც ნაკლთან გვაქვს საქმე. ისეთი არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო: დედა, მეულღე. ოჯახიშვილი, დიასახლისი, წესიერი ადამიანი, წესიერი წრიდან და მისთანანი, მოგეხსენება.“

„ღამე მშვიდობისა“, – თქვა კაცმა მეორედ. თვალების ჭუტვით გაიღიმა, როგორც სჩვეოდა და მესამე კლასისაკენ დაეშვა. დიდ ხანს მიშტერებოდა მოძრავ ღრუბლებს. დროდადრო მათ შორის მტრედისფერის ნაგლეჯები ჩნდებოდნენ, როგორც გაყინულ ტბათა ზოლები მოციალე კუნძულებსა და მყინვარებს შორის. კარმელას თავბრუ ესხმოდა მხსნელი და გამაოგნებელი სიწმინდისაგან.

საწოლზე დაწვა. ძილი არ მიჰკარებია. აზრად მოუვიდა, რომ ქმრისათვის ტელეგრამა გაეგზავნა. ჩამოვიდოდა და წაიყვანდა მათ აქედან. თუმცა როგორ ჩამოვიდოდა? შესაძლოა ხვალ გაცურონ კიდეც. ნუთუ მართლა იყო დღეს ქალაქში? ავადმყოფი ბავშვი. იოხანანის სახის გამომეტყველება, მთელი სერიოზულობით ჩაძირული ბავშვის გასინჯვაში, მისი გარეგნობა – შენახული სიჭაბუკის

მშვენიერება ქალს გულს უფორიაქებდა.

ნაბიჯების ხმა შემოესმა. მიაყურადა. იგი მის ზღურბლთან შეჩერდა.

„ვინ არის?“ – იკითხა ებრაულად.

„მინდოდა მეთქვა, – დაბალი ხმით ალაპარაკდა იოხანანი, – დილით ადრე გავალ ქალაქში ექიმის მოსაყვანად, არ ივარგებს ბავშვის ტარება.“

კარმელა დუმდა. წუთით თითქოს დარჩა კაცი დაკეტილ კართან და მერე წავიდა.

„ავადმყოფობის პროცესია, ასე მიხსნიან. ყოველ შემთხვევაში, პიანისტი ასე ამბობს“.

გოგონას წითელა შეეყარა. სახეზე გამონაყარი ჰქონ–და. კარმელა მთელ დღეს არ გამოსულა კაიუტიდან. ახლა, მას აქეთ, რაც ბავშემა დაიძინა, იქ სალვატორე დარჩა. ქვევით, სასადილოში ფილმს უჩვენებდნენ ფერნანდელის მონაწილეობით. მოგვიანებით ახსენდებოდა კარმელას, როგორ შედგა გემბანზე და იოხანანს უთხრა: „თარგმანი არ ახლავს. მე ფრანგული არ მესმის. შუაში გამოვედი“.

„ისევ ცუდი დედა ხარ?“

„კარგი, შენ მე დამცინი“.

„რას ამბობ, რატომ? პატარა როგორ არის?“

„ავადმყოფობის პროცესია, ასე მიხსნიან. ყოველ შემთხვევაში, პიანისტი ასე ამბობს“.

„პიანისტი, რა შუაშია პიანისტი?“

მაძღარი თავისი არსებობით წინ მიეყრდნო სკამის საზურგეს, რაღაც თავისთავადი მოხდენილობით მკლავები წინ გაიწოდა, საათის ციფრები მის მაჯაზე სიბნელეში ანათებდნენ. სიამოვნება იყო მისი ნახვა. „ბელა დონა“ თავის გზას მიუყვებოდა. კარმელა თითქოს ზმანებაში იძირებოდა: გემი, ღამეული გემი მიცურავდა.

გაჩირაღდნებული იზიდებოდა ზღვის უკუნეთში. იოხანანი კვლავ წითელი პერანგით იყო, რითაც გამოჩნდა პირველ სალამოს.

„მაგ პერანგში შერიფს ჰგავხარ“.

„ცოტა მიკლია შერიფობას“.

მიმავალი გემის ანარეკლი შუქების შლეიფი ჩაშავებულ ზღვაში მოხტუნავე თევზების გუნდივით ელვარებდა. ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ იმ ღამეს დადგომოდა გემი თავისი ნამდვილი მოგზაურობის კალაპოტს.

„რომელ პირუტყვს მკურნალობ უფრო სიამოვნებით?“

„არასოდეს მიფიქრია ამაზე. მაგრამ ცხენები მიყვარს. აი, ხედავ?“ პერანგის საყელო მხარისკენ გადაიწია.

„სიბნელეში ვერ ხედავენ.“

აიღო მისი ხელი ხელში და მისი თითები ლავიწის ძვალთან გადაიტარა. ქალმა საშინელი ნაიარევი იგრძნო, ჩაზნექილობა ხორცში.

„ეს რა არის?“

„სამახსოვრო. გადარეული ცხენისგან“.

„გტკივა?“

„არა, რა თქმა უნდა, არა“.

„მე ვგულისხმობ, როცა გეხებიან“, – თქვა თითქოს გაჭირვებით.

„არა“.

მოჰყვნენ ამ მთისას თუ იმ მთისას. დაძლიეს ცოტაოდენი უხერხულობა. იყო რაღაც უბადლო კარმელას ხმაში. მოვლენათა უცნაურ განვითარებას მიადგნენ, – ასე ფიქრობდა კარმელა, როცა ამ ამბებს იხსენებდა.

მაგრამ აქ გამოეცხადათ მათ კომისარიო. სიბნელეში მისი მახინჯი სახე სანდომიანი, ჭკვიანი სიმახინჯით იყო აღბეჭდილი.

„გარიჟრაჟზე ღუზას ჩავუშვებთ, – აცნობა მათ, – და ამჯერად შესაძლოა ორ–სამ დღეს გასტანოს“.

„ასეთი ტემპით კონგრესზე დავაგვიანებ“, – გაიმართა იოხანანი ათლეტივით, – ევროპის ყველა მატარებლის განრიგი თუ გაქვთ?“

„ქვევით, ოფისში მოძებნე.“

კარმელას გული კვლავ დაუმძიმდა, კვლავ განუახლდა ტკივილი და კაეშანი მოეძალა იოხანანის დანახვაზე.

„გსმენიათ, ალბათ, ზღვის გამოცანების შესახებ, რომელთაც ახსნა არასოდეს მოეძებნებათ, – შორიდან წამოიწყო კომისარიომ, თითქოს მეზღაპრეს ჰბაძავდა, – მაგალითად, დახვრეტილ მეზღვაურთა გემის ამბავი, ან მოხეტიალე, უკაცრიელი ხომალდის შესახებ. რამდენიმე წლის წინ ინდოეთის ოკეანეში იპოვეს სავაჭრო ფლოტის მარშრუტისაგან მოშორებით.“

„იოხანან“, – დაუძახა მას კარმელამ, როცა შორდებოდა. მან ვერ გაიგო.

„იქნებ მოგწმინდო ოფლი ცხვირზე?“ – ჰკითხა კომისარიომ ჩვეული ღრეჯვით.

სპილენძის დაფები ხის სამეთაურო ხიდის საყრდენში კუთხეებს, მიმართულებებს, ქარებს მიუთითებდნენ. კომისარიომ, რომელმაც ამასობაში აქ კარმელა შემოიპატიჟა, ზღვის მგლის ფერი დაიდო და ჭოგრიტი გადასცა.

„ჭოგრიტი მძიმეა“, – თქვა ქალმა.

„ასე არა, – დამოძღვრა თითქოს თვინიერად, – ასე უნდა მოირგო“. კისერზე უნდა ჩამოიკიდოო მოწნული ტყავისაგან დამზადებული თასმით.

ადიუტანტი ცქმუტავდა. სინს მაღლა ატყორცნილი ხელით ზიდავდა. კარმელას ეჩვენებოდა, რომ კომისარიო და ადიუტანტი ერთმანეთს თვალებით ესაუბრებოდნენ.

„ღამით ყავას არ ვსვამ“.

ადიუტანტი და მისი სინი ქვევით დაეშვნენ.

„არ მოგწამლავს, – ჩაიქირქილა კომისარიომ, აი, ჩემი კომპლიმენტები კი...“

„როგორც ჩანს, კარგად ართმევ თავს შენს სამსახურს“.

ამ დროს კედელზე იოხანანის სილუეტი აცეკვდა, მისმა ძველოკანმა თითებმა კარის ფანჯრებზე გადაირბინა.

„გამოსამშვიდობებლად ამოვედი, – უთხრა იოხანანმა კარმელას, – სჯობს ბარგის შეკვრას შეეუდგე“.

„მოკლედ, გარბიან ხომალდის თაგვები“, – ჩაიხითხითა კომისარიომ.

კარმელა კიბეზე ჩასვლას ჩქარობდა. იოხანანს გაჰ–ყვა.

„ხომ არ დაგეხმარო რამეში, შეკვრაში? თუმცა არც კი ვიცი, რას ვლაპარაკობ.“

„მაგას შეუძლია ჩემოდანზე დაჯდეს, რომ დაიკეტოს“, – მიაძახა მათ კომისარიომ, რომელიც მიხვდა, რასაც კარმელა ეტყოდა იოხანანს.

„რაღაც სხვა რამის თქმა მინდოდა. ვლაპარაკობ და, მგონი, გონება მეფანტება. შენ ვერ გამიგე, მე ვფიქრობ..“, – განაგრძობდა ქალი.

იოხანანი შემობრუნდა და სახეგაბადრული შეაცქერდა.

„სრულებით არა,“ – მიუგო ღიმილით.

მიხვდა, დარწმუნდა ქალი, რომ მისდა სასიკეთოდ წაუყრია მის სიტყვებს. მაგრამ ქალს არ შეეძლო შეჩერება.

„აი, მთელი`შვება ჩემი გულისა, არ ინებებ განა?“ – ევედრებოდა რაღაც ხმა ქალს. თითქოს მის პატივსაცემად მთელი ყვავილები დაეწყვიტათ აყვავებული ხისთვის, და ქალს ყველა ყვავილი ვაზაში ჩაეწყო.

„მინდოდა მეთხოვა, რომ არ გაემგზავრო“.

„მძიმე ღამე გადაიტანე, რთული დღე, მესმის, – ის საუბრობდა თავმდაბლურად, ნაზად, რაც მას ახასიათებდა კიდეც, – შენ იდარდებ შენს მიერ ნათქვამი სიტყვების გამო.“

კარმელა სასოწარკვეთილი იმტვრევდა თითებს.

„მინდოდა მეთხოვა, რომ არ გაემგზავრო. ანუ ეგოისტურ მიზეზია გამო. სწორია, ადამიანების უცნაური კრებულია აქ, თითქოს ნაპირზე გარიყულიყვნენ ზღვის ნარჩენებთან ერთად, ხოლო იქიდან ფიწლით შეყარეს გემზე. მაგრამ არა მხოლოდ ამის გამო...“

„მომხედე, მე ხომ წარმომადგენელი ვარ. საკუთარი თავისათვის როდი მიევემგზავრები. უფლება არა მაქვს დავიგვიანო“, – განაგრძობდა იგი.

„მეც წამოვალ. ვიცი, სხვა არავინ ვარ, თუ არა სულელი, ნებიერა, და ორივე ხელი მარცხენა მაქვს. მაგრამ მაქვს ნება შენთან ერთად წამოვიდე?“

„ავადმყოფი ბავშვით?“

მაშინღა შეამჩნია, რომ მას პირველი კლასისაკენ, თავისი კაიუტისაკენ მიუძღვებოდა. სალვატორე სადღაც გამძვრალიყო, კარი ღია დაეტოვებინა. „მგონი, წუხელაც ვცადე შენთვის ყავა მომეყიდა“, – თქვა კარმელამ სევდიანი გამომეტყველებით. მკლავი უკან წაიღო და მექანიკურად აანთო სინათლე კაიუტაში. ძლიერმა ნათურამ მოულოდნელად გაანათა. დამაბრმავებელმა შუქმა იოხანანს მწვანე-ხაკისფერი თვალი მოსჭრა, მშრომელი კაცისა. ქალს მხარზე მოჰხვია ხელი.

„ნახვამდის, შენ კარგი გოგო ხარ, მოხარული ვარ შენი გაცნობის“.

ხელი გაუწოდა. კარმელამ მხარი გაითავისუფლა. ორივე ხელი თავზე შემოიჭირა, თითქოს სმენას იხშობდა და ოთახში შეეარდა.

გემბანის დამლაგებელმა იატაკზე სათამაშო ცხენების დოლი გამართა.

საღამოს მგზავრები ბარში შეიკრიბნენ. ჩანდა, თითქოს აუქციონზე იყვნენ გამოსულნი. კარმელამ ფრანგი ქალის გვერდით შეარჩია ადგილი. ის ლამაზი ქალი იყო. უკვე გამოვლილი ჰქონდა კარგი ცხოვრება. შავი კაბა ემოსა,

რბილი და ფაქიზი როგორც ჭვარტლი, შავი შლიაპა – სიფრიფანა და გამჭვირვალე. მალაქიტის სამკაული ეკეთა, ხელთ შავი ნიანგის ტყავის ხელჩანთა ეპყრა, სახე თითქოს ვარდის საპნიდან ჰქონდა გამოკვეთილი. ერთ რამედ ღირდა ღრმული მის ლოყაზე.

„ეზიავარ აქ და დროს ვკლავ. ვფიქრობ, გემს როგორ გავუძღვებოდი“, – გაუბა საუბარი ფრანგმა კარმელას.

„სახელს უცვლელად დავტოვებდი, „ბელა დონა“ ცუდი არ არის“, – აზრი გამოთქვა კარმელამ.

„რას ამბობ, – გააპროტესტა ფრანგმა, – ავადმყოფურია. აქამდე არა გსმენია? ატროფა ბელადონა შხამიანი მცენარეა, საწამლავია, – გუგების გაფართოება, პირის სიმშრალე, გულისცემის აჩქარება, გულის რევა, ჰალუცინაციები, სისუსტე და დადუმება.“

კარმელა გემბანზე გავიდა. იქ არავინ იყო. პორტის ნავი, რომელიც გემს ტვირთავდა და ცლიდა, შორს წასულიყო. შორიდან მოსჩანდა მისი ლოცმანი, რომელსაც თმა უფრო ღია ფერისა ჰქონდა, ვიდრე სახის კანი. გაურკვეველი იყო ჭაღარა თუ ქერა თმა ჰქონდა. სუსტ სინათლეში, ბინდბუნდში მაკეტივით მისრიალებდა გემი ზღვის ზედაპირზე. შუქურა უკვე წყვეტდა მანათობელი სიგნალების ქსოვას. ნაცრისფერში იყო შემოსაზღვრული ადგილები. უცხო პორტის პერონები, ანძები და ზვირთსაჭრელები ირეცხებოდნენ, საბურველში ეხვეოდნენ როგორც მოქცევის ტალღაში ჩაძირული კუნძული. „ბელა დონა“ კვლავ დაადგა თავის გზას. აუღერდა ფირფიტა – ზღვაში გასვლის ნიშანი. კიდევ დიდხანს, დიდხანს ტრიალებდა. საიდანღაც გამოჩნდა კომისარიო. მან მკლავები გამოიშვირა თითქოს ქალს საცეკვაოდ იწვევდა.

„შეგვიძლია ჩვენს საერთო ნაცნობებზე ვისაუბროთ, მიუახლოვდა და მკლავი თეძოზე შემოაჭდო, მაგალითისათვის შეიძლება შარლ დე გოლით დაეიწყოთ“.

კარმელა არ განძრეულა. ყველაფერი წარმავალია, – ფიქრობდა ქალი, – მხოლოდ ერთი დღე ჰქონდა გემს ღუზა ჩაშვებული, დღეზე ნაკლები. ახლა კი მიჰქრის მაკეტი როგორც კუბო ზღვის უკიდეგანო ზედაპირზე. ველარასოდეს ვნახავ მას, დავიწყებას მიეცემა საბოლოოდ. სისულელე წამომცდა წუხელ. რა ყრია იმაში, რაც ბოლოს დავიწყებას უნდა მიეცეს. იოხანანი, იოხანანი იგავი იყო. ტირის ფიტული გული, უსაფუძვლოდ მოსთქვამს აუხდენელი წადილის გამო, და არც კი ვიცი, რა არის ეს სურვილი. იოხანანი იგავი იყო, რომელიც საბოლოოდ დავიწყებას მიეცემა.

„იტალიურსა ჰგავს შენი სახელი, – ჩურჩულებდა კომისარიო მის თმებში, – პირველი წამიდანვე ვიცოდი, ჩემს კეთილ ხელებში ჩავარდებოდი.“

კარმელა შეფრთხიალდა. „ყურადღება არ მიმიქცევია, რა დონეზეა მისი კბილები დამპალი“. უბოროტოდ შეაცქერდა ხახაში კომისარიოს, ცარიელი გაოცებით, და მშრალად მიადევნა თვალი მის საქმიანობას, როგორც გმირობათა საჩვენებელი გამოსვლების მაყურებელმა, მანქანის სახურავზე შემდგარმა. უანგარიშოდ უკუაგდო ხელები, რომლებიც ოქროს ღილებით გაწყობილ უაკეტზე იხუტებდნენ და იქაურობას მოშორდა. „მართლა მეჩვენება?“ – ჰკითხა თავის თავს, როდესაც წამით თითქოს თვალი მოჰკრა, როგორ ამოდიოდა სალვატორე ერთ–ერთი მეშველი კანჯოდან და მაშინვე გაბრუნდა, მას რომ დამალვოდა.

კარმელა ბარში შევიდა. არ დამჯდარა. იქ პიანისტი იჯდა: „მოვდიევარ აქ, როცა თავისუფალი ვარ. არაფერს ვაკეთებ. ფინჯანი ყავა და ნამცხვარი. კვირის ფერადი ჟურნალების თვალიერება. სულ ეს არის, ასე ვატარებთ დროს დედამიწაზე. მატერიის უცვლელობის კანონი ვისწავლეთ. ჩვენი სულების წესი როგორიღაა? საქმენი არ დაიკარგებიან. მხოლოდ ფორმას შეიცვლიან. ჩვენი

სულებიც, მათ რიცხვშია ჩვენი სულებიც...“

კარმელამ კორიდორი გაიარა და კაიუტისაკენ შეუხვია.

აქ, როგორც საიქიოდან მობრუნებული, მესამე კლასიდან კიბეებზე ამოდიოდა იოხანანი. ლამაზი სახე ჰქონდა, როგორც მამაკაცთა ქუდების ტორსის ვიტრინაში. ცალი ხელი წითელი პერანგის ჯიბეში ედო. მატარებლის ბილეთი ამოიღო. ჩანდა, ქალს აჩვენებდა ამ ბილეთს. როგორც ზღაპარში ბრუნდება ავეჯი ფეხის ცერებზე, ასე დაუბრუნდა კაცი თავის კუთხეს, დაუბრუნდნენ საგანთა განზომილებანი იმას, რაც იყვნენ. ოღონდ გაორკეცებული ძალით. „ეს ბილეთი ერთი თვის მანძილზეა ძალაში, – განუცხადა იოხანანმა, – მოქმედია ნებისმიერი სადგურიდან ნებისმიერი სადგურისაკენ“. დეტალურად ყოფილა ყოველივე ჩამოყალიბებული მეგზურში, რომელიც ქვევით ჩემოდანში ჰქონია. „ვაგზალში, – განაგრძობდა იოხანანი, – მის მახლობლად კაცი იდგა და მეგობარს ესაუბრებოდა. თქვა, რომ „ბელა დონა“ დღეს სალამოს გავა ზღვაშიო, დღესო და არა ხვალ...“

კარმელა უსასოოდ ცდილობდა მისი სიტყვები დაეჭირა.

„მეგონა დაბრუნდი“, – ჩაილუღლუღა.

„აქა ვარ“, – გაუღიმა იოხანანმა.

„უბადლოა, განუმეორებელია, რა მშვენიერია მისი კბილები, როგორი სწორია“, – დაღლილი კმაყოფილებით წარმოთქვა კარმელამ და იგრძნო როგორ დაეშვა ქვემოთ გემი, ან იქნებ თვითონ – უკან, სიბნელეში. მაგრამ კომისარიომ, რომელიც მას კვალდაკვალ მოჰყვებოდა, დაუძახა:

„კარმელა, კარმელა, შენ ხმამაღლა ლაპარაკობ, შენს თავს ელაპარაკები“.

კაცი მისთვის ხელის შესაშველებლად მოჰქანდა, და გააქანა იგი, – ნათლად ვერ გაარჩია, – ქალის კაიუტაში, თუ მეზობლად თავისი კაიუტისაკენ.

## ბიზნესი

მაიანი სკამზე შედგა და აყვირდა: „თაგვი. თაგვი.“

იაელი ცოცხს სწვდა და ოთახში სირბილი და ძებნა დაიწყო: საწოლზე აბრახუნებდა, კარადას ფეხს ურტყამდა, კედლებს სცემდა და გაჰკიოდა: „სად არის. სად არის.“ ბენი ამ დროს თავის ადგილას იჯდა. ხელები აპლაკულ მუხლებზე შემოეჭდო და გაფაციცებული მიშტერებოდა ავეჯის ძირს თუ ოთახის კუთხე-კუნჭულებს. ბოლოს იაელი გაჩერდა და ცოცხს დაეყრდნო. ნესტოები სიბრაზისაგან გაფითრებული და გაფართოებული ჰქონდა. „ეს რას ჰგავს? – მიმართა მაიანს, რომელიც ჯერ კიდევ სკამზე იდგა, – ხუმრობაა?“

„არა, არა, – ლუღლუღებდა მაიანი, – დავინახე, დავინახე...“

მას გრძელი, ყავისფერი, სწორი, უკან გადავარცხნილი თმა ჰქონდა, საფეთქლებზე ჩასაღილავის ფორმით, მოვერცხლილი ჩხირებით დამაგრებული. სპორტული ფეხსაცმელებიდან წინდის მაქმანის კიდეები იცქირებოდნენ.

იაელი ძმას მიუბრუნდა და უთხრა: „შენ დაინახე თაგვი?“

„არა, – მიუგო ბენიმ, – სად?“

„მე არ ვიცი, სად, მაიანს ჰკითხე.“

„სად ნახე თაგვი?“ – ჰკითხა ბენიმ გოგონას.

მაიანი სკამიდან ჩამოვიდა. კვლავ მაგიდას მიუჯდა, იატაკს ეჭვით უყურებდა და ბურტყუნებდა, რომ მას მოეჩვენა, თითქოს თაგვი დაინახა.

„მოეჩვენა. დამიფრთხო ბავშვები ამ მოჩვენებებით. მეორედ არ გავიგო ასეთი ლაპარაკი, გასაგებია?“

„კარგი, იაელ“, – დაამშვიდა ბენიმ.

„რა კარგი, რა კარგი, – ცხარობდა იელი, – სასწავლად მოხვედით, თუ „თაგვები, თაგვები“ რომ იყვიროთ? ჰა, მითხარით ერთი.“

იელმა წიგნი აიღო და მაგიდასთან შეჩერდა. მაიანმა შუბლი მოისრისა და ლექსის თქმა დაიწყო: „ოქროს ფარშავანგი გაფრინდა, ოქროს ფარშავანგო, საით ფრენ?“

ბენიმ პირი დააღო, თვალები ჭერს მიაპყრო, წამით ასე გაჩერდა, შემდეგ წარმოთქვა: „ზღვის მხარეს ეიფრენ“.

სასკოლო წარმოდგენაზე მაიანი პატარძალი იქნებოდა, ხოლო ბენი – ფარშავანგი. მაიანს მხოლოდ სამი სტრიქონი უნდა დაეზუთხა, ბენის – ხუთი.

მას შემდეგ, რაც მაიანი შინ წავიდა, ბენიმ და იელმა საწოლი გამოსწიეს, კედელს მოაშორეს და ხაფანგი გამოიღეს. ახალი თაგვი ნაცრისფერი, მსუქანი და ნერვიული იყო. ულვლინტისფერი მუცელი ჰქონდა, ხოლო ბალნიანი კუდი გველის წიწილს მიუგავდა. ის ყველაზე დიდი თაგვი იყო, რაც დღემდე დაეჭირათ. სხვენზე ავიდნენ, ხაფანგი ფრთხილად გადააბრუნეს და თაგვი ყუთში ჩააგდეს. ყუთში უკვე სამი თაგვი იყო, ახალ თაგვთან ერთად მათი რიცხვი ოთხამდე გაიზარდა.

„საზიზღარია“, – თქვა ბენიმ.

„ქვემოთ ჩადი, სენდვიჩი ჭამე და ჩაი დალიე.“

„მან რომ პატარა თაგვები დაგლიჯოს?“

„დაიბანე, ჩანთა მოამზადე და საწოლში წადი.“

„სკოლაში სოცმუშაკი იყო“.

„შენ გაგესაუბრა?“

„არა, დებორა მასწავლებელს ესაუბრა“.

ბავშვები გაჩუმდნენ. დაბნელებულ ქუჩას გახედეს.

„იელ, ღელავ?“

„ვითომ რატომ? ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ის თუ დებორა მასწავლებელს ელაპარაკა? შენ კარგი მოსწავლე ხარ. ტილები არა გყავს და გაკვეთილებს

ამზადებ, საწუხარი რა მაქვს?“

„მაგრამ თუკი ის აღმოაჩენს, რომ ეიცრუეთ, და რომ შენ ცამეტი წლისა ხარ?“

„ვინმე მოვკალი? მოვიპარე? დამნაშავე ვარ, რომ ცამეტი წლისა ვარ?“

„შენ მას უთხარი, რომ თხუთმეტისა ხარ, მე გავიგე.“

„მაშ რა. რომ მეთქვა ცამეტი წლისა ვარ–მეთქი, შენ ბავშვთა სახლში გაგისტუმრებდნენ, ორივეს იქ გაგვგზავნიდნენ.“

„რომ გაიგოს?“

„ვერ გაიგებს“.

„შტერი არ არის“.

„არ არის. ოლონდაც შენ პირს ნუ მოაღებ და სულ ეგაა. წყნარად იჯექი კლასში და დასვენებებზე ნუ იმხეცებ.“

„გეშინია?“

„არა, ჩადი ქვემოთ.“

ქალიშვილი საწყობის კედელს მიყრდნობოდა. იაელი სხვენის ბოლომდე გავიდა და მას ზუსტად თავზე წაადგა. ისევ ის პუტკუნა ქერა იყო. მიუხედავად სიბნელისა, იაელმა იცნო ბილიკზე მისი ნაბიჯის ხმაზე: პაკ, პუკ, პაკ პუკ. დააცადა, ვიდრე კაცი შარვალს ჩაიძრობდა. რაღაც სითეთრე გამოკრთა – მონაკვეთი პერანგსა და შარვალს შორის. როცა კაცი ქალიშვილს მიეწება, იაელმა ყუთი გადმოაპირქვავა, პატარა კარი შეაღო და მოაჯირს მოსცილდა. უმალვე კივილი ატყდა. „გეგონება ჰკლავენ“, – გაიფიქრა იაელმა. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაქცეულთა ფეხის ხმა გაისმა. იაელი სხვენის იატაკზე იჯდა. იდაყვები მუხლებში ჩაეყო, დახრილი თავი კი მკლავებში ჩაერგო. „ეგლა მაკლდა, – ფიქრობდა იგი, – სოცმუშაკს ენახა, რომ ჩვენი ეზო ბორდელად იქცა.“

კიბის მხრიდან ნელი ნაბიჯის ხმა გაისმა.

„იაელ.“

ნისანი სხვენის შესასვლელთან იდგა, სიბნელეში მის გარჩევას ცდილობდა.

„ششش“, – აჩურჩულდა იაელი. ნისანი მიუახლოვდა და იატაკზე მის გვერდით დაჯდა. ის სახლის ერთადერთი მდგმური იყო, იაელისა და ბენის გარდა, რა თქმა უნდა. მუნიციპალიტეტმა და ამიდარმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გამოასახლეს მობინადრეები და დაცარიელებული სახლების ნაწილი კერძო მენარდეებმა შესყიდეს. მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე ბულდოზერი, სიმართლის ტანკის გრუხუნით. დიდი რკინის ჩანგლით ურჩოლავდა ხოლმე კედლებს, ვიდრე არ ჩამოაქცევდა და ქვების გროვად აქცევდა. მას შემდეგ, რაც მტვერი გაიფანტებოდა, გამოჩნდებოდნენ ხოლმე საგნები, რომლებიც, ჩვენდა გასაოცრად, ჯიუტად განაგრძობდნენ არსებობას: კედლის ნაგლეჯზე სურათი შერჩენილიყო: კაცი და ქალი ისხდნენ სუფრასთან ბოთლისა და ჭიქების საპირისპიროდ, გაოგნებულნი, ყეყეჩურად გაბეცებულნი. იქვე მთლიანი კარი იდგა, გასაღები ჯერ კიდევ კლიტის ხვრელში იყო გაყრილი. კარი აგურებს შორის დიაგონალურად იყო გადახრილი და ხანგამოშვებით უმიზეზოდ ირხეოდა, როგორც ბრძოლაში დაჭრილი ჯარისკაცი, რომელსაც დაცემის ძალაც კი აღარ შერჩენოდა.

მათი სახლი ჯერ კიდევ იდგა თავის ბორცვზე, გაჩხერილი აღდგენით პროექტში როგორც ჯიუტი კბილი ბებერ ღრძილებში. ღამღამობით მათ ნესტოებამდე ხანძრის სუნი აღწევდა და ისინი ფანჯრიდან იცქირებოდნენ, ცდილობდნენ გაეხედათ ხის ღობეებს შორის, რომლებიც დანგრეული შენობების ირგვლივ აღმართულიყო, და ნაპერწკლების ან კვამლის კერა შეემჩნიათ. ნამდვილად

ვიღაც ღამის დარაჯმა კოცონი გააჩაღა ყავის მოსადუღებლად ან ფეხების გასათბობადო, – ამბობდა ნისანი. გარდა მათი სახლისა, დარჩა კიდევ მე–16 ნომერი – ერთსართულიანი შენობა დაბალი ქვის ღობით. ღრმად მოხუცებულ ქალბატონ ბირგერს, რომელიც თვითმავალი ეტლით მოძრაობდა, ორი ბებერი და აყროლებული ძაღლი ჰყავდა. ძაღლები, ვიდრე სული შერჩენოდათ, ქუჩაში მის კვალდაკვალ მილასლასებდნენ. ისინი მის სახლში დაიბადნენ, – უხსნიდა იგი ნისანსა და ბავშვებს, – და ვერ შეძლებდნენ ახალ გარემოსთან შეგუებას. „არამზადები. კატაფალკით თუ გამიტანენ აქედან, – ამბობდა იგი, – რა წესია, ადამიანს საკუთარი სახლიდან გარეთ გაუძახო, ასეთი რამ სად გაგონილა? გაიხედ–გამოიხედეთ, ნამდვილი სტალინგრადი მოაწყვეს. არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდეთ გაყიდვას“.

ტროტუარზე ფირნიში იდო: „აფთიაქი და პარფიუმერია – პასუხისმგებელი ფარმაცევტი ჯინ ალმალიახი“. გზად, სკოლისაკენ მიმავალი ბავშვები ამ ფირნიშზე დახტოდნენ და ჩაჭყლეტილი თუნუქის ხმას აყურადებდნენ.

ნისანმა ქალბატონი ბირგერის რჩევა ყურად იღო და განაცხადა, რომ აქ დარჩებოდა ბავშვებთან ერთად. მან დაიფიცა ბავშვების მამის წინაშე, რომ მის ობლებზე იზრუნებდა, და რომ ამ აზრს ქვეყნად ვერავითარი განსახლების პროექტი ვერ შეაცვლევინებდა.

ბრისკერმა ნისანს კუთხე მიუჩინა და ხელობა შეასწავლა, როცა ის ახალი რეპატრიანტი იყო, მშიერ–მწყურვალი. არც ნისანს გაუვლია გულში მისი ღალატი მაშინ, როცა იგი სულს ღაფავდა. ხოლო ბავშვები ხომ – ეს სიწმინდეა, ობლები – კიდევ უფრო წმინდა და წმინდა. „ბიჭუნა ორი წლის იყო, როდესაც დედა დაკარგა“, – განუცხადა მოსამართლეს. მას აქეთ ნისანი იქცა ბავშვების დედად. ბანდა, აჭმევდა, აძინებდა. მათი

მამა, ღმერთმა აცხონოს, ხელმოცარული პროტეზისტი იყო. ერთადერთი, რაც მას აინტერესებდა, პროტეზის ხელ–ფეხის კეთება იყო. მაშ ლოგიკა სადღაა? ამ პროტეზისტს რომ ეკოცხლა, ბავშვებს სახლში უყოყმანოდ დატოვებდნენ. მაგრამ ის მოკვდა. მერე და რა? კანონის მიხედვით, ისინი მემკვიდრეები არიან. მათ თავიანთ სახლში სურთ დარჩნენ. რა, სასჯელს სასჯელი უნდა დაემატოს? ანდერძის თანახმად, ნისანი მათი მეურვეა, და ვიდრე პირში სული უდგას, არ დასთანხმდება, ბავშვები შინიდან გამოყარონ. ცეცხლიც წაჰკიდებია მუნიციპალიტეტსაც და ამიდარსაც. ბავშვები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანტორები.

სოცმუშაკის ჩვენებაც იყო, სადაც იგი აცხადებდა, რომ ბავშვები წეს–რიგში იყვნენ და ნისანს მათთან კეთილისმყოფელი ურთიერთობა ჰქონდა.

იყო პოლიციის მოწმობაც, რომ არსებითად პრობლემები არ იყო.

მოსამართლემ თქვა, რომ „კარგი... ნუ, თუ ასეა, ისლა დაგვრჩენია, მოვიცადოთ და ვნახოთ. საკარაუდოა, რომ უბნის აღდგენას წლები დასჭირდეს და საკალდებულო არ არის, მაინცდამაინც ამ ობლების სახლით დავიწყოთ“. მიუხედავად ამისა, მისი გადაწყვეტილება დროებითი იყო და პირობითი, რა თქმა უნდა.

ეს პირობითობა მნიშვნელოვანი შეიქნა, როდესაც დაახლოებით ნახევარი წლის წინ მიტოვებული სახლი კახპებმა აღმოაჩინეს. ნისანი შეშინდა, ბავშვები ცუდ რამეს არ გადაეყარონო, იგი უკვე აღარ იყო დარწმუნებული, სწორად მოიქცა თუ არა. ყველაფერთან ერთად ბენი სულ ცხრა წლისა იყო, ხოლო იაელი ცამეტის. მათ ცხვირწინ კი ისეთი რამეები ტრიალებდა, რაც ბავშვებს არ უნდა ენახათ.

„ანდერძის თანახმად, შენ ამ სახლის დიასახლისი

გახდები, როცა თერამეტი შეგისრულდება. ხუთი წელი, იაელ, ეს დიდი დროა“.

„რა გინდა ვქნათ? ბავშვთა სახლში გადავიდეთ?“

„ღმერთმა დაგვიფაროს.“

„მოსამართლემ აღიარა, რომ სახლი ჩემი და ჩემი ძმისაა. შენს ნაცვლად მეურვეებად დეიდები რომ ყოფილიყვნენ, ინტერნატში გვიკრავდნენ თავს, ბინებს გააქირავებდნენ და ფულს ჩაიჯიბავდნენ, სუფთა ფულს ხუთი წლის მანძილზე.“

„პროექტი მათ ნებას არ დართავს, რომ აქ მდგმურები დააყენონ“.

„მაგათ იმედად იყავი.“

„თქვენ ბავშვები ხართ, იაელ, მეთვალყურეობა გჭირდებათ“.

„შენ გვიწევ მეთვალყურეობას“.

„გაისად სამოცდაათი გამიხდება, შეიძლება უცებ მოვკვდე.“

„ავადა ხარ?“

„არა, მაგრამ არც მამაშენი იყო ავად, და ის ჩემზე უფრო ახალგაზრდა იყო“.

„შემოსავლების უფროსად დამნიშნე“.

„რა?“

„დეიდებს უნდოდათ, ორლის ქმარი, ის ცხვირა ადვოკატი დაენიშნათ შემოსავლების უფროსად“.

„შემოსავლების უფროსი რაღაა?“

„შემოსავლების უფროსი მუნიციპალიტეტს უხდის გადასახადს, – ამიხსნა მან, – ზრუნავს სახლის კეთილმოწყობაზე, დასუფთაებაზე, კრებს ბინის ქირას.“

„ანუ ქონებას ზედამხედველობს, ესე იგი – მნე.“

„ჰო. ეგ სამსახური რა დამიჯდება–მეთქი, შემოსავლების ათი პროცენტიო, – მითხრა. არა, გმადლობთ, ნისანი ამას უფასოდ გვიკეთებს–მეთქი.“

„რა შემოსავლებიო?“

„ბინის ქირაზეა ლაპარაკი, რომელსაც ისინი მიიღებენ, როცა ის შემოსავლების უფროსი გახდება. თუ შენ მოკვდები, ისინი მდგმურებს დააყენებენ. ამიტომაც მინდა უფროსი ვიყო.“

„ამისათვის ჩემი სიკვდილი საჭირო არაა. ჩემი მხრიდან შემოსავლების უფროსი ხვალიდანვე იქნები“.

„მე კახპები უნდა გაეყარო.“

„პოლიცია გამოიძახე“.

„დამცინი? თუ ისინი ნახავენ, აქ ეზოში რაც ხდება, წამში გაგვიძახებენ აქედან. ბავშვების სასიკეთოდო, იტყვიან. ნისან, ეზოს ჭიშკარი უნდა შევაბათ კლიტით, რომ შემოსვლა შეუძლებელი იყოს“.

„მერედა გაუკეთე.“

„გაგანაწყენე?“

„ეითომ რატომ?“

„ჩაწერე შენს ანდერძში, რომ შენი სიკვდილის შემდეგ იაელ ბრისკერი იქნება შემოსავლების უფროსი“.

„შემოსავლების. შეიძლება ეიფიქრო. გაჭირვებით ვყიდულობ პურს და მარგარინს, და ამასაც მხოლოდ იმით ვახერხებ, რაც პროტეზებს შემოაქვს“...

„ნისან, ნათესავები გყავს?“

„შენ იცი, რომ არა მყავს.“

„მაშ სახელოსნოს მემკვიდრე ვინ იქნება?“

„გაგიუდი? რა მოგივიდა დღეს?“

ნისანი წამოხტა. იაელმა სიბნელეშიც კი შეატყო სიბრაზე სახეზე.

„დღეს სოცმუშაკი იყო სკოლაში და დებორა მასწავლებელს ელაპარაკა. მათ ბოროტი რამ განიზრახეს.“

„ვინ?“

„დეიდებმა. თუ კახპებს ნახავენ, ჩვენი საქმე წასულია. ჭიშკარი მჭირდება ეზოსთვის“.

„ეს ვერ უშველის. როცა ეზოში ძლიერი ლამპიონები დავაყენეთ, მათ ისინი დალეწეს“.

„დიდი ჭიშკარი, სიგნალიზაციით. და მხოლოდ ჩვენ გვექნება გასაღები“.

„ჭიშკარზე სიგნალიზაციის გაკეთება არ ვიცი“.

„როცა გთხოვე, რომ ისეთი ხაფანგი გაგეკეთებინა, რომელიც თაგვს არ მოკლავდა, მითხარი, რომ შენ ამგვარი რამის გაკეთება არ გეხერხება, ბოლოს კი გააკეთე“.

„ეს ფული ჯდება, იაელ.“

„შეიძლება საწყობის რკინის კარი გამოვიყენოთ. მე და ბენი მოგეხმარებით მის ჩამოხსნაში“.

„ის მთლად ჟანგიანია“.

უცებ კატამ გაბმული კნავილი მორთო და იაელი მოიმართა, რადგან პირველ წამს იფიქრა, რომ ეს ჩვილის ტირილი იყო. ცარიელი შენობების ნაწილი დროებით საწყობებად ან სახელოსნოებად გადაკეთდა. ღამეები აქ ძალზე წყნარი იყო. თითქოს მთის რომელიღაც სოფელში ცხოვრობდნენ და არა – ქალაქის ბოლოში. გოგონამ და მოხუცმა ცას ახედეს.

„ირმის ნახტომი“, – თქვა ნისანმა.

„ბენი ამბობდა, რომ დედას და მამას სულებმა ირმის ნახტომის გზა გაიარეს ბედნიერ ადამიანთა კუნძულე-ბისაკენ. შენ უთხარი?“

„დიახ.“

„საიდან იცი?“

„არის ასეთი ლეგენდა“.

„გჯერა მისი?“

„მაშ.“

„ბენის ფარშავანგის კუდი სჭირდება სასკოლო წარმოდგენისთვის“.

„ხვალ ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში წავალ

და ჩვენთვის ბულდოგს მოვიყვან, კახპები რომ გარეკოს აქედან.“

ბენიმ სამოქალაქო თავდაცვის ეზოს უკან ძველი მეგაფონი იპოვა და შინ მოიტანა. წინა ღამეს ისინი ორ ძალად განაწილდნენ. ბენი სხვენზე იდგა თაგვების ყუთით, იაელი კი მეგაფონით ბნელ საწყობში იცდიდა. მაგრამ ეზოში არავინ შემოსულა. ათ საათზე ისინი ბინაში დაბრუნდნენ და დასაძინებლად წავიდნენ. ახლა იაელი ძველ ხის ყუთზე იჯდა, ღამის ჩურჩულს ყურს უგდებდა და ფიქრებისაგან დაცლილ თავში გაფუჭებული ფირფიტასავით უტრიალებდა სიტყვები: „ოქროს ფარშავანგო, საით ფრენ?“ გაახსენდა, რომ აფრიკის რუკის დახატვა დაავიწყდა და გადაწყვიტა, რომ თუკი ნახევარ საათში არაფერი მოხდებოდა, იგი ზევით ავიდოდა. შორიდან ცხრა საათიანი ახალი ამბების დასაწყისის მაუწყებელმა მელოდიამ მოაღწია და აქედან მიხვდა, რომ ცხრა საათი იქნებოდა. ნაბიჯების ხმა მოისმა. ბუტბუტის ხმაც თანდათან ახლოვდებოდა. იაელმა გარეთ გაიჭყიტა. პუტკუნა ქერა საწყობისაკენ მოაბიჯებდა და მას გამხდარი ბიჭი, თითქმის ბავშვი, მოჰყვებოდა. იაელმა მეგაფონი პირთან მიიტანა და დაელოდა. დასანანია, რომ ბენი საწოლში გავგზავნეო, – იფიქრა. ქერა რაღაც ფილმზე ლაპარაკობდა და იმაზე, თუ რა კაი ტიპი იყო მსახიობი. ბიჭუნა კი ამბობდა: „დიახ, დიახ...“ და იაელმა იფიქრა, იქნებ მას ეშინიაო. ბიჭს დამფრთხალი ხმა ჰქონდა. ქერამ იაელისათვის მოულოდნელად თქვა, მოდი, აქ შიგნით შევიდეთ, იქ უფრო სასიამოვნო იქნებაო. ისინი საწყობში შემოდიოდნენ, როდესაც იაელმა ხმა აიმაღლა და მეგაფონში ჩაჰკივლა: „ბოზებო. გაეთრიეთ.“

ხმა ძალზე ძლიერად გაისმა. თავადაც შეეშინდა. ხოლო ბიჭუნა, ბიჭუნა ჰაერში აფრინდა, თითქოს ფეხი მორიელისათვის დაებიჯა. მერე კი დაეცა და ბილიკზე

გაიშხლართა. კახპა ამასობაში გაიქცა და გაუჩინარდა. იაელი ბიჭის სხეულს გადაახტა და სახლში შევარდა.

„ის მოკვდა, – შეშინებული ეუბნებოდა ნისანს, – მე ის მოვკალი.“

ნისანმა ქვაბი წყლით აავსო და ქვევით ჩავიდა. რამდენიმე წამის შემდეგ დაბრუნდა.

„ყველაფერი რიგზეა. გული წასვლოდა. წყალი დავასხი. გამოფხიზლდა და მოუსვა.“

„რა უთხარი?“

„არაფერი“.

იაელს სიცილი აუვარდა. „უნდა გენახა ისინი. შიშისაგან ცაში ახტა“.

ნისანი, ბენი და იაელი ფერად ქაღალდებს ჭრიდნენ ფარშავანგის კუდისათვის, როდესაც ქერამ კარი შემოაღო და ზღურბლზე შედგა. იაელმა მაშინვე იცნო. ის მოზრდილი იყო, ალბათ ოცდაათის იქნებოდა. ღამღამობით ყოველთვის მოკლუჭუნა ბოლო ეცვა და მაღალ ქუსლებზე იდგა, მაგრამ ახლა ჯინსები, ბამბის მწვანე ბლუზა და სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. შავი, ვიწრო და ელამი თვალები ჰქონდა. შეღებილი არ იყო, მტკიცე გამომეტ-ქველების მკაცრი სახე სამურაის სიფათს მიუგავდა.

მოხუცისა და ორი ბავშვის გარეგნობამ იგი გააოცა და შეყოყმანდა.

„შენთან მსურს ლაპარაკი“, – უთხრა მან ნისანს.

ნისანი წამოდგა და თქვა: „ჩემს ბინაში წავიდეთ“.

„მეც თქვენთან ერთად მოვდივარ“, – თქვა იაელმა და ისიც წამოდგა.

„შენ არა.“ – თქვა ქერამ.

„ჩვენ არა გვაქვს საიდუმლო“, – მიუგო იაელმა.

„მე მაქვს“.

„ეს ჩემი სახლია“.

ქერა შეყოყმანდა. შემდეგ მხრებში გაიშალა, ოთახიდან

გავიდა და მას მიჰყვნენ ნისანი და იაელი.

„შენ აქ დარჩები.“ – უბრძანა იაელმა ბენის.

„გუშინ კლიენტი მომიკალი“, – უთხრა ნისანს ოთახში შესელის შემდეგ. „არ მომკვდარა, გული წაუვიდა“.

„შესაძლოა მომკვდარიყო.“

„შენა გაქვს პრეტენზიები? ერთი ამას დამიხედეთ. აქეთ აქვს პრეტენზიები. რა გგონია შენი თავი? ამ ეზოში შენი ფეხი არ იყოს მეტი. თორმე მთელს პოლიციას დაგასევ, გაიგე, ნაგავო.“

ქერა ნისანს უკიოდა, ნისანი – ქერას. ერთმანეთს ლანძღავდნენ და აგინებდნენ. ნისანს მეტისმეტი სიბრაზისაგან სახეზე ოფლმა დაასხა. მისმა მოტელეპილმა თავმა და დინგმა თამბაქოსა და საფერფლეში დასვეულებული ფერფლის ფერი მიიღეს. იაელი მას შიშით შეჰყურებდა. არასოდეს ენახა იგი ასე განრისხებული. ეგონა, რომ ცოტაც და ქალს მივარდებოდა და გაარტყამდა. ბოლოს ქერა დაჯდა. ხელჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ერთი ღერი თავისთვის გამოაძრო, ერთიც ნისანს შესთავაზა, რომელმაც, რა თქმა უნდა, უარი თქვა. ქალმა სიგარეტს მოუკიდა. ის არ ჩანდა შეშინებული. წყნარად ეწეოდა, თითქოს კაფეში იჯდა სასიამოვნო მზიან დილას და არსად მიეჩქარებოდა.

„მე ორნას მეძახიან“, – თქვა მან.

ნისანმა პასუხი არ აღირსა და იაელმა თქვა: „მე იაელი მქვია, მას – ნისანი, ჩემს ძმას კი – ბენი“. იგი ბრძოლის შეწყვეტის მომხრე იყო.

„ამ ბავშვების მამა ხარ?“

„ის ჩვენი მეურვეა“.

„მეურვე“, – ორნამ გაიღიმა და იაელმა გაიფიქრა, რომ ის საკმაოდ ლამაზი იყო.

„მამასავითაა“, – განუმარტა იაელმა.

„მშობლები სად არიან?“ – ჰკითხა ნისანს.

„ღმერთმა აცხონოს“, – თქვა იაელმა.

რა საქმიანობას ეწევი?“ – ჰკითხა ნისანს.

„პროტეზებს აკეთებს. პირველ სართულზე მას სახელოსნო აქვს, რომელიც წინათ მამაჩემისა იყო“.

„თუ გამოდის რამე“.

„მას პენსიაც აქვს“.

„შენ რამდენი წლისა ხარ?“ – მიმართა იაელს.

იაელი გაჩუმდა. ნისანი დუმდა. „რა უნდა ამ ორნას?“ – ფიქრობდა იაელი.

„ჩაის მოგვიმზადებ“? – სთხოვა ორნამ ნისანს.

„მისმინე, ქალბატონო. მე არ ვიცი, შენ რა გინდა. თუ გგონია, რომ ჩვენს ეზოში მუშაობას გააგრძელებ, ცდები. ვერაფრით დაგეხმარებით, სხვა გზა მოძებნე.“

„ჩაის მოვამზადებ“, – თქვა იაელმა.

ონკანის ნიჟარა სავსე იყო ნისანის ჭუჭყიანი ჭიქებით. იაელი სუფთა ჭიქების მოსატანად გავიდა. ბენი მაგიდას უჯდა და ფერადი ქაღალდების ჭრას აგრძელებდა.

„გეყოფა, – უთხრა იაელმა, – ეგ ორ ფარშავანგს ეყოფა“.

„იძინებთ?“

„ცოტა ხანში. ნუ იჯავრებ. ფარშავანგის კუდი გექნება.“

„იაელ.“

„მეჩქარება.“

„იაელ.“

„რა გინდა?“ – მოუთმენლად იდგა, ხელში სამი ჭიქით.

„ეგ მაიანის დედაა“.

„ოთახის გაქირავება ჩვენ გვეკრძალება, – ეუბნებოდა ნისანი ორნას, როდესაც იაელი ოთახში შევიდა და ჩაის მომზადებას შეუდგა, – ამიდარმა და მუნიციპალიტეტმა მდგმურები გაასახლეს. ჩვენ აღდგენით პროექტში ჩაგვსვეს. აქ დარჩენას გაჭირვებით მივაღწიეთ, ისიც მხოლოდ

დროებით.“

„ვერავინ გაიგებს. მე სხვა გოგოებივით არა ვარ. სალამოში ორ საათს ვმუშაობ, და არც ყოველ სალამოს. სტუდენიორი მე არა მყავს. არავინ იცის ჩემს შესახებ.“

„შენ ვერ გაიგე, რას გელაპარაკებიან? აქ პატარა ბავშვები არიან“.

„ბავშვები, რომლებიც შინ თაგვებთან ერთად, ხოლო ეზოში კახპებთან ერთად იზრდებიან. საკმარისია, რომ ეს სოცმუშაკის ყურამდე მივიდეს“.

„ვინ ეტყვის? შენ?“

„მე თუ არა, სხვა ვინმე გამოჩნდება, უარესი“.

„პოლიციას გამოვიძახებთ“.

„მშვენიერია. ეგრეევ ინტერნატში ჩაამწყვდევენ ბავშვებს“.

„რამდენს გვთავაზობს?“, – იკითხა იაელმა.

„იაელ.“ – წყრომით მიმართა ნისანმა.

„თვეში სამას შეკელს“, – თქვა ორნამ.

„რამდენს იღებ თითო... თითოეულისაგან?“ – ჰკითხა იაელმა.

„ეს შენი საქმე არ არის“, – უპასუხა ორნამ.

„სახლი ჩემია“, – განუცხადა იაელმა.

„აქ რატომ აჩერებ? – ჰკითხა ორნამ ნისანს, – ეგ ხომ ბავშვია“.

„ზემოთ ადი, იაელ.“

„ოთხასი შეკელი“, – თქვა იაელმა.

„იაელ.“ – დაუყვირა ნისანმა.

„ეს არ ნიშნავს გაქირავებას, – უთხრა იაელმა ნისანს, – საწყობი მივცეთ“.

„ეგ მყრალი ხვრელი თვეში ოთხას შეკელად?“

„დაასუფთავე თუ გინდა, – თქვა იაელმა, – შენ ნუ ჩაერევი.“ – სწრაფად მოუჭრა ნისანს, რომელსაც თვალზე ცრემლები მოადგა. ნისანს არ უტირია, როცა იაელს მამა მოუკვდა, არ უტირია, როცა ბენი ზღვაში დაეკარგათ.

არც მაშინ, როცა მისი მიცი საწამლავისაგან მოკვდა, რომელიც მუნიციპალიტეტმა ბუნკერებთან მოაბნია. ახლა ის მოულოდნელად ატირდა.

„საწყობი ეზოშია, ნისან.“

„ჩვენს ეზოში, იაელ.“

ჯიბეში ცხვირსახოცი არ ჰქონდა და ცხვირი ტუალეტის ქაღალდით მოიწმინდა, რომელიც მარმარილოზე იდო.

„არ ვიცით, საწყობში რა ხდება, ნისან. რა ჩვენი ბრალია, თუკი იქ ვილაც შევიდა? ჩვენს სიცოცხლეში არაფერი გაგვიგია და ესეც თვალით არ გვინახავს. ვის შეუძლია დაგვადანაშაულოს, ვის?“

„თაგვებისა და მეგაფონების გარეშე“, – უთხრა ორნამ იაელს.

„გადახდა წინასწარ, ნაღდი ფულით. არ მაინტერესებს, გქონდა თუ არა მუშაობა, ან ყურები სტკივა თუ არა შენს გოგოს“.

„იაელ. – შეეევედრა ნისანი, – იაელ. – შენი მშობლები საფლავში გადაბრუნდებიან“.

„ისინი ბედნიერ კუნძულზე არიან, ჩვენ კი აქ ნეხვში ესხედვართ“.

„მამაშენს შეეფიცე, რომ გაგიფრთხილდებოდით, ბენიზე იფიქრე, ის ცხრა წლისაა.“

„ბენი უკვე მთელი წელია მარგარინიან პურს ჭამს. ხალვის სენდვიჩი გავუკეთოთ, სკოლაში ვაშლი გავატანოთ, ეს საწყობია, ნისან.“

ორნა ჩაის მორჩა და ბედ ასი შეკელი დატოვა. კარში გასულს იაელმა დაადევნა: „მაიანს მოკითხვა.“

პარასკევ საღამოს ნისანი, ჩვეულებრივ, შაბათის ზეიმს აწყობდა ხოლმე. მთელი კვირის ჭურჭელს რეცხავდა, წმენდდა იატაკს, მაგიდაზე სუფრას აფარებდა, სანთლებს ანთებდა, კიდუშს ასრულებდა და ბავშვებისათვის მიჰქონდა ხმიადი და ქათმის წვნიანი ვერმიშელით. ჭამის

შემდეგ თავს ხელის გულზე ჩამოიდებდა და დააღი-ღინებდა ხოლმე: „მეუფეო მეუფეთაო“-სა და „კლდე ხარ, უფალო“-ს. ამასობაში იაელი ჭურჭელს რეცხავდა, ბენი კი ამშრალებდა. ნისანს თვალები თითქმის დახუჭული ჰქონდა, როდესაც „სულისა შენისა“-ს წამოიწყებდა ხოლმე. „ღამე მშვიდობისა, ნისან“, – ჩაიჩურჩულებდნენ ბავშვები და მისი ბინიდან გადიოდნენ.

სხვენზე ავიდნენ, მოაჯირზე ყუთი შემოდგეს და დაელოდნენ.

ეს ბენიმ აღმოაჩინა, რომ პარასკევ სალამოობითა და შაბათობით აქ სხვა ქალიშვილი ჩნდება ხოლმე. „უსმინე.“ – ჩაჩურჩულა მან ერთ შაბათს, როდესაც ეზოში ნაბიჯების ხმა გაიგეს. ორნას პაკუნი არ იყო, ლანჩების ფლატუნი იყო. როცა ქვემოთ ჩაიჭყიტეს სიბნელეში ორი სილუეტი გაარჩიეს. არცერთი მათგანი არ იყო პუტკუნა ქერა. „გვაჭამა.“ – ჩურჩულებდა ბრაზმორეული იაელი. გადაწყვიტეს ნისანისთვის არ გაემხილათ, რაც მოხდა: „იტყვის, მე თქვენ გითხარითო, და ორნას გააგდებს“. იაელმა კარადის თავიდან ხაფანგი ჩამოიღო და კვლავ დაიწყეს თაგვებზე ნადირობა. ახლა მათ ხუთი ჰყავდათ. სამი ყუთში ჩააგდეს, ორი კი ხაფანგში დატოვეს.

წყვილისათვის, ვიდრე საწყობში შევიდოდნენ, თავზე თაგვები უნდა დაეყარათ. ტყორცნა ზუსტი იყო. ორივე დაფეთებული შეხტა. ქალიშვილმა იკივლა, ბიჭმა შეიგინა და ეზოდან მოუსვეს. შაბათის მანძილზე კიდევ ორი თაგვი დაიჭირეს. უკვე თითქმის ათი საათი იყო და იაელმა ბენი საწოლისაკენ გაისტუმრა. თავად სხვენის იატაკზე იჯდა და ირმის ნახტომს შესცქეროდა. ამ დროს ფრთხილი ნაბიჯის ხმა მოესმა. პარასკევ-შაბათა მაღლა იყურებოდა სახლის ფანჯრებისაკენ და საწყობის მიმართულებით მიიჩქაროდა, მაგრამ ბიჭი დინჯად მიაბიჯებდა, და თაგვები თავზე ჯგროდ დაეყარა.

ორნამ დროეის სამი ღვეზელი მოიტანა, ყველით გამოტენილი. პარკი ნოტიო იყო, ღვეზელები – თბილი. „პირდპირ საცხობიდანაა“, – თქვა მან. ორი კვირის წინ მათ საჩუქრად პლასტმასის პატარა ყუთი მოუტანა. ყუთში ლაბირინთი და ვერცხლისფერი ბურთულაკები იყო, რომლებიც ხვრელებში უნდა მოგეთავსებინა. ხანდახან ზემოთ ამოდიოდა. ცოტას დაჯდებოდა, ჩაის დალევდა, გააბოლებდა, იჭორავებდა, ფერფლს ჭიქაში ჩაყრიდა.

„როგორ შეგიძლიათ აქ ცხოვრება, ამ სიჩუმეში“, – თქვა მან.

„სიჩუმე სასიამოვნოა“, – უთხრა ნისანმა.

„მეზობლები არ არიან, ბავშვები არ არიან“–

„ბავშვებს სკოლაშიც ხედებიან“.

„ვისი სურათია? დედ–მამაა?“

„დიახ“.

„დედას ჰგავხარ“, – უთხრა იაელს.

„მართლა?“ – იაელი განცვიფრებული იყო.

„რამდენი წლის იყავი, როცა ის გარდაიცვალა?“

„ექვსის იყო“, – თქვა ნისანმა.

„რით გარდაიცვალა?“

„გულით“.

„უცებ?“

„არა“.

მასაც ერთი ღრმული ჰქონია ლოყაზე შენსავით“, – გაულიმა იაელს.

„მაგას ის არ ახსოვს“, – ჩაერია ბენი.

„როგორ არ ახსოვს? მართლა არ გახსოვს?“

„მე მახსოვს, – თქვა ბენიმ, – ყვავილებიანი წინსაფარი ჰქონდა ნარინჯისფერი და მწვანე, რომელსაც მერე მამა იკეთებდა ხოლმე, როცა ჭურჭელს რეცხავდა.“

„სულ ორი წლის იყავი“, – უთხრა იაელმა ბენის.

„მე მახსოვს“, – ჯიუტობდა ბენი.

„არაფერიც არ გახსოვს“, – გაცხარდა იაელი.

„იქნებ მართლა ახსოვს“, – მიმართა ორნამ იაელს.

„მოეშვი მაგათ“, – შეუბღვირა ნისანმა ორნას.

„შენა სთქვი, რომ იაელი ექვსი წლისა იყო“.

„მოეშვი–მეთქი, გითხარი.“

ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ორნამ კიდევ ერთი სიგარეტი დააძრო.

„ისევ დაიწყეთ თქვენი სისულელეები?“ – მიუბრუნდა იაელს.

ბავშვები ღვეზელის ჭამას განაგრძობდნენ, ჩუმად ილუკმებოდნენ.

„გინდათ უბედურებას გადაეყაროთ?“

„რაშია საქმე?“ – იკითხა ნისანმა.

„წინასწარ გადავიხადე, არა?“

„ჩვენ შევთანხმდით, რომ შენ გამოიყენებდი საწყობს და სხვა არავინ“, – თქვა იაელმა.

„ჩვენ შევთანხმდით, რომ თქვენ საწყობს მომცემდით, მე კი თვეში ოთხას შეკელს გადაგიხდიდით.“

„ჩვენ შენ გენდეთ, შენ კი მოგვატყუე და აქ ათასი ოხერი შემოყარე“.

„რაშია საქმე? რაშია საქმე?“ – კითხულობდა ნისანი.

„პატარა დრაკონები კვლავ თაგვებს ისვრიან“.

„უფლება არა გაქვს, როცა მოგეპრიანება, აქ სხვა ხალხი მოიყვანო“, – ცხარობდა იაელი.

„რა ხალხი?“ – იყვირა ნისანმა.

„ერთი კახპა, რომელიც პარასკეობით და შაბათობით საწყობში მოდიოდა“, – თქვა ბენიმ.

„კმარა. მოვრჩეთ. მოვრჩეთ ამ ამბავს. – ნისანი ადგილიდან წამოვარდა, ხელი გაიშვირა და ორნას კარზე მიუთითა, – გაეთრიე. არავითარი საწყობი და არავითარი ოთახები. ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს, მორჩა.“

ორნა სიგარეტის წევას განაგრძობდა. ბავშვებიც ისევ ღვეზელით ილუკმებოდნენ. იაელის ყველში უცებ ტკბილი ქიშმიში აღმოჩნდა, რომელიც კბილებზე მიეკრო. ბენის პირში უყურებდა, რომ დაენახა, მასთანაც თუ იყო ქიშმიში. მაგრამ ბენი დინჯად შეექცეოდა და ყველამდე ჯერ არ მისულიყო.

„თეიური გადავიხადე, დღიური კი არა. და თქვენ ჩემს საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყოთ“, – უთხრა ორნამ ბავშვებს.

„საწყობი ჩემია, – თქვა იაელმა, – მე შენ მოგაქირავე. შენ არ გქონდა უფლება წასულიყავი და ის ვინმე სხვაზე მიგექირავებინა“.

„რას მიზავ?“

„თაგვები, მეგაფონები, მდუღარე წყალი, ძაღლის განავალი, ათასი რამე...“

„გული გამიხეთქე“.

„მაიანს ვეტყვით ყველაფერს“.

„მე თქვენ დაგხოცავთ.“ ორნას კვლავ სამურაის სიფათი ჰქონდა.

„მე ჩავშლი ამ „ბიზნესს“, – წამოიძახა ნისანმა, – მე.“ სახეზე კანი დაეჭიმა და ერთიანად გადაფითრდა.

„ნახე, რას უკეთებ ბავშვებს“, – ვედრებით მიმართა ორნას.

„მე არაფერს ვუკეთებ, ეგენი მიკეთებენ“.

„ბოლოს აქ ქურდები და მკვლელები მოვლენ. თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს უბედურება იყო. სამ დღეში პენსიას მივიღებ და ყველაფერს უკანასკნელ გროშამდე დაგიბრუნებ“.

„ასი შეკელი დაგიჯდება“, – უთხრა იაელმა ორნას.

„იაელ.“ – იყვირა ნისანმა.

„თუკი ის კვირაში ხუთი დღისათვის ოთხასს იხდის, მაშ მეორემ ასი გადაიხადოს ორი დღისთვის კვირაში“.

„მე არა ვარ თანახმა. თქვენი მეურვე ვარ და არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები, გათავდა.“

„შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, საწყობს ვინ გამოიყენებს?“

„საწყობს ვერავინ გამოიყენებს და მოვრჩეთ. მე თქვენზე პასუხისმგებლობა მაკისრია.“

„იაელს უნდა, რომ შენ ტელევიზორი გიყიდოს“, – უთხრა ბენიმ ნისანს.

„ბენი.“ – დაუყვირა იაელმა და თავში წამოარტყა. ბენის ღვეზელი ხელიდან გაუვარდა. იატაკიდან აიღო და ყოყმანობდა, გაეგრძელებინა თუ არა ჭამა.

„მე არ მინდა ტელევიზორი, – გააპროტესტა ნისანმა, – შენ გინდა ტელევიზორი? – ჰკითხა იაელს, – მე შენ გიყიდი ტელევიზორს“.

„საიდან?“

„ხვალვე წავალ ბაზრობაზე და ტელევიზორს მოვიტან“.

„შავ-თეთრს, – დაიჭყანა იაელი, – ჩვენ ახალს, ფერადს გიყიდით“.

„ზევით ადით.“

„მე ჩემსას გავიტან.“

„იაელ, გთხოვ.“

„ბენი. შენ ადი“. მან ქიშმიშს მიაღწია. გოგონა ამას ბენის ყბების მოძრაობით მიხვდა.

„გოგო მართალია, – უთხრა ორნამ ნისანს მას შემდეგ, რაც ბენი ოთახიდან გავიდა, – შენთვის რა მნიშვნელობა აქვს საწყობს ვინ იხმარს?“

„ხმას ნუ გამცემ, საერთოდ, მშვიდობით, ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ურთიერთობა, დავამთავრეთ.“

„ორმოცდაათი შეკელი“, – უთხრა ორნამ იაელს.

„ასი“.

„ასი მას არა აქვს“.

„მაშ სხვა ადგილი იპოვოს. უბანში კიდევ არის

მიტოვებული ეზოები“.

„თაგვებისა და მეგაფონების გარეშე“.

„იელ. მე ვიყიდი ახალ ფერად ტელევიზორს, გპირდები.“ – აღმოხდა ნისანს.

„ასი შეკელი“, – თქვა ორნამ.

ბენი მაიანთან წავიდა, რათა მასთან ერთად „ევფრატსა და ტიგროსს შორის“–ი ემეცადინა. მაშინ, როცა ბავშვები რვეულებს ჩაჰკირკიტებდნენ და გოგონასა და ოფოფის საუბრებს არჩევდნენ, იაელი და ორნა სამზარეულოში ისხდნენ და ერთმანეთში ათანხმებდნენ სახელოსნოს უკანა ოთახის ქირის პირობებს. ვიდრე მამამისი ცოცხალი იყო, ის ნისანის ოთახი იყო. ნისანმა თავისი ავეჯი ოთახში დატოვა და მათი მშობლების ბინაში გადავიდა. ფრთხილობდა, არაფრისათვის შეეცვალა ადგილი, თითქოს მოელოდა, რომ ერთ დღესაც გაცოცხლდებოდნენ და შინ დაბრუნდებოდნენ. „რიფათ დიფათ უმურიფათ – ხმიანებდა დერეფანში ბენის რიტმული დეკლამაცია, – ასე საუბრობდა ოფოფი: გავფრინდები ღამით ბიძაშენის სახლისაკენ და გავანდობ საიდუმლოს შენსას“.

„ესღა გაკლდა, – ფიქრობდა იაელი, – მარტო ეს გაკლდა.“

„ტელევიზორს თუ განვადებით იყიდი, – ეუბნებოდა ორნა იაელს, – პროცენტს გადაიხდი. ამქვეყნად ტყუილად არავინ არაფერს გაგიკეთებს. მხოლოდ ბრიყვები იხდიან ყოველთვის ძვირს“.

„მე ნაღდ ფულს გადავიხდი“. იაელი შეეცადა დაეანგარიშებინა, რა დრო გავიდოდა, ვიდრე მთელი თანხის შეგროვებას მოახერხებდა. ჯერჯერობით მას ხელთ ჰქონდა: ოთხასი ორნასი, ასი პარასკევ–შაბათასი და სამასი სახელოსნოსი.

„მოგაგონდება, რომ სახელოსნოს გასაღები გამიმრავ–ლო?“

„სამასს რომ ავიღებ, მერე“.

შუა სამოქალაქო სამართლის საფუძვლების გაკვეთილზე კლასში დირექტორი შემოვიდა და დებორა მასწავლებელს ყურში რაღაც უჩურჩულა. ორივემ იაელის მხარეს გააპარეს მზერა. სახეები დაცლილი, ჩამოღვენთილი ჰქონდათ, თითქოს ძვლები შიგნით შევარდნოდათ და მხოლოდ თვალები დარჩენილიყო ქუთუთოების სუსტსა და ფერმკრთალ კანზე დაკიდებული. ასე უმზერდნენ ისინი მაშინაც, როცა მამა გარდაეცვალა.

იაელი შინ მაშინ მივიდა, როცა მეხანძრეები საქმეს უკვე მორჩენილიყვნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნისანმა შიგნიდან წაუკიდა სახლს ცეცხლი. დეიდებმა განაცხადეს, რომ ეს მოსალოდნელი იყო, და რომ ეს კაცი არ იყო გაწონასწორებული, საღი გონების, ლტოლვილი იყო ოგი, საცოდავმა ცოლ–შვილი იქ დაკარგა. „ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, წმინდა ეალია, – ეუბნებოდნენ ისინი ქალბატონ ბირგერს, რომელიც დამწვარი შენობის პირდაპირ იდგა თავისი ორი მურალი ძალლით. – მართლაც, სხვა გამოსავალი არ იქნება, მაგრამ ვეცდებით, ისინი ერთისა და იმავე ინტერნატში გავამწესოთ. კარგი ბავშვები არიან, იქნებ რომელიმე კიბუცი მათ მიღებაზე დასთანხმდეს. წიწილები ცდილობენ ჯიუტად ერთად დარჩენას. ეს მადლია მათთვისაც და მათი განსვენებული მშობლების ხსოვნისთვისაც. საკმარისად იტანჯეს პატარებმა. იმაზე, რაც მათ დედის ავადმყოფობის გამო გადაიტანეს, უმჯობესია, თუ არ ვილაპარაკებთ.“ ნისანს, – მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ობლებზე ხელი არასოდეს აუწევია. მეხანძრეები ჰყვებოდნენ, რომ ეზო ვირთხებითა და გველებით იყო სავსე. შეგვინდოს ღმერთმა, მაგრამ ეს სახლი, ამბობდნენ დეიდები, საბედნიეროდ დაიწვა.

# ბარაზანი

## I

მესამედ იყო, ლიბანში რომ გავედით. ბარაზანისთან ერთად მსურდა შეკრების პუნქტში მივსულიყავი. მის რკინეულობის მაღაზიას მივადექი და კარს ეუბიძგე. მტვრის ბოლქვებმა ცხვირი გამიჭედა, მჭახე ხმაურმა ჰაერი გააპო: განცხადება, რომელიც კარზე ეკიდა, გაიხა. მაღაზია'ში სიწყნარე იყო, მხოლოდ დარბაზის ბოლოდან მოდიოდა ყრუ ხმაური.

ამობრუნებულ ყუთზე ჩამოვჯექი და დაველოდე. მარტოს არ მიყვარდა საწყობის ბოლოში გასვლა. მხოლოდ ერთხელ შემიყვანა იქ ბარაზანიმ. ძველი შუშის კარადის თაროებზე ნაირგვარი მონეტები ეწყო: ბარ–კოხბას[32] პერიოდის, მონეტები გერმანიისა თუ იტალიის რომელიღაც ქალაქიდან, სადაც ოდესღაც ებრაულ ფულს იყენებდნენ, მონეტები სპარსეთიდან, ერაყიდან, მანდატის[33] პერიოდისა და სახელმწიფოს პირველი წლებისა.

ჩემს გვერდით დაბალი მაგიდა იდგა. მაგიდაზე გაბზარული 'შუ'შა იდო, მის ქვეშ კი ბარათები, გაზეთის ამონაჭრები და ფეხბურთელთა მტვრიანი სურათები იდო. შუშაზე სპორტლოტოს ახალი და ნახმარი ბლანკები ეყარა, სადაც გამორიცხული ვარიანტები ფანქრით იყო გადახაზული. მაგიდის კუთხეში ძველი ფირფიტების გროვა ეწყო. ყავის ფინჯანი, რომელსაც ორთქლი აღარ ასდიოდა, ნახევრად სავსე, ფირფიტებზე იდო. იონა ბარაზანის, ჩვეულებისამებრ, დაავიწყდა მისი დამთავრება. დახეული ტილოები, გაქონილი, ჭუჭყიანი, ოფლიანი ტანსაცმელი იატაკზე ეყარა. მწყურდა. მაგრამ გამოვიდა

ბარაზანი საწყობიდან და თქვა, გავემგზავრეთო.

„რა გამგზავრებაზეა ლაპარაკი, – ვუთხარი მას, – ხომ პარკში გველოდებიან, ის კი ფეხით ხუთი წუთის სავალზეა“.

„ეოლეოთი წასვლა გადავწყვიტე, როგორც კარგ დროებაში“.

„გაგიჟებულხარ.“ ჩემოდანი ტროტუარზე დავდგი. „ლიბანი – ეს კარგი დროება არ არის. არავინ შეგიშვებს“.

„სისულელეა, ამას წინათ გზას მივაგენი“.

„მომხედე, ბარაზანი, ვუთხარი მშვიდად, გეუბნები, ეს აკრძალულია, და არ დაგავიწყდეს, რომ მე შენი ოცეულის სერჟანტიცა ვარ“.

„წუწუნი არ გვინდა. მარტო ის რომ გაგვეკეთებინა, რაც ნებადართულია, დღეს სად ვიქნებოდით?“

„მე არა ვხუმრობ, ისედაც საკმარისი პრობლემები გვაქვს“.

„ყველაფერი მოვამზადე. გუშინ არსენალში ვიყავი. მთელი ეკიპირება, ჩემიც და შენიც უკვე ჩავაბარგე. მოდი, ნუ ბავშვობ, ჩემოდანი მომეცი.“

ბარაზანი ასეულში ყველაზე სტაჟიანი ჯარისკაცი იყო, ალბათ ორმოცდაცხრა წლისა. ულვაშები, შავი თმა, თეთრი თმა, მხოლოდ სახე ჰქონდა მუდამ შაგგვრემანი, დაღარული და მკაცრი. ჩემოდანს დასწვდა, კარისკენ მიბრუნდა და წამოიძახა: „ვინ დამიხია ისევ ცხრილი?“

ეს გახლდათ იერუსალიმის „ბეითარის“ უახლოესი კვირების თამაშის ცხრილი. ნახევის შეერთებას შეეცადა. მერე ცხრილზე მიუთითა და თქვა: „ორი კვირის თავზე თამაშს ვაცდენ. ეს მაინც სუსტი გუნდია და მასთან არც გასვლითი თამაში იქნება პრობლემა. მაგრამ ამ შაბათის თამაშისათვის, ჩაინიშნე. მე ახლავე გეთხოვები. ქვარ–საბას „ჰა–ფოელის“ წინააღმდეგაა და ჩვენ პირველ წრეში წაგებისათვის ჯავრი უნდა ვიყაროთ.“

ვიცოდი, რომ არსებითად მიბრძანა შინ გამეშვა. ბარაზანი „ბეითარის“ ერთგული გულშემატკივარი იყო, ფულს სწირავდა, რკინეულობის მაღაზიიდან სტადიონზე ჭრიალები მიჰქონდა, ყოველი თამაშის შემდეგ ხმაჩახლეჩილი ბრუნდებოდა. ერთადერთი, რისიც არ სწამდა, მტრედების გაშვება იყო, მტრედები ფეხბურთთან რა შუაშიაო.

„ვითომ რატომ?“ – ვკითხე მე. კარის ზღურბლთან ძველი პროგრამებისა და ფოტოასლების, ჟანგიანი შურუპებისა და საყვირების გროვა იყო.

„იმიტომ, რომ მტრედი ფეხბურთთან არაფერ შუაშია. გუნდშიც მაქვს ამაზე კამათი“. მან გროვას ფეხი წაჰკრა და დახეულ-დაგლეჯილი ყოველკვირეული ჟურნალი ჩემს ჩემოდანზე დაეცა.

„შინ წახვალ, – ვუთხარი მას, – მაგრამ ახლა, მოდი, პარკში ფეხით წავიდეთ და ადამიანურად ჩავსხდეთ ავტობუსში“.

რკინეულობის მაღაზიის კარი დაკეტა, ქვის კიბეებით ტროტუარზე ჩამოვიდა, საბარგული ახადა და შიგ ჩემი ჩემოდანი ჩატენა. ჩვენი ტაბელური იარალი, რომელიც იქ იყო, სალონში გადმოიტანა. „პირობების გარეშე.“ – თქვა მან. მთავარ ქუჩაზე პოლიციის მანქანა კიოდა. ფალაფელის ფარდულიდან ზეთის, ხახვის, ნიორის და ცხარე სანელებლების შერეული სუნი გამოდიოდა. იონა წამით ფარდულთან შედგა, მომაჩერდა და მითხრა: „მონეტა ავაგდოთ, თუ მოიგებ, აღარ წავალთ მანქანით, ავტობუსით წავალთ“.

ვიცოდი მისი მონეტების ამბავი. იგი მანდატის პერიოდის მონეტის აგდების დიდი ოსტატი იყო. იცოდა, მონეტისაკენ როგორ აექნია ხელი და როგორ დაეჭირა. სიგარეტი ამოვიღე, ასანთს მოვუკიდე და ვთქვი: „ეგრე იყოს.“ ბარაზანიმ მარჯვენა ჯიბე მოიქექა და მკითხა: „ხე თუ პალესტინა?“

„პალი იყოს.“ – ვთქვი მე.

ჯიბეებში ქექვა განაგრძო. მერე მარცხენა ჯიბიდან მომწვანო სპილენძისფერი მონეტა ამოიღო. ჩემს თვალწინ აათამაშა. ტუჩები მოკუმული ჰქონდა. ცერი აჰკრა და მონეტა მაღლა ააგდო. მონეტა აფრინდა, დაბზრიალდა, კინაღამ ხის ტოტებს მოხვდა, ჩვენ რომ გვაჩრდილებდა, და უკან იწყო დაშვება. დავინახე მისი დაჭიმული ტუჩები, მოელვარე ლურჯი თვალები, მონეტას გადეენებული წელში მოიხარა, მომართული ხელი წინ გაიწოდა. როდესაც ნახევარი მეტრი დარჩა მონეტის მოლწევამდე, ბარაზანიმ ხელი მომკელის მოძრაობით მოიქნია, კამარა ნახევრად მოჭრა, აცალა, მერე ეცა, და მონეტა მუჭში მოაქცია. სიჩუმე ჩამოვარდა, სახე დაჭიმული ჰქონდა. გაიმართა, ხელი გაშალა. შვიდი ფოთოლი იმზირებოდა მომწვანო ობიდან, რომელსაც მონეტის ზედაპირი დაეფარა.

„მანქანით მივდივართ, – თქვა ბარაზანიმ, – ხე იყო“.

ჩიხში ციემა ქარმა წამოუბერა. ვოლვოში ჩავსხედით. მან გათბობა ჩართო. მანქანა მთავარ ტრასაზე გავიდა და შეკრების პუნქტს მიადგა.

„რა მოხდა?“ – ვიკითხე მე.

„წადი, ნახე, ყველა თუ მოვიდა.“

ცოტა მაღიზიანებდა, ის მუდამ რომ ცდილობდა ჩემი ცხოვრება ემართა, მაგრამ მასზე გაბრაზება არ შემეძლო.

ორი ავტობუსი უკვე გაემგზავრა. ბოლო ავტობუსი დარჩა დაგვიანებულთათვის.

„პრინციპში ყველა აქაა, – თქვა ასეულის უფროსმა სერჟანტმა, – რამდენიმე გზაში და ნაკურაში შემოგვიერთდება. თქვენ რა გაწუხებთ, ბიჭებო?“

„ჩვენ ვოლვოთი წამოვალთ“, – უთხრა ბარაზანიმ.

„როშ–ჰანიკრაში მოგიხდებათ მაგის დატოვება“.

ბარაზანი გაჩუმდა.

უფროსი სერჟანტი ავტობუსის საფეხურზე ავიდა. ხალხი კვლავ გადათვალა და თქვა: „შლომის გარდა ყველა აქაა“.

„შლომი დაიგვიანებს“, – ვთქვი მე.

„საიდან იცი?“

„როგორც ყოველთვის, პრობლემები გოგოსთან...“ მაგრამ ვიდრე სიტყვას დავამთავრებდი, დავინახე იგი ტრასაზე მორბოდა, ზურგჩანთა ზურგზე ულაყლაყებდა. დროდადრო ჩერდებოდა, უკან იხედებოდა, და მერე ისევ გამორბოდა. ერთი თასმით ჩამოკიდებული ყავისფერი მაღალყელიანი ფეხსაცმელი ჩანთის ზურგზე დაკონწიალებდა.

## II

საქარე მინის ძირში, სპიდომეტრის ზემოთ ძველი ოჯახური სურათი იყო მიკრული. ბარაზანი – ნაკლები ნაოჭებით, შავი თმით. ცოლი – მსუქანი, გრძელი და ხვეული თმით, ტუჩები პომადით ჰქონდა გაგანიერებული და ჩამუქებული. სახე – სწორი და ნათელი. სამი ბავშვი. დიდი უკვე ცამეტისაა, სწორი, ქერა თმა ცისფერ თვალებზე ჩამოფხატოდა. ქალიშვილი წითელ შოტლანდიურ კაბაში პაწაწა, თმახუჭუჭა ბუთხუზა ბიჭუნას ეხვეოდა.

ბარაზანი სურათს მიაშტერდა, და მანქანამ ბორდიუ-რისაკენ გადაუხვია. ბორბლები ქვების მწკრივზე შეხტა, და როცა ტრასაზე დაბრუნდნენ, ბარაზანიმ კასეტა გამოიღო და მაგნიტოფონში ჩადო. ეს იყო საცეკვაო მუსიკა, რომელიც ცაჰალის[34] ტალღების პროგრამიდან იყო გადმოწერილი. კვლავ სურათს მიაჩერდა. მინა დაითრთვილა და წუთით საწმენდები ჩავრთე. ბარაზანიმ გამორთო და თავის უფროს ბიჭზე მიმითითა: „უკვე ჩვიდმეტ-ნახევრისაა, ნახევარი წელიც და, ეშმაკმა დალახვროს, უკვე ჯარში წავა. ეს კასეტები მან ჩამიწერა,

ახლა შლომის შეხედე. წელიწადია, რაც გათავისუფლდა და ისევ შუბლზე თმაჩამოფხატული ბიჭუნაა, სულ ერთ შარვალში რომ დადის“.

„თუ ძმა ხარ. შლომი უკვე წელიწადია, რაც თავისუფალია და ჯერ კიდევ არ მუშაობს. თავის გოგოსთან მუდამ პრობლემები აქვს.“

„ჩვენ არა გვაქვს პრობლემები? ამიტომაც მიყვარს ის, და არა აქვს მნიშვნელობა, თუკი ის ქვარ–საბას „ჰა–ფოელს“ გულშემატკივრობს, რომელმაც 75–ში თასი წაგვართვა. ამისთვის მაგას გავუსწორებ ანგარიშს“. სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან, რომელიც ხაკის პერანგის ჯიბეში ედო.

„არაფერი ემახსოვრება, მაშინ ის ბავშვი იქნებოდა.“

„ბავშვი რომ იყო, იმიტომ ემახსოვრება. ბავშვს არასოდეს დაავიწყდება ასეთი თამაში.“ მანქანის სანთებელა ჩავრთე. შევამოწმე, და როცა წვრილი სპირალები აალდა, სიგარეტთან მივუტანე. ბარაზანიმ კვამლი გადაყლაპა და ჩაახველა. სანთებელა თავის ადგილას დავდე. „ფეხი აიღე“, – იყვირა მოულოდნელად. სიგარეტის ფერფლი შარვალზე დაეყარა. ბოლმა სახე დაუფარა და მე თვალები დამწვა. „ვერა ხედავ, რომ ჩემს პროგრამას თელავ?“ იგი უნიკალური ფოტოასლი იყო. აეიღე და უკანა საჯარძელზე გადავაგდე. გადაეფარა ძველ კვირის ჟურნალებს, სპორტულ გაზეთებს, უნივერმაღის ცარიელი პროდუქტის პარკს, ხის ღია ყუთს. ყუთში შურუპებს, ბრტყელტუჩებსა და სხვადასხვა სახრახნისებს შორის ლუდის რამდენიმე ცარიელი და საესე ქილა იყო. ბარაზანი ქილას დასწვდა და მომაწოდა. „დალიე რამე“, – მითხრა.

როშ ჰანიკრას გადასასვლელს მივუახლოვდით და ერთ–ერთ ფარდულში ცხელი რამის დასალევად ჩავედით. სატვირთო მანქანები, ჯავშანმანქანები, ტანკები და M-

113-ბი ირეოდნენ ფრიალო კლდის თავზე მოედანზე, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა. ჯარიკაცები დაბორიალობდნენ და უჩინარდებოდნენ ვიწრო ჩიხებში, რომელიც წარმოქმნა უამრავმა სატრანსპორტო საშუალებამ: კერძო მანქანებმა, ჯიპებმა, ოფიცერთა ლენდროუერებმა, მერსედესის მასიურმა ავტომობილებმა, რომლებიც მწვანე, ლიბანურ ნომრებს ატარებდნენ. სერჟანტი დადიოდა მანქანებს შორის და შესვლის ნებართვას ამოწმებდა. კიოსკიდან დავბრუნდით. პოლიციელი ადგილიდან არ დაძრულა. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა ბარაზანიმ გვერდით ჩაუარა, ჰკითხა: „შენი ნებართვა სად არის?“

„ერთი წუთით“, – უთხრა ბარაზანიმ მანქანის კარი გააღო, დაიწყო ქექვა მძღოლის ჩანთაში, და როცა იფიქრა, სერჟანტი არ მიყურებსო, პერანგის ჯიბიდან გამოძახების ბრძანება ამოაძვრინა, გაასწორა და გაუწოდა.

„ეს გამოძახებაა. მე ეს არ მიგულისხმია. ნებართვა მინდა. სერჟანტი მანქანას მიეყრდნო. თვალები ჯერ კიდევ წირპლებით ჰქონდა სავსე.

„რა, ეგ არ არის? ჩვენი მეთაურის განკარგულებაა, რომ კასმიეს ხიდზე შევხვდეთ, მე უნდა დავიძრა. აქ უკვე მეათედ გაედიეარ“.

„ეს ნებართვა არ არის. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, კერძო მანქანებს შიგნით შესვლის უფლებას არ აძლევენ.“ სერჟანტმა ჩამოიეარცხნა ულალი წვერი, რომელიც ქამარიეით შემოხვეოდა სახეზე. ძველი სამხედრო ფორმა ეცვა, სახელოზე მყვირალა საკერებელი ედო.

„ყოველდღე ცვლით აქ კანონებს“, – თქვა ბარაზანიმ. უკნიდან მანქანები ასიგნალებდნენ. „მე აქ პირველად არ გავდიეარ“.

„გვერდზე გადადექი“, – უთხრა სერჟანტმა.

„საერთოდ როგორ გინდა დავიძრა“, – თქვა ბარაზანიმ. ჯარისკაცებით სავსე მანქანები და ავტობუსები ყველა

მხრიდან გველობებოდნენ.

„გვერდზე გადადექი“, – გაიმეორა სერჟანტმა. რაღაც ანიშნა ჯიპის მძღოლს, რომელიც ჩვენს უკან იყო. „პოსტის უფროსს მსურს დაველაპარაკო“, – უთხრა ბარაზანიმ სერჟანტს. სიგარეტი დამოკლებოდა, ფერფლის კუდი დაგრძელებულიყო და თითქმის ტუჩებამდე აღწევდა. ბარაზანიმ კიდევ ერთი ნაფაზი დაარტყა. ფერფლის ფურჩალა გაწითლდა, შარვალსა და ძველ ფეხსაცმელებზე დაეფერფლა.

„ეგ ვერ უშველის, – თქვა ულალმა. შემდეგ პოსტზე ისევ ამოწმებენ, იქ არ გაგიშვებენ“.

„შანსი მომეცი, ვცადო“, – უთხრა ბარაზანიმ.

„რატომ უნდა თქვან ჩემზე, რომ ერთადერთი ვარ, ვისი გაცურებაც შეიძლება?“

მიუხედავად იმისა, რომ ცივი ქარი უბერავდა, მეჩვენებოდა, რომ ბარაზანის შუბლის ღარებზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მაგრამ ის ცარიელი იყო. მოისროლა. მოულოდნელად გაიღიმა, გაიცინა და თქვა: „კარგი, შენ შენი საქმე უნდა გააკეთო. მაშ, გზა მაინც გამითავისუფლე, აქედან რომ გავაღწიო“. მომიახლოვდა და წყნარად მითხრა: „არ გამოვა, დავბრუნდეთ.“

„მოდი, ჩვენს ავტობუსს დაველოდოთ“, – ვთქვი მე.

„ვიდრე ავტობუსი მოვა დაკუტდებით. მოკლედ, მაგათ უნდათ, რომ ვაჭამოთ. თავიანთ თავს დააბრალონ“.

ის ერთი წუთით კიოსკში შებრუნდა სიგარეტის საყიდლად. მე კი უსაქმურობისაგან მძღოლის ჩანთაში ვიქექებოდი. უხეშად ამოგლეჯილი საგაზეთო სტატიის ნახევი ჩანთის სახურავის შიდა მხარეზე იყო მიკრული: „უამრავ ისრაელელს შორის, რომელთაც ხევრონი ჩაძირეს, იყო აგრეთვე ანტიკვარიატის ცნობილი ვაჭარი იერუსალიმიდან. მახფელას მლვიმის გვერდით ტაქსი

დაიჭირა და მძღოლს სთხოვა ანტიკვარიატის მაღაზიაში წაეყვანა. მანქანა ჩიხებში მიიკვლევდა გზას, და როცა იერუსალიმელმა ვაჭარმა შეატყო, რომ ისინი ხევრონს გასცდნენ და თავი შუაგულ იუდას უდაბნოში ამოყვეს, ში'შმა შეიპყრო. მიუბრუნდა ხევრონელი მძღოლს და ჰკითხა: საით მიემგზავრებით? ხევრონელმა მზერა შეავლო მდიდრულად გამოწყობილ იერუსალიმელ ვაჭარს და თქვა: არ მეგონა, რომ მხოლოდ ანტიკვარიატის მაღაზია დაგაინტერესებდათ. მსურდა იმ ადგილას წამეყვანეთ, სადაც მათ ჰქმნიან."

ღრუბლები მოაცილებდნენ ზღვის აზვირთული ტალღების ქაფს როშ ჰანიკრას ფრიალო კლდეების საპირისპიროდ. მაგრამ გათბობის, კომბინიზონისა და კვამლის გამო, რომლითაც მანქანა გაბუღულიყო, მცხელოდა. გავოფლიანდი. არ ივარგებდა მანქანიდან გადმოსვლა და ავტობუსს დალოდება. ავტობუსები მუდამ ნელა მოძრაობდნენ და გზაჯვარედინებზე კიოსკებთან აჩერებდნენ ხოლმე. სხვა გზა არც იყო, როგორც იქნა ბარაზანიმ კენჭისყრა მოიგო...

წვერგაუპარსავი იყო. მანქანაში ჩაჯდა. სიგარეტს ისევ მოუკიდა და ისევ ჩართო მაგნიტოფონი. მანქანა ალივსო გვიანი ღამის საათების მარტოსულის მელოდიებით. ჩრდილოეთის ტრასის გზაჯვარედინისაკენ დავბრუნდით. ვიდრე ჩავუვლიდით და უკან მოვიტოვებდით, მოულოდნელი ნოსტალგია მომეძალა ამწვანებული მინდვრების, ხეხილის ხეთა სწორი ხეივნების, მრგვალი ბეტონის აუზის, რომელიც მოშავის ქედის თავზე იყო წამოშვერილი. ხანითას რაიონში საზღვრისაკენ გადავუხვიეთ. ღობე იქ ერთიანად მორღვეული იყო. დროდადრო ერთეული მანქანა ჩაგვიელიდა ხოლმე, თან მტვრის კორიანტელი მოჰყვებოდა. მერე ცხრებოდა მტვრის ბული, ძირს ეშვებოდა და დაბალ ბუჩქებს ეფინებოდა. კვლავ შევხედე ბარაზანის

ოჯახს, რომელიც ჩვენს პირდაპირ იყო გაკრული. ისიც თითქოს მტვრით დაფარულიყო. შორს, მთაგრეხილზე არაბული სოფელი იყო, რომლის სახელი არ ვიცოდი. გზის მარჯვენა მხარეს მიტოვებულ სკოლაში ბავშვები ძველ ავტომობილს მართავდნენ, ხეებსა და კალათბურთის გადატეხილ სვეტებს შორის დაჯაყჯაყებდნენ. ნელი სიმღერები იყო. ბარაზანიმაც წაიღიღინა რაღაც. გზაში რწევამ ძილი მომგვარა და ჩავთვლიმე.

„ლა–კომპარსიტა“ – გამომაღვიძა ყვირილმა, რომელმაც მანქანა გამოჭედა. ფეხი გავშალე, გავიზმორე, დავამთქნარე და ბარაზანის გადავხედე. თავი ჩემსკენ მოაბრუნა, თვალი ჩამიკრა და გაიცინა. ღაწვები გამოებერა, ტუჩები დაეწელა. სურათს ისევ შეხედა და თითებით მტვერი გადააცალა. მაგნიტოფონი აღარ უკრავდა. ფანჯრები დაკეტილი იყო. თხა ვეღარ მათბობდა და მეც სიგარეტი ავიღე.

„ძველი მელოდიები მიყვარს“, – თქვა ბარაზანიმ.

„მე მათ არც კი ვიცნობ“, – ვთქვი მე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ „ლა–კომპარსიტა“ ძველი ტანგოა, ორმოციანი წლების დასაწყისის, შეიძლება უფრო ადრინდელიც. დაზვერვის ჯიპი ჩვენს საპირისპიროდ მოჰქროდა. მისგან დაყენებული მტვრის ბულის კვალდაკვალ ძველი სამხედრო სასწრაფო დახმარების მანქანა მოდიოდა, სასწრაფო დახმარებას უკან მოჰყვებოდა ჯავშანტრანსპორტიორი, სადაც ჩაფხუტიანი ჯარისკაცები ერთიერთმანეთზე ისხდნენ. ცაზე შავი და რუხი ღრუბლები იყო. ჩრდილოეთის ქარი მშრალ ნაკადს სცემდა ავტომობილის საქარე მინას.

„სასწრაფო დახმარება ნიშანია, რომ შანსი კიდევ არის“.

„რატომ გგონია?“

„იოელი ვერტმფრენით წაიყვანეს“.

წამოწინწკლა. მტვრით დაფარულ კაპოტზე მსხვილი წვეთები დაეცა. ბარაზანიმ რაღაც ჩაიბურტყუნა. მისი მზერა გზას იყო მიჯაჭვული, და მეჩვენებოდა, რომ ის ისევ ყვიროდა: „ლა–კომპარსიტა“.

## III

დაბალი ხიდი გავიარეთ. მის გვერდებზე უნაყოფო ალუბლის ბუჩქები იყო ჩარიგებული. ბარაზანი დაიხარა, M–16 სავარძლიდან გამოაცოცა. მანქანამ გზიდან გადაუხვია და წამით გაჩერდა. კაპოტს ჩიტი გაედო, მაგრამ ფრენა განაგრძო. ბარაზანიმ M–16 გვერდით დაიდო და ფანჯარა ჩასწია. ჩიტმა თავზე გადაუფრინა. „დაიდე შენი „უზი“ მუხლებზე“, – მითხრა მე.

არ მიპასუხია. „არ გეხუმრები, მუხლებზე დაიდე“, – გამიმეორა მან.

შორიდან დავლანდე ნაბატიის მეჩეთების მწვანე თაღები. ჩემი უზი უკან ეგდო გაზეთებს, პროგრამებსა და პაკეტებს შორის. ჩემსკენ მოექაჩე. როცა თავი წინ მოვაბრუნე, კვლავ თვალში მომხვდა ბარაზანის ოჯახური სურათი, მისი უფროსი ვაჟის სწორი ქერა თმა.

„ის მართლა ჰგავს შლომის“, – ვთქვი მოულოდნელად. შარვალზე, მუხლის თავზე „უზი“–დან გამონადენი ზეთის მუქი ლაქა ფართოვდებოდა. ბარაზანიც მიაჩერდა სურათს და ჩაიცინა. სახეში ძლიერი სიმყრალე გვცემდა. ანზარში ვიყავით. გავიარეთ პოსტი სოფლის თავში, კოლონიას შემოვუარეთ. ქარს კვლავ მოჰქონდა სუნი კანალიზაციისა, რომელიც კოლონიის სიგრძეზე მოედინებოდა.

მუხლუხებიანმა მანქანამ ჩაგვიარა. ეოლეოს ფანჯრებს ავუწიეთ და ბარაზანიმ თქვა: „იქნებ ჩამოვხტეთ ნაბატიაში, რამე ვიყიდოთ.“

„საქმეს უნდა მივხედოთ და ორგანიზება დავიწყოთ“–

ვთქვი მე.

„დრო გვაქვს, ვიდრე ისინი მოვლენ. მარტო ნაკურას საცობიდან გამოსვლა საათების ამბავია. ნახე, რას ჰგავს ჩემი ფეხსაცმელები. მე აქ ერთი–ორი წყვილი უნდა ვიყიდო.“

ჭალარა, თხელ–ნაცრისფერულვაშიანი კოლონიის უფროსი ბარაკებს უვლიდა გარშემო, და როცა ჩვენ დაგვინახა, შესძახა: „ბარაზანის გაუმარჯოს. ისევ ვოლეოთი ხარ? ერთ დღესაც აგწევენ. უკან დამალე, საპატიმრო საკნის უკან.“

„ჩვენი სახლეული სად არის?“ – ჰკითხა ბარაზანიმ.

„იქ, კოლონიის ბოლოში, ბროკებში.“

„გაქვს რამე ცხელი დასალევი?“

დავიძარით. ბარაზანი ბარაკებს შორის წრეებს უვლიდა და ბოლოს ბოლოსწინა ბარაკთან შეჩერდა. „ამ ოთახში შევიდეთ. ეს ბოლოშიცაა და არც მთლად ბოლოშია. მანქანაც შეიძლება ამ ორ ბროკს შორის დააყენოს კაცმა.“ მანქანაში ჩაჯდა, მოაყენა და საბარგული ახადა.

ავტობუსები მოვიდნენ.

შლომი პირველი ჩამოვიდა და ბარაზანის მანქანისაკენ გამოქანდა, ჩემთან მოვიდა და მითხრა: „შაბათს უნდა გავთავისუფლდე“. ქოშინებდა. თვალები ჩასწითლებოდა. თმა გაბურძგნული ჰქონდა და მტვრის თხელი ფატით დაფარული. M–16 მხარზე დაუდევრად მოეგდო. ხელში გაზეთი ეჭირა.

„ერთი წუთით, – ვუთხარი მე, – ჯერ არ მოვწყობილვართ, ოთახებში არ შევსულვართ, არაფერი გაგვიკეთებია და უკვე გათავისუფლებაზე ლაპარაკობ?“

„რასაც მთხოვ, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ შაბათს უნდა წავიდე“. დაღრეჯილს ქარი თმას უწეწავდა.

„რაშია საქმე?“ – ვკითხე მე. მაგრამ ის დუმდა. ლიბანში როცა პირველად ვიყავით, მაშინაც მთხოვა

გაშვება. მაშინ, რაც მართალია, მართალია, გვიამბო პრობლემებზე თაეის გოგოსთან. იმხანად გოგო საფრანგეთში იყო, და ეს მართლა უბედურება იყო.

„დაბრუნდა?“

„კარგა ხანია. მე უნდა წავიდე, დამიჯერე.“

„მესმის. მაგრამ რაღაც განაწესს ნაღდად შემოიღებენ, და შენც სათვალავში უნდა გვყავდე“.

ავტობუსში უნდოდა აბრუნება ჩანთის ასაღებად, მაგრამ ყველა ერთდროულად ჩამოდიოდა. იჭყლიტებოდნენ, ისრისებოდნენ და იგი გვერდზე გადგა საჭურელის გროვასთან, რომელიც ავტობუსის სახურავიდან გადმოზიდეს. გაზეთი, რომელიც ხელში ეჭირა ქარმა გაიტაცა და დაქსაქსა. შეეცადა თაეი მოეყარა ფურცლებისათეის, მაგრამ ისინი დაიკუჭნენ და ზოგიერთი დაიხა კიდეც. ჩანთები მიწაზე დაყარეს. ვილაცამ ყეირილით იკითხა, თუ შეიძლებოდა მათი დალაგება როგორც საჭირო, რათა ტალახში არ ამოსერილიყო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. მხოლოდ შლომი მივიდა მასთან. სიგარეტი გამოართვა. ასანთის მესამე ღერზე მოახერხა მოკიდება. სიგარეტი პირიდან გამოიღო და ორი თითით დაიჭირა, თითქოს პირველი სიგარეტი ყოფილიყო, რომელსაც ის ცხოვრებაში ეწეოდა.

ბარაზანი ოთახში მოეწყო. ტყეია-წამლის ძველი ყუთი ნახა და საწოლის პირდაპირ დადგა. შემდეგ პერანგის ჯიბიდან დაფლეთილი წიგნაკი ამოიღო და შაბათის თამაშებთან დაკავშირებით სხვადასხვა გათვლებს აწარმოებდა.

„სპორტლოტო შეავსე?“ – ეკითხე მე.

„ეს სხვა საქმეა, სპორტლოტო სხვა ამბავია“.

შემდეგ იარაღი გავწმინდეთ და საღამოს პირველ დაზვერვაზე გავედით. როდესაც ნაბატიაში გავიარეთ, ბარაზანიმ ისევ ფეხსაცმელები ახსენა.

„ვერა ხარ კარგად “, – ვუთხარი მე.

„რა მოხდა?“

„ტუფლებით დაზვერვაზე ვინ დადის? ბათინკები ჩაიცვი“.

„ბათინკს ვერ ვიცვამ“.

ფეხსაცმელები, რაც ეცვა, გაცვეთილი და პირდაღებული იყო. პაწაწა ეკლები წინდებსა და შარვლის ტოტებს მიკრობოდნენ.

მეორე დღეს, დილით საგუშაგოებმა გაგვიშვეს. დარჩენილებს შეეძლოთ შუადღემდე სძინებოდათ. ბარაზანიმ ადრე გაიღვიძა. ნაბატიაში გაემგზავრა და ჩამოიტანა იქიდან ფეხსაცმელები ბავშვებისათვის, თავისთვის, ასევე ჩუსტები ცოლისთვის. შორიდან, სახლების სახურავებზე დავინახე შავი დროშები და დიდი სურათები რომელიღაც იმამისა, რომელიც ლიბიაში გაქრა. გამახსენდა მათი თვითგვემა შარშან ქუჩებში.

„რაღაც დღესასწაული აქვთ, – ვუთხარი ბარაზანის, – იქით არ უნდა გასულიყავი“.

„რაც ეგენი ვაჭრობენ, მათი მყიდველი ვარ. მოხერხებულიცაა და იაფიც“. შლომიც ჩამოვიდა ოლვოდან. მას ხელში წითელი ძაფით მოქარგული პერანგი ეჭირა მწვანე და თეთრ ფერებში.

„ეგეც უნდა გაუშვა შაბათს“, – თქვა ბარაზანიმ.

„მითხრა. მაგრამ ამას დასასრული აღარ აქვს. გარდა ამისა, მგონი ამჯერად ასეულის გადათვლას აპირებენ. მოხდა რამე?“

„არ იცი?“

შლომი ოთახში შევიდა, მე და ბარაზანი კი ოლვოსთან ვიდექით.

„ახლა რაღა მოუვიდა იმ გოგოსთან?“

„მოდი ამაზე არ ვილაპარაკოთ.“

ჯავშანტრანსპორტიორმა, რომელზეც მეჩხერწვერიანი პატიმრები იყვნენ, ბანაკის წინ ჩაიარა მტვერიანსა და

ტალახიან გზაზე. ცაში ვერტმფრენებმა გადაიფრინეს. ცოტა წამოწვიმა. მაგრამ ქარი არ დგებოდა და კოლონიის კანალიზაციის არხიდან სიმყრალე მოჰქონდა.

ღამით უფროსი სერჟანტი მოვიდა და ოთახის დაცლა მოითხოვა. აქ ასმეთაურის ოფისების მოწყობა გესურსო. ბარაზანი გაჯიუტდა, მაგრამ უეცრად გაიცინა და შუა საუბარში წამოისროლა: „ხე თუ პალესტინა?“

„პალი“, – თქვა უფროსმა სერჟანტმა და ტყვია–წამლის ყვითელ ყუთზე ჩამოჯდა, ბარაზანის საწოლთან რომ იდგა. ბარაზანიმ ჯიბიდან მონეტა ამოიღო, მაღლა ააგდო, დაიხარა, ხელი მოამზადა, და როცა მონეტა მკერდს მიუახლოვდა, მის დაჭიმულ სახეს ეკიდე თვალი. ვიცოდი, უფროსმა სერჟანტმა წააგო. ბარაზანიმ ხელი მოიქნია, მონეტა დაიჭირა, გაშალა მუჭი და თქვა: „ხე. გაჭამე.“. უფროსი სერჟანტი წამოიწია, კარის ჩარჩოს მიეყრდნო, ტუჩები მოეღრიცა.

„არა უშავს. ხე იყო, მაგრამ შენთვის ოთახს დავცლით, – უთხრა ბარაზანიმ, – ასმეთაური მაინც ასმეთაურია.“

უფროს სერჟანტს ხმა არ გაუღია. ამასობაში ოთახში ჯარისკაცი შემოიჭრა და თქვა: „ასმეთაურის მოადგილემ თქვა, რომ საჭირო ალარ არის, უკეთესი ადგილი მოიძებნაო“.

საღამოს შლომი დასარეკად წავიდა. მისმა გაურკვეველმა ყვირილმა დიდი ინდური კარავიც კი დაიარა, რომელსაც სასადილო ოთახად იყენებდნენ. იგი შტაბის კარავს ესაზღვრებოდა. მე კარტს ვთამაშობდი, ბარაზანი ყავას სვამდა და გართული იყო შაბათის თამაშთან დაკავშირებული გამოთვლებით. ის გაზეთის კიდეებზე წერდა და დროდადრო დაფლეთილ წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. მერე ადგა. ყავის ფინჯნით ხელში ბოლთას სცემდა. კვლავ დაბრუნდა მაგიდასთან და თქვა: „ვერაფერს გააწყობ, მაგრამ მათ იქ ჩემი ხმა სჭირდებათ. უნდა წავიდე შაბათს.“

ტრასაზე ჯავშანტრანსპორტიორმა ჩაიარა. შორიდან აფეთქების ხმა მოისმა. კაცი არ განძრეულა. მხოლოდ ბანაკის შესასვლელის მოდარაჯე ჯარისკაცმა ჩამოიხსნა იარაღი მხრიდან. მტვრით იყო გაჯერებული ზეთის განიერი ლაქა ჩემს შარვალზე.

## IV

ხუთშაბათი დღე იყო. დაზვერვის ძალა აღარ შეგვრჩენოდა. ბანაკის გზაჯვარედინსა და ნაბატიის გასასვლელთან საგუშაგოს ორმა გუნდმა წინა ყარაული გამოცვალა. საღამოს ათი საათი იყო. გენერატორი რახრახებდა. დასაძინებლად არავინ მიდიოდა.

ინდურ კარავში ვისხედით. უფროსი სერჟანტი, მზარეული და ასმეთაურის მძღოლი კარტს თამაშობდნენ. უფროსმა სერჟანტმა მკითხა, ხომ არ შემოგვიერთდებიო. ცოტა ხანში–მეთქი, – ვუთხარი. ორი ყმაწვილი ჯარისკაცი შიშველ ლამპას უჯდა, ლუდს სვამდნენ, გუშინდელი გაზეთიდან ნაწყვეტებს კითხულებდნენ და ერთმანეთში კამათობდნენ. „ისტორიას უნივერსიტეტში სწავლობენ, აქ – არა“, – უთხრა მათ ტანმაღალმა ჯარისკაცმა, რომელსაც ხელები ზეთით დალაქულ კომბინიზონში ჩაეწყო. იგი კარვის შემოსასვლელთან იდგა. შესცქეროდა ჩაშავებულ პლანტაციას, რომელიც პირდაპირ ქედს ფარავდა. მერე შემობრუნდა, ჯიბიდან წერილი ამოიღო და ბარაზანის გადასცა.

ბარაზანი სამზარეულოს გრძელ სკამზე იჯდა. ხელში უკვე ეჭირა სხვა წერილები და სპორტლოტოს ბლანკები, რასაც ისრაელში გადასაცემად ატანდნენ. მხოლოდ სამი გაუშვეს. ხოლო ბარაზანის როგორც უხუცეს ჯარისკაცს სპეციალური შეებულება არგუნეს. დაგვპირდა, რომ თავისი რკინეულობიდან საგუშაგოს ტყვიამფრქვევები–

სათვის საგანგებო სადგარებს მოიტანდა. ტყუილად კი არ უნდა დაეყარათ ისინი მიწაზე, არამედ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ჰქონოდათ. ძველებს ახსოვდათ, რომ ექვსდღიან ომში, საბრძოლო სამზადისის დროს ბარაზანიმ ამგვარი სადგარები ჯავშანმანქანებზე დაამონტაჟა ტყვიამფრქვევებისათვის. „მისაჯდომადაც მოსახერხებელია, დასამიზნებლადაც კარგია, რეაგირებისთვისაც ეფექტურია“, – ამბობდა ასმეთაური, როდესაც თავისი მხრიდან ნებართვის გაცემას ამართლებდა საკუთარ თავთან. „რაღაც ტრაწიანი თამაშისათვის“, – შევიკურთხე ჩემთვის, და შევამჩნიე, რომ ბარაზანის პერანგის ჯიბიდან დაფლეთილი წიგნაკი იჭყიტებოდა.

შლომი ჩემს პირდაპირ იჯდა. პირი არ დაუკარებია ყავის ფინჯანისათვის, რომელიც მის წინ იდგა. ცდილობდა დაევერწმუნებინე, რომ ის აუცილებლად უნდა წასულიყო. მე მას ვუთხარი, რომ პირადად ჩემთვის სულერთი იყო, წავიდოდა თუ არა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ მას დარჩენა მოუწევდა. „იფიქრე მათზეც, ვისაც ცოლ–შვილი ჰყავთ“, – ვუთხარი მას.

„მათ ოჯახები აქვთ, – თქვა წყნარად, – ეს სწორია“.

არ ვიცოდი, მისთვის რა მეთქვა. „ბარაზანის დაელაპარაკე“, – ვუთხარი ბოლოს.

„ბარაზანი ჭრელი პეპელაა, – წამოიყვირა უფროსმა სერჟანტმა და კარტის მარაო თვალებთან მიიტანა, – გამონაკლისია“.

„მაშ გამონაკლისს გამონაკლისი დაუმატე“, – ვუთხარი მე.

„არ შეიძლება, გამოვა, რომ ოთხი წავა“.

„ასმეთაური გიბარებს“, – მიმართა უფროს სერჟანტს ასეულის მდივანმა.

„რაშია საქმე?“

„უწყისი უნდა განვაახლოთ“.

„განაახლეთ, ეშმაკმა დალახვროს. ჩემგან რა გინდათ“, – ეს თქვა, მაგრამ ერთად შეკრიბა კარტი, რომელიც ხელში ეჭირა, მაგიდაზე დაანარცხა და გავიდა.

ბარაზანიმ წერილები და ბლანკები კომბინიზონის ჯიბეში ჩაიკუჭა, სკამიდან ადგა, შლომის მიუახლოვდა და უთხრა: „გინდა ჩემს მაგივრად წახვიდე?“

„არა, – უთხრა შლომიმ, – არ მინდა, რომ ვინმემ შვებულება დაკარგოს ჩემს გამო“.

„მხოლოდ სამს უშვებენ ბრძანებით, – ვთქვი მე, – შემდეგ კვირას წადი, – წამით გავჩუმდი და მერე დავუმატე: წადი დაურეკე მას და ამით დაამთავრე.“

„მთელი დღეა ტელეფონზე ველაპარაკები, ამაში არ არის საქმე“.

„შემდეგ კვირას წადი“, – გავუმეორე შლომის.

იგი დადუმდა, მერე კი გამოსცრა: „მომავალ კვირას ძალზე გვიან იქნება“.

„ეშმაკმა დალახვროს, მხოლოდ გუშინ გათავისუფლდი, უკვე დაგავიწყდა, ჯარი რა არის?“

„არაფერი არ დამვიწყებია. ჯარიდან გავიპარებოდი. აქ, ამ ბებრებთან ერთად ჩემთვის ეს არ არის სასიამოვნო“.

„დაველაპარაკები კიდევ ერთხელ უფროს სერჟანტს“, – ვუთხარი მე.

შტაბში გავედი. უფროსი სერჟანტი უწყისზე მუშაობდა. არასოდეს მესმოდა, რატომ იყო ასე რთული პოლკში ჯარისკაცთა ერთ გარკვეულ რაოდენობამდე მიღწევა. მდივანი ყოველთვის იწერდა სიებს, უფროსი სერჟანტი ასწორებდა, შლიდა, უმატებდა, რიგებს ცვლიდა, და მერე მდივანი ხელახლა წერდა ოცეულების, ათეულების, ანბანის, ჩინის მიხედვით, და ყოველთვის, როცა ეკითხებოდნენ, ზუსტად რამდენი ჯარისკაციაო ახლა ასეულში, უფროსი სერჟანტი უპასუხებდა ხოლმე: „დაახლოებით სამოცდაცხრამეტი, კიდევ უნდა გადავამოწმო.“

„თავი დამანებე, – მითხრა მან, როცა შლომი ეუხსენე, – ეგ ღლაპია.“

„შეჭამოს ახლა კანფეტი და მოთმინებით დაელოდოს, როდის გაუნაწილებენ კიდევ“, – ვუთხარი მე.

„შენი ოცეულიდან ბარაზანი მიდის. იმტერიე თავი, არ მაინტერესებს ვინ წავა. მთავარია შემატყობინო, რომ უწყისში შევიტანო“.

სასადილოში დავბრუნდი. ბარაზანი მაგიდებს შორის დაბორიალობდა. კარვის ფარდიდან ქარი შემოიჭრა და მის ჩემოდანს მტვერი წააყარა. შლომი კარვის კუთხის საყრდენ ბოძთან იდგა და თავი ბრეზენტის ფარდაში ჩაერგო. ორი ჯარისკაცი, გაზეთს რომ კითხულობდა, ერთმანეთში კამათობდა:

„აქ არ უნდა შემოვსულიყავით“.

„გვიანია? უკვე ხახაში ვართ“.

ბარაზანისთან ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ დავჯექი თუ არა, ჩემთან მოვიდა.

„რა ვუყოთ შლომის“, – ვუთხარი მე.

„ეგ გაუშვი, ხომ სულერთია“.

„არ გამოვა. ეს არ არის რიგითი მეცადინეობა, სამზადისია. ლაპარაკია, რომ ხვალ ღამ ვაპირებთ შეეუყვანოთ. არ გინდა დარჩე?“

„მეტისმეტი არ მოუვიდეთ. მერე გამოღება იქნება ძნელი“.

„ეს ბოლო შედეგაა, – ლაპარაკია“.

„ყოველდღე სხვას ამბობენ“.

„არ ვიცი, მაგრამ, როგორც ჩანს თითოეული იქნება საჭირო ყველა ხვრელის ამოსავსებად“.

ბარაზანი გაჩუმდა. ხელში დახვეული და დაკუჭული სპორტული გაზეთი ეჭირა. გაზეთის კიდეს ცოტა მოახია. „არაფერი გამოვა ამისგან, – გამოსცრა, – არ იცი? მაგათ ყოველთვის აქვთ მიზეზი“. თავის ჩემოდანს

მიუბრუნდა და გაზეთი სახელურის ქვეშ ამოდო.

კარვის კუთხიდან ქვიშის ბოლქვები წამოიშალა. შლომი მომიახლოვდა და მიჩურჩულა: „გითხრა რამე?“

„გეყოფა, – ვიყვირე, – შენ წასვლის უფლება არა გაქვს, იმედი ნუ გაქვს, რომ ვინმე დაგითმობს“. გარედან M-113–ების რახრახი აღწევდა. დაზვერვა ბრუნდებოდა. „ცოტა ხანში საგუშაგო უნდა გამოვცვალოთ“, – ვფიქრობდი მე. კარვის ფარდებს ძლიერი ქარი სცემდა. სიცივე და სიმშრალე იყო. უფროსი სერჟანტი თავის ადგილს დაუბრუნდა კარტის მაგიდასთან. მაღალი ჯარისკაცი ტელეფონში ჩაყვიროდა ისრაელის მხარეს. შლომი კარვის ზღურბლზე იდგა, კომბინიზონში გახვეული.

„ეშმაკმა დალახეროს. – თქვა ბარაზანიმ, – მოკლედ, ან მე, ან ის, არა?“

„არაა საჭირო“, – ვუთხარი მე.

„მაშ, მონეტა ავაგდოთ, – ადგა იგი, მოულოდნელად გაიცინა და დაურთო: უჩემოდ ჩაატარონ“. შემდეგ კარვის ზღურბლზე დაყუდებულ შლომის მიუბრუნდა: „ნუ ჩამოგტირის ცხვირ–პირი, გულს ნუ გაიტეხ, რას ირჩევ, ხეს თუ პალის?“

„პალის“.

„ცუდია“, – თქვა ბარაზანიმ. შარვლის ჯიბეები მოიჩხრიკა, ბოლოს დააძრო თავისი ძველი მონეტა მანდატის პერიოდიდან.

ყველამ ჩვენ შემოგვხედა, ნელ–ნელა წამოიშალნენ და მოგვიახლოვდნენ. მათაც კი, ვინც კარტს თამაშობდა, გადაბრუნებული დააწყვეს ბანქო მაგიდაზე, ადგნენ და წრეს შემოუერთდნენ. ვიცოდი, რა შედეგიც იქნებოდა, მაგრამ გავჩუმდი. უფროსი სერჟანტი შლომის მხარზე შეეხო და უთხრა: „მაგან რატომ უნდა ააგდოს, შენ ააგდე.“ მაგრამ შლომიმ კომბინიზონის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და კრინტი არ დაუძრავს. ბარაზანის თვალები

დამფრთხალნი გარბი–გამორბოდნენ, აქეთ–იქით დააცეცებდა თვალებს, ნერწყვი მოიწმინდა, რომელიც ტუჩის კუთხიდან ჩამოსდინდა, მონეტას მომუშტულ ხელში ათამაშებდა.

„მატყუარაა“, – დაიძახა ვილაცამ. მაგრამ ბარაზანიმ უკვე ცერი ჰკრა მონეტას. მე და ალბათ ძველებმაც, ვინც ბარაზანის იცნობდა, ვიცოდით, რაც მოხდებოდა. დავინახე მისი დაძაბული სახე, როდესაც დაიხარა. ხელი მუხლთან ჰქონდა მეყსეულ მზადყოფნაში.

შლომი წრის გარეთ იდგა. მონეტა ძირს დაეშვა. ბარაზანის მკერდს მოალწია, მაგრამ ვიდრე მას დაეცემოდა, ბარაზანიმ ხელი მოიქნია და ჩაიჭირა. თავი წინ ჰქონ–და წახრილი, თვალებს ჩვენს შორის აცეცებდა. ადგილზე დატრიალდა, და როცა შლომი დაინახა, უმალვე გაშალა მუჭი და თქვა: „პალი“, ეშმაკსაც წაულიხარ, შენ შვებულება გაქვს“.

კარაეში ხმაური იყო. შორიდან კანტიკუნტად მოისმოდა აფეთქებების ხმა. ერთ–ერთ მთას ხანძარი გასჩენოდა. შლომიმ ჩაიცინა, ჩაიხითხითა და ტელეფონისაკენ მოუსვა. „ალო, ალო“, – ყვიროდა, და მერე ლაპარაკი თუ სიმღერა მომესმა: "I just call to say I love you, I just call to say how much I care". მაგრამ როცა ყურმილი დაკიდა, კარვის საყრდენი ბოძისკენ შებრუნდა. ნაბიჯების მთელ სიგრძეზე მტვრის თხელი ბოლქვები ადინდა. ბარაზანი მას მიუახლოვდა და წერილების შეკვრა და სპორტლოტოს ბლანკები გადასცა. შლომი სიგარეტს ეწეოდა. მელოდიას უკვე სხვა ვილაც სტვენდა–

## V

პარასკევს, დილის ოთხ საათზე გათავისუფლდნენ.

ბარაზანი მუხლუხებიან მანქანაზე ავიდა. იგი დილის პატრულზე გადიოდა. ახალი ტუფლები ეცვა, ნაბატიაში

ნაყიდი. სხვა წყვილი ოთახში თაროზე დატოვა, რიგში, სიდიდის მიხედვით. ტყვიამფრქვევს უკან იდგა, ლაღად, მყარად, პირგაუპარსავი, თვალები ქარში უკვესავდა, და ძველი ნაქსოვი ქუდი, რომელსაც შეკრებიდან შეკრებაზე დაათრევდა, შუბლზე ჩამოეფხატა. ციოდა და ყველა გახვეულიყო გადახუნებულ კომბინიზონებში, რომლებსაც მრავალი პატრონის ხელში გამოეცვლოთ და სავსენი იყვნენ ზეთის ლაქებით.

ბანაკის ჭიშკრიდან გავიდნენ, და ვიდრე ოთახში დაებრუნდებოდი, ისევ სასადილო კარავს მივაშურე. ტუჩები ქარისაგან მქონდა გამომშრალი, რამე ცხელი მწყურდა. ერთ-ერთ მაგიდაზე ცივი ჩაიდანი იდგა, საიდანაც რამდენიმე ყლუპი მოვსვი. ბოძთან შლომის ჩანთა შევნიშნე. ჩანთის ბალთებზე ნაცრისფერი სვიტრი იყო მიბმული, დახვეულ სვიტრში ტოპრაკი იყო, საიდანაც წერილები და სპორტლოტოს ბლანკები მოსჩანდნენ. ირგვლივ მიმოვიხედე, მაგრამ კარავი ცარიელი იყო.

ოთახში დაებრუნდი. დარაბის დაკეტვა შეუძლებელი იყო. ქარი სცემდა და ანჯამები ჭრიალებდნენ. ვერაფრით დავიძინე. დაახლოებით ექვს საათზე გარეთ გავედი. შტაბის კარვიდან ჯარისკაცი გამოვარდა. შტაბში შევედი და შევიტყე, რომ ერთ-ერთ მუხლუხოს ყუმბარა ესროლეს, ცეცხლი გაიხსნა და დაშავებულები ყოფილან.

უფროსმა სერჟანტმა ექიმი გამოიძახა, მორიგე ოფიცერმა – ვერტმფრენი ევაკუაციისათვის. შემთხვევის ადგილისაკენ გავემგზავრეთ. ბარაზანი მუხლუხოს ძრავაზე იწვა და არ ინძრეოდა. ექიმმა თქვა, რომ მას პულსი აღარ ჰქონია, და რომ ის ადგილზე გარდაცვლილა. ფელდშერმა მოუარა. ფეხები გაუსწორა და ხელები სხეულის სიგრძივ დაუწყო. მან ბარაზანის მომუშტული ხელი გაუშალა. ძრავის სარქველზე მონეტა გადმოგორდა და დანგრეულ ასფალტზე დაეცა. დავიხარე, მონეტა ავიღე და ხელში

ავათამაშე. სასიგნალო რაკეტა გავუშვით ვერტმფრენისათვის დასაჯდომი ადგილის მისანიშნებლად, ყველანი კვამლში გავეხვიეთ. კვამლი ფართოდ და ხვეულად აიზიდა ცისკენ. ცრემლით სავსე თვალები მოვიწმინდე და დავაკვირდი მანდატის პერიოდის ჟანგიან მონეტას და წარწერას ინგლისურად, არაბულად და ებრაულად. მონეტას ორივე მხარე ერთნაირი ჰქონდა – პალესტინა.

ვერტმფრენი ხმაურით მოგვიახლოვდა. ქვიშის ნამცეცები, ტალახი, ფოთლები, ქალალდის ნაგლეჯები, მტვერი და ჭუჭყიანი ცელოფნის პარკები ჰაერში აფრინდნენ. „კიდევ უნდა იყოს მონეტა“, – ვუყვირე ფელდშერს, რომელიც ბარაზანის დაფლეთილი და გამურული ფორმის ჯიბეებს ფერთხავდა. იგი გვერდით ამომიდგა, მოახლოებულ ვერტმფრენს შეხედა. მისი თვალები ქარში ფახულობდნენ და იცრემლებოდნენ. ხმა სუსტი და ხრინწიანი ჰქონდა. „აიღე“, – გამომიწოდა მეორე მონეტა.

ეს მონეტის მეორე მხარე იყო. ორივე მხარეს მომწვანო, უანგმოკიდებულ სპილენძზე აღბეჭდილი იყო ზეთისხილის ხის წვრილი და გამართული ტოტი, რომლიდანაც გვერდებზე შვიდი ფოთოლი იშლებოდა.

## გეიშას დუმილი

ქალი ეთაყვანებოდა მამაკაცს და ვერ გაუბედავდი გეთქვა, რომ შეეწყვიტა მასზე ფიქრი. მდგომარეობა სასაცილო და უსარგებლო იყო. ქალი შეყვარებული იყო და გადაწყვეტილი ჰქონდა, მას მისთხოვებოდა. მამაკაცი არ ფიქრობდა ქალი თავისთან შეენახა. ყველა სიკეთესთან ერთად იგი სუფთა იყო და ლამაზიც. ანუ ისეთი, რომ არ შეგრცხვებოდა მასთან ერთად გავლა ტერიტორიაზე, რომელსაც სახელმწიფო შაბათობით ხსნის ხოლმე დამთვარიებელთათვის. ქალი დამჯერეც იყო, ყურს უგდებდა მის ხმას, რადგან ეს ხმა სიამოვნებას ჰგვრიდა, და როდი წუხდებოდა, თუკი მამაკაცი ათას ბრძანებას გააჟღერებდა, ოღონდაც ეს ხმა მოლამუნებოდა მის ლოყებს.

„კარგი“, – იტყოდა და ყველაფერზე მიდიოდა, რასაც ის მისგან ითხოვდა. ამასობაში მამაკაცი სამსახურში წავიდა. ქალმა კი მიატოვა თავისი სამსახური. სურდა მასთან ერთად ყოფილიყო. თუ შინ არ იყო, დაურეკავდა მაინც, ან ეგებ მას დაერეკა და საუბრის დასაწყისში ქალის სახელი ეხსენებინა, ის ამით დაკმაყოფილდებოდა. არა, თუ მას არ სურს შეირთოს, არა უშავს. ქალი მოიცდის, ქალი დაასუფთავებს, ქალი გააგონებს.

ასე ჩაიარა ასობით დღემ. ქალს თმა გაეზარდა. ის მართლა არა ცდილობდა, რომ თავისი თავისათვის მოეკლო. რადგან გრძნობდა, რომ მამაკაცს ეკუთვნოდა ყოველგვარ ფორმაში: მოუკლელი თუ მომხიბვლელი. ქალმა ორად ყოფნა იცოდა, რადგან ორი იყო იგი.

გამოხდა ხანი და ქალმა დაიწყო მისთვის სახლის დალაგება, წინდების კემსვა, შარვლის დაუთოება. მამაკაცს

არ უყვარდა, ქალი როგორც აუთოებდა. მაშინ ჰკითხა, როგორ უყვარდა, მამაკაცმა აუხსნა და ქალმაც ისწავლა. რკინის ქალის მოთმინება ჰქონდა. რაღაც ძალზე განსაკუთრებული იყო. მაგრამ მამაკაცი არ იყო იმისთვის შექმნილი, რომ ვალდებულება ეკისრა. ქალი კი ამბობდა, რომ მისთვის სულერთი იყო, ოღონდაც მოეპოვებინა საათები, როცა მამაკაცი მის ზურგთან სუნთქავდა, მის კისერზე სუნთქავდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა დანარჩენს, ყველა დანარჩენი თავისთავად ცდუნება და ილუზია იყო.

ქალს ოცდაათი შეუსრულდა. და მას სურდა, რომ იმ დროს, როცა მამაკაცი დილით გადიოდა, სახლის საზრუნავთან ერთად ქალს მათ ბავშვზეც ეზრუნა. მამაკაცი შეაშფოთა ამ იდეამ. ბავშვები მას სახლს დაუსვრიდნენ. მართალია, სახლი არ იყო გიგანტური და მისი ბაღი სასაცილოც კი იყო, მაგრამ მამაკაცს არ სურდა, რომ ის, რაც მას ჰქონდა, ვინმეს დაენგრია. მამაკაცმა უთხრა კიდეც ეს ქალს. ქალმა იტირა. მამაკაცმა მოსთხოვა, რომ ტირილი შეეწყვიტა და ქალმაც შეწყვიტა.

ერთ დღეს ის დაფეხმძიმდა, და არ იცოდა, რა ექნა. თავის მშობლებს დაურეკა, ხოლო მათ ყურმილი დაუგდეს. მამაკაცის სამსახურში წავიდა. ქვევით იცდიდა, რადგან – ღმერთმა დაიფაროს – თავისი გამოჩენით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო. იგი შუა ქალაქში ურიცხვი ოფისის ცათამბჯენში მე–14 სართულზე მუშაობდა გადაპრანჭულთა ოფისში, და ქალს არ სურდა, რომ ხელი შეეშალა იქაური წარმოდგენისათვის. იცოდა, რომ ის ხუთ საათზე გამოდიოდა. სურდა ქვევით მოეცადა მისთვის და ეთქვა, რომ ფეხმძიმედაა. მაგრამ მაშინ ქალმა დაინახა, რომ მამაკაცი გამოვიდა ვიღაც გადაპრანჭულთან ერთად და ერთმანეთს კიბეებზე დაუწყეს კოცნა. ქალმა უთხრა თავის თავს, რომ ეს არ იყო

სიყვარული, ეს გრძნობათა სიმთერალე იყო, მაგრამ მაინც დაკარგა გონება.

გამვლელებმა სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმმა იქ უთხრა, საყვარელო, შენ ფეხმძიმედ ხარო, თითქოს მას არ სცოდნოდა, ფეხმძიმედ რომ იყო. „ვიცი, – თქვა ქალმა, – უნდა წავიდე“.

რამდენიმე რეგისტრაცია გაიარა და წავიდა. შინდაბრუნებულს უკვე ჰქონდა თავში გადაწყვეტილება. ეტყოდა, რომ ფეხმძიმედ იყო. მაგრამ ის მზად იყო, თბილ დღეებში ბავშვი გარეთ გაეზარდა, – თუმცა არა თავიდან, ვიდრე ის ჩვილი იქნებოდა. ხოლო ზამთარში შინ შემოიყვანდა და ყოველ ზარალს, რასაც ბავშვი სახლს მიაყენებდა, ქალი იტვირთებდა.

მამაკაცმა გაიცინა და უთხრა, რომ ეს საშინელი, საშიში რამ იყო, რომ ეს შეუძლებელი იყო, რომ მათ ბავშვს მაშინვე წაართმევდნენ. ქალი ატირდა, მას არ სურდა, რომ მათთვის ბავშვი წაერთმიათ. მაშინ მამაკაცს გენიალური იდეა მოუვიდა. ქალს უთხრა, რომ ისინი დაშორდებოდნენ. მან, უბრალოდ, გაშორება შესთავაზა. ეს ისე ისროლა, როგორც მილიონი დოლარი – მაგიდაზე. „დავშორდებით“, – უთხრა ქალს.

„მე შენ მიყვარხარ. მთელი ჩემი სიცოცხლე – ეს შენ ხარ, და ბავშვიცა მყავს შენგან. ოცდაათი წლისა ვარ, მთელი ჩემი სიცოხლე – ეს შენ ხარ.“

მამაკაცმა ქალს უთხრა, რომ ზუსტად ამის გამო, მისდა სასიკეთოდ იფიქრა. უთხრა, რომ უმჯობესი იყო ქალისათვის, თუკი ისინი დაშორდებოდნენ და თითოეული თავისი გზით წავიდოდა. თუ სურდა, აბორტი გაეკეთებინა, და თუ არა, ბავშვი გაეშვილებინა.

სამწუხაროდ და სავალალოდ წასასვლელი არსად ჰქონდა. მაშინ მათ შეუეროდა, ვისაც თავშესაფარი არ გააჩნდა. ნათელი გახდა, რომ მრავლად იყვნენ ამგვარნი,

ათასი ჯურისანი, რომელთაც კულტურა არა ჰქონდათ. ანთუ წინათ ჰქონდათ კულტურა, დღეს კი აღარ გააჩნიათ. მათთან ერთად იჯდა გრძელ სკამზე და ისინი თავიანთი საჭმლით უმასპინძლდებოდნენ. მაგრამ ქალს არ შეეძლო ეჭამა, რადგან გამუდმებით მამაკაცზე ფიქრობდა. ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად ისხდნენ გრძელ სკამზე, ეუბნებოდნენ, რომ დაევიწყებინა იგი, რომ ის ნამდვილი არამზადა ყოფილა, თუკი მას ასე მოექცა და არ იყო მისი ღირსი. მაგრამ ქალი მამაკაცს იცავდა და აცხადებდა, რომ ის საოცარი იყო, და არაეინ თქვასო მასზე ცუდი ჩემი თანდასწრებით.

თვეები გადიოდა. მისი მუცელი იზრდებოდა, იმედები კი ნელ–ნელა ინაცლებოდა როგორც ფოთოლცვენა. საავადმყოფოში თავისი ფეხით მივიდა. ბებიაქალმა ამშობიარა და მას ქალიშვილი შეეძინა. სამი დღის შემდეგ საავადმყოფოდან გამოვიდა და ქალიშვილთან ერთად მამაკაცთან წავიდა. კარზე დაუკაკუნა. მამაკაცმა გაუღო.

„აი, შენი ქალიშვილი, გინდა დაიჭირო?“

„რას აკეთებ, გაგიუდი? მე ახლა ცოლი მყავს–“

„ეს შენი ქალიშვილია, აიყვანე, აკოცე, ნახე, შენი ცხვირი აქვს, ეს შენი ცხვირია“.

„ეს შენი ცხვირია, ჩემი ცოლი კი ფეხმძიმედაა“.

ქალმა შიგნით შეიჭყიტა, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცმა გზა გადაუღობა თავისი გრძელი მკლავით. ქალმა მოახერხა დაენახა იქ მამაკაცის იღლიის სამკუთხედიდან ის გადაპრანჭული. ტახტზე იჯდა, ტელევიზორს უყურებდა და რაღაცას ჭამდა. მუცელი დიდი ჰქონდა, ნახევარ ეკრანს ფარავდა.

„ტყუპები ჰყავს?“

„...გადაადგილება ეკრძალება“.

ქალი მიაშტერდა თავის საყვარელს და არ იცოდა რა

ექნა, ეტირა, ეყვირა თუ გაჩუმებულიყო და წასულიყო. მამაკაცმაც სთხოვა, რომ სკანდალი არ მოეწყო, რომ ამის შედეგები შესაძლოა გაუთვალისწინებელი ყოფილიყო. მამაკაცს მავედრებელი მზერა ჰქონდა, გაუთვალის-წინებელიო, როცა სთქვა, და ქალი გაბრუნდა ქუჩაში ქალიშვილთან ერთად.

ქუჩაში მას უთხრეს, რომ, თუ სახლს ვერ იპოვიდა, ბავშვს წაართმევდნენ. ქალმა თქვა, რომ ის თავის ქალიშვილს არავის დაანებებდა, რომ იგი იყო მის სიცოცხლეში დიდი სიყვარულის სახსოვარი, და ახლა ის იზრუნებდა მასზე. ვინმეს გეიშა გახდებოდა, მთავარია, ფული ჰქონოდა ქალიშვილის შესანახად. ქუჩაში უთხრეს, რომ მეფე დავითის ქუჩაზე ქერივი კაცი იყო, რომელიც გეიშას ეძებდა. ქალი წავიდა მასთან ქალიშვილთან ერთად. კაცი თანახმა იყო, გოგონას ქალთან ერთად დაეძინა ოთახში იმ პირობით, თუ ქალი მას მოსამსახურედ დაუდგებოდა. ქალი იმ კაცის მოსამსახურედ იქცა. კაცი ძალზე კმაყოფილი იყო. ასეთი სერვიზი მას თავის სიცოცხლეში არ მიეღო, არც თავისი განსვენებული მეუღლისაგან ახსოვდა ამგვარი. ქალს ჰკითხა, თუ სად მუშაობდა ადრე. ეგონა, რომელიმე მეფესთან თუ მუშაობდა. რადგან იქიდან გამომდინარე, თუ როგორ აკეთებდა ქალი ყოველივეს, ცხადი იყო, რომ წინათ მეფესთან, პრინცთან ან ვინმე ცისფერსისხლიანთან მაინც იმყოფებოდა.

ქალმა გაიცინა და თავისთვის შეინახა თავისი ამბავი. ქერივი კი მეტს აღარ ჩასძიებია. დარწმუნებული იყო, რომ ის მართლა ვინმე დიდ კაცთან იყო და არ სურდა მისთვის გაენდო, რადგან ქალი იმ ამბის გაუნდობლობასაც ერთგულებდა.

# ფოკუსი

წარმოდგენის ბოლოს ქუდიდან კურდღელი ამომყავს. ამას ყოველთვის ბოლოს ვაკეთებ, რადგან ბავშვებს ძალიან უყვართ ცხოველები. ჩემს ბავშვობაში მე ნაკლებად მიყვარდა ისინი. ასეთ, კულმინაციურ მომენტში უნდა დაამთავრო ჩვენება, მომენტში, როცა ბავშვებს შორის ჩამოატარებ კურდღელს და მათ შეუძლიათ მოეფერონ, აჭამონ ცხოველს. წინათ ეს მართლაც ასე იყო. დღეს ბავშვები ცოტა ნაკლებ მგრძნობიარენი არიან, მაგრამ მაინც, კურდღელს ბოლოსთვის ვიტოვებ. ეს ფოკუსი მე ყველაზე, ყველაზე მეტად მიყვარს, უფრო სწორად, ყველაზე მეტად მიყვარდა. მთელი ფოკუსის მანძილზე თვალები მაყურებელზე მაქვს მიშტერებული. ხელი ჩადის ქუდში, ფათურობს ღრმად, შიგნით, ვიდრე კაზამის – ჩემი კურდღლის ყურებს იპოვიდეს. „ა ლაკზიმ, ა ლაკზიმ...“ და მაშინვე ამოვაფრიალებ კურდღელს. მაყურებელს თავი დაანებე, მეც ყოველთვის ახლიდან მაოცებს ეს ნომერი. ყოველთვის, როცა ჩემი ხელი ამ სასაცილო ყურებს სინჯავს ქუდში, თავს ჯადოქარივით ეგრძნობ. და თუმცა ვიცი, ეს როგორც ხდება – დაფარული სივრცე მაგიდაში და გათავდა, – ეს ნომერი მაინც ნამდვილ ჯადოქრობასავითაა.

იმ შაბათსაც თელ–ავივში ქუდის ფოკუსი ბოლოსთვის მოვიტოვე. იმ დაბადების დღეზე ბავშვები მართლა გულცივები იყვნენ. მათი ნაწილი ჩემსკენ ზურგით იჯდა და საკაბელოზე შვარცნეგერის ფილმს უყურებდა. იუბილარი საერთოდ სხვა ოთახში იყო, საჩუქრად მიღებულ ახალ კომპიუტერულ თამაშს თამაშობდა. ჩემი პუბლიკა კინაღამ ოთხ კაცამდე შეიზღუდა. იმ დღეს განსაკუთრებით

ცხელოდა, სულ სველი ვიყავი კოსტუმის შიგნით. მინდოდა მალე მომემთავრებინა და შინ წავსულიყავი. თოკის სამ ფოკუსს გადავახტი და პირდაპირ ქუდზე გადავედი. ხელი ღრმად გაუჩინარდა ქუდში, თვალები კი მსუქანი, სათვალიანი გოგონას თვალებში ჩაიძირა. კაზამის ყურების სასიამოვნო შეხებამ გამაოცა როგორც ყოველთვის: „ა ლაკზიმ, ა ლაკზიმ.“ დამატებითი ერთი წუთი მამის კაბინეტში, და იქიდან სამას შეკელიანი ჩეკით მოვუსვამდი. მოვწიე კაზამს ყურებში და ცოტა სხვაგვარი, უფრო მსუბუქი რაღაც ვიგრძენი. ხელი ჰაერში ამოვიდა, თვალებით ჯერაც მაყურებელს მივშტერებოდი, და მაშინ... სისველე მაჯაზე და მსუქანი, სათვალიანი გოგო კიეილს იწყებს. მარჯვენაში კაზამის თავი მეჭირა, გრძელი ყურებითა და კურდღლის დაჭყეტილი თვალებით, მხოლოდ თავი, არავითარი ტანი, თავი და აუარება, აუარება სისხლი. მსუქანა კიეილს განაგრძობდა. ბავშვები, რომლებიც ჩემსკენ ზურგით ისხდნენ, შემობრუნდნენ და ტაშისცემას მოჰყვნენ. მეორე ოთახიდან იუბილარი გამოვიდა თავისი ახალი კომპიუტერული თამაშით, და როცა მოკვეთილი თავი დაინახა აღფრთოვანებით დაიწყო სტვენა. ვიგრძენი, სადილი როგორ მომაწვა ყელში, ჩემს ჯადოსნურ ქუდში ვაღებინე, ნარწყევი გაუჩინარდა. ბავშვები ჩემს გარშემო სიხარულით იკლებდნენ იქაურობას.

ღამით, ჩვენების შემდეგ არ მიძინია. ათასჯერ შევამოწმე ჩემი აღჭურვილობა. მომხდარის ვერავითარ ახსნას ვერ მივაგენი, ვერც კაზამის სხეული ვიპოვე. დილით ფოკუსების მაღაზიაში წავედი. არც მათ ჰქონდათ წარმოდგენა. ვიყიდე კურდღელი. გამყიდველი დაუინებით მირჩევდა კუ ამელო, კურდღლები მოძველდა, ახლა კუები გადისო, ეს კუ ნინძაა–თქო უთხარი და დაეცემიანო. მაინც კურდღელი შევიძინე. მასაც კაზამი დავარქვი. შინ ავტომოპასუხეზე ხუთი შეტყობინება მელოდებოდა.

ყველა სამუშაოს მთავაზობდა. ყველა იმ ბავშვებისაგან იყო, რომლებიც ჩემს მაშინდელ გამოსვლაზე იყვნენ. ერთ-ერთ შეტყობინებაში ბიჭუნა დაჟინებითაც კი მთხოვდა, რომ მოკვეთილი თავი მასთან დამეტოვებინა, როგორც ეს გავაკეთე თელ-ავივში წვეულებაზე. მაშინდა გამახსენდა, რომ იქიდან კაზამის თავი არ წამომიღია.

ჩემი შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს იყო. ათი წლის ბიჭუნას დაბადების დღე ჰქონდა რამათ-ავივში. მთელი გამოსვლის განმავლობაში ვნერვიულობდი. დავიბენი. დედოფლების ფოკუსი კინაღამ ჩამიარდა. ერთთავად ქუდზე ეფიქრობდი. ბოლოს ესეც მოვიდა: „ა ლაკზიმ, ა ლაკზიმ.“ მაყურებელთ – გამჭოლი მზერა, ხელი – ქუდში. ყურები ვერ ვიპოვე, მაგრამ გლუვი სხეული ზუსტად საჭირო სიმძიმის იყო. და მაშინ... კვლავ წივილ-კივილი, წივილ-კივილი და ტაშის გრიალი. ჩემს ხელში კურდღელი არ იყო, ეს მკვდარი ჩვილი ბავშვი იყო.

ამ ფოკუსის გაკეთების თავი უკვე აღარა მაქვს. ადრე ის მიყვარდა, მაგრამ დღეს, საკმარისია მასზე დავფიქრდე, რომ ხელები მიკანკალებს, მელანდება საშინელი რამეები, რასაც გარეთ ვყრი. წუხელ მესიზმრა, რომ ვყოფ ხელს და მასზე ურჩხულის ეშვები მეჭიდება. მიჭირს გადავხარშო, აზრზე მოვიდე. როგორ ვბედავდი წინათ, რომ ამ ბნელ ადგილში ჩამეკრა ხელი, როგორ ვბედავდი, რომ თვალი მომეხუჭა და დამეძინა.

საერთოდ აღარ ემართავ წარმოდგენებს. სულ ფეხებზე მკიდია. ფულს ვერ ვშოულობ, მაგრამ არც ეს მანაღვლებს. ხანდახან კიდევ ვიცვამ კოსტუმს, ისე, უბრალოდ, შინ, ან ვამოწმებ საიდუმლო სივრცეს მაგიდაში, ქუდის ქვეშ, ესაა და ეს. ფოკუსებს კი აღარ ვეხები. არაფერს ვაკეთებ. მხოლოდ ვწევარ საწოლში და კურდღლის თავსა და ჩვილის გვამზე ვფიქრობ. თითქოს ისინი

რალაც მინიშნებანი ყოფილიყვნენ გამოცანისა, თითქოს ვილაც ცდილობდა რალაცნაირად მივეხვედრებინე, რომ ახლა არც ისე კარგი დრო უდგათ კურდღლებს და ჩვილებს, რომ ახლა სწორედ რომ არ არის საშური ჟამი ფოკუსის ოსტატებისათვის.

1 პასქალა (ებრ.) – ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა ევროპაში XVIII-XIX საუკუნეებში; „განათლება".
2 ერეც-ისრაელი (ებრ.) – „ქვეყანა ისრაელისა", – ასე უწოდებდნენ ებრაელები პალესტინას ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე.
3 ალია (ებრ.) – ებრაელთა იმიგრაცია ისრაელში.
4 ხალუცი (ებრ.) – „პიონერი". ებრაელი რეპატრიანტი ერეც-ისრაელში. სახელმწიფოს აღმშენებლობის მონაწილე.
5 ხამსინი – უდაბნოს ქარი.
6 ხავაჯა (არაბ.) – ბატონი.
7 კიბუცი – სასოფლო-სამეურნეო კომუნა ისრაელში.
8 ეათიკი (ებრ.) – ისრაელის ძველი მობინადრე.
9 ლაქერდა – თეეზის ნაირსახეობა.
10 ტეხნიონი ისრაელის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
11 რეხოვოთი – ქალაქი ისრაელში.
12 ბარ-მიცვა – ებრაელი ვაჟის მე-13 დაბადების დღე. რის შემდეგაც მას რელიგიური პასუხისმგებლობა ეკისრება.
13 გოიმ (ებრ.) – არაებრაელები.
14 თელ-ავივი (ებრ.) – გაზაფხულის გორა.
15 ხამსინი – იხ. შენიშვნა 5.
16 ჰაფტარა საკვირაო საკითხავი სინაგოგაში წინასწარმეტყველთა წიგნებიდან.
17 ბობკსები (ებრ. ჟარგ.) – კვიპაროსის გირჩები.
18 როშ ჰაშანა – ებრაული ახალი წელი.
19 ლაგ ბაომერი – ებრაული დღესასწაული, რომლის დროსაც ,ოლოსს ანთებენ და მის გარშემო ცეკვავენ.
20 აგადა (ებრ.) – ლეგენდა; თალმუდის შემადგენელი ნაწილი.
21 ნისანი – ებრაული კალენდრის მე-7 თვე (მარტ-აპრილი).
22 ტუ ბიშვატი – გაზაფხულის ებრაული დღესასწაული.
23 იომ ქიფური – გასაოსის დღე. ებრაული რელიგიური დღესასწაული.
24 ვაიცმანი, ჩერტოკი, ბენ გურიონი – თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებელი ებრაელი პოლიტიკოსები.
25 ხალუცერი – იხ. შენიშვნა 4.
26 ფურიმი – წილისყრა, ტრადიციული ებრაული დღესასწაული გაზაფხულზე. მისი შემოღება უკავშირდება ბიბლიური ესთერის წიგნში გადმოცემულ ამბავს.
27 „ისმინე ისრაელო" – ტრადიციული ებრაული ლოცვა.
28 მოშავი – სასოფლო კოოპერატიული დასახლება.
29 ფესახი (ებრ.) – პასექი, ებრაელთა დიდი დღესასწაული, რომელიც ეგვიპტიდან გამოსვლის ბიბლიურ ამბავს უკავშირდება.
30 ქინერეთი – ტბა ისრაელში, გალილეაში.
31 აბუ დანი (არაბ.) – დანის მამა.
32 ბარ-კოხბა – იუდეაში რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ მოწყობილი დიდი აჯანყების მეთაური ჩვ. წ. II საუკუნეში.
33 მანდატის პერიოდი ინგლისური მანდატი პალესტინაში 1914–1947 წწ.
34 ცაპალი – ცაპალი ისრაელის არმია.

# სარჩევი


*ანათ ფეინბერგი*
ეროვნული ლიტერატურიდან ზოგადსაკაცობრიო ლიტერატურამდე თვალსაზრისი თანამედროვე ებრაული ლიტერატურის შესახებ ..... 3

*ს. იზჰარი*
გზა იერიქონისაკენ ..... 20

*ამოს ოზი*
იქ სადაც ტურები კიეიან ..... 31

*ა. ბ. იეჰოშუა*
გალკას ქორწინება ..... 55

*იააკოვ შაბთაი*
საგანთა ხსოვნა ..... 82

*იორამ კანიუკი*
გადატრუსული მიწა ..... 96

*იეჰოშუა კენაზი*
სამფეხა ქათამი ..... 127

*დავიდ გროსმანი*
შვეიცარიის მთიანეთი ..... 150

*ამალია ქაჰანა-ქარმონი*
მოხატული ღია ბარათები ..... 170

*შულამით ლაპიდი*
ბიზნესი ..... 189

*იეშაიაჰუ კორენი*
ბარაზანი ..... 211

*ორლი კასტელ-ბლუმი*
გეიშას დუმილი ..... 234

*ეთგარ კერეთი*
ფოკუსი ..... 239